თამარ პაპავასი

დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში

დ. ხელაძის გამოცემა

პარიზი
1937

ბატონ პროფესორს

ექვთიმე თაყაიშვილს.

დაუვიწყარ ნინოს ნათელი
ხსოვნის აღსანიშნავად.

ავტორი
1937 წ.

„In memoriam et
In gloriam“…

ავტორისაგან

ამ პირველ წიგნში მოთავსებულ ნარკვევთა ერთი ნაწილი იბეჭდებოდა „ისახარ"-ის ფსევდონიმით, პარიზში გამოცემულ კრებულ „კავკასიონ“-ში („მეფე ერეკლეს ქალები", ქართველი ქალი და 1832 წლის შეთქმულება“, „ალექსანდრე ბატონიშვილი და მისი ოჯახის ბედი“), ხოლო მეორე ნაწილი (169 გვერდიდან) ამ ჟამად პირველად ქვეყნდება. პარიზულ „კავკასიონ-ში“ მოთავსებული მასალაც, როგორც მკითხველი დაინახავს, საგრძნობლად შეცვლილია და შევსებული იმ წყაროთა მიხედვით, რაც ამ უკანასკნელ წლებში გამოქვეყნდა.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა დიდ სიძნელეს წარმოადგენს ჩვენს პირობებში ასეთი წიგნის გამოცემა; ამიტომაც

ჩემი უღრმესი და გულწრფელი მადლობა მათ, ვინც ეს სიძნე-ლე გადამალახვინა; განსაკუთრებით მინდა ეს მადლობა მოვახ-სენო ბ-ნ პროფესორ ექვთიმე თაყაიშვილს და ბ-ნ სამსონ ფირცხალავას იმ მზრუნველობისათვის, რაიც მათ ამ ჩემი შრომისადმი გამოიჩინეს; ბ-ნ ვიკტორ ნოზაძეს – იშვიათის, მუდამ დაუღალავის და გულწრფელის დახმარებისათვის; ბ-ნ შალვა ამირეჯიბს ზოგიერთ წყაროზე მითითებისათვის; ბ-ნ სვიმონ ბერეჟიანს – კორეკტურისათვის და განსაკუთრებით ბ-ნ დავით ხელაძეს ამ წიგნის გამოცემისათვის.

აგრეთვე არ შემიძლია ჩემი მადლობა არ მივუძღვნა ბ-ნ ვლ. ახმეტელს და ჩემს ასულთ ტურფასა და მზიას ზანდუკის შედგენის საქმეში დახმარებისათვის.

თამარ გოგოლაშვილის ასული პაპავასი.

პარიზი, 1937 წ.

წინასიტყვაობა

ქალის განსაკუთრებული როლი ქართულ ისტორიაში ცნობილია. ქალი იყო ქართული ოჯახის ბურჯი, სიმტკიცე და საფუძველი სახელმწიფოსი. ქართველი ქალის ხელთ იყო არა მარტო სამეურნეო ნაწილი ოჯახისა, არამედ უმთავრესად შვილების აღზრდა, წერაკითხვის სწავლება, ქართულ ზნეთა და რწმენათა ჩანერგვა. ქართველი ქალი უზრდიდა საქართველოს ღირსეულ შვილებს. არა ნაკლები იყო ქართველი ქალის როლი პოლიტიკაშიც, სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. საკმარისია გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ საქართველოს აყვავების ხანა, მისი პოლიტიკური და კულტურული ზენიტი ქალის მეფობას ხვდა, ბრძენმა თამარ მეფემ დააგვირგვინა.

ყურადღების ღირსია აგრეთვე ფაქტიც, რომ 1832 წ. შეთქმულობაში, რომლის მიზანი საქართველოს სუვერენობის აღდგენა იყო. შეთქმულთა მოთავე, მათი სულის ჩამდგმელი და განმკარგულებელი ქალი იყო, ბატონიშვილი თამარი, ასული იულონ ბატონიშვილისა. ის ხომ წინდაწინვე მეფედ იყო დასახული.

ქართველი საზოგადოების გამაერთიანებელი ყოველთვის ქალი იყო: არავის არ შეეძლო ერთობა დაემყარებინა სხვა და სხვა ჯგუფში, როგორც ქართველ წარჩინებულს ქალს, რომლის ირგვლივ იკრიბებოდენ საუკეთესო მამულისშვილები. ეს როლი ქართველ ქალმა შეინარჩუნა მე-I9 საუკუნის პირველ ნახევრამდის. მისი უკანასკნელი წარმომადგენელი მანანა ორბელიანისა იყო. ხოლო შემდეგ რუსულ ინსტიტუტებში აღზრდილს ქალებს, უმეტეს შემთხვევაში, ქართული ზნე და უნარი აღარ ეტყობოდათ; მოწინავე საზოგადოების ქალებმა

შეითვისეს გარეგანი, უფრო უარყოფითი, მხარეები ევროპიული განათლებისა და გადაგვარებისაკენ მოიხარენ.

ჩვენ დროს აღარ იყო წარჩინებული, ქართულ ტრადიციაზედ აღზრდილი, ბანოვანი, რომელსაც შესძლებოდა მოწინავე საზოგადოების და ინტელიგენციის გაერთიანება. გაისმა უკმაყოფილება ქართველ ახალ თაობის ქალისადმი, მათი ფუქსავატობისა, ნაციონალურ მიმართულების ღალატისა და სხვა. რასაკვირველია, ეს მიმართულება საერთო იყო როგორც ვაჟების ისე ქალებისათვისაც მაგრამ ქალებს ეს უფრო დაეტყოთ ვიდრე ვაჟებს.

თქმა არ უნდა, ჩვენ დროსაც გვყვანდენ საზოგადო ასპარეზზე მომუშავე ქალები, რომლებმაც თავი იჩინეს მწერლობაში, ქველმოქმედებაში, ხელოვნებაში, განსაკუთრებით არტისტულ მოღვაწეობაში, აღმზრდელობაში და სხვა დარგებში, მაგრამ ეს ყველაფერი ვერ შეედრებოდა იმ თვალსაჩინო როლს და უნარს, რომელსაც წინანდელი ბანოვანები იჩენდენ.

ამ მხრივ მართლაც გამონაკლისს შეადგენს ქალბატონი **თამარ გოგოლაშვილის ასული პაპავასი**, რომლის წინამდებარე ისტორიული ნარკვევები: **„დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“**, ფრიად სასიამოვნო მოვლენას წარმოადგენს ჩვენს ლიტერატურაში. ა მ დარგში ქართველ ქალს ჯერ არ უმუშავნია. ეს პირველი ცდა არის, ცდა ღირსეული და თვალსაჩინო.

ავტორს საკმაოდ შეუკრებია გამოქვეყნებული მასალები და ეს არც ისე ადვილია ევროპაში, ჩვენ ვამბობთ ევროპაში, თორემ საქართველოში, რა თქმა უნდა, მეტი მასალის მოპოება შეიძლება, მეტადრე ხელნაწერებში.

ყველაზე უფრო სასიამოვნო აღსანიშნავია, რომ ავტორი საუცხოოდ ერკვევა ამ მასალებში და საერთოდ შესაფერად ახასიათებს თვითეულს მოღვაწეს.

მთელი წიგნი ექვსი ნარკვევისაგან შესდგება და თვითეულ ნარკვევს მონოგრაფიული ხასიათი აქვს... თუმცა ავტორს მთავარ მიზნად დაუსახავს გვაჩვენოს ქართველი ქალის როლი, ღვაწლი და განცდები იმ გმირულ ბრძოლებში, რომლებსაც აწარმოებდენ თავისუფლების შესარჩენად საქართველოს

ყოფილი სამეფოები, სამთავროები თუ განსაკუთრებული კუთხეები, მაგრამ აქ საკმაოდ ვრცლად წარმოდგენილია მთელი ისტორია ამ უთანასწორო ბრძოლებისა და დახასიათებული არიან ყველა მებრძოლები, როგორც მამაკაცები ისე დე-

დაკაცები

პირველ ნარკვევში, „მეფე ერეკლეს ქალები“, რელიეფურად გამოსჭვივიან სახეები დედოფლის დარეჯანისა და ირაკლის ასულთა, სახელდობრ, ქეთევანისა, მარიამისა და თეკლასი. ესენი იყვნენ პოეტები და მათ საუცხოო ელეგიებში აღბეჭდილია მათი მწვავე განცდები ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების გამო. ესენი იყვნენ თვალსაჩინო წევრნი 1832 წლის შეთქმულებისა და სხვებთან ერთად იგემეს რუსთა სასჯელი. ამათში პოეტურის ნიჭით უფრო მძლავრია მარიამი, ცოლი ქალაქის მოურავის დავით ციციშვილისა, ხოლო თეკლა ბატონიშვილი ხომ განთქმული იყო თავის სილამაზით, მამაკაცური მხნეობით, ჭკუით და გავლენით; ეს იყო დედა პოეტის ვახტანგ ორბელიანისა და მწერალ პატრიოტის ალექსანდრე ორბელიანისა*)

მეორე ნარკვევში, „ქართველი ქალი და 1832 წლის

---

*) ალექსანდრე ორბელიანის ნაწერები ორბელიანთ სიგელ-გუჯრებთან ერთად მე გამოვითხოვე პატივცემულ მარიამ ვახტანგის ასულის ორბელიანისაგან და ჩავაბარე წერაკითხვის საზოგადოებას; აღვნიშნე მათი ნუსხა საზოგადოების წიგნთსაცავის კატალოგში, ხოლო შემდეგ მოკლე მათი აღწერილობა მოვათავსე ჩემს რუსულად გამოცემულს კატალოგშიც. ვისაც ეს მასალები გადუკითხავს, დაინახავდა, თუ რა მოკრძალებით და ნაზი სიყვარულით ეპყრობა ყველაფერში დედას ალექსანდრე. თეკლა მისთვის ღმერთია; მის დაუკითხავად და რჩევის გარეშე ალექსანდრე არაფერს არ აკეთებს; ის დედასთან ყველაფერში გულ-ახდილია ისეთ საქმეშიაც, რომელსაც მამაკაცი დედაკაცს, თუნდაც დედასაც, იშვიათად გაუმჟღავნებს. ამას მოწმობს ალექსანდრეს მიერ დაწერილი თავისი გულუბრყვილო ავტობიოგრაფია.

შეთქმულება“, მოთხრობილია ისტორია ამ შეთქმულობისა და ის როლი, რომელიც წილად ხვდა თამარ ბატონიშვილს, ფრეილინას, ბატონიშვილის იულონის ასულს და მასთან მთელს გუნდს ქართველი ქალებისა.

მესამე ნარკვევი, „ალექსანდრე ბატონიშვილი და მისი ოჯახის ბედი“, მოგვითხრობს ისტორიას ალექსანდრე ბატონიშვილის დაუღალავი ბრძოლებისა და მის დაქორწინებას მელიქ სააქის ასულზე მარიამზე, რომელიც ტავრიზის აღების შემდეგ ხელში ჩაუვარდათ რუსებს თავისი პატარა შვილით ირაკლითურთ. მოთხრობილია თავგანწირული ბრძოლა ამ ჭკვიანი ქალისა, რომ რუსეთში არ წაეყვანათ მისი შვილი, რომელიც, რასაკვირველია, ბოლოს და ბოლოს ძლეულ იქმნა.

მეოთხე ნარკვევში „იმერეთის ქალების ეპიზოდები დასავლეთ საქართ˜ეოს ბრძოლათა ისტორიიდან“, ვრცლადაა მოთხრობილი ჯერ სოლომონ მეფის და შემდეგ იმე-

რეთის დიდებულების გმირული ბრძოლები და თავგანწირვა თავისუფლების შერჩენისათვის, და ქალების განსაცვიფრებელი ბრძოლანი და ხერხიანი მოქმედებანი მამაკაცებთან ერთად, თუ ცალკე, მაგალითად, აბაშიძის ასულის ეკატერინე წერეთლის მიერ „მოდი ნახე" ციხის დაცვა და სხვა.

მეხუთე ნარკვევში, „სამეგრელოს დედოფალი ნინო“, (იყო ასული მეფის გიორგი მეთორმეტისა), მოთხრობილია საკმაოდ ვრცლად მთელი ისტორია სამეგრელოს სამთავროსი დღიდან რუსეთის პროტექტორატის დამყარებისა და ენერგიული ცდები ნინოს მიერ სამეგრელოს ავტონომიის შერჩენისა და მისი გავლენის განმტკიცებისა აბხაზეთზე.

მეექვსე ნარკვევი, „ბატონიშვილი დარეჯან“ (იყო იმერეთის მეფის სოლომონ პირველის ასული, მეუღლე ქაიხოსრო აბაშიძისა), მოგვითხრობს ამ ქალის ლეგენდარულ მოქმედებას, შეუპოვრობას და ბრძოლის უნარს, რომელიც ვერ დაატოვებინა ვერც ქმრის ბრძოლის ველზე სიკვდილმა, ვერც შვილების ბრძოლაში დახოცვამ და ათასმა სხვა უბედურებამ.

12

ნარკვევებში დახასიათებულია საქართველოს მთავარმართებელნი და მათი ხელქვეითნი, იმერეთის გამგებელნი, სიმონოვიჩი, მაგილევსკი, გორჩაკოვი, პუზირევსკი, ეს ყოვლად საზიზღარი ჯალათი, რომელსაც მამაცმა გურულმა მოუსპო სიცოცხლე შემოქმედის მონასტერთან*), და სხვები.

ზურაბ წერეთელი გაკვრით არის მოხსენებული, თუმცა ის იმ დროს იმერეთში პირველი კაცი იყო, ჭკვიანი და მოხერხებული, მაგრამ მასთან ცბიერი და ეგოისტი. პირველად მისი მისწრაფება იყო რუსების შემწეობით თვით გამეფებულიყო იმერეთში და ამაში რუსის მთავრობაც აგულიანებდა.

განსვენებულმა ალექსანდრე ჭყონიამ, ნესტორ წერეთლის სიკვდილის შემდეგ, ერთი დოკუმენტი გადმოსცა წერაკითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკას, რომელშიაც „ნამიოკებით", მაგრამ აშკარად გამოსჭვივის წინადადება, თუ სოლომონ მეფეს წუთისოფელს გამოაცილებთ, იმერეთის მეფობა თქვენ დაგრჩებათო; ხოლო ზურაბი მალე დარწმუნდა, რომ რუსები მას ატყუებდენ და ამიტომ ორჭოფური პოზიცია დაიკავა, არც სულ სოლომონს უჭერდა მხარს, არც რუსებს, აშკარა ბრძოლაში არც სოლომონის მხარეს გამოსულა, არც რუსების, ერთსაც ატყუებდა და მეორესაც. ერთიც და მეორეც ამას აშკარად ხედვიდა, ხოლო ვერც ერთი უმისოდ მაინც ვერ ახერხებდა საქმის მოვლას; მაგრამ ეს არ შეადგენდა ნარკვევების ავტორის მიზანს.

---

*) მართალია ის ვერსია, რომელიც პუზირევსკის მოკვლას

მიაწერს გურიელის ძიძიშვილს ბოლქვაძეს და არა თვით გურიელს. ამ დატიდან გურულები წელს ითვლიდენ, „კუზირინსკი" რომ მოკლეს მას აქეთ ამდენი წელიაო, გამიგონია. როდესაც პუზირევსკიმ იკითხა, სად არის ის მამაძაღლი ქაიხოსრო გურიელიო, ბოლქვაძემ წამოიძახა „ჰუიმე, ღმერთო მომკალი, ქაიხოსრო გურიელი და მამაძაღლიო!", მყისვე იშიშვლა მახვილი და ორად გააპო იგი. ასე მსმენია მოხუცი გურულებისაგან.

ავტორს აღებული აქვს დრო, როდესაც საქართველოს სუვერენობის მოსპობის შემდეგ ყველას გაუცრუვდა იმედი, მაგრამ ყველა მაინც გულწრფელად და გმირულად იბრძვის თავისუფლების აღდგენისათვის.

ყველაფერი ეს მოთხრობილია მშვენიერის ქართულის ენით, ზოგჯერ მხატვრულად და ერთობ კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. ამიტომ ჩვენ ვურჩევთ ყველას, წაიკითხონ ეს წიგნი, ვისაც სურს გაეცნოს იმ უმაგალითო, თავგამოდებულს და გმირულს ბრძოლებს, რომელნიც აწარმოვეს საუკეთესო მამულისშვილებმა, მამაკაცებმა და დედაკაცებმა, რუსების წინააღმდეგ და უთანასწორო ბრძოლებში მსხვერპლად შეეწირენ თავიანთ ქვეყნის თავისუფლებას, ხოლო პატივცემულ ავტორს ვუსურვებთ გაეგრძელებინოს ასეთი შრომები.

ექვთიმე თაყაიშვილი

ნარკვევი პირველი

მეფე ერეკლეს ქალები

„დაბინდდა ხმელთა არენი,
აღარ აქვთ ვარდთა შლილობა"...
ბატონიშვილი მარიამ.

იმ სასახელო და თავგამოდებულ ხანგრძლივ ბრძოლებში, რომელთაც საქართველოში რუსების ბატონობის წინააღმდეგ ერეკლეს ვაჟები აწარმოებდენ, მათ შესანიშნავ დებს უკანასკნელი ადგილი არ ეჭირათ; შეიძლება იმათ უფრო მეტის სიმწვავით აწვათ სათუთ და მგრძნობიარე მკერდზე ციციანოვის რუსული ჩექმა; შეიძლება ისინი უფრო მეტის ტრაღიკული იერით განიცდიდენ საქართველოს განგვირგვინებას, სახელმწიფოს სხეულის დარღვევას და ტახტის მოშლას.

და ეს განა ბუნებრივი არ არის? მათ ხომ არა ჰქონდათ საშუალება ძმებთან და ძმისწულებთან ერთად ბრძოლის ყი-

ჟინაზე გადასულიყვენ და ან გარეშე ძალებს შემოძღოლოდენ (ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილებივით) და რუსის მხედრობისათვის სასტიკად შეეტიათ, ან შიგნით (ვახტანგ, იულონ, ფარნაოზ და ლევან ბატონიშვილებთან ერთად) საქართველოს სხვა და სხვა ადგილში აჯანყების დროშა აეფრიალებიათ და მტერთ და მოღალატეთ დარეოდენ?..

არა!.. ამ სახელოვან ქალთ ასეთი გზით სვლა არ შეეძლოთ; (თუმცა დიდებული მეფე ერეკლე ზოგ მათგანს „ვაჟად დაბადებულთ" ეძახდა: თეკლას). მაგრამ საკმაოდ ბევრია იმის საბუთი, რომ ერეკლეს ქალები ერთის წუთითაც არ შერიგებიან

საქართველოზე უცხო ძალის გაბატონებას; და ამ მოპატიჟებულ სტუმარს, რომელსაც ერთმორწმუნე პატარა ხალხისათვის რაინდული მფარველობა უნდა გაეწია და რომელმაც ნამდვილად მისი სახლი მთლად მიისაკუთრა, – ამ „სტუმარს" ერეკლეს ქალები მაღალის ზიზღით უცქეროდენ და მისთვის უხვად ჰქონდათ დაგუბებული ნაღველი ამაყ მკურდ ქვეშ...

შეიძლება ითქვას, რომ ეს ქალები თვისი უშუალო ინსტიკტით უფრო ნათლად ხედავდენ იმ ნამდვილ სახეს ეკატერინა მეორესას და პავლე პირველისას, რომელსაც ესენი თეთრ პარიკებისა და უფრო თეთრ პუდრის ქვეშ ფარავდენ...

მამა-კაცებს, რომელთაც ამ დროს საქართველოს დიპლომატიის საჭე ხელთ ეპყრათ და დაუღალავად და გულმოდგინედ ტფილისსა და პეტერბურგს შუა მოგზაურობდენ, არა ჰქონდათ საკმაოდ შეთვისებული რუსული დიპლომატიის წესები; ამ უკანასკნელს ხომ პირმოთნეობა და დაფარული ზრახვა უფრო ახასიათებდა, ვიდრე რაინდობა, „მფარველად" მოვლინებულს რომ უნდა ჰქონოდა. ამიტომ ჭავჭავაძე, ფავლენიშვილი და ავალიშვილი, მძიმე ღრამოტანი აქეთ-იქით რო დაჰქონდათ, სრულებით ვერ ამჩნევდენ, რომ იმათ თვალის ასახვევად დაატარებდენ და „წყალობათა"ნამდვილი ღრამოტები კი კნორრინგს *) პირდაპირ მიდიოდა „ლინიაზე" და კოვალენსკის **) ტფილისის სასახლის კარზე, საცა ის მოუთმენლად ელოდა მეფე გიორგის მე-13-ის სიკვდილს***); პავ-

---

*) რუსეთის ჯართა მთავარსარდალი კავკასიის „ლინიაზე", საქართველოს ტახტის გაუქმების შემდეგ პირველი მმართველი საქართველოსი.

**) რუსთა ელჩი საქართველოს კარზე, გიორგი მ-13-ის გარდაცვალების წემდეგ კი კნორინგის მთავარი რწმუნებული საქართველოშო ციციანოვის დანიშვნის შემდეგ (12 სექ. 1802 წელს) კნორრინგთან ერთად ესეც გადაყენებული იქნა.

***) რუსის იმპერატორი თუ ერთის ხელით დავითს მემკვიდრეთ ამტკიცებდა, მეორეს ხელით შეკითხვას აძლევდა კნორრინგს: მაცნობეთ, რამდენი ჯარები იქნება საჭირო, რომ გა-

ლე I-ის „მაღალ" სურვილის თანახმად ის ყველაფერს ამზადებდა, რომ ბატონიშვილი დავითი რუსულ ღენერლის მუნდირითაც დაკმაყოფილებულიყო, ხოლო საქართველოს ტახტი კი რუსეთის მუზეუმში მოსათავსებლად გარდაეგზავნა.

კარზე მომდგარი საფრთხე, საუბედუროდ, ბევრმა მაინც ვერ დაინახა და ვერც იმ გარემოებამ გამოაფხიზლა, რომ გიორგის სიკვდილის შემდეგ დავითი ტახტზე აღარ აუშვეს და ინვესტიტურებს მანამდე ალოდინეს, ვიდრე თვითონ შეპყრობილი ვახტანგ ბატონიშვილთან ერთად რუსეთში არ გაგზავნეს... (თებერვალი, 1803 წელი).

მაგრამ ამ გულუბრყვილობით და დიდი რუსეთის „რაინდობის" ილუზიებით ყველანი არ ყოფილან შეპყრობილნი ერეკლეს სასახლეში და ერთი ნაწილი მაინც შიშით და გულის ძგერით უცქეროდა რუსთა იმ ბატალიონებს, ტფილისში რომ იდგენ და განსაკუთრებით — სახელმწიფო საბჭოს მიერ კნორრინგის გამოგზავნას: ვითომდა ადგილობრივ მდგომარეობის შესასწავლად. *)

ამ პირთ უფრო ძველი, ნაცადი გზა და ორიენტაცია ერჩივნა იმ „უჩვეველ ლხინს", რომელსაც ჭავჭავაძე და ავალიშვილი რუსეთიდან ჩამოტანილ ღრამოტებით ჰპირდებოდენ საქართველოს და ბაგრატიონებს.

ამ ჯგუფს, ამ ანტირუსულ მიმართულებას სწორედ **ქალი უდგა** სათავეში და ეს ქალი იყო **დარეჯან დედოფალი**, რო-

---

მოჰყოთ დროზე საქართველოს დასაკავებლად, და ჩვენდა იქ დასარჩენადო?" (იხ. პროფ. ზ. ავალიშვილის «Присоединение Грузии к России»... გვ. 200).

*) კნორრინგის მისსიის შესახებ, რომელიც მას რუსეთის სახელმწიფო საბჭომ დააკისრა, იხ. დაწვრილებით პროფ. ზ. ავალიშვილის შრომაში: « Присоединение Грузии к России», საცა სწორი და მიუდგომელი ანალიზია მოცემული სახელმწიფო საბჭოს და საგ. მინისტრის ინსტრუქციათა კნორრინგისადმი.

მელსაც თვისი ღირსეული და მრავალრიცხვოვანი ვაჟების დ) ქალების ხომლი ერტყათ მაგრამ ყველაზე უფრო ახლო მასთან მაინც მისი ქალები იყვნენ და სწორედ ისინი აძლევდენ ძალას და მხნეობას საყვარელ დედასა და დედოფალს.

რასაკვირველია, ჩვენ იქ დაწვრილებით ვერ შეეუდგებით იმის გამორკვევას – თუ რა ამოძრავებდა და რისთვის იღწვო-

დენ დარეჯანი და მისი ჯგუფი. იმისთვის, რომ ტახტი გიორგის შვილზე, დავითზე არ გადასულიყო და თანახმად ერეკლეს ანდერძისა (?) იულონს დარჩენოდა? მართლაც ამის გამო უარჰყვეს მათ რუსული ხაზი და პავლეს „წყალობანი“ (რომლითაცა მან გიორგის ინვესტიტურები უბოძა და დავითი მემკვიდრეთ იცნო) – თუ უფრო იმიტომ, რომ ეს ჯგუფი აშკარად ხედავდა დიდ ისტორიულ საფრთხეს; ატყობდა, რომ რუსეთი საქართველოს დროებით იყენებდა – ვიდრე კავკასიაში ფეხს მაგრად მოიკიდებდა და შემდეგ ამ ძველ სამეფოს ერთიანად გააუქმებდა და იმპერიას შეუერთებდა.

ჩვენ გვინდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ეს მეორე მოსაზრება იყო მაშინდელ „ოპოზიციის" მთავარი მამოძრავებელი ძალა. ზოგიერთ ისტორიულ საბუთების დაკვირვება მაინც გვაძლევს ნებას ვიფიქროთ, რომ დარეჯან დედოფალი და მისი ღირსეული ქალები თავიდანვე იმ ხაზს მიეკედლენ, რომელსაც მსაჯულთუხუცესი სოლომონ ლეონიძე და სარდალი დავით ორბელიანი მეთაურობდენ; ამის გამო ამათ რუსეთის ორიენტაციის პოლიტიკაში ურყევი ერეკლეს დიდი რისხვა დაიმსახურეს 1793 წ. (იხ. ს. კაკაბაძის ერეკლე II-ს „დრო"; გვ. 183).

ოპოზიციის ხაზი აშკარად მიმართული იყო 1783 წ. ტრაქტატის წინააღმდეგ. ისტორიკოსი ბუტკოვი აღნიშნავს, რომ „დედოფალი დარეჯანი მუდამ საყვედურით ავსებდა მეფეს, რომ მან ამ ტრაქტატით დაანგრია საქართველოს სამეფო"-ო.*)

დარეჯანს და მის ქალებს არას დროს არ შეუნელებიათ ღრმა სიძულვილი რუსეთისადმი და არ დავიწყებიათ მათი ღალატ,

*) იხ. Бутков „Материалы“, ტ II, გვ. 188.

ერეკლეს მრავალ ლაშქრობათა მანძილზე. ამიტომაც იყო, რომ რუსთა მეფე ალექსანდრე I, ჯერ განურისხდა კნორინგს და კოვალენსკის, ხოლო მალე მათი ადგილი სულითა და გულით გარუსებულს, ჭკვიანს და ცბიერ ციციანოვს დაუთმო და მყისვე გადაჭრითი ინსტრუქცია მისცა, რომ ყველაზე ადრე დედოფალი დარეჯანი და მისი სამი ქალი წარმოეგზავნა მასთან პეტერბურგში „საპატიო სტუმრად".)

* *
*

ის „თხოვნითი პუნქტები“, რომლებიც ელჩმა გარს. ჭავჭავაძემ გიორგი მეფისაგან პავლე I-ს წარუდგინა, მარტო გარეგნულად თუ ინახავდენ სამეფოს და მეფის სახელს. არსებითად რომ ამას ყველა სახელმწიფო ფუნქციების სრული გაუქმება უნდა მოჰყოლოდა, ეს სოლომონ ლეონიძის ჯგუ-

ფისთვის თავიდანვე ნათელი უნდა ყოფილიყო. აქ მზადდებოდა დიდი ხიფათი და საჭირო იყო რუსეთთან შემაერთებელ დიპლომატიურ და პოლიტიკურ ყველა ძაფების დროზე გადაჭრა და დინასტიის გადარჩენა. ეს კი არც გიორგი მეფეს შეეძლო და დედოფალ დარეჯანის და მისი გარემოცვის აზრით, არც რუსეთის ტრადიციაზე აღზრდილს და პავლეს კარზე მინდობილს ბატონიშვილ დავითს; ეს მემკვიდრე ალექსანდრე I-ის დეკაბრისტობით და ვოლტერიანობით იყო გატაცებული და რუსულ ილიუზიებით უხვად მოჭედილი. საჭირო იყო სხვა ყალიბის კაცის შოვნა ტახტის მემკვიდრეთ; კაცის, რომელიც არ იყო გაჟღენთილი რუსულის „კულტურით" და დამძიმებული რუსის ღენერლის ეპოლეტებით... ასეთ კაცად დედოფალ დარეჯანს იულონი მიაჩნდა, რომელიც (ალექსანდრე ბატონიშვილთან ერთად) თავიდანვე უფრო სპარსეთზე იყო გადაბმული, ვიდრე რუსეთზე. იქნებ დარეჯანს ატყუებდა დედის გრძო-

*) ob. „Акты“, ტ. II.

ბა და მეტისმეტი სიყვარული უფროსი ვაჟისადმი საშუალებას არ აძლევდა უფრო ობიექტურად შეეხედა მოვლენისათვის, მაგრამ მოტივი კი წმინდა იყო და ის საქართველოს სამეფოს განთავისუფლებიდან გამოდიოდა.

არსებითად ქართულ ტრადიციულ პოლიტიკასთან დედოფალ დარეჯანის და მისი ქალების ხაზი უფრო ახლოს უნდა ყოფილიყო, ვიდრე მეფე გიორგისა და ბატონიშვილ დავითის. მართალია, მამაშვილთ, ვოლტერიანობის ირგვლივ დიდი დავა ჰქონდათ და ბოლოს ერთმანეთს ხმასაც კი არ სცემდენ (იხილეთ დუბროვინი და პოტტო), მაგრამ ორივენი უკვე სავსებით მინდობილნი იყვნენ რუსეთზე და ოპოზიციას ყოველის საშუალებით სდევნიდნენ. დედოფალის და მისი გარემოცვის, ე. ი. იულონის მომხრეთა, გზა ნაცადი გზა იყო: სამაჰმადიანო ქვეყნებთან, ორ დიდ მეზობლებთან – შეძლებისადაგვარად – ლოიალური განწყობილების დაცვის და მათ ინტერესთა წინაღმდეგობაზე მუდმივი თამაში. ამ შეგუების პოლიტიკამ მართალია საქართველოს ტერიტორიას მრავალი მიწა-წყალი დააკარგვინა და ერთობილი სახელმწიფო დააქუცმაცა, მაგრამ სუვერენული ერი და ტახტი მაინც შეინახა საუკუნეთა მანძილზე.

ბატონიშვილთა მიმდევრების დაჯგუფებას ალბად სოციალური საფუძველიც ჰქონდა. „ბატონიშვილი იულონი, რომელიც მუდამ პროვინციებში ცხოვრობდა, წამოსწია ფეოდალურმა არისტოკრატიამ, ხოლო დავითი, რუსულად სამხ. განათლებული, რომელსაც ცოლადა ჰყვანდა ერევნელი მდიდარი სომხის მელიქ აღამალის ქალი, მჭიდროდ იყო დაკავშირებული ტფილისის ვაჭრებთან (ე. ი. სომხობასთან), რომლებიც უკვე აშკარად იცქირებოდენ **ჩრდილოეთისაკენ“** *). ამ ახალ ტენდენციას გააფთრებით ებრძოდენ დედოფალი და მისი მომხრენი

და რუსეთისაგან თავის დასახსნელად ისევ ირანისაკენ იცქირებოდნენ...

---

*) იხ. ნ. ბადრიაშვილის მრავალმხრივ საინტერესო შრომა „Тифлис“; ტფილისი – 1934 წელი, გვ. 110.

* *
*

რუსეთს, რომელსაც კავკასიის პყრობა მარტო მაშინ შეეძლო, თუ საქართველოს „ავანპოსტად“ გაიხდიდა და დარიალის კარებს თვითონ ხელთ დაიჭერდა. რასაკვირველია, 12 სექტ. 1801 წლის მანიფესტის გამოცხადების შემდეგ, არ შეეძლო ამ ანტი-რუსულ ფრთისათვის დროზე თავი არ მოეკვეთა; ამიტომაც, უპირველესყოვლისა, ის საჭიროდ სცნობდა დედოფალ დარეჯანის და მისი სამი ქალის პეტერბურგში ყოლას, – ამხანად თუნდაც უდიდეს ფუფუნებაში.

იმპერატორ ალექსანდრე I-ის უახლოესი დავალება უერთგულეს ციციანოვისადმიც სწორედ ეს იყო *).

---

*) ინსტრუქციათა მე-7-ე მუხლში რუსის ხელმწიფე, ავალებს რა ციციანოვს დედოფალ დარეჯანის რუსეთში გამგზავრებას, სწერს: «...со введением новаго порядка вещей (ე. ი. სამეფოს მოსპობის შემდეგ) крамолы в Грузии никак не замолкали, напротив те-же притязания царицы Дарии к возведению на престол царевича Юнона, хотя скрытно, но тем не менее сильно действуют. Я получал от Кнорринга почти еженедельно известия, что ея подстреканиями подвинуты смежные владельцы к покушеиням на Грузию... Баба-хан **об'явил уже Юлона царем Грузинским** и отрядил уже войска к его возведению и ищет усилить их союзом с другими пограничными Грузии впадельцам...»

ამიტომ ევალება მას ყოველგვარი ზომები მიიღოს «к вызову сих неспокойных цоревичей, а, **особливо** царицы Дарии В Россию... Меру сию я считаю главною **для успокоения народа**». და სხვა (იხ. აქტები II)

ცოტა უფრო ადრე ამავე საგანზე პეტერბურგიდან საგანგებო ადგილობრივ აღრევათა და გართულებათა შესასწავლად წამოგზავნილი სოკოლოვი ვიცე კანცლერ კურაკინს სწერდა : „საქართველოში უშიშრობისათვის და დამშვიდებისათვის, აუცილებელია აქედან დაუყონებლივ ყველა ბაგრატიონთა რუსეთში გადაგზავნა, რომელთა შორის **უმთავრესნი** და **უსაშიშრესნი** თვისის ცდა-ინტრიგებითა არიან **დედოფალი.**

ეს უკანასკნელიც ენერგიულად შეუდგა ამ ვერა-

გულ გეგმის გატარებას საქართველოში ჩასვლის პირველ დღიდანვე; მაგრამ სულ მალე საშინელ წინააღმდეგობას გადაეღობა, რაზედაც ხელმწიფეს 10/II/1803 წ. სწერს: „ქვრივი დედოფალი დარეჯანი, რომელიც აქ ყველა ამ ამბების (ესე იგი შეთქმულებათა) **მეთაურია**, გადაჭრით უარს ამბობს წამოსვლაზე და მიზეზად თავისი ავათმყოფობა მოჰყავს“-ო (აქტი, П ტ.); და ეს გაუცხადებელი ბრძოლა მათ შორის სრული 9 თვე გაგრძელდა... ჭეშმარიტად, მძიმე დრო იყო ეს მამაც ციციანოვისთვის.

ჩვენის აზრით, ეს სამი ასული, რომლებსაც რუსთა მეფე ალექსანდრე I-ლი პეტერბურგში დედასთან ერთად ასე დაჟინებით იწვევდა, უნდა ყოფილიყვნენ სწორედ ის სახელოვანი პოეტი ქალები, მოხუც დედის მესაიდუმლენი, რომელთა შესახებ ქვევით გვექნება ლაპარაკი.

საინტერესოა რამდენიმედ მაინც გაცნობა ამ ქალთა განცდების და დაწვდენა მათ კეთილშობილ ვაებამდე, საქართველოს განგვირგვინების გამო რო აღმოხდენიათ – განსაკუთრებით მარიამს, ქეთევანს და თეკლას (რამდენადაც ეს მათი დღემდე აღმოჩენილ პოეტურ შემოქმედებიდან გამოსჭვივის *). ამათ ერეკლეს სახელისა და ძლევამოსილების ამბები ჯერ კიდევ ცხოვლად ახსოვდათ, რომ ასე ერთბაშად არ შერიგებოდენ შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობას. ეს ქალები ყოველის

დარეჯან და ბატონიშვილი ვახტანგ“ (იხ. წერილი სოკოლოვისა, 20 სექტ. 1802 წ., აქტები, ტომი II).

*) ჩვენ ვერას ვამბობთ ერეკლეს დანარჩენ ქალების: ეკატერინე, ელენე, ანასტასია, თამარის (უკანასკნელის ქმარი იყო პოეტი დავ. ორბელიანი, რომელსაც ქართულის გარდა, კარგად სცოდნია სხვა ენებიც და „ყარამანიანი“-ც უთარგმნია; (იხ. პროფ. კეკელიძე II, გვ. 284) შესახებ, რადგან მათ სამწერლო პოეტურ მემკვიდრეობას ვერსად შევხდით; რასაკვირველია, საფიქრებელია, რომ ბაგრატიონთა მწერლობრივ ტრადიციას არც ისინი იყვნენ მოკლებულნი...

მხრივ ღირსეულ მამის მაღალ ტრადიციების მატარებლები იყვნენ, თან დედის სიმტკიცე და კეთილშობილი თავმოყვარეობა უხვად ჰქონდათ გადმონერგილი, და მონობას, თუნდაც დიდ ფუფუნებაში გახვეულს, ისინი წუთითაც ვერ აითვისებდენ... მაგრამ პოლიტიკურ ასპარეზზე მათი მოქმედების საშუალება შემოფარგლული იყო და განსაკუთრებით შევიწროვდა დედოფალ დარეჯანის გადასახლების შემდგომ (1803 წლიდან).

მაინც უნდა ვიფიქროთ, რომ ქეთევან ბატონიშვილთან ერთად (ქვრივი იოანე მუხრან-ბატონისა და დედა კონსტანტინესი), მისი დები და რძლებიც იღებდენ ახლო მონაწილეობას მაშინდელ შეთქმულებაში რუსთა წინააღმდეგ.

ქეთევანმა ხომ არა ერთხელ დაიმსახურა საყვედური, გაფრთხილება და ბოლოს რისხვაც კი, არა მარტო ციციანოვისა, არამედ თვით ხელმწიფე ალექსანდრესიც კი; განსაკუთრებით, როცა გამოირკვა მისი მონაწილეობა 1804 წლის აჯანყებაში.

ამ აჯანყებაში, როგორც ვიცით, ქეთევანის ვაჟი კონსტანტინეც დიდ მონაწილეობას იღებდა და არა მარტო ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილთ ჰქონდათ მასთან კავშირი, არამედ თვით ფეჰტ-ალი ხანიც (ბაბა-ხანი-შაჰი სპარსეთისა), მასზე დიდ იმედებს ამყარებდა...

ქეთევანის პირადი მსახური ყოფილა შიკრიკი და საიმედო პირი ამ შეთქმულების დროს. ამ შიკრიკს თვითონ წამოუღია სპარსეთიდან ბაბა-ხანის ფირმანები, რომლებიც შაჰს არაგველებისათვის, ოსებისათვის, ფარნაოზ ბატონიშვილისათვის, თამაზ ორბელიანისათვის და თვით ქეთევანის ვაჟისათვის (კონსტანტინესათვის) გამოეგზავნა.

ეს ფირმანები ცეცხლდანთებული მოწოდებებია რუსთა წინააღმდეგ ასამხედრებლად და მათდა გასაჟლეტად. ბაბა-ხანი ქეთევანის ვაჟს რომ დიდ როლს აკუთვნებდა, ეს იქიდანაც სჩანს, რომ მას თითქმის სიტყვა-სიტყვით იმასვე სწერს, რასაც ბატონიშვილ ფარნაოზს, რომელიც მთიულეთის (1804 წლის) აჯანყებას მეთაურობდა.

შაჰი დიდ მადლობას უცხადებს კონსტანტინე მუხრან-ბატონს გაწეულ ერთგულება-სამსახურისათვის და დიდ წყალობასაც ჰპირდება, საქართველოდან „გიაურ რუსების“ გარეკისა და ქართულ სახელმწიფოს აღდგენის შემდეგ; „იყავით მხნედ, როგორც აქამდე ყოფილხართო“, სწერს ბაბა-ხანი, „არ შესწყვიტოთ დაუღალავი წინააღმდეგობა რუსებისადმი... ვით აქამდე, აწიც ჩაუნგრიეთ რუსის მხედრობას ხიდეები და მოუჭერით გზები, რომ ვერც ერთი ვეღარ გაგვექცესო (იხ. „აქტები", II, გვ. 818).

შაჰის ეს ფირმანები საყურადღებო ინსტრუქციებით, და უნდა ვიფიქროთ, თვით ალექსანდრე თეიმურაზ და ლევან ბატონიშვილთაგან გამოგზავნილ დავალებებით, სპარსეთიდან ქეთევანისათვის გადმოუციათ, მაგრამ უკვე მოგვიანებით (1804 წლის დეკემბერში). ამ დროს კი საქართველოში უკვე საშინელი რეაქცია მძვინვარებდა.

ციციანოვი, რომელიც მაშინ კავკასიას დიდ რისხვად მოევლინა, შეშინებული, რომ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში (განსაკუთრებით კი მთიულეთში და ოსეთში) აჯანყება საშიშო სახეს იღებს და თვით ტფილისსაც ემუქრება, რომ დარიალის ხეობა დაჰკეტეს და რუსთ გზები მოუჭრეს და მრავალი სტრატეგიულ ადგილი უკვე აჯანყებულთა ხელშია, – ერევნის ალყას ხსნის და დიდძალის ჯარებით ისევ საქართველოსაკენ გამოეშურება ამბოხების ჩასაქრობად... კონსტან-

ტინე მუხრანთან ერთად, რასაკვირველია, მისი დედა ქეთევა-
წიც დიდ ეჭვების ქვეშ ჰყავდა მრისხანე ციციანოვს; ამის გამო
დაგვიანებით მიღებულ ფირმანთა დანიშნულებისამებრ გა-
დაცემა ბატონიშვილმა ქეთევანმა ვეღარ შესძლო და იანვარ-
ში 1805 წ., აჯანყების ცეცხლითა და მახვილით ჩაქრობის შემ-
დგომ, ეს წერილები სხვა საეჭვო მასალებთან ერთად ციცი-
ანოვმა აღმოაჩინა. ამასთან დაკავშირებით ციციანოვმა პირა-
დათ მოახდინა დაკითხვა ტყვედ ჩავარდნილ ფარნაოზ ბატო-
ნიშვილისა, რომელიც მთიულეთის აჯანყების სულის ჩამდგმე-
ლი იყო და გამოარკვია, რომ ქეთევან ბატონიშვილი მის ძმა-
სთან, ალექსანდრე ბატონიშვილთან, ამ ამბოხების გამო მი-

წერ-მოწერაში იყო, და, სხვათა შორის, ქეთევანი აჩქარებდა
ბატონიშვილს საქართველოში შემოსაჭრელად; ალბად იმ მო-
საზრებით, რომ რუსების ჯარის დიდი ნაწილი და კერძოდ
ყველაზე უფრო დიდი საფრთხე – ციციანოვი, ამ დროს სა-
ქართველოს საზღვრების გარეშე იმყოფებოდენ (ერევანთან).
ამის გამო ციციანოვმა ბატონიშვილი ქეთევანი თავის სასახ-
ლეში დააპატიმრა და მისი საქმეც საიდუმლო საგამომძიებლო
კომისიას მიანდო *). ქეთევანის შესახებ ცნობებს გენერალი
ციციანოვი 29/11/1805 წ. ხელმწიფე ალექსანდრე I-ს აწვდის და
ითხოვს ამ ღონისძიებათა (დაპატიმრების) სანქციას, რაც, რა
თქმა უნდა, მიიღო („აქტები" 2) **). ციციანოვი გულისტკი-
ვილით აღნიშნავდა, რომ ბატონიშვილი ქეთევან რასაკვირვე-
ლია, უფრო სასტიკ მოპყრობის ღირსი იყო, მაგრამ შიშობს,
– ვაი თუ ამით უფრო გააღიზიანოს „ქარაფშუტა“ და „ყო-
ველ ჭორებს ადვილად ამყოლი“ ქართველი ხალხი...

სწორედ ამ პატიმრობის ხანას უნდა ეკუთვნოდეს ბატონი-
შვილ ქეთევანის მრავალ-მხრივ შესანიშნავი ლექსი: – „ჰოი
ვითარ ვსთქვა“...

საერთოდ ერეკლეს ქალებმა (ქეთევან, – მარიამ, – თეკ-
ლამ) ღირსეულად და დიდის სასოებით შეინახეს ბაგრატიონთა

---

*) ამ კომისიას ციციანოვმა პირველ ჩვენებათა მთელი მა-
სალები ჩააბარა და განსაკუთრებული ინსტრუქციაც მისცა,
რომლის მეორე მუხლში ის შეთქმულების მონაწილე ბატონი-
შვილ ქეთევანს ეხება. (იხ. აქტები, II, გვ. 2, 1805 წ., წერილი
ციციანოვისა კომისიის თავჯდომარის ტარასოვისადმი).

**) 21 მარტს 1805 წ. მინისტრი კოჩუბეი ხელმწიფე ალექ-
სანდრეს დავალებით ციციანოვს უპასუხებს: – შესახებ ბაბა-
ხანის ფირმანებისა და არა-კეთილ (აღმაშფოთებელ) განწყობი-
ლებისა ბატონიშვილ ქეთევან მუხრანისა გაუწყებთ: ხელმწიფე
იმპერატორმა ბრძანა: – ეს ფირმანები, თანახმად თქვენის
სურვილებისა, უკანვე დაგიბრუნდესთ და ამავე დროს ინება მო-
წონება იმ ღონისძიებათა, რომელთა მიღებაც თქვენ საჭიროთ
დაინახეთ, რათა აღგეკვეთათ ბატონიშვილ ქეთევანის მავნებელი
მოქმედებანი და საზოგადოთ მოიწონა ზომები მისდა შესაყენე-
ბლად ყოველგვარ საწინააღმდეგო ნაბიჯებისაგან.

მწერლობითი ტრადიცია და ზოგი მათი ნაწარმოები ბევრით მაინც არ ჩამოუვარდება მათი ძმების (ფარნაოზ, მირიან, იოანეს) და ძმის შვილების (დავითის, ბაგრატის) პოეტურ შემოქმედებას*.

ბაგრატიონების პოეტური მემკვიდრეობა, რომლითაც ქართული მწერლობა გამართლებულია და კერძოდ კი ერეკლეს და გიორგის ოჯახთა ლირიკა ბევრ მხრივაა შესანიშნავი და თან უკეთილშობილეს პატრიოტულ განცდათა გამაღვიძებელი...

მაგრამ მათში შეიძლება ერეკლეს ქალების პოეზია უფრო ბევრის და დამახასიათებელის მთქმელია მე-XIX ს. დასაწყისისათვის. ქეთევანის – „ჰოი ვითარ ვსთქვა“-ც ამის საუკეთესო ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს:

„ჰოი, ვითარ ვსთქვა განსარკრთომელი“,
მოსთქვამს ის:
„ჩემის სიცოცხლის დამამცრობელი,
„**ჩრდილოთ** ვიხილეთ მცირე ღრუბელი,
„აზიის მთიებთ დამბნელებელი,
„ბედნიერთ პალატთ დამამხობელი,
„მშვენიერთ წალკოტო არ მფურჩვნებელი,
„ჰოი ვითარ ვსთქვა...“

ეს „ჩრდილოეთიდან“ წამოსული ღრუბელი, რომელიც „მფარველად“ უნდა მოვლინებოდა განაწამებ ივერიას, ქეთევანს – თავის დედა დარეჯან დედოფალთან – თავიდანვე „მთიების დამბნელებლად“ მიაჩნდა და კარგად იცოდა, რომ „ბედნიერთ პალატთ დამამხობელი“-ც იქნებოდა ეს დიდი და

*) სამწუხაროდ, „ქართ. მწერლ. ანთოლოგია“-ში ტ. II, რომლითაც ჩვენ სარგებლობა გვიხდება, ყველა ის ლექსები არაა მოყვანილი, რაც პატივცემულ პროფ. ექვთ. თაყაიშვილს მოხსენებული აქვს თავის „ოპისანიე“-ში, ტ. II.

ულმობელი სახელმწიფო... ამიტომ უდგნენ ირაკლის ქალები მხრებში საყვარელ და შორსმჭვრეტელ დედას.

საუბედუროდ, გადაჭარბებულის სიუხვით გამართლდა ამ ქალთა წინადგრძნობა: მოვიდა ის ჩრდილოეთიდან მოწოლილი „ღრუბელი" და საქართველოში უჩვეულო სუსხი მოჰყვა მას ციციანოვის სახით – და

„აღმოფხვრნა ვარდნი, უცხოდ ნაზარდნი,

„თვისთა მამულთა ჰყო განავარდნი“...

სჩივის ბატონიშვილი ქეთევან და დასძენს:

„აღარ ჰყვავიან ზამბახნი, ვარდნი,
„განჰქრივნა ყოველგნით, მკლავს მათნი დარდნი,
„მათი მგონები აწ, გულო, დადნი,
„არ გაქვს წამალი მამთელებელი“...

საქართველოს წალკოტში, მის წიაღში „გაფურჩქვნილი და ნაზარდი" - მისი სიამაყე და დამამშვენებელი იყო მისი დამოუკიდებლობის ემბლემის მატარებელი, მუდამ მის წინარიგებში მდგომი მეფე ერეკლეს ოჯახი და სწორედ მას დაეძგერა ყველაზე უფრო სასტიკად გენერალი ციციანოვი. მან არ იკმარა თვით ალექსანდრე პირველისაგან მისთვის პირადათ ბოძებული ინსტრუქცია მეფის ოჯახის ზოგ სახიფათო წევრთა რუსეთში გადასახლებაზე და თვითონ აცნობა პეტერბურგს, რომ საქართველოში მინამ არ იქნება მშვიდობიანობა, ვიდრე ყველა ბაგრატიონს არ გადავასახლებ აქედანო და მანაც რკინის ხელით დაიწყო საქართველოს სახელმწიფოს სხეულის დაშლა. პავლე პირველის მიერ ნაჩქარევად გამომუშავებული, ხოლო ალექსანდრე პირველისაგან უფრო დახვეწილი „მანიფესტი" არა კმაროდა; ციციანოვმა სწორად „გასჭვრიტა"...

საჭირო იყო ტახტის განიავებით ბაგრატიონთა მუსრის გავლება და ამავე დროს მათი ქონებრივი განიარაღებაც“, – ციციანოვმა მათი სიმდიდრე მალე სახაზინოდ გამოაცხადა და ცარიელზე დარჩენილ ბატონიშვილებს – მათის მრავალრიცხოვან ოჯახებითურთ, „ულუფას“ რუსეთში ჰპირდებოდა.

ამავე დროს საქართველოს სუვერენობის ერთგულთ ულლობელი ტირანი მკერდს ცინიზმით უგმირავდა.

ჭეშმარიტად, ცალკე შესწავლის ღირსია ის უხეში და ყოველ ზომას გადაცილებული მატერიალური დევნა და ეკონომიური ჩაგვრა, რომელიც მაშინდელმა რუსეთმა ყველა ბაგრატიონებს მიაყენა და მერმეთ – გამოაცალა რა არსებობის ეკონომიური ბაზა – მარტო იმის საშუალება ღა მისცა, რომ რუსეთის ერდგულებით და სამსახურით მოეპოებიათ ჩინ-ორდენი და მხოლოდ როგორც „ერთგულ" სამხედრო პირთ, ან მოხელეთ თავის თავის გატანა შესძლებოდათ...

ჯერ კიდევ საქართველოში ჩამოსვლისთანავე აწვდის ციციანოვი პეტერბურგს თავის ვერაგულ გეგმას, თანახმად ჩამოტანილ ინსტრუქციებისა, რომ „მათი“ (ბატონ˜ლთა), „მამულები სახაზინოდ გამოცხადდეს და ამას გარდა, – «дабы прекратить всевозможныя притязания их на грузинския имк-

щества, домы их намереня обратить на публичныя заведения и под постой генералитета, которой сам нуждаются квартирами, а деревни поступят в казенное ведомство» (იხ. ციციანოვის მოხს. რუსთა ხელმწიფისადმი 3/3/1803 წ. N 116. Акты II).

ამ მოხსენების თანახმად ალექსანდრე I-ლი უბრძანებს შინაგან საქ. მინისტრს, რომ ქართული სამეფოს სახლის ყველა მამულები სამუდამოდ გადაირიცხონ ხაზინის სასარგებლოდ. და შემდეგ, ამის თანახმად, 22 აგვ. 1804 წელს, სახელმწიფო საბჭო ადგენს: მიეცეს ბატონიშვილთ მამულები რუსეთში*). ამ ადმინისტრატიულის ზომებით გამოეცალა ბატონიშვილებს არსებობის სახსარი და ისინი უნდა გადაბარგებულიყვნენ რუსეთში და იქ ცდილიყვნენ ხელმწიფის ტახტისთვის სრული

*) აქ, სხვათა შორის, ცირკულიარის სახით ნათქვამია: ...«и с тем вместе пресекается решительно всякая с их (ბატონიშვილთა) стороны надежда к возвращению в Грузию, последствием сей меры... есть окончательное присоединение уделов их в казенным имениям». (ibid ტ. П).

ლოიალობა დაემტკიცებინათ და ამასთანავე ყოველივე ოცნებაც კი საქართველოს და მის სამეფოს აღდგენაზე სამუდამოდ დაეტოვებიათ, რათა ამ გზით მცირე პენსია და თან რაიმე სამსახური ეშოვნათ; ან და იმ დღეში უნდა დარჩენილიყვნენ თავის ქვეყანაში, რომ ჭერიც კი არა ჰქონოდათ თავშესაფარი. და ეს მახვილი მართლაც რომ მწვავე გამოდგა ბატონიშვილთათვის. ამის შემდეგ ჩვენ არ უნდა გვაკვირვებდეს ის წერილები და საბუთები, რომლებშიაც ბატონიშვილთა უსაზღვრო მატერიალურ გაჭირვებაზეა ლაპარაკი.

ეს ბედი, რა თქმა უნდა„ ყველაზე აღრე ერეკლეს ქალებს უნდა ხვედროდათ წილად; მაგალითისათვის ჩვენ აღვნიშნავთ პროფ. ექვთ. თაყაიშვილის „საქართველოს სიძველენი"-დან მარტო ორ ბარათს მეფის ასულის მარიამისას, რომელსაც ის მიშკაბაშის ცოლს ქალუას სწერს: ... „ვიცი, მწყალობელი ბრძანდები და ამისთვის ვიკადნიერე მოხსენება, ვითხოვ: ცოტა ბრინჯი მიბოძოთ თავისის ერბოთი, ეგების მეც მაგიერი სამსახური შევიძლო". (გვ. 123) და შემდეგიც: „თქვენს ბრწყინვალებას 2 ოქრო ებოძა; გმადლობ მრავლად, ღმერთმან მრავალს ამ ბრწყინვალეს დღესასწაულს დაგასწროსთ კარგის ქმრითა და შვილებითა და ჩემი თავიც გამსახუროსთ". (ibid).

აი, ასეთის გადაჭარბებით შეასრულა პეტერბურგის დავალება ციციანოვმა და ასე მალე ჩააყენა დიდებული მეფის ოჯახის წევრები საშინელსა და დამამცირებელ მდგომარეობაში და ვინ იცის – როგორ ხითხითებდენ რუსეთის დიდი მოხელენი, რომლებიც ბატონიშვილთა სასახლეებში მოკალათე-

ბულიყვნენ და მათი მამულების შემოსავლით რუსულ ხაზინას ავსებდენ, ხოლო „პენსიაზე“ აყვანილ ბატონიშვილთ „მათხოვ-რებს“ ეძახდენ!..

მართლაც დიდი სამსახური გაუწია თავიდანვე რენეგატმა ციციანოვმა რუსეთის ტახტს და რუსეთმაც ამ ერთგულ ყმას,

სიკვდილის შემდეგაც, თავმოკვეთილს *) კიდევ იმდენი „საშუალება“ მისცა, რომ ის მძიმე შეურაცხყოფის ქვეშ სტოვებს დღემდე ქართველი ერის ღირსებას: ციციანოვი რუსეთმა ჩვენს საამაყო და წმინდათა – წმინდა ისტორიულ სიონში დაჰფლო რუსულის ძეგლით და რუსულის წარწერით... და რუსეთი არ გააწითლა ამ ამბავმა... ის ამას უკვე ჩვეული იყო; განა დედოფალ მარიამის მიერ განგმირული ლაზარევიც, ამ ქართველ წარჩინებულთა სავანეში – სიონში არ დაფლო?..

რუსეთი იმ დროს თავის ტახტის უკეთეს დამცველს და უერთგულესს კავკასიაში ვერავის იშოვიდა და ვინ იცის – შესძლებდა უმისოდ რუსეთი მოტყუილებულ საქართვე-ლოს მტკიცედ დანარჩუნებას? – გვგონია, რომ ვერა, (ის-ტორიკოსი **ფრონელი** თვითმპყრობელობის დროსაც კი ახერ-ხებდა ამ ეჭვების აშკარად გამოთქმას. (იხ. „კახეთის ამბო-ხება“ შესავალი).

იმ დროს, როცა ბატონიშვილი ქეთევან „ჰოი ვითარ ვსთქვა“-ს მწარე სიმღერას ამბობდა, ციციანოვს უკვე შესრუ-ლებული ჰქონდა თითქმის მთლად თავისი დანაპირები რუ-სეთის კარისადმი: – გადასახლებული იყვნენ: დავით (საქარ-თველოს ტახტის მემკვიდრე) და ვახტანგ ბატონიშვილები, რომელთაც თავის ნებით გაჰყვა ქეთევან კონსტანტინეს ასუ-ლი („კარგი" ვახტანგის, ირაკლის ვაჟის ქვრივი), დედოფალი მარიამ, ბაგრატ ბატონიშვილთან და ყველა დანარჩენ მის შვი-ლებთან ერთად, დარეჯან დედოფალი (უკვე დაპატიმრებული მოზდოკისაკენ მიჰყავდათ) 1804 წლის აჯანყების გმირები იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები, ხოლო მეორე წყება ბატონიშვილთა კი სპარსეთში იყო გადახვეწილი...

---

*) ბაქოს ციხის აღებისას (8 თებერვალს 1806 წ.) ციცია-ნოვი, როცა მას ციხის გასაღებს აბარებდენ, ტყვიით განგმირუ-ლი იქნა; მისი თავი და ხელები ტანს მოკვეთეს და ჰუსეინ-ყული-ხანმა თეირანს გაუგზავნა შაჰს საჩუქრად, ხოლო ტანი კი ციხის კარებში სილაში ჩაფლო. შემდგომ რუსებმა მარკიზ პაულიჩის თაოსნობით ტფილისს ჩამოასვენეს. (იხ. სტალინისკი, Юбилей-ный сборникъ. გვ. 6).

ამავე დროს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ საუკეთესო ნა-

წილი და აქტიური წევრნი მაშინდელი პოლიტიკური ცხოვ-
რებისა, თვითონ სტოვებდენ საქართველოს და დედოფალთან
და ბატონიშვილებთან ერთად „ნებაყოფილობით“ ექსორიაში
მიდიოდენ... ამათ არ სურდათ ერის ბელადების დატოვება და
რუსეთის წინაშეც მარტო ეს საშუალებაღა დარჩენოდათ პრო-
ტესტის გამოსახატავად: – თქვენ მიერ „დახსნილ, გაბედნი-
ერებულ" საქართველოში ყოფნას, გვირჩევნია ჩვენს გადასა-
ხლებულ ბატონებს თან ვეახლოთო...

წარჩინებულთა მეორე ნაწილი კი ბატონიშვილ ალექსა-
ნდრესა და თეიმურაზთან გარბოდა და „ბედისწერის შეტ-
რიალებას“ უცდიდა.

მწარე იყო მაშინ საქართველოს ყოფა, განსაკუთრებით
იმ უსაშინელეს ეგზეკუციებით შეწუხებულის, რომელიც გე-
ნერალ ციციანოვმა მთიულეთს გასანადგურებლად მიუსია.
ამიტომაც არის ასეთი უსაზღვრო პესიმიზმით დატვირთული
ქეთევან ბატონიშვილის მაშინდელი შემოქმედება...

იმ დროს, როცა საუკეთესო შვილნი საქართველოსნი რუ-
სეთმა უწყალოდ „აღმოფხვრნა“ და „თვისთა მამულთა ჰყო
განავარდნი", თვითონ ქეთევან ბატონიშვილსაც არ ასცილე-
ბია შავი დღე : –

„მეცა მეწია ბედითა ჩემითა“,

ამბობს ის: –

„მიმცა პატიმრად წვიმის ცრემლითა,
„მათთვის ცეცხლითა არ მწვავს ნელითა,
„ვინცა არს ჩემი მაცოცხლებელი“...

თუ რამდენად ჰუმანიური და „რაინდული" იყო რუსის
დარაჯების და განსაკუთრებით ციციანოვის მიერ მიჩნეულ
გამომძიებელ-ჯაშუშთა მოპყრობა ამ ყოვლად ღირსეულ ქა-
ლისადმი, ეს ამ ლექსის შემდეგ ადგილიდანაც სჩანს: –

„გუშაგნი მრავლად ჩემთვის მცველობენ,
„სხვა და სხვა ჰაზრით გველებრ ჭრელობენ,
„არ მცემენ ნუგეშს, მსწრაფლად მწყრალობენ,
„მათნი მახვილნი გულსა მჭრელობენ,
„კვლავ სხვანი მოვლენ, სადგურს მცველობენ,
„მჭმუნვარეს გულის დამწყლულებელნი“...

აქ აშკარად სჩანს ციციანოვის მიერ მიღებულ ზომათა
უსაზღვრო სისასტიკე ქეთევანის გამოსატეხად.

რუსეთისათვის ნათელი იყო, რომ ქეთევანმა ბევრი რამ იცოდა 1802 წლის და 1804 წლის შეთქმულებათა შესახებ; რომ ერთ დროს მისი მეშვეობით იყო გაბმული მთავარი ძაფები სპარსეთიდან ტფილისამდე და მთიულეთამდე... რომ ძირები აჯანყების ჯერ კიდევ არ იყო მთლად ამოგდებული (რაც მალე დადასტურდა) და ალექსანდრე ბატონიშვილი ამ დროს მირზა-ხანის დახმარებით ბორჩალოში და ყაზახში შემოჭრას ლამობდა ტფილისის დასამუქრებლად... მაგრამ ქეთევანი მათ ვერ გასტეხეს და სამაგიეროდ ეხლა რუსეთში გადასახლებით დაუწყეს წამება: –

„არ დამაჯერა აქ პატიმრობას
„ესდენ უწყალოდ განაწირობას,
„უთმინოს სევდით გულის შეპყრობას,
„მსწრაფლად მპირდება **ჩრდილოდ** მგზავრობას,
„უცხოს, **მწირს** ადგილს **გრძლად** სადგურობას,
„მყისვე სიკვდილის ვარ მახლობელი“...

და ყოველ მხრივ განაწამები, უიმედოთ მიტოვებული, გლოვით მიმართავს სამშობლოს ერთგულ შვილთ და მარტო გლოვასვე ითხოვს მათგანაც: –

„აწ მე მიგლოვეთ, სატრფონი ძმანო,
„ყოვლნო მოყუასნო და ზრდილნო ყმანო“...*).

---

*) ბატონ ექვთ. თაყაიშვილს თავის „აღწერებში“ მოყვანილი აქვს ბატონიშვილ ქეთევანის კიდევ ერთი ლექსიც: „სატრფო მემთხვია სავარდეს, ბუნებით ისატებოდა“ და სხვა (იხ. „ოპისანიე“, II, გამოცემა I, გვ. 175).

* *
*

ქეთევან ბატონიშვილის პატიმრობისას აღმოხეთქილი კვნესანი არ დარჩენილან გამოუხმაურებლად და ყველაზე უწინ მას ეს ხმა იმ ქალმა მისცა, ვისაც მისებურად ძლიერ სწვავდა ცეცხლი „სადავითო შტილის აღმოფხვრისა“, ვინც ქეთევანის გულის თქმასთან და ზრახვებთან ბავშობიდანვე აგრე-რიგად შეზრდილი იყო. ეს გახლდათ თეკლა ბატონიშვილი, მეფე ერეკლეს ყველაზე უმცროსი ქალი, განთქმული შეუდარებელ სიკეკლუცე-სილამაზესთან ერთად, თვისი ვაჟური მხნეობით შემძლეობით და უცნაური სითამამით. ცნობილია, რომ თვითონ ერეკლე „ვაჟკაცს“ ეძახდა და 16 წლამდე ვაჟურად ჰყოლია ჩაცმული და თავისთანაც ხშირად უტარებია მოგზაურობის თუ ლაშქრობის დროს *).

თეკლა ყოფილა სამაგალითო მხედარი ქალიც, რომლის შესახებ მრავალი ეპიზოდია შენახული. ის იყო მეუღლე ვახტანგ ორბელიანისა, რომელიც დედოფალ დარეჯანს გა-

დასახლებისას თან გაჰყვა პეტერბურგს. მას სამი ვაჟი ჰყავდა: ცნობილი პოეტი ვახტანგ ორბელიანი, ისტორიკოსი ალექსანდრე და დიმიტრი.

აქ ზედმეტი არ იქნება მოვიყვანოთ ვ. ფრაიგანგის წიგნიდან მცირედი ამონაწერი, საიდანაც ირკვევა რომ ბატონიშვილ თეკლას მისის მშვენიერებით უცხო ავტორიც მოუხიბლავს: „გენერალ-გუბერნატორის მეუღლე ყოველ საღამოობით იწვევს ქართველ მანდილოსანთ, რომელთაგან მეტი ნაწილი ადგილობრივ თავადის ქალები არიან და ზოგნიც საქა-

---

*) თეკლა დაიბადა 1776 წელს; როცა ის 4 წლისა იყო ერეკლემ მას ხუმრობით სიგელი უბოძა, რომლის ძალით მას „თეკლა-ბიჭი“ დაარქვა, და ამიერიდან ყველასაგან ასეც უნდა ყოფილიყო ცნობილი; ეს სიგელი დაუმტკიცებიათ თეკლას ბიძათ – კათალიკოს ანტონს და ბატონიშვილ იულონს და ბეჭედიც დაურტყამთ, რა თქმა უნდა ხუმრობით. (იხ. ს. კაკაბაძის „მასალები“).

რთველოს მეფის ოჯახს ეკუთვნიან. მათში ყველაზე უფრო **უშესანიშნავესად** მე მიმაჩნია სახელოვან მეფის ირაკლის ქალი თეკლა, რომელიც არის მეუღლე თავად ორბელიანისა; ის მართლაც ამტკიცებს თავისის მაგალითით – თუ რა ჯიშისა და მოდგმისაც არის. ეს ქალები მოდიან ცხენებით, რომელსაც ქართველი მხლებელი მოჰყვება" და სხვა (იხ. Briefe über Kaukasus und Georgian von Wilhelm von Freygang. 1817).

თეკლას პიროვნებაზე საკმაო ცნობები ისტორიკოს სარ. კაკაბაძესაც ამოუკრეფნია. ერთ ადგილს ის, სხვათა შორის, ამბობს: „თავის სიკვირცხლით და სიმარჯვით მშვენიერი თეკლა სასახლის წევრთა სათაყვანებელი იყო... თეკლა ბუნებრივ მშვენიერებასთან ერთად, შესანიშნავი იყო, როგორც საუცხოვო მონადირე, ცხენზე მოჯირითე და მკვირცხალი ბუნებისა“... (იხ. სარ. კაკაბაძე „წერილები და მასალები", წიგ. I. გვ. 133) *).

თეკლა ბატონიშვილი ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას არასდროს ჩამორჩენია და ჩვენ მას უკვე ჭაღარა მოსილს 1832 წლის შეთქმულებაშიაც ვხედავთ – თავის სახელოვან შვილებთან ერთად...

ბატონიშვილი თეკლა თავის ლექსში „პასუხად ქეთევან ბატონიშვილს“, კიდევ უფრო ცხოვლად და მუქის ფერებით გადმოგვცემს თავისი დის ტყვეობის ამბავს, მტრების სისინს და მისი დის ვაება-გლოვის მიზეზს.თითქო აქ ქეთევანის ლექსთა ცალკე ხანათა ხაზგასმითი განმეორება იყოს:

„სტირ შესაწყალად წალკოტთა რგულთა“,

ნათქვამია ამ „პასუხში“ : –

---

*) თეკლასა და მისი დების მაღალზნეობასა და გონიერებაზე ბევრ ცნობებს შეხვდებით აგრედვე თეკლას შვილის, ისტორიკოსის ალექ. ორბელიანის ნაწერებში. (იხ. კერძოთ მისი წერილები ს. კაკაბაძის ზემოდ ნახსენებ „საისტორიო მასალებ“-ში).

„ზამბახთა თხზულთა, უზადოდ მკულთა
„თვისთა მამულთა აწ განკარგულთა...
„იგლოვ მაღალს ტახტს, ვაი წახდომილს,
„დიდებულს პალატს, მსწრაფლად დამხობილს,
„შვების სიხარულს, ტრფობით შეტკბობილს,
„ეტლს დაბრუნებულს, მოყვასთგან გმობილს,
„გსურს მყის სიკვდილი გულ-ლახვარ ცემულს,
„აღარა გნებავს სიტყვის გებანი“...

და თუმცა ბატონიშვილ თეკლასათვის ოდნავადაც არაა დაფარული აუტანელი ყოფა საყვარელ დისა, მუქარა რუსეთის მაღალ მოხელეთა მისი „ჩრდილოდ“ გამგზავრებაზე „გრძლად სადგურობის" მიზნით, მაგრამ ის მაინც არ სთვლის საქმეს წაგებულად და ქეთევანისებურ უსაზღვრო პესსიმიზმს არ ეძლევა, ცოტათი უსაყვედურებს კიდეც და ეუბნება: „აბა რადა გაქვს –

„გუშაგთ სიმრავლით თვალთა შინება,
„მათგან უწყალოდ ჭირთა სმინება;
„რადგან **ჩრდილოთ** მზემ ესრეთ ინება,
„კრძალვით ითმინე სახმილთ გზნებანი“...

მას იმედი აქვს, რომ მზე ხელ-ახლა გამოანათებს და ქეთევანის ტანჯვა გამოსყიდული იქნება; ხოლო ეხლა კი მარტო **მოთმინება**, ატანა და გაძლებაა საჭირო...

ეს „ნუგეში“ გარკვევით არას იძლევა, არას ამბობს: საიდან, რა გზით იქნება ხსნა? მაგრამ მაინც საკმაოდ აშკარაა, თუ რა უნდა ყოფილიყო თეკლას გულის სალბუნებელი.

პატიმარს რისი მოლოდინი უნდა ჰქონოდა?:

„რად გკვირს პატიმარს მწუხარებანი,
„მცირე ხანს ლხინთა განმწარებანი“?

კითხულობს ის და ბოლოს მაინც გაუტეხელად დასძენს: –

„ნუ სწუხს დაშრტება ცეცხლთა დებანი“-ო.

მაშინდელ ქართულ საზოგადოებრივ ურთიერთობის გამოსარკვევად საინტერესოა კიდევ ერთი დეტალიც... თეკლას და ქეთევანს არასოდეს არ შეუწყვეტიათ კავშირი რუსეთში გარდახვეწილებთან; და ლექსებშიაც ხომ ამ გარდახვეწილთ დასტირიან... სხვათა შორის აღსანიშნავია მათთან მიწერ-მოწრა ემიგრაციაში მყოფ ნიჭიერ პოეტის დიმიტრი გიორგის ძე ბაგრატიონისა*).

აქვე აღვნიშნავთ, რომ ,,Описание“-ში (Т. Ц, вып. I, გვ. 222), ბატონი ექ. თაყაიშვილი ასახელებს „სანატრელ მეფის ირაკლის ასულის თეკლა ბატონიშვილისაგან თქმულ" მეორე ლექსსაც:

„მოგახსენებთ ყოველთა აზიელ ერთა
„მოყუარეთა თვისთა ამერთ-იმერთა“ და სხვა.

სამწუხაროდ, ამ ლექსს ჩვენ ვერსად შევხვდით.

* *
*

სამშობლოს დიდების დაცემით და „ძველთა პალატთა" რღვევით გამოწვეული პესსიმიზმი ქეთევანისა მისს მეორე დას, ბატონიშვილ **მარიამს** უფრო ენათესავება, ვიდრე თეკლას.

---

*) ეს დიმიტრი ცნობილია მაშინდელ მთელს მოწინავე ქართველებში, როგორც წარჩინებული და ფრიად განათლებული კაცი, ავტორი საისტ. პოემისა „ქეთევან დედოფლის წამება", რასაც „დიმიტრიან"-ს უწოდებენ. ის იყო სულიერი მამა მაშინდელ გარდახვეწილ პოეტთა და მას „გვერდს ახლდენ" პოეტები დ. სააკაძე, დავ. და მამ. გურამიშვილები და სხვანი. მოსკოვის ქართველთა კოლონია მას ,,ფრანკ მასონობას“ სწამებდა. ქეთევან და თეკლას გარდა მას ერეკლეს სხვა შვილებთანაც ჰქონდა მუდმივი მიწერ-მოწერა (ფარნაოზ, მირიან და სხვ.) აგრეთვე ეპისკოპოსებთან, ხშირად ლექსების სახითაც (იხ. პროფ. კ. კეკელიძის „ქართ. ლიტ. ისტორია, ტ. l, გვერდი 457-8; და აგრეთვე – პროფი ექ. თაყაიშვილის „Описание“).

შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მარიამ ბატონიშვილი იყო ერეკლეს ქალებში ყველაზე უფრო უხვად დაჯილდოვებულ პოეტური ნიჭით (მარიამი იყო მეუღლე ქალაქის მოურავის დავით ციციშვილისა). ის დროშასავით გაშლილი პესსიმიზმი, მაღალი სტილი და გამართული პოეტური ფორმა, რომელიც შემდეგ თაობაში პოეტ ვახტანგ ორბელიანს (თეკლას ვაჟს) ახასიათებდა, უხვად პოულობს სათავეს მარიამის შემოქმედებაში.

შედარებით უფრო ნაირი პოეტური ღირსება, ღრმა პატრიოტულ გრძნობათა უშვალობა ლირიკაში და სევდის გულგამგმირავი სისადავე ახასიათებენ ბატონიშვილ მარიამის შემოქმედებას; და ამიტომაც ვიმეორებთ, რომ ერეკლეს პოეტ ქალთა შორის ის უდავოდ პირველ ადგილს იჭერს; ყოველ შემთხვევაში, იმ, სამწუხაროდ, არც თუ მდიდარ მასალების მიხედვით, რაც დღემდე ცნობილი და გამოუქვეყნებულია *).

ქართლის საბედისწერო „ეტლშია" უმთავრესი და, შეიძლება ითქვას, ამომწურავი მოტივი მარიამის კეთილშობილ ლი-

---

*) ბატონიშვილ მარიამის ნიჭის მრავალფერობის საბუთად პრ. ალ. ხახანაშვილის ცნობაც ჩაითვლება, რომ მარიამი „ეროტიულ ლექსებსაც სწერდა“-ო. სამწუხაროდ, არსად შეგვხვედრია ეს ლექსები და ვეჭვობთ, რომ გამოქვეყნებულიც იყვნენ. ამისი ღირსი კი უეჭვოდ არიან ისინი – თუნდაც იმ მცირედი ნიმუშის მიხედვით, რომელიც პრ. ხახანაშვილს მოჰყავს (თუმცა ს. გორგაძის მიერ გამოცემულ ბესიკში (1912) ეს ლექსიცაა მოთავსებული („ეტრფის მთიებსა“); ასე რომ ს. გორგაძე ამ ლექსს ბესიკს აკუთვნებს, რაიც ჩვენის აზრით სწორი არ უნდა იყოს).

„მეყნოსა ოდეს სურნელება თმისა შენისა,
„მყისვე გაცუდდეს მრავლადობა ჩემის სენისა“...
(იხ. ა. ხახანაშვილი, გვ. 527)

აქ ძლიერის ხაზმოსმითაა მოცემული იმ „ეროტიკის“ სათავე, რომლითაც ერთი საუკუნის შემდგომ ასე უხვად სარგებლობდა ჩვენი მოდერნული პოეზია (ი. გრიშაშვილი და მისი სკოლა).

რიკისა : და დღეს უსამართლოდ ამ „ეტლმან“ – სჩივის ბატონიშვილი: –

„დასთრგუნვა ჩემი დღე-კეთილობა,
„ბნელ ჰყო ქართლოსის ძვირფას მტილობა,
„აღფხვრა წალკოტსა ვარდთა შლილობა,
„მესისხლე მარიხს აქვს ხმალ-წვდილობა“...

მართალია, ციციანოვი (და ხელმწიფე ალექსანდრე I-იც) ყველა მიმართვაში და ყოველ შემთხვევის დროს იმეორებდა, რომ ბატონიშვილები რუსეთში ბევრად უკეთესს პირობებში იცხოვრებდენ: ხელმწიფურ დიდებას და პატივს მიიღებდენ და ყოველ „ბედნიერებით“ მათ ყელამდე აავსებდენ, – მაგრამ ბატონიშვილებში არ აღმოჩენილა არც ერთი, რომელიც ამ „ფუფუნებას“ და „ოქროს მთებს“ დახარბებოდა; წინააღმდეგ – არც ერთი იმათგანი რუსეთს ნებით არ დამორჩილებია და არ წასულა, არ აჰყოლია ზოგთა რჩევა-დარიგებას: რომ საქმე უკვე წაგებულია და როგორც სხვებს, იმასაც ბო-

ლოს დაპატიმრებულს წაიყვანენ რუსეთში და სჯობია ნებას დაჰყოლა და „წყალობის“ მიღება...

ამ შემთხვევაში პირველი ტრადიცია ხომ დედოფლებმა შექმნეს, რომელთაგან მარიამმა ღენ. ლაზარევი იმსხვერპლა; *) ხოლო დარეჯანი კი გამგზავრებისას ყოველ სოფელში ძალად ჩერდებოდა მთელი დღეები და, მიუხედავად ათას ძალდატანებათა, ნელის ტემპით სთმობდა საყვარელ საქართველოს მიწის ყოველ ნაკვეთს... და ბატონიშვილებიც ხომ მანამ არ დაიძრენ, ვიდრე „გადაჭედილის კიდობანით“ არ წაიყვანეს დატყვევებულნი; ხოლო, ვინც ხელიდამ დაუსხლტა, ის სიკვდილამდე არ დანებებია მტერს (ალექსანდრე, ლევან იულონისძე, ვახტანგ იმერეთის ბატონიშვილი და სხვანი).

*) დედოფლის მიერ ლაზარევის ხანჯლით განგმირვის ამბები დაწვრილებით მოთხრობილი აქვს პოლკოვ. როტიერს (Journal Asiatique, 1827, juin, თარგმანი მოყვანილია ჟურნალ „მოამბე“-ში 1894 წ. № 7).

40

აქ საილიუსტრაციოთ აღსანიშნავია წერილი იოსებ მიშკაბაშისა (იოსებ ბებუთაშვილისა) ალექსანდრე ბატონიშვილისადმი, რომელიც მოჰყავს პროფ. ექ. თაყაიშვილს *). ეს წერილი დაწერილია 1814 წ., როცა საქართველოს მზე კარგი ხნით ჩასვენებული იყო, კახეთის აჯანყებაც (1812 წ.) ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით უშედეგოდ დამთავრებული და რუსის მტერი – ნაპოლეონიც დიდ დამარცხებას განიცდიდა. „აბა, ხომ ხედავთ – საქმე გათავებულია და ვერას გახდითო“, სწერს მიშკაბაში ალექსანდრეს; „ამდენი ხალხი ტყვილა დაღუპეთ: ზოგი ციმბირს დაჰკარგეს, ზოგნი თქვენთან არიან და მაგათი ცოლშვილნი ციმბირს არიან გაგზავნილი, მამული და ყმა ჩამორთმეული და სხვა“... ის სწერდა, რომ რუსთ უკვე ყველა შეურიგდა (ირანი, ოსმალეთი), ბონაპარტეც წაახდინესო და ეხლა, აბა, რაღას უცდიო?!.. ჩამოდი და კიდევ დიდ წყალობებს მიიღებო, ყველაფერი გეპატიებაო... მაგრამ ალექსანდრე ბატონიშვილი დარჩა ერთგული თავისი ფიცისა ქართულ დროშისადმი და სიკვდილამდე აღარ უღალატია მისთვის.

არა! ყოველი ბაგრატიონთაგანი მართლაც ბრძოლით სტოვებდა თვითეულ კვალს საქართველოს მიწისას და სწორედ დაპატიმრებას – ძალად გაგზავნას და ციციანოვის უხეშ და ტლანქ „შემოკვრის“ დამორჩილებას ამჯობინებდა ნებით გაცლას... **).

ამიტომაა, რომ მგოსანი ქალები ერთნაირად დასტირიან ყველა ამ გარდახვეწილთა ბედს; ჩვენ ვნახეთ – თუ როგორ

*) იხ. „საქართველოს სიძველენი“, გვ. 119.

**) თუ დარეჯან დედოფალმა, რომელმაც ყველაზე მეტი წინააღმდეგობა გაუწია ციციანოვს, ბოლოს „წაბრძანებაზე“ ორბელიანს თანხმობა განუცხადა, ეს იყო მარტო დედოფლის ხერხი, მოფიქრებული მოვლა, რასა თავის მიზეზები ჰქონდა და რაზედაც სხვა დროს გვექნება შემთხვევა გამოვსთქვათ ჩვენი აზრი.

იღვრებოდენ მათთვის ცრემლად ქეთევან და თეკლა; მოვუსმინოთ ეხლა მარიამსაც:

„ედემის ბაღსა ზრდილნი ყვავილნი,
„ვარდნი კოკობნი, ნაზად გაშლილნი,
„გულ დამატკბობლად ახლად ფურჩვნილნი,
„ვაჰმე, უწყალოდ მყვეს აღმოფხვრილნი,
„შორად მიმტაცეს მე მათნი ჩრდილნი“.

და კიდევ –

„ჩრდილოს კერძომან საბავთო ქარმან,
„მძვინვარედ მქროლმან და დაუწყნარმან
„ჩემი მთიები **ჰყო გარის-გარმან**
„**მიმოაბნივნა** შავბედის ღვარმან“...

და განა ამის შემდეგ გასაგები არაა პოეტი ქალის დიდი ვაება? განა მისთვის ვისმეს მოეპოვება კიდევ ნუგეში? არა...

„ჩემსა მომლხენსა“, განაგრძობს ის, „ვერა
ვსჭვრეტ მთვარეს,
„ამად ვზი, დავსტირ, ვღვრი ცრემლს მდუღარეს,
„ვინ მანუგეშებს მარად მწუხარეს?
„მრისხანე ჯალათთ აქვთ ხმალ-წვდილობა“...

მამულის ერთგულნი, ტახტისა და საქართველოს დროშის მცველნი, რომელთაც საუკუნოებრივ თან მოჰქონდათ ჩვენი ერის დიდება, ან შორს იყვნენ გარდახვეწილნი, ან ციხეებში ჩაყრილნი და უფრო მეტად კი ბრძოლებში გმირულად დახოცილნი; საქართველოში კი პარპაშებს მარტო ჯალათი და მასა აქვს „ხმალ-წვდილობა“... აი, ვინ დაეპატრონა მას; ვის დარჩა დღეს, ვის საჯიჯგნად გამხდარა ჩემი ედემის მსგავსი ქვეყანაო, ვალალებს მგოსანი: –

„ჩემი წალკოტი აყვავებული,
„ყვავილთ სიმრავლით გამშვენებული,
„იქმნა, ამად ვსტირ, ცეცხლ-მოდებული,

„ოთხ კიდე სახელ განდიდებული,

„ვაიმე მათგან მოოხრებული,
„ვის შეხვდა მათი მოადგილობა?“
(იხ. „ჰოი დამწარდეს დროთა ტკბილობა“).

და უნუგეშო პოეტი მოსთქვამს, თუ რად შეესწრო დიდებულ სამშობლოს აგრე დაცემას და მოოხრებას!

მართალია, წინადაც ხშირად უნახავს საქართველოს ბნელი დღეები, მაგრამ მაშინდელი მტერი ახლად შემოჭრილს არა ჰგავდა; მართალია, ის ქვეყანას დაარბევდა, გადასწვავდა, იავარად ჰქმნიდა, მაგრამ ქართველი ხალხის დაუშრეტელი პოტენცია, მისი უაღრესი სიყვარული ერისა და სამშობლო ქვეყნისადმი, მის ისევ აძლევდა ულეველ ძალას მამულის ხელახლა გასაშენებლად და აღსადგენად. არა იყო რა საშიშო, ვიდრე მის რაობას, **სუვერენობას**, ერთბაშად არ მოიშლიდენ და დიდი იმპერიის პატარა ნაწილად არ გამოაცხადებდენ...

ეხლა კი სულ სხვა რამეს ხედავს მგოსანი ქალი; იცის – რუსეთი საქართველოს მომავალშიაც გადაგვარების მეტს ვეღარას არგუნებს და ამის გამო მისი ვაება ეხლა მართლაც უძიროა და „სევდით გრაგნილი“:

„ჰე, რად შევესწარ ამა დარესა, ძნელ სახილველსა,
შესაზარესა,
„სადავითოს მტილს, მოფხრულს არესა, მხედველ
სისხლისა ცრემლ საღვარესა,
„ვაჰ, ვერ ვსჭვრეტ დიდთა მნათობთ გვარესა...
რადგან მზე ჩვენი ჩრდილოთ ჰფარესა...
„სევდით გრაგნილსა ძნელ სამყარესა“...

არ აკმარა უფლების და ღირსების აყრა „ჩრდილოეთმა“ განაწამებს საქართველოს და მის ტრაღიკულ ფერებით სავსე მწუხრის ჟამს, სატანისებური ცინიზმით შეხვდა: კნორრინგმა, ციციანოვმა, რტიშჩევმა და სხვებმა უმდაბლესი უტიფრობით და უმაღლესი პათეთიურობით განიმეორეს, რომ საქართვე-

ლოს დამოუკიდებლობის და ტახტის გაუქმება თვით ქართველი ერის „სურვილით“ და მისდა „საკეთილდღეოდ“ მოხდა.

მაგრამ როგორ ფიქრობდა ქართველი ერი და რა „სურვილები“ შეიძლებოდა მას ჰქონოდა ამ დროს, ამის შესახებ ბატონიშვილი მარიამიც მოგვითხრობს: –

„დაჰფარნა **ჩრდილოთ** ღრუბელმან მნათობთ არენი
ბნელითა;
„წარხდეს წალკოტნი მაღალნი, ჰოი საცთურითა
ძნელითა;
„ვაჰ, დიდებულნი პალატნი იქმნა მტერთ

საცინელათა...
„დაბრუნდა ეტლი უკუღმა წარხდა დღე კეთილ
მზიანი,
„დაემხო ტახტი მაღალი, რა ბედნიერი, სვიანი“...

მოთმენა? შერიგება? არა, არც ერთის წუთით... არ შეიძლება ეპატიოს მტერს ასეთი საშინელი დაცინვა და თუ ძალა აღარ არის, რომ მას გმირულად ეკვეთოს და საქართველოს ძველი, რაინდული ყიჟინით შიშის თავზარი დასცეს თუ გათავდა და ამოიწურა წინააღმდეგობის ძალა, თუ ვეღარ მოიქნევს ხმალს ძლიერი მკლავით ქართველი ვაჟაი, და დატყვევებულ დედას თავისუფლებას ვერ დაუბრუნებს, – მაშინ აღარ აქვს აზრი სიცოცხლესაც, წუთიერ ყოფასაც... განა ქართველები არიან ისინი, ვინც ციციანოვს გვერდით ამოუდგენ და რუსის ჯარი ცეცხლითა და მახვილით შეასიენ იმ ადგილებს, სადაც აჯანყების და თავისუფლების დროშა კიდევ ფრიალებდა? არა და მათთვის იმდენი ზიზღი აქვთ ერეკლეს ამ სამივე პოეტ ქალთ დაგროვილი, რომ მით სარგებლობა შემდეგ თაობებსაც შეეძლოთ, თუ ეს საჭირო იქნებოდა... ამიტომ 130 წლის წინად დაწერილი მარიამის ბევრი სიტყვები არ ჩაითვლებიან შემდეგ თაობათა პოეზიისათვის უცხოდ: –

„განცვიფრდი, ცაო, განკრთი, მიწაო, მეცა დამფარეთ
ღრუბელ-ნისლთაო,

„აჰა დანთქმული **ჩრდილოთ** ზღვითაო, მარად
აფრქვევდე ღრუბელ-ნისლთაო,
„ვა, განგვაშორეს მზენი სითაო, ჰყვეს განდევნილი
შორის გზითაო...

და ან კიდევ შემდეგი ადგილი: –

„დახდა მზე იგი აზიით, აწ ჩრდილოთ მოეფინება,
„მოგვიხვნეს მსწრაფლად მთიები, ვით უძლოს
გულმან თმინება...
„არ დასცხრა ჩვენზედ მარადის სოფლის
საცთურთა შინება,
„ამად მაქვს თვალთა მარადის სისხლისა
ცრემლთა დინება.
„ვაჰმე, მას აქეთ ცოცხალსა არღარა მომელხინება“...

* *
*

საინტერესოა ს. კაკაბაძის მიერ ნაპოვნი „ჩანაწერები ბარბარე ქობულიშვილის მიერ ზოგიერთ ისტორიულ პირებზე"

მარიამის შესახებ, აქ შემდეგს დამახასიათებელ სტრიქონებს ვკითხულობთ: „ციციშვილი ევსტატე, იყო შვილი მეფის ირაკლის ასულის მარიამისა და ეს მარიამი იყო დიდი ნიჭიერი, დიდათ დახელოვნებული საღმთოს წერილში, ისეთი მოლექსე, რომ ასე ამბობდენ **—დიდი მეფის თეიმურაზის ნიჭი გამოუვაო ამ ქალსაო.** იყო დიდათ მუზიკის მოყვარე და თითონაც იცოდა ქართული მუზიკები, იყო **სევდიანი**, ვითარცა ბაგრატიონნი, რომელთაც გვარად მოსდგამსთ, და უყვარდა მხიარულება და ისეც ჰქონდა თავისი სახლი დაჩვეული. ოთხი ვაჟი ყვანდა და ოთხთავ იცოდენ ქართული საკრავები და ამხიარულებდენ დედასა და როდესაც სამშობლო რუსეთში გადაუსახლდა, **ყოველივე მხიარულება დაივიწყა;** წავიდა თავის სოფელს ქარელში, სწერდა სამგლოვიარო ლექსებსა, რომელიც ბევრსა აქვს საქართველოში და იყო ლოცვაში და ღვთის ვედრებაში. რომელიც ძმა მოუკდებოდა, ანუ ძმისწული რუ-

სეთში, ვერავინ ეტყოდა და ისე გარდაიცვალა“... (იხ. ს. კაკაბაძის „საისტორიო კრებული“, ტ. IV, გვ. 118-19). ეს ცნობები სრულიად ეთანხმება ამ პოეტის ნაზს და სევდით დაისრულ ბუნებას, რომელიც მის ნაწერებში დღესაც ასე ნაღვლიანად გამოიყურება. აქედანვე სჩანს, რომ ბაგრატიონთა მუსიკალურ-პოეტური ნიჭი მარიამის შვილებსაც თან დაჰყოლიათ... განსაკუთრებით მარიამის უფროს ვაჟს, ევსტატე ციციშვილს გადაცემია ერეკლეს ოჯახის სიყვარული პოეზიისადმი; პროფ. ექ. თაყაიშვილი თავის „**0писание**“-ში დიდი ერეკლეს ამ შვილის-შვილის ორ ლექსსაც ასახელებს: –

1) „ჰოი, საყვარელო, თვალთა ნათელი, ვერსღა სად
ვჰპოვე, მისთვის ვარ ხელი“...
და 2) „პირად–პირად მნათობ დასთა თვალ
ვაგენ“... და სხვა *).

ბატონ ექვთ. თაყაიშვილის „0писание“-ში (№ 203), ჩვენ გვხვდება ბატონიშვილ მარიამის ადრინდელი ლექსიც (დაწერილი ჯერ კიდევ მისი სიყრმის ჟამს), იმ მწუხარე შემთხვევისა გამო, რომელიც წილად ხვდა მაშინ მეფე ერეკლეს ოჯახს, ალექსანდრე ბატონიშვილის დანიშნულის, ყაბარდოს მთავრის მზეთ უნახავი ქალის, უდროოთ გარდაცვალების გამო; ამ ქალს, მონათვლისას სახელად ნინო უწოდეს და დიდებულ მეფის კარზე სარძლოთ ამზადებდენ და წვრთნიდენ. ერეკლემ მას აღმზრდელად სასახლის ეტიკეტის და საღმთო სჯულის შესასწავლად, თვისი საყვარელი რძალი, სალომე (ამილახვრის ასული) მიუჩინა; დიდ ფუფუნებაში და სიყვარულში ჰყვანდათ ახალი საპატარძლო, მაგრამ ეს ულამაზესი და შესანიშნავი ტანადობის ქალი მალე დასნეულდა და ჭლექით მიიცვალა. ამ გარემოებამ ალბად მთელი სასახლე დიდ ჭირს და გლოვას მისცა და სათუთმა პოეტმა მარიამმა ლექსად გამოხატა ეს გლოვა:

„ყაბარდოს იყო ერთი მზე ბრწყინვალე
მანათობელად,

*) იხ. „ოპისანიე“ II, გვ. 222-3).

„მისივე ხანთა ასული, ვინ არის ჩერქესთ
მფლობელად,
„რძლად მოუწოდა მეფემან, პალატის
შესამკობელად,
„იესოს ქრისტეს სძლად ექმნა უმანკო
დაუჭკნობელად“... და სხვა.
(იხ. 0писание, გვ. 80-81).

ირაკლის ქალებში სასახლის ნამდვილი პოეტი სწორედ მარიამი უნდა ყოფილიყო, რომელიც ალბად ამ მრავალ შესანიშნავ ეპიზოდებით სავსეს და ისტორიულ მნიშვნელობათა ცოცხალ მატიანეს – ირაკლის სახლს – ბევრნაირად შეამკობდა და შეასხამდა *), მაგრამ ამ „შესანიშნავ, პოეტ ქალის" (როგორც მას პროფ. ექ. თაყაიშვილი თავის „აღწერებში" უწოდებს) შემოქმედებიდან ძლიერ მცირედმა ნაწილმა თუ მოაღწია ჩვენამდე**).

* *
*

ასე დაბინდდა ამ კეთილშობილ პატრიოტ ქალთათვის, რომელთა ვაებაში ბევრი მოჭარბებული გრძნობაა სევდის, მაგრამ სულ პატარა იმედი.

იმ შავ-ბნელ დროს ხომ ძნელი იყო რაიმე იმედზე ოც-

*) პროფ. ა. ხახანაშვილის მოწმობით მარიამს სატირებიც უწერია სხვა და სხვა ისტორიულ და სამწერლო პირებზე; მას მოჰყავს ერთი ასეთი დეკანოზ სოლ. ალექსიძისადმი მიწერილი სატირა – შესახებ „ღვთის მგმობელ“ (ალბად ვოლტერიან) „დავით რექტორისა". (იხ. „ოჩერკი“. 3; გვ. 228).

) კიდევ ბევრი უნდა იყოს მისი ნაწერები გაბნეული, რ˜რც ამას მოწმობს ბარბ. ქობულაშვილის ზემოდ მოყვანილი ჩანაწერი : „... სწერდა სამგლოვიარო ლექსებს, რომლებიც **ბევრსა აქვს საქართველოში"-ო (იხ. ს. კაკაბაძის „საისტორიო კრებული“, გვ. 119).

ნებაც კი; საქართველოს „ეტლი“ ამ მგრძნობიარე არსებათ სამუდამოთ შებრუნებულად მიაჩნდათ და მარტო იმასა მოსთქვამდენ, რომ თავის ძმებთან, ქმრებთან და შვილებთან ერთად ისინიც უსწორო ბრძოლაში არ იგმირებოდენ...

მაგრამ მიუხედავათ ამ საშინელი წყვდიადისა, ერთი პატარა ნაპერწკალი მაინც ღვიოდა სადღაც შორს; და ჩვენ ვნახეთ, რომ ბატონიშვილ თეკლას მცირედი იმედი კიდევ დაშთენოდა, რაკი ხედავდა, რომ მისს ძმას – ალექსანდრე ბატონიშვილს ჯერ ხმალი ქარქაშში არ ჩაეგო და ვინძლო „ქართლისა ბედი“ კიდევ ერთხელ შეთამაშებულიყო.

საინტერესოა, რომ სწორედ თეკლას შვილმა, დიდმა პოეტმა ვახტანგ ორბელიანმაც, რომელსაც ასეთივე უიმედობა ახასიათებდა, მარტო ერთხელ, მაგრამ უფრო მძლავრად გამოსახა ეს დედის ბუნდოვანი „იმედი“ *), რომელიც ძველის დიდების, დაუვიწყარ **დმანისის** ნანგრევებზე უნდა აღმოცენებულიყო...

* *
*

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ამ ხანად გამოცემულ „ლიტერატურულ მემკვიდრეობა“-ში (წიგნი პირველი) ვხვდებით ბ. ლევ. ასათიანის საინტერესო ნაშრომს: – „ძველი საქართველოს პოეტი ქალები“. ამ შრომაში ავტორი ერეკლე მეფის ქალების შემოქმედებასაც ეხება და მათი ლექსებიც უფრო ვრცლად მოჰყავს, ვიდრე ეს აქამდე ცნობილი იყო. რედაქციას განზრახვა ჰქონია ბ-ნ ასათიანის შრომა მთლიანად ცალკე წიგნად გამოსცეს, საცა სხვა ნაწარმოებებთან ერთად ერეკლეს ქალების შემოქმედებაც (რამდენათაც ამათ დღემდე მოუღწევიათ) სრულად იქმნება მოცემული. ჩვენ იმე-

*). იხ. „იმედი“ ვახტანგ ორბელიანისა.

დი გვაქვს, რომ მკვლევარნი ამ ნაწერებში კიდევ ბევრს ახალს და საინტერესოს აღმოაჩენენ, რაიც ამ ღირსეულ ქალთა პიროვნებას მეტის სრულობით და გაქანებით გაშლის... ამ ქალთა პოეზიის ეროვნულ ჰანგების დასახასიათებლად სამართლიანია ბ. ასათიანის შენიშვნა, რომ „ლექსები ბატონიშვილებისაგან ჩამორთმეულ ხმლების მოვალეობას ასრულებდენ“-ო. ეს იყო ბრძოლის პოეზია, დამარცხებულ ბაგრატიონთ და საქართველოს რომ ჭირისუფლობდა და მის გარდასულ დიდებაზე გოდებდა*)...

*) „გენეზისი“, ამბობს ბ. ასათიანი, „მე-19 საუკუნის პატრიოტული რომანტიზმის პატრიოტული ლირიკისა და პროზისა, უსათუოდ უნდა ვეძებოთ იმ მცირე პოეტურ მემკვიდრეობაში, რომელიც დაგვიტოვეს ბატონიშვილმა ქალებმა – მარიამმან, ქეთევანმა და თეკლამ!!!...“ (იხ. „ლიტერატ. მემკვიდრეობა“, ტფილისი, 1935 წ. გვ. 417).

ჩვენ მოხარული ვართ, რომ მკვლევარის დებულებები სავსებით უდგებიან მთავარ ხაზს ამ წერილისას, რომელიც ამ რამოდენიმე წლის წინად გამოვაქვეყნეთ ჩვენ კრებულ „კავკასიონ“-ში.

49

ნარკვევი მეორე

ქართველი ქალი და 1832 წლის შეთქმულება

„ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა, ტკბილ-სახსოვარნო“.
(ნ. ბარათაშვილი: „ბედი ქართლისა“).

უეჭველია, ქართველი ქალი, რომელმაც მეცხრამეტე საუკუნის მიჯნაზე საქართველოს სახელმწიფოს მწუხრი მთელის სიმწვავით იგრძნო და განიცადა, გულ-გრილი ვერ დარჩებოდა ჩვენი ერის მოწინავე წრეების ცდისადმი, ამ ერთი საუკუნის წინ რომ დარღვევულ სახელმწიფოს აღსადგენად იყო მიმართული.

ქართველი ქალი იმ თავითვე მიხვდა, რომ მრავალ საუკუნეთა მანძილზე სათაყვანებელი ემბლემა: ივერთა ჯვარი ვაზისა, რუსეთის იმპერიისათვის მარტო გარეგნული საფარი იყო, რათა ეს უძველესი სახელმწიფო ყველა მისი ჯვრებით და ხატებით დიდი რუსეთის პროვინციად გარდაექცია.

და თუ მას ვინმე მოაგონებდა ამ მასპინძლის მოპატიჟების ქრონიკებს, კახური ღვინით გალეშილი რუსის მოხელე თავისებურად შეუკურთხებდა გულუბრყვილო მასპინძელს და ვაზის ჯვრის ხსოვნის აღმოსაგდებად ხმლით გადაუჩეხდა მწვანე ზვრებს.

თრთოდა და ცრემლად იღვროდა ქართველი ქალის გული ამ ჩრდილოეთიდან უეცრივ მონაქროლი საშინელი სუსხის წინ, ირთვილებოდენ მისი ატმის ყვავილის ღაწვები და ზრებოდა «წინანდალის ვარდი“.

53

ირღვეოდა ქართული ოჯახი, და ნიავდებოდა თბილი, მტკიცედ ნაგები პალატი ივერიისა.

ეს „დაშვება“ სწრაფი ტემპით მიდიოდა და ქართველ ერს იმედი გაუცრუვდა, რომ მოსული ძალა მას „მოსვენებას“ და მშვიდობიანობას მისცემდა, ხმალს ქარქაშში ჩააგდებინებ-

და და ამ ძლიერი სტუმრის შიშით მაჰმადიანი, მეზობლებიც საქართველოს მოერიდებოდენ.

ტრაღიკული ის იყო, რომ სტუმრად და მფარველად მოვ-ლინებული დიდი რუსეთი თვით გადიქცა უდიდეს საფრთხედ და ქართველისათვის სწორედ ეხლა შეიქმნა საჭირო სიფხიზ-ლე და მეტი ენერგიით ხმლის ტრიალი...

მაგრამ ამ ახალ მტერთან მამა-პაპური ხმალი ძველი სტი-ლისა ჩლუნგი გამოდგა და საქართველოც სისხლისაგან იწრი-ტებოდა.

მრავალი დრამატიული ეპიზოდები ჩაიწერა ამ ხნის სასო-წარკვეთილ შებმიდან და ერთი ამათგანი, ყველაზე უფრო უხ-მოდ და გამოუმჟღავნებლად გარდასული, არის ამბები 1832 წლისა.

ჩვენ გვმართებს დღეს დიდი პატივით ამ ამბავთა ფურც-ლების გარდაშლა და დაფიქრება.

* *

ამ ჟამად ჩვენი მიზანია იმ დიდ ეროვნულ აქტს, რომელიც სწორედ ერთი საუკუნის წინ მზადდებოდა და მისი აფეთქების წინ ვერაგულად გაცემულ იქმნა და ამიტომ საქართველოს გან-თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაში მხოლოდ „შეთქ-მულების" სახელით შევიდა, – მარტო ერთი მხრიდან მივუდ-გეთ და გავეცნოთ: თუ რამდენად იღებდა მასში მონაწილეობას ქართველი ქალიც.

ტრადიცია ამ ქართველი ქალისა ისეთი იყო, რომ მას არ

შეეძლო 1832 წლის შეთქმულების გარეშე დარჩენა; წინააღმ-დეგ, მას უნდა ეთამაშნა თვალსაჩინო როლი, რომელსაც ის ღირსეულად ასრულებდა მთელ იმ ბრძოლათა გასწრივ, ჩვენი ერი რომ აწარმოებდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აგრე ვერაგულად და ქურდულად განადგურების შემდეგ.

უეჭველია, შემთხვევითი არ იყო ის, რომ ქართველი დე-დოფალი დარეჯანი ადგენდა პირველ შეთქმულებას კნორრინ-გის და ციციანოვის წინააღმდეგ, რომელთაც დაპირებულ „მფა-რველობის" ნაცვლად, სრული ანექსიის „მანიფესტები" მოა-ვლინეს ჩვენს ქვეყანას და რუსული ხიშტებით გარშემორტყმულ ისტორიულ სიონში რუსულადვე წაუკითხეს.

შემთხვევითი არ იყო, რომ მეორემ და უკანასკნელმა დედოფალმა ქართლ-კახეთისამ რუსთა თავხედ ღენერალს ლაზარევს, მის შესაპყრობად დასაძინებელ ოთახში რომ შეიჭრა, ხანჯლით გული გაუგმირა და საქართველო ბრძოლით დასტოვა.

და მერმედ 1802 წლის აჯანყება განა პირველად მარიამ ანდრონიკაშვილის ასულის (გარსევან ჭავჭავაძის მეუღლის) მეოხებით არ გამოინასკვა?

და განა შემდეგში მთიულეთის და მერმედ ქიზიყის აჯანყებაში ქალები არ მიუძღოდენ მამაკაცებს და შეურიგებელ ბრძოლისათვის არ უტევდენ?

და სწორედ 1832 წლის მიჯნაზე რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს, განა გურიის დედოფალი სოფიო არ იყო, რომ გარდახვეწილობიდან კვლავ დაბრუნდა, ქობულეთში შემოიჭრა და რუსთ საქმე ისე გაურთულა, რომ კინაღამ მთელი დასავლეთი საქართველო არ დააკარგვინა?..

განა მეფე გიორგის ასული, სამეგრელოს დედოფალი ნინო, რუსეთში გადასახლების შემდეგ კი შეურიგდა, თუნდ ერთი წუთით, საქართველოს მწარე ბედს და არ წარმოგზავნა თავისი შვილი გიორგი სამეგრელოს ასაჯანყებლად?

ეს ამბები ორიოდ წლით თუ უსწრებდენ შეთქმულებას.

ქართველი ქალი, რა თქმა უნდა, ასე მწვავედ რო გრძნობდა საქართველოს შეურაცყოფას და საკუთარი ოჯახის რღვევას, ვერ მოსტყუვდებოდა ქმრების ორდენების ბრჭყვიალებით და შვილების აღზრდით „სახაზინო ხარჯზე“ ვაჟთა კორპუსებში და კეთილშობილთა სასწავლებლებში. ის კარგად ხედავდა – თუ ვისთვის ზრდიდენ მის შვილებს და ვის ეწირებოდენ მისი ძმები და ქმარი. და როცა საქართველოში ხელახლა დიდი პოლიტიკური მოძრაობა ჩაისახა, რომელსაც ამ ხელად ბატონიშვილებთან ერთად უბრალო მომაკვდავნიც (კიკნაძე, რაზმაძე და სხვ.) უძღოდენ, ქართველი ქალიც მათ გვერდში ამოუდგა და აჯანყებისათვის გულ მხურვალე სამზადისს დაეწაფა.

* *

სამწუხაროდ, იმ მასალიდან, რაც ჩვენ ხელთ არის, ძალიან მცირე ცნობების ამოკრეფა შეიძლება ამ შეთქმულებაში ქალთა მონაწილეობის შესახებ; მაგრამ ის ფაქტი, რომ ყველა ძაფები ამ შეთქმულებისა ერთ ქალის ხელთ იყო და საჭირო განკარგულებებსაც და გეგმებს ის იძლეოდა, მოწმობს, რომ ქალები საერთოდ ბლომად ერიენ შეთქმულთა წრეში, მაგრამ ალბად ისინი ნაკლებ იყვნენ გაცემული.

ალბად დაპატიმრებული მამკაცები განსაკუთრებულის სიფრთხილით ეპყრობოდენ ქართველ დედებს და ყოველ ღონეს ხმარობდენ თავის თავზე მიეღოთ დანაშაული და ქალები კი როგორმე გადაერჩინათ. ამის საბუთს ოფიციალური აქტებიც იძლევიან: იქ სხვათა შორის ნათქვამია, რომ ალ. ორბელიანი ცდილობდა როგორმე დაეფარა და გამოეყვანა თამარ ბატონიშვილიო. თვითონ ქალებიც, სჩანს, დიდ სიმტკიცეს იჩენდენ გამოძიებისას და თუ მამაკაცებზე შეხვდებით ცნობას **„გულწრფელად ყველაფერი აღიარა და გამოტყდაო“**, ამას ქალების შესახებ ვერსად იპოვით; ისიც უნდა ვსთქვათ, რომ გამოძიების დროს ქალებს ალბად ისეთ ძალას ვერ ატანდენ, როგორც მამაკაცებს.

56

ალბად ამ გარემოებით უნდა აიხსნას, რომ თვითონ საგამომძიებლო საქმეში ქალები ნაკლებად სჩანან და მამაკაცებთან შედარებით არც თუ დიდი სასჯელი ხვდა მათ წილად.

ჩვენს მოსაზრებას 1832 წლის შეთქმულებაში ქართველ ქალთა მასიურ მონაწილეობაზე, ადასტურებენ ეხლა ხან გამოქვეყნებული მრავალნაირად საინტერესო და უხვი მასალები დოც. გ. გოზალიშვილისა: „1832 წლის შეთქმულება“*).

შევჩერდეთ ამ საყურადღებო მასალების ზოგ მომენტებზე.

შეთქმულების ერთი ხელმძღვანელი ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი (თეკლას ვაჟი) თავის მოგონებაში სწერს: „ჩემი კატინაც**) ერია ჩვენს საქმეში, სხვანი – **ქართველი ქალებიც – ბევრნი,** რომელთაცა ჩემს კატინას ვალად დასდეს რევოლიუციის ბაირახი შეეკერა... და სხ.“*** მეორე ადგილას ავტორი, აღნიშნავს რა დიდ მოცულობას და სამზადისს ამ შეთქმულებისას, რომელსაც უნდა **„მთელი კავკაზია**“, შავი ზღვიდან მოკიდებული კასპიის ზღვამდისინ, სრულიად მთებისა და ბარის ხალხი გაეერთიანებინა და ერთიანი აღრეულობა მოეხდინა“, დასძენს, რომ ამ შეთქმულებაში ერივნენ „სრულიად საქართველოს დიდი კაცნი და მცირენი, და ბევრი სასულიერო წოდებანი, რომლებთაცა **ხნიერნი დედაკაცთ** და **ყმაწვილ ქალთ,** ერთი აზრი ქონდათ ყველას ჩვენთან: ან უნდა გავწყვეტილიყავით სულ ერთიან, არა და მამული გამოგვეხსნა, საშინელის ჩვენის მტრის – რუსეთისაგან. ბევრმა პატიოსანმა დედაკაცებმა დაიფიცეს „კაცურად ჩავიცომთ და ჩვენს უკანასკნელ სისხლს დავღვრით მამულის გამოსახსნელათო!! ****) მიუხედავათ შეთქმულების ასე ფართო ხასიათი-

---

*) სახელმწ. უნივერსიტეტის გამოცემა. 1935 წ. ტფილისი.

**) მეუღლე ალექსანდრესი, ბარათაშვილის ასული.

***) იხ. „1832 წ. შეთქმულება“, გ. გოზალაშვილისა, გვ. 34.
****) იხ. იქვე, გვ. 128.

სა, ვიმეორებთ, მაინც მოხერხდა მის მონაწილეთა უმრავლესობის გაუმჟღავნელობა, შეფიცულ წევრთა სიმტკიცის გამო.

გადავიდეთ ეხლა ამ ისტორიულ აქტში მონაწილე ქალთა დასზე, რამდენათაც მისი წევრნი ოფიციალურმა გამოძიებამ ასე თუ ისე გამოააშკარავა.

მასალებში პირველ ადგილზე აღნიშნულია ბატონიშვილი თამარი; ეს ქალი მრავალ მხრივაა შესანიშნავი და განსაკუთრებული ჭკუითა და სიდარბაისლით შემკული; აქტებში ის „ფრეილინადაა“ მოხსენებული და უნდა ვიფიქროთ, ამ დიდ „წყალობას“ ის დამცირებად და დიდებულ მეფის ირაკლის შვილის-შვილის შეურაცხყოფად სთვლიდა. მას ამძიმებდა „წყალობა“ იმ რუსეთისა, რომელმაც ჯერ კიდევ ბავშობისას დააშთინა კლანჭები მის სათუთ გულს.

რაღაც ათი წლისა თუ იქნებოდა თამარი, როცა მისი მამა იულონ ირაკლის ძე, საბედისწერო 24 ივლისს 1804 წ. რუსეთის ჯარს ტყვეთ ჩაუვარდა... (მაშინ იულონი და მისი ძმა ფარნაოზი აჯანყების მოსაწყობად იმერეთიდან ქართლში შეიჭრენ, მაგრამ გაცემულ იქმნენ, და მათ ღამით ტყეში დაეცნენ; იულონი ჩავარდა, ხოლო ფარნაოზმა ბრძოლით მოახერხა გზის გაჭრა, მთიულეთში დიდი აჯანყება მოაწყო და რუსეთის გზა დარიალის ხეობასთან ჩაკეტა).

მაშინ პატარა თამარი ძმებთან (დიმიტრი და ლუარსაბთან, რომელთაგან პირველი სულის ჩამდგმელი შეიქმნა 1832 წ. შეთქმულებისა) და დედასთან ერთად იმერეთში იყო გახიზნული, როგორც ჰგავს სახლთუხუცეს ზურაბ წერეთელთან; მისმა დედამ სალომემ (რევაზ ამილახვარის ასულმა) ისინი იულონის დაპატიმრების შემდეგ ტფილისს ჩამოიყვანა და ციციანოვს წარუდგინა.

მათი ბედი ადრევე იყო გადაწყვეტილი: ციციანოვმა დროზე ითხოვა ხელმწიფისაგან „ნებართვა“ გადასახლებისა არა მარტო ბატონიშვილის, არამედ მისი ოჯახობისაც; „ბატონიშვილის შეპყრობა ციხის აღებას უდრის“-ო, სწერდა ის 7/VII

1804 წ. მინისტრ ჩერნიშევს, „რადგან ვიდრე ამ ასპიდთა მოდგმა საქართველოს მახლობლად იქნება, მანამ არ ეღირსება მშვიდობიანობით დატკბობა ამ ერს მისი სულიერ სიმჩატის გამო; ამიტომ იძულებული ვარ გავიმეორო, რომ მათი ცოლების საქართველოდან გარდასახლება აუცილებელი ზომაა“-ო

(აქტი, II, გვ. 134).

აქედან ეტყობა, თუ რუსეთის უერთგულეს ყმას ციცია-ნოვს, რა შიში ჰქონია ქართველ ქალებისა, რუსთა ბატონობის განმტკიცებას რომ მალულად და მოხერხებით ებრძოდენ.

1805 წ. აპრილში იულონი ცოლშვილით*) რუსეთს გაისტუ-მრეს და საცხოვრებლად ტულა მიუჩინეს. კარგა ხნის შემდეგ მათ ნება დართეს პეტერბურგში ცხოვრებისა და სჩანს, ბოლოს მაინც, მოახერხა თამარმა იქედან თავის დახწევა და ტფილისში დაბრუნება, ხოლო მისი ძმები კი რუსეთში დარჩენ.

არ უნდა დავივიწყოთ რომ თამარის ძმა იყო სახელოვანი ლევან ბატონიშვილი, რომელიც სამაგალითო თავგანწირვით და შეურიგებლად ებრძოდა რუსთ, და ოსეთის აჯანყე-ბით დიდ გაჭირვებაში ჩააგდო საქართველოს მმართველნი, ვი-დრე მოსყიდვით არ მოაკვლევინეს ის 1811 წ. გოგიას ციხის ხეობაში.

ამ ბრძოლის ტრადიციებზე აღზრდილ თამარს, არ შე-ეძლო შეთქმულთა პირველ რიგში არ ჩამდგარიყო და მან მტკიცედ მოჰკიდა საქმეს ხელი.

როგორც ვიცით, რუსეთში გადასახლებულ ბატონიშვილთა ორი წრის მეოხებით, იქ ორი ორგანიზაცია ჩაისახა: პეტერ-ბურგის, რომელსაც დიმიტრი და ლუარსაბ ბატონიშვილნი (თამარის ძმები) მეთაურობდნენ და მოსკოვის, რომლის უაქ-ტიურესი წევრი ოქროპირ ბატონიშვილი იყო. ორივე ამ ორ-განიზაციას უშუალო კავშირი ჰქონდა გაბმული ტფილისთან და ყველაზედ უწინ – თამარ ბატონიშვილთან.

---

*) გარდა ლევანისა, რომელიც ადრევე განუდგა რუსთ და ალექსანდრე ბატონიშვილის მარჯვენა ხელად იქცა.

საქართველოში ამ მოძრაობის მთავარ ორგანოს შექმნის მიზნით ჯერ კიდევ 1829 წ. ჩამოდის ოქროპირ გიორგის ძე და დიდის სიფრთხილით ჰკრეფს თანამოაზრეთ; ამ მხრივ და-მახასიათებელია ის განმეორებითი და გადაკრული, ქარაგმული საუბრები, ოქროპირ ბატონიშვილს თავის მამიდაშვილ ალე-ქსანდრე ორბელიანთან რომ ჰქონია... მრავალ ასეთ შეხვედრა-ბაასის შემდეგ, ოქროპირ ბატონიშვილმა გააცნო ალ. ორბე-ლიანს დიდის სიფრთხილით თვისი მისწრაფებანი საქართვე-ლოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ და თან დაასახელა ორიოდე პირი, რომელთა ნდობა ორბელიანს შეეძლო. ამ პირთა შორის მან თამარ ბატონიშვილი აღნიშნა და განმარტა, რომ „დიახ ჭკვიანი დედაკაცი არის“-ო *); მაშასადამე, **ტფილისის შტაბის** პირველ წევრთა შორის თამარ ბატონიშვილი თავიდან-

ვე აქტიური მონაწილე ყოფილა; მას როგორც აღვნიშნეთ, კავშირი ჰქონია პეტერბურგის წრის ხელმძღვანელებთანაც, რაიც იმ მიწერ-მოწერიდან მტკიცდება, რომელიც დიმიტრის და ლუარსაბ ბატონიშვილთ იმ ხანებში უწარმოებიათ.

ეს მიწერ-მოწერა ალეგორიული ხასიათის არის და ისინი შეთქმულების მსვლელობის შესახებ ურთიერთს საჭირო ცნობებს აწვდიდენ. დიმიტ. ბატონიშვილი მოკითხვებსა სწერს ელიზბარ და დიმიტრი ერისთავთ, ვახტანგ ორბელიანს (ესენი მის მიერ იყვნენ გაგზავნილნი საქართველოში ემისრებად), მუხრან ბატონს, ამათ ჯანმთელობას ჰკითხულობს, ამხნევებს და სხვა... ხან კი ეკითხება: „რასა იქთ, როგორ ატარებთ დროსა, მხიარულად იმყოფებით, თუ მოწყენითო...“

ეს წერილები ტფილისში შესაფერის შიფრით იხსნებოდენ თამარის მიერ და ამ გზით ტფილისის ხელმძღვანელთ გადაეცემოდათ ხოლმე. წერილები მრავალ მხრივაა საინტერესო, მაგრამ ჩვენ ეხლა მათ გარჩევას ვერ შევუდგებით დასახასიათებ-

*) თამართან ერთად აქვე დასახელებული არიან: ალექს. ჭავჭავაძე, ელიზ. ერისთავი და სოლ. დოდაშვილი. (იხ. „1832 წლის შეთქმულება“, გვ. 25).

ლად აღვნიშნავთ მათგან მხოლოდ ერთს, რომელიც დიმიტრი ბატონიშვილს თამარისათვის 26 იანვარს 1832 წელს მიუწერია. ეს წერილი დიმ. ბატონიშვილს პეტერბურგიდან თან გამოუტანებია სოლ. რაზმაძისათვის, რომელიც იყო ერთ-ერთი იდეური და ორგანიზაციური ხელმძღვანელი ამ შეთქმულებისა. აქ დიმიტრი თამარ ბატონიშვილს ატყობინებს, რომ სოლომონ რაზმაძე რუსეთის ელჩს გრაფ სიმონიჩს მიყვება სპარსეთში როგორც ატაშე და სთხოვს თამარს: კარგად მიიღოს ის და მფარველობა გაუწიოს. ამასთან ერთად დიმიტრი თამარს ავალებს, რომ მან სოლომონ რაზმაძე დაუკავშიროს გრაფის მეუღლის თეიმურაზ ბატონიშვილის ცოლის დას, და თვითონ გრაფსაც. სხვა რა მოგწეროთო, განაგრძობს დიმიტრი, „მე ამ ჟამად ბევრად უფრო მხიარული ვარო". ეს „მხიარულება“ საქმეში ახალ, გავლენიან პირთა შეყვანას თუ გულისხმობდა; ამავე დროს აცნობებს:

„დიმიტრი ერისთავი დღეს წამოვიდა პეტერბურგიდან მაქეთ“-ო. ეს დიმიტრი ერისთავი (ძმა ელიზბარ ერისთავისა) ბატონიშვილის შიკრიკი იყო და დაწვრილებით ცნობებს და ინსტრუქციებს ფრთხილი ბატონიშვილი მას თუ დაბარებდა თამართან. ეს წერილი *) განსაკუთრებითი მნიშვნელობისაა; თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ პეტერბურგის შეთქმულებმა რაზმაძის რუსულ მისიაში მოწყობით დიდათ მოხერხებული დივერსია მოახდინეს. თამარ ბატონიშვილს

ევალებოდა ელჩის მეუღლესთან დაახლოება, და თუ მოხერხდებოდა ელჩთანაც; და მათთან ტფილისის შეთქმულ წევრების დაკავშირება...

გამჭრიახმა და ჭკვიანმა თამარმა კარგათ შესძლო დაკისრებული მოვალეობის შესრულება, თუმცა იმის თქმა, რომ თვით ელჩიც რაიმეში ერია, რასაკვირველია არ შეიძლება... ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვიცით, რომ ს. რაზმაძემ შემდეგში

---

*) დიმიტრის წერილები, უმთავრესად რუსულ ენაზეა მიწერილი, ჩვენ აქ ზოგიერთის შინაარსი მოგვყავს (იხ. „1832 წლის შეთქმულება“; გვ 10-19).

ინგლისის საელჩოსთან (სპარსეთში) და ალექსანდრე ბატონიშვილთან მჭიდრო კავშირი გააბა და ამ საქმეში, უნდა ვიფიქროთ, ელჩის მეუღლეც მისი მესაიდუმლე და დამხმარე იყო.

ერთ-ერთ წერილში ბატონიშვილი დიმიტრი თამარს ეკითხება: „მალე იწერს ჯვარს თათარი? მე რაღაც ამგვარი გავიგონე და ჩქარა მომწერეთ“-ო. ამ ქარაგმით დიმიტრი კი თხულობდა – თუ მალე მოხდება აჯანყებაო; პეტერბურგის წრე სწორედ ამ დროს (1832 დეკემბერში) უცდიდა გამოსვლათა დაწყებას.

არა ნაკლებ უჩქაროდა ამ საქმეს თვით თამარი და ტფილისის შტაბი; სოლ. დოდაშვილის ჩვენებაში ვკითხულობთ, რომ ალ. ორბელიანს უთქვამს მისთვის, რომ: „თამარ ბატონიშვილი **იწვის აჯანყების მოხდენის სურვილითო** და – თვით დედაკაცები დაიწყებენ, თუ მამაკაცები არ მოისურვებენო*).

ამ საქმეში თამარი არა მარტო ორგანიზატორი და ინფორმატორი ყოფილა, არამედ მას ინსტრუქციებიც კი შეუმუშავებია შეთქმულთა მთავარ შტაბისათვის; მოქმედების საერთო გეგმაც მისი შედგენილი ყოფილა.

როგორც ვიცით, შეთქმულთ აჯანყება ჯერ კიდევ 1831 წლისათვის ჰქონდათ განზრახული, – პოლონეთის აჯანყებასთან, მთის ბრძოლებთან და ეგვიპტეს ფაშის გამარჯვებებთან დაკავშირებით.

მაგრამ შემდეგში ვარშავის დაცემამ დიდათ ჩააფიქრა მეამბოხენი და საქმე ერთის წლით გადაადებინა. ამ ხანად ჩვენთვის საინტერესოა, რომ მებრძოლთა შეკრება-დაწყობის, სამხედრო მოქმედების და სტრატეგიულ ამოცანათა გადაჭრისათვის სამხედრო პირებს თვითონ თამარ ბატონიშვილმა მისცა

გეგმა. ეს სათანადოთ შემუშავებული გეგმა თამარს ან შთქ-
მულთათვის, ან თვით ალ. ჭავჭავაძის რწმუნებულისათვის გა-

*) იგივე, გვ. 397.

დაუცია. (ესეც შეთქმულთა მთავარი შტაბის თვალსაჩინო წე-
ვრი იყო).

გამოძიებამ დაამტკიცა, რომ თამარის ეს გეგმა შეთქმუ-
ლებს ღენერალ ლუარსაბ ორბელიანისთვის გაუცვნიათ, რო-
მელსაც ის მოუწონებია.

საგამომძიებლო კომისია ერთ-ერთ შეთქმულს ასეთ კი-
თხვას უყენებს: „განმარტეთ, ვისგან გაიგეთ სახელდობრ, რომ
თავ. ლუარსაბ ორბელიანოვნა მოიწონა თქვენი მოქმედების
გეგმა, **რომელიც დაგისახათ 1831 წ. თამარ ბატონიშვილმა?**
დაკითხული ალექსანდრე ორბელიანი მიუგებს, რომ მან ეს
ელიზბარ ერისთავისაგან შეიტყო და რომ ამ გეგმის მიხედვით
ლუარსაბ ორბელიანს თვითონ სურდა საკუთრივ 1000 კაცის
გამოყვანა *); ეტყობა – თამარის გეგმაში დეტალურად ყო-
ფილა გაგეგმილ-განაწილებული – თუ ვის, რამდენი რაზმე-
ლი უნდა გამოეყვანა ამბოხებისათვის. სამწუხაროდ, თამარ
ბატონიშვილის მიერ შემუშავებულ ამ გეგმას ჩვენამდის არ
მოუღწევია **); მაგრამ ალ. ორბელიანის ერთ-ერთ ჩვენე-
ბაში დაცულია ამ საგნის ირგვლივ საუბარი შეთქმულთა მე-
თაურის ელიზბარ ერისთვისა თამარ ბატონიშვილთან, თვით
ალექს. ორბელიანის თანდასწრებით. ეს საუბარი უფრო მეტად
თამარის ინსტრუქციას შეიცავს ამბოხებისათვის, და გვგონია
– თამარის პიროვნების, მისი ჭკვა-გამჭრიახობის, სიდარბა-
ისლე-გამოცდილების და თვით სტრატეგიულ-სამხედრო
ცოდნის დასახასიათებლად ამ დოკუმენტის გაცნობა საინტე-
რესო იქნება; მით უმეტეს, რომ ეს ჩვენება თავისთავადაც
საყურადღებო ცნობებს იძლევა იმის შესახებ, თუ როდის და
რა გზით ფიქრობდენ შეთქმულები აჯანყების მოხდენას, რო-

*) იხ. „1832 წლის შეთქმულება“ გვ. 473.

**) ალბად ეს გეგმაც დანარჩენ საყურადღებო დოკუმენ-
ტებთან ერთად ალექ. ორბელიანს შეთქმულთა მთავარი არ-
ქივი რომ ებარა, 1832 წელს დეკემბერში გაუნადგურებია,
როცა მას შეთქმულების გაცემის შესახებ იჭვი დაებადა.

მელიც იმავ ალექ. ორბელიანის მოწმობით მთელი კავკასიის
მასშტაბით უნდა გაშლილიყო *). ალექსანდრე ორბელიანის
ჩვენება ასეთია:

„კომისიასა შინა**): 1831-სა წელსა, ოდესაც ბუნტი იყო

პოლშაში, იმ დროს თამარ ბატონიშვილმა და ელისბარ ერის-
თავმა, – მე რომ მითხრეს – საქართველოს განთავისუფლება
გვსურსო. და მეც მათი მონაწილე შევიქენი. – იმის მეორეს
დღეს, საღამო ჟამზე ჩემთან მოვიდა თავადი ელისბარ ერის-
თავი, და მითხრა, მოდი თამარ ბატონიშვილთან წავიდეთ სა-
ლაპარაკოთაო. – წავედით მე, ელიზბარ და ჩემი ძმა ვახტან-
გიც, თან გამოგვყვა. – ოდესცა მივედით თამარ ბატოიშვილ-
თან, მის დივანს წინ დავსხედით. – მაშინ უთხარით ბატონი-
შვილოვო, აბა როგორ შეიძლება რომ საქართველო განთავი-
სუფლდესო, და ანუ რომლის გარემოებითაო. – მასკვან თამარ
ბატოიშვილმა თქო, – **ამისთანა დროს ქართველები ვეღარ
იპოვნიანო**, – ამისათვის რომ, რაც ჯარები ჰყავს რუსებსაო,
სულ პოლშაში არის წასულიო და აქ რომ აღრეულობა მოხ-
დეს, ვეღარ იშოვნიან ჯარს რომ გამოგზავნონო – აქ აღრე-
ულობა ამრიგათ უნდა მოხდესო, პირველი, თუ რომ შაიძლოთ
და ერთ-ერთი პოლკი რომ მოიყიდოთო დიახ კარგი იქნებაო,
ის პოლკი მოსყიდული რომ გეყოლებათ, პირდაპირ აქ ქალა-
ქში ჩამოვაო, და რაც ხაზინა არის, სულ ხელთ დაიჭერთო, და
მაშინ ადვილათ იქნება ყოველი საქმეო. – ღრუზინსკის პოლკს
ამბობდა. თუ იმას მოისყიდით უფრო ახლო არისო, და საჩქა-

---

*) „ეს შეთქმა“, სწერს ალექს. ორბელიანი თავის მოგო-
ნებაში (იხ. წ.-კ. საზ. ხელთნაწერები, № 1656), „ასე უნდა
მომხდარიყო, რომ მთელი კავკაზია **შავი ზღვიდან მოკიდე-
ბული კასპიის ზღვამდისინ**, სრულიად მთებისა და ბარის ხალ-
ხი უნდა გავერთებულიყავით და **ერთიანი აღრეულობა** მო-
გვეხდინა".

*) აქაც და დანარჩენ ციტირებულ ადგილებში დედანის
მართლწერაა დაცული.

როთ აქ ჩამოვაო. რადგანა – პოლკის მოსყიდვა ძნელი არისო
და არც შეიძლებაო, მაშინ სხვა უნდა მოვიგონოთ რამეო. –

მეორე: რაც თავადები ხართ და ამ საქმეში ურევიხართ,
ვისაც რა შეგიძლიანთ ყველამ გაიწეროს, და რომელმაც რა-
ერთი კაცი შეიძლოს, აქ ქალაქში უნდა ჩამოაპარონ, და თვი-
თონ თავადებიც აქ უნდა იყვნენო, ეგება ორი ათასი კაცი
მოახერხოთო, მაშინ ისინი უნდა გაიყოს. ზოგი არსენალზე უნდა
მივიდნენ, ზოგი ციხეთ. ამ ორს ადგილებს რომ დაიჭერთო,
მაშინ განთიადის დროს, უნდა ზარების რეკა მოახდინოთ, და
ამაში ძახილი თავისუფლებისა. – მაშინვე კაცნი მზათ უნდა
გყვანდეთო, რომ სოფლებში გაგზავნოთ, და შეუთვალოთ,
ალექსანდრე ბატონიშვილი ჯარებით ქალაქში შემოვიდა და
ყველასა გთხოვთ, რომ ჩამოხვიდეთო; ამაში კაცნი უნდა გყვან-
დეთ, რომ ლეკებში გაგზავნოთ; და ჯარი მოიწვიონ ალექსან-
დრე ბატონიშვილის სახელზედაო, – და ადრითგანვე, იმერე-
თში თავადიშვილები უნდა გყვანდეთ გაგზავნილი, რომელთაც
ნათესავები ჰყვანან იმერეთშიო, რომ იქაც აღრეულობა მოახ-

დინონო. სახანოებშიც, კაცნი უნდა გაგზავნოთ, თავადები რომ ისინიც აბუნტდნენო, – და ასე რიგათ უნდა მოახერხოთ, რომ პოლკები ერთი მეორესთან ვეღარ მივიდესო, თორემ, რაკი ერთად შეიყრებიან ვეღარც მოუცდითო, და მალეც წაგახდენენო; პირველი ის უნდა იყოს რომ პოლკებს, თავს დაესხათო – და ამისი მცდელნი უნდა იყოთ რომ, სადაც ზარბაზნები აქვთ, თქვენ წაართოთო, როდესაც სალდათი, უზარბაზნოთ დარჩებაო, მაშინ აღარა შეუძლიანთრაო; – ამაში თუნდა ჯარები რომ გამოგზავნონ, რუსეთიდგანაო, მაშინ, სამი ადგილი აქვთ შემოსასვლელიო: პირველი არაგვის ხეობაო; ის მარტოკა, ქვით და კლდით ესრეთ გამაგრდებაო, რომ ჯარები აღარ მოგინდებათ, რომ იქ დააყენოთ და იქიდგან ვერასდროს ვერ შემოვლენო. – მეორე შავი ზღვა არისო; აქაც რომ ათი ზარბაზანი და ექვსი ათასი კაცი რომ დააყენოთო, ვერაოდეს ვერ გამოგივლენ ჯარებიო. მესამე კასპის ზღვა დარჩაო, იქ დიდროვანი ხომალდები ვერ მუშაობსო და მგონია, სულ იქიდგან ჯარი არ მოვიდესო, და თუნდა მოვიდეს, წვრილი სუდნებით

მოვლენო, და ბევრი რომ გამოგზავნონ, ორი პოლკი ძლივ წამოვა აქედგანაო, და ვერას დროს ორი პოლკი ვერ გამოგივათ, ოთხი ათასი კაცი რომ იქა გყვანდეთ, კმარაო, და რამოდენიმე ზარბაზანითა. – და ეს სამი ადგილები რომ დაიჭიროდ, შემდეგ ნურაოდეს ფიქრი ნუღარ გექნებათ, რომ იქ რუსები შემოვიდნენ, მაგრამ უთოთ **რეგული** უნდა გამართოთ, ოდესცა აღრეულობა მოხდეს აქაო. – ამაში ყიზილბაშში, და ოსმალში კაცნი უნდა გაგზავნილნი გყვანდნენ, რომ ოღონდაც ხაზინით შეგვეწიენ თქო, და ერევანს და ახალციხეს თქვენ დაგანებებთ თქო. და ისინიც უთუოთ შეგეწევიან, ამებს რომ დაჰპირდებით, –კიდევ ფრნციაში ერთ-ერთი დიდი კაცი ვინმე გაგზავნეთ, რომ ეს აღრეულობა გამოუცხადოსო, და შემწეობა სთხოვოს საქართველოს მაგიერათავო, ესეც სთხოვოს, რომ რამოდენიმე ჭკვიანი კაცნი გამოგზავნონ, აქ საქართველოში, რადგანაც აქ დიახ ცოტა ჭკვიანნი კაცნი გყვანანო, ისინი იქიდგან რომ მოვლენ მაშინ, ის ფრანციცები, დიახ კარგათ დააწყობენ საქართველოში **რიგსაო**“... (481-492).

თამარი არა მარტო ჩვეულებრივი მეთაური გახდა ამ შეთქმულებისა, არამედ შეფიცულთ გადაწყვეტილი ჰქონდათ მისი დედოფლად გამოცხადებაც.

მართალია, შეთქმულთა წრეში სხვა და სხვა მიმდინარეობას ჰქონდა ადგილი და ზოგი მათგანი იმ დროინდელ რევოლუციების გავლენით რესპუბლიკანური იდეებისაკენ იხრებოდა, მაგრამ განა საფრანგეთის ივლისის რევოლიუციამ ლიუდოვიკე ფილიპე ორლეანელი მეფედ არ გამოაცხადა? ეტყობა – მაშინდელი რესპუბლიკანელები მოლიბერალო მონარქიზმსაც ეგუებოდენ და ყოველ შემთხვევაში, არა სჩანს, რომ რე-

სპუბლიკის მომხრენი: გრ. ორბელიანი, დოდაშვილი, რაზმაძე და სხვ. თამარის დედოფლობის წინააღმდეგი ყოფილიყვენ. საქართველოს მატიანეში ამის შესახებ ვკითხულობთ: „ხოლო წელსა 1832 დეკემბრის ე-სა შეითქვნენ ქართველნი თავადნი და აზნაურნი, რათა განდგენ რუსთაგან და **ჰყონ მეფეთ** ასული თამარ ერეკლეს ძის იულონისა, რომელ იყო ტფილისსა შინა“...

66

და სხვა. და ბოლოს: „შემდგომად განჯისა წარავლინეს ექსორიად ციმბირისკისა ქალაქსა შინა“-ო.

თვითონ ოფიციალური გამოძიების მასალა ადასტურებს მატიანეს ამ ცნობას და გვეუბნება, რომ როცა ელიზბარ ერისთავმა, რომელიც იყო ყველაზე აკტიური ორგანიზატორი შეთქმულებისა და ითვლებოდა თამარის ძმის – დიმიტრი ბატონიშვილის ემისრად საქართველოში, გააცნო თამარს „საქართველოს მმართველობის წესი“ (ესე იგი, მომავალი კონსტიტუცია), თამარმა ის მოიწონა და, თუმცა ყოყმანით, მაგრამ მაინც დათახმდა დედოფლობასო. თუმცა ამ დოკუმენტის ცნობით თამარს აზრად ჰქონდა დროებით აეღო ხელში საქართველოს მართვა-გამგეობა, ვიდრე ალექსანდრე ბატონიშვილი სპარსეთიდან ანუ თამარის ძმა, დიმიტრი პეტერბურგიდან ჩამოვიდოდა, მაგრამ ეს საქმის ვითარებას არა სცვლის. (იხილეთ აქტები, ტ. VIII, გვ. 406).

აჯანყების პირველი ღამის გეგმა და ახალ მართვა-გამგეობის წესი შეთქმულთა უმაღლეს ორგანოსაგან დამტკიცებულად და სახელმძღვანელოდ უნდა ჩაითვალოს, რის გამო აშკარაა ყველანი შეთანხმებული ყოფილან თამარის გამეფებაზე – პირველ ხანებში მაინც...

ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, შეთქმულნი ხელს აფარებდენ თამარს, ამიტომ ბევრი რამეს გამომჟღავნება მისი მონაწილეობის შესახებ ვერ მოხერხდა, მაგრამ ოფიციალურ გამოძიების ზოგ ადგილიდან უკვე სჩანს: რა დიდი და საპატიო როლი მიუნიჭებიათ მისთვის შეთქმულთ. მათ გასაოცარი კონსპირაციით უმოქმედნიათ და ამ მხრივ მართლა დაუცავთ ბერ ფილადელფოს კიკნაძის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო წესდება ამ საიდუმლო ორგანიზაციის: „სჯულნი გონიურისა აქტისანი“.

როგორც ვიცით, ეს აქტი მასონურ ლოჟების პრინციპის გადმოტანა იყო ჩვენს პოლიტიკურ მუშაობაში და თვითეული წევრი მარტო ორ-სამ დანარჩენს თუ იცნობდა (იხ. „საქართველოს არქივი“ და ზევით დასახელებული წერილი კახაბერისა „კავკასიონ“-ში).

თამართან ფართოდ დაყენებული კავშირიც არავის ექნებოდა, მაგრამ შეთქმულებს ხომ უნდა სცოდნოდათ – ვისთვის სწირავდნენ თავს და ვინ უნდა გამხდარიყო განთავისუფლებულ სამშობლოს საჭეს მპყრობელი!

ორგანიზაციულად კი თამარს, როგორც სჩანს, კავშირი ჰქონია მარტო შეთქმულთა ზოგ წევრთან : ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, ზავილეისკისთან, თეკლა ბატონიშვილთან, ელ. ერისთავთან და ძმებ ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანთან; ეს ორი უკანასკნელი ხომ მისი ახლო ნათესავი იყვნენ (მამიდაშვილნი – თეკლა ბატონიშვილის ვაჟნი). თუ სააგიტაციოთ წევრნი იესე ფალავანდიშვილთან, ალექსანდრე ორბელიანთან და სხვებთან იკრიბებოდენ და გაცხარებით და აღფრთოვანებით ღაღადებდენ და დისკუსიებს მართავდენ, თამართან მარტო ინსტრუქციების მისაღებად მიდიოდენ და საგანგებო მუშაობაზე მსჯელობას მართავდენ (უმთავრესად სტრატეგიულ და საორგანიზაციო ხასიათისა); აქტებში ნათქვამია, რომ სხდომები თამართან იყო: „მენეე ბუინია, ნო სტოლ ჟე პრესტუპნია“...

როგორც ვიცით, თამარს თვითონ ჰქონდა მეორე ცენტრთან (პეტერბურგის შეთქმულებთან) უშუალო კავშირი და რუსთა პოლიტიკას ხომ პეტერბურგის წრეებში უფრო იცნობდენ და რუსეთის საგარეო გართულებათა ყოველი ნიუანსი იცოდენ.

თუ არ ვცდებით, პეტერბურგიდანვე მოდიოდა თამარს რჩევა აღმოსავლეთში გამწვავებულ ურთიერთობის გამოსაყენებლად.

ცნობილია, რომ მას ჰქონდა კავშირი თავის ბიძა ალექსანდრე ბატონიშვილთან, რომელიც ამ ხანად სპარსეთში იღვწოდა და ოსმალეთის და ეგვიპტის შეჯახებას დიდის ინტერესით ადევნებდა თვალს.

საჭირო იყო ალექსანდრე ბატონიშვილთან პირადათ მოლაპარაკება (შეთქმულები მას კახეთში შემოჭრას სთხოვდენ ალ. ჭავჭავაძის წინადადებით), აღმოსავლეთის მდგომარეობის

ახლო გაცნობა და შეიძლება ეგვიპტეს ფაშასთან, მაჰმედ ალისთან, ან მის შვილობილ იბრაჰიმთან აუდიენციის მიღება...

ალექსანდრე ბატონიშვილი ამ დროს დიდ ცდაში იყო ქაზი-მულას ოპერაციები რითიმე დაეკავშირებინა ეგვიპტე-პორტას ომთან, რომ რუსეთი ოსმალთ არ მიხმარებოდა.

ასეთ დიდ და საპასუხისმგებლო საქმეს ალბად თამარს თუ ანდობდენ და მასაც გადაუწყვეტია წასვლა, ვითომდა სალოცა-

ვად, იერუსალიმში.

სწორედ იმ ხანებში (1831) დაიჭირა იბრაჰიმმა იაფა და იერუსალიმი და ეგვიპტეს გამარჯვებაში დაეჭვებაც ძნელი იყო...

აქტებში ნათქვამია, რომ თამარი აპირებდა ალექსანდრე ბატონიშვილთან შეთქმულებაზე მოსალაპარაკებლად წასვლას და სათანადო სამზადისში იყო, გარეგნულად კი, თითქოს „სალოცავად" მიემგზავრებოდა იერუსალიმში, რომ რამე ხიფათი არ შეყროდა, მაგრამ შეაჩერეს იმის შიშით, თითქოს მთავრობას ამის შესახებ იჭვი მიეტანოსო (იხ. აქტები, 8).

აქტების ამ მოკლე ცნობის ფრჩხილებს ხსნის ლენინგრადიდან ჩამოტანილი საგამომძიებლო მასალა, რომელიც თამარ ბატონიშვილის სხვა უფრო ფართო გეგმებსაც ამჟღავნებს. ამ ქალს გასაოცარი წინდახედულება და შორსჭვრეტა გამოუჩენია აჯანყების საქმის წინასწარ **დიპლომატიურ** მომზადებისათვის; მისი გეგმები მოწმობენ, რომ მართლაც ზღაპრებია ოფიციალურ, მმართველ წრეთაგან საგანგებოდ მოტანილი ვერსია აჯანყების მეთაურთა „ფუქსავატობაზე, თავქარიანობაზე, მასიდან სრულ მოწყვეტილობაზე და გულუბრყვილო რომანტიკოსობაზე"... შეთქმულთა მეთაურს, თამარს არა მარტო ორგანიზაციულ-სტრატეგიული გეგმა მიუცია აჯანყებისათვის, არამედ მას პარალელურად უცდია მეზობელ ერებში – მთელს კავკასიაში გადაეტანა ეს ამბოხება; ხოლო მეორეს მხრივ – წინასწარ დაკავშირებოდა დიდ, გავლენიან სახელმწიფოებს, რომლებიც ცოტათ თუ ბევრად შეიძლებოდა დაინტერესებუ-

ლიყვნენ საქართველოს და საერთოთ კავკასიის პოლიტიკურ ვითარებით...

თამარ ბატონიშვილს განუზრახავს (და საამისოდ მზადებაც დაუწყია), შესაფერის მხლებლებით და თანამშრომლებით 1831 წელს საზღვარგარეთ გასულიყო და იქ ალექსანდრე ბატონიშვილთან უშუალო კავშირი დაეჭირა. ამ გზით ის უკავშირდებოდა სპარსეთის კარს, საცა მის ბიძას, ალექსანდრეს აბას-მირზას წყალობით კიდევ დიდი გავლენა ჰქონდა, ხოლო შემდეგ კი ქაზი-მულას (მთას) და ეგვიპტეს ფაშას.

ალექსანდრე ბატონიშვილი თამართან ხომ კარგა ხანია კავშირში იყო და შიკრიკებსაც უგზავნიდა. მაგრამ თამარის გეგმები „დიპლომატიურ კავშირისათვის" ბევრად უფრო შორს იწევდა: სახელდობრ ევროპის დიდ სახელმწიფოებისაკენ. შევჩერდეთ საგამომძიებლო მასალის შესაფერ სდგილზე; ალ. ორბელიანი უჩვენებს:

„1831-სა, განზრახვა გვქონდა, წინადადებითა თამარ ბა-
ტონიშვილისათა, – მე ჩემი ცოლშვილით, ელისბარ, და გიორ-
გი დავითის ძეთ ერისთოვთ, და ჩემ ძმას ვახტანგს, რათა უნდა
წავსულიყავით იერუსალიმს ხელმწიფე იმპერატორის ნებითა,
და ოსმალოს სამღვარში, რომ უნდა შევსულიყავით, – მაშინ
ჩვენთაგანი ერთ-ერთი რომელიმე ალექსანდრე ბატონიშვილ-
თან უნდა წასულიყო, ის ჩვენთან მოეყვანა და შემდეგ სწო-
რეთ იერუსალიმს უნდა მივსულიყავით, იქ ქრისტეს საფლავს
თაყვანი უნდა გვეცა, და იქიდან, ფრანციას პარიჟში უნდა
მივსულიყავით; იქიდგან გვსურდა, და განძრახვა გვქონდა
რომ ანგლიაში გაგვეგზავნა ვინმე და ჩვენი მისვლა პარიჟში
ეცნობებინა, – შემდეგ ჯერ აქ პარიჟში უნდოდათ ეჩივლათ
რომ უსამართლოდ არის წართმეული საქართველო, ბაგ-
რატიონთაგან, – შემდეგ ანგლიაში უნდა გავსულიყავით, და
აქაც ესე უნდა შეგვეჩივლა, და ყველგან შემწეობა უნდა
გვეთხოვნა, რომ თავიანთ მამული ისევ დაჰბრუნებოდათ, ესე
იგი საქართველო, და განეთავისუფლებინათ რუსებიდგან, შე-
მდეგ ამ აზრისა აღარ მოგვიხდა წასვლა და ვეღარ გაბედა

თამარ ბატონიშვილმა წასვლა, ამისთვის რომ ეჭვს შემოიტანს
მთავრობაო, და ვაითუ ავათ მოგვიხდეს საქმეო; შემდეგ ამისა
ზაგოვორი რომ დავიწყევით პოლშის ბუნტის დროს, ბევრ-
ჯელ მე და ელისბარ მივდიოდით ხოლმე თამარ ბატოიშვილ-
თან. ელისბარ, და თამარ ბატონიშვილი საიდუმლოთ რაღასაც
ლაპარაკობდენ ხოლმე. ერთხელ მე უთხარი მათ, რა იქნება
მეც მითხრათ რას ლაპარაკობთ მეთქი. – შემდეგ გამიტყდნენ,
და მითხრეს, რომ ჩვენა გვსურს რომ საქართველო განვათა-
ვისუფლოთო, – შენც მონაწილე იყავ ჩვენიო, რომელიც
მეც დიახ სიხარულით ვეთანხმე, და ამის შემდეგ, ბევრჯელ
გვილაპარაკნია მე, ელისბარს ერისთოვს ჩემ ძმას ვახტანგს,
და გიორგი დავითის ძეს ერისთოვს, თამარ ბატოიშვილთან".

თამარს რა თქმა უნდა, ასეთის დიდის ამალით, არ შეეძ-
ლო საიდუმლოდ დაძრულიყო ტფილისიდან და როგორმე
საზღვარზედ გადასულიყო; მით უმეტეს, მასზე როგორც სა-
ერთოთ ყველა ბაგრატიონებზე, ზვერვა არასდროს არ შენე-
ლებულა. ამიტომ მან გადასწყვიტა – ეს მოგზაურობა ლეგა-
ლურის გზით მოეხდინა: მითომდა იერუსალიმში სალოცავად
მიდიოდა. მაგრამ, როგორც ვიცით, ფრთხილმა თამარმა ამ-
ჯობინა ბოლოს ეს აზრიც მიეტოვებინა, რადგან სამზადისი
უეჭველად ერთგვარ მითქმა-მოთქმას გამოიწვევდა. აქვე
უნდა აღინიშნოს, რომ განზრახული იყო თამარის საქართვე-
ლოდან გასვლის დროსვე მოსკოვიდან ოქროპირ ბატონიშვი-
ლი „რითაც ღონით უნდა ყოფილიყო ფრანციაში უნდა წა-
სულიყო და იმას იქედან უნდა ესაქმა“...*).

ალბათ ოქროპირ თამარს უნდა დაკავშირებოდა და სა-

ქართველოს დამოუკიდებლობისათვის ევროპის სახელმწიფოთა დასაინტერესებლად ერთად ემოქმედათ... თამარის განსაკუთრებით საპატიო და საპასუხისმგებლო როლზე ლაპარაკობს მისი კავშირი შეთქმულების ორ გამოჩენილ წევრებთან, რომელნიც უშუალოდ არც ერთ **შეთქმულთან** (გარდა ლ.

*) ibid, გვ. 366.

ორბელიანისა, რომლის საშუალებითაც ალ. ჭავჭავაძე გადაბმული იყო შეთქმულთა ცენტრთან), არ ყოფილან დაკავშირებულნი. ესენი არიან: ვიცე-გუბერნატორი ზავილეისკი (პოლონელი) და ღენ. ალ. ჭავჭავაძე. ორივე ესენი ყველაზე ფრთხილნი და წინდახედულნი – ეტყობა – მარტო თამარს თუ ენდობოდენ... კომისიის საამისო შეკითხვაზე ალ. ორბელიანი იძულებულია უჩვენოს, რომ „თამარ ბატონიშვილის დიახ ახლო მცნობი თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე იყო და ზავილეიცკიც ოდესაც აქ იყო დიდათ პატივსა სცემდა, – და მე, დასძენს ალ. ორბელიანი „მაშინ, აგრეთვე ეხლაც ეჭვი მაქვს, რომ **მათ ჰქონდათ რაიმე განზრახვა საქართველოსა ზედა“** *); მეორე ადგილას მგოსანი ვახტ. ორბელიანი საგამომძიებლო კომისიას აჩვენებს, რომ თამარს დიდი ავტორიტეტი და გავლენა ჰქონდა საქართველოს მაშინდელ წარჩინებულ მანდილოსნებზე; „1832 წ. ნოემბერში“, ამბობს ვ. ორბელიანი, „თამარ ბატონიშვილმა სთქვა თავის სახლში, მე რომ ვიყავ მაშინ, რომ მას შეუძლიან დაარწმუნოს ყველა ქართველი თავადიშვილი ქალები, რათა მათ აიძულონ თავიანთი ქმრები შეადგინონ შეთქმულება რუსების წინააღმდეგ“ **).

დავუბრუნდეთ ისევ 1831 წლის მზადებას და შემოდგომის თვეებში წარმოებულ იმედიან მუშაობას. ვარშავის დაცემის ამბები ჩქარა მოვიდა ტფილისს და იესე ფალავანდიშვილის მიერ ეცნობა ეს შტაბს. დაიმსხვრა იმედი, გაჰქრა აღფრთოვანება და ცივმა ანალიზმა მოიცო შეთქმულთა წრეები...

ამ ხანებში ხდება შეთქმულების ერთგვარი მინელება, რაც აჯანყებულ პოლონეთის სრულმა დამარცხებამ გამოიწვია.

შეთქმულთა წრეს ფართო ხასიათი დროებით ეკარგება და აჯანყება უფრო მოხერხებულ დროისათვის გადაიდება; ისინი ეხლა აშკარაა, რუსეთის ახალ გართულებას ელოდებოდენ.

*) იხ. „1832 წლის შეთქმულება“, გვ. 367.

**) იქვე.

ამ მიწყნარების დროს ერთგვარი აქტიურობა მაინც არ დაუკარგავს შეთქმულთა მთავარ ცენტრს და „შტაბი“ მუშაობას განაგრძობდა. დოკუმენტები გვეუბნება, რომ სწორედ თამართან ამ ხანებშიაც არ შეწყვეტილა ბჭობა-მოლაპარაკებაო. აშკარა იყო – ეს აქტიური ცენტრი ამ ხანად დიპლომატიურ-ორგანიზაციულ მუშაობას განაგრძობდა, ხოლო შეთქმულთა ფართო ნაწილი გადავიდა საპროპაგანდო-საკულტურო მუშაობის ხაზზე და ს. დოდაშვილმაც დაიწყო „ტფილისის უწყების“ გამოცემა, საცა მიუხედავათ უსასტიკეს ცენზურულ პირობებისა, მაინც ახერხებდა პატრიოტულ ლექსების და ისტორიულ ამბების მოთავსებას, რა თქმა უნდა დიდის ქარაგმებით.

მალე მდგომარეობა ხელახლა შეიცვალა და რუსეთს ყოფა გაუმწარდა; საჭირო გახდა ჩრდილო კავკასიაში ჯარების დიდი ნაწილის გადასხმა; ქაზი-მულასა და ალექსანდრე ბატონიშვილის შორის შიკრიკები უფრო გახშირდენ, ესენი ეგვიპტეს ფაშასთან ცხელ მიწერ-მოწერაში იყვნენ; რუსეთი ებმოდა უიმედო ომში ეგვიპტესთან და ვერც ოსმალეთს შველოდა ამით რაიმეს; იბრაჰიმმა მთელი სირია დაიკავა, ოსმალეთის მთავარ სარდალი დაამარცხა და დააპატიმრა და სწორედ ამ კრიტიკულ ხანაში თამარს სამზადისი არ შეუნელებია და ყველაფერი გათვალისწინებული იყო დიდ აჯანყებისათვის.

პირველი ღამის, რომელიც საქართველოსათვის ისტორიული უნდა გამხდარიყო, მოქმედების გეგმა მის მიერ დამტკიცებული იყო და ამ ღამით ტფილისის ზარებს უნდა ემცნოთ ქართველი ერის აღდგომა... არსენალი, ხაზინა, სამხედრო პოსტები, ყველაფერი უნდა ერთბაშად დაეკავებინათ და ტფილისში მდგომ ჯარშიაც თავისი ხალხი ჰყავდათ შეთქმულთ.

მოვისმინოთ ამის შესახებ საგამომძიებლო მასალის ერთი ადგილი: ალ. ორბელიანი უჩვენებს: „ჩვენ გვსურდა, ესრეთ როდესაც აქ აღრეულობა მომხდარიყო, მაშინ თამარ ბატონიშვილი უნდა გამოგვეყვანა, და ხალხისათვის უნდა გვექადაგნა, რომ აი, ჩვენი მემკვიდრე ბაგრატიონთ ქალი, თამარ, რომე-

ლიც ყველანი ამას უნდა მორჩილებოდნენ და რაც გვიბრძანოს უნდა აღვასრულოთ, ამაში, უნდა ზარების რეკას მოჰყოლოდნენ და სიონის სამრეკლოზე, სამი, კაცი უნდა ასულიყვნენ და იქიდგან ეყვირნათ თავისუფლება, და სიხარული, ყოველსა ერსა ზედა, ამ დროს უნდა კაცნი გაგვეგზავნა და მთელი საქართველოს ხალხნი აქ უნდა ჩამოსულიყვნენ: თავადნი, აზნაურნი, და ქუდზე ყოველი კაცი უნდა გამოსულიყვნენ, მაშინ უნდა ვცდილიყავით, როგორც იყოს პოლკები გავაწყოთ რეგულისა, და რიგი დავდოთ და მაშინ დაინიშნონ ნაჩალნიკები და მხედველობის ქვეშ გვყვავდნენ ნაჩალნიკნი. მხედართ მთავრათ პირველად უნდა ყოფილიყო ღენერალ-მაიორი

ივანე აფხაზოვი, ჯერ მკვდარი არ იყო, მასკვან ალექსანდრე ჭავჭავაძე, მესამედ ვასილი ბაბუთოვი, მეოთხედ ღენერალ-ლეიტენანტი გიორგი ერისთოვი, და ღენერალ-მაიორი სა-ვარსამიძე, – სასამართლოთ პრეზიდენტათ პირველი მუხრან ბატონი ყოფილიყო, და ამისი თანაშემწევნი გიორგი ჭილაევი, და ღუბერნატორი თავადი ფალავანდოვი უნდა ყო-ფილიყვნენ, და აქედგან ყოველი სამხედრო განკარგულება უნდა მომხდარიყო – შემდეგ კაცნი უნდა გაგვეგზავნა ალექ-სანდრე ბატოიშვილი უნდა მოგვეყვანა, – ბოდბელიც ჩამო-გვეყვანა ამჟამათ და ქალაქს გარეთ ბოდბელი შემოსილი და ყოველი საქართველოს ბერნი და ღვდელები შემოსილი უნდა გაჰგებებოდნენ კარახტინთან, და ამაში მთელი საქართველოს ხალხი; იქიდგან უნდა წამოგვეყვანა, და წინ რამთენიმე კაცნი უნდა გამოსძღოლოდნენ, და ეძახათ თავისუფლება. იქიდგან პირდაპირ სიონში უნდა შეგვეყვანა, პარაკლისი აქ გადაეხა-დათ და ამის შემდეგ რამოდენიმესამე დღისა, მომხდარიყო განკარგულება".

აი, კიდევ ცოტა, და თამარს სიონში შეიძლება დედოფ-ლის გვირგვინი დაედგა და დარიალიც სამუდამოდ ჩაკეტილიყო...

და ამ დროს გამოჩნდა გამცემი, შეთქმულთა აქტიური წე-ვრი, ტფილისის ღუბერნატორის ძმა იესე ფალავანდიშვილი და ყველაფერი დაიღუპა...

74

თამარ ბატონიშვილის დაპატიმრება თუმცა დიდის ხნითვე იყო განზრახული, მაგრამ ის ისე მოხერხებულად იცავდა თავს, ისე ღირსეულად და ჭკვიანად იქცეოდა პირველ დაკითხვების დროს, რომ საგამომძიებლო კომისიამ ხელმოსაკიდებელი მას ვერაფერი უპოვა. მაგრამ, კომისიას ალბად მთავრობიდან კა-ტეგორიული ხასიათის ბრძანება მოუვიდა და ბოლოს, მიუხე-დავად იმისა, რომ ყველა პატიმრები გააფთრებით იცავდენ და ხელს აფარებდენ ამ უგვირგვინო დედოფალს, თამარი 24 თებე-რვალს 1833 წ. მაინც დაიჭირეს. ასე რომ მაინც კარგა ხნით გადარჩა ის დაპატიმრებას პირველ დაჭერების შემდგომ. და-კითხვებზე მხოლოდ ერთხელ გასცა თამარმა წერილობითი პა-სუხი და ისეთი მოკლე, ლაკონიური და ყოველგვარ ბრალდე-ბათა კატეგორიულის უარყოფით, რომ ბევრ პატიმარ მამა-კაცთ შეეძლოთ სამაგალითოდ გაეხადათ ეს მისი ჩვენება *). შემდეგ განმეორებითი შეკითხვებზე თამარმა არ ინება პასუხის გაცემა იმ საბუთით, რომ მან უკვე ყველაფერი ამოსწურა პი-რველს წერილობით ჩვენებაში და სურს ეხლა მოწმეთ პირის-პირ წაუყენონ. კომისის საანკეტო კითხვები, რომელიც რა-მოდენიმე გვერდს იჭერენ, შეთქმულების ისტორიის ყველა მთავარ მომენტებზე ჩერდებიან და ყველა მონაწილეთა შესა-ხებ ცალკეულად კითხვებსა სვამენ. ყველა ამაზე თამარი და-ჯინებით, მტკიცედ და მოკლეთ მიუგებს: „მე ყოველთვის

ამას ვარწმუნებ მთავრობას: არაფერი არა ვიცი რა, არც არა შემიძლიან რომ ვსთქვა"-ო; ანდა ნაცნობებთან დამოკიდებულებაზე ამგვარად მიუგებს: „ზავილეისკის ვიცნობდი ისე, როგორც სხვათ გუბერნატორებს“... „მართას ვიცნობ, როგორც სხვათა კეთილშობილთა დედათ"... „ალექსანდრე, დიმიტრი და ვახტანგ ჩემი მამიდაშვილები არიან, კიდეც მიყვარან, მეგობრობა კი არა მაქვს მათთან"... და სხვა... და ბოლოს ასეთ მზაკვრულ დაა მცდელ შეკითხვაზე: „**იცოდით** რომ მათ ყველას, ან რომელსამე მათგანს ჰქონდათ სურვილი ენახათ საქართველო რუსეთისაგან განყოფილი და დამოუკიდებელი ყო-

*) იხ. ,,1832 წლის შეთქმულება“, გვ. 374.

ფილ ქართულ სამეფო სახლის მმართველობის ქვეშ?"-ო, თამარი ისეთსავე მტკიცე და დინჯის კილოთი მიუგებს: „მე არაფერი არა ვიცირა, და ვერც მოვიფიქრებ, რომ ამისთანა საშინელი განზრახვა ჰქონდა ვისმე, რომელიც არის წინააღმდეგი ღვთისა და სრული გონების მიხდა კაცისა, რომელიც მოინდომებს საქართველოსთვის, რომ რუსეთის მფარველობა აღარ ჰქონდეს“ *)... რაოდენი ცრემლიანი ირონიაა ამ პასუხში დამარხული!... მაგრამ ამ მტკიცე პასუხებმა და ღირსეულმა თავდაჭერამ საქმეს ვერა უშველეს. სამხედრო მინისტრის საიდუმლო მიმართვაში როზენისადმი (16 ნოემბერს 1833 წ., № 1213) ნათქვამია, რომ ხელმწიფე იმპერატორმა წაიკითხა რა აღნიშნული ქაღალდები, ინება ებრძანა, რომ „თამარ იულონის ასული გადასახლებული იქმნას ქ. სიმბირსკში“-ო.

ასეთი იყო პატიმრობა, ისტორიული „ყაზარმობა“, ჩვენება ვრცელის რუსეთის", როგორც მატიანე ამბობს და რასაც ის არ ამბობს, ეს იყო – ცრემლთა ნაკადი სადედოფლოდ გამზადებულ თამარისა, მარტოობაში რო სდიოდა შორეულ სიმბირსკში.

* *

მეორე თვალსაჩინო წევრი შეთქმულთა იყო: მამიდა თამარისა, თეკლა ბატონიშვილი, სახელოვანი ქალი მეფე ერეკლესი, პოეტი და მწიგნობარი, სამაგალითო დედა და უფრო შესანიშნავი დედაკაცი.

ეს იშვიათი ქალი დიდ ერეკლეს მოხუცებულობას უტკბობდა და ხშირად ათქმევინებდა თურმე: „ჩემს ვაჟიშვილებს ჩემის თეკლეს სიკეთე რო სჭირდეთ, ბედნიერი ვიქნებოდი“-ო (იხ. ილია ჭავჭავაძის წერილი ვახტანგ ორბელიანზე, IV). ცნობილია, რომ ის 16 წლამდე ვაჟურად შემოსილი ხშირად

*) იხ. თამარ ბატონიშვილის პასუხი საგანგ. კომისიას, – „1832 წლის შეთქმულება“, გვ. 373—379.

დაჰყვებოდა მამას, მუდამ მისი ნუგეში და ამავე დროს თაყ-
ვანისმცემელი დარჩა. მერმე ეს დიდება რო ჩაესვენა და მას-
თან საქართველოს მწუხრი დადგა, თეკლა ამაყ დედას – დარე-
ჯანს მხნედ ამოუდგა გვერდით და რუსებს მკერდი მიუშვირა...

სათუთი გამოდგა ქალის მკერდი რუსულ ხიშტისათვის და
იმ დროს ქალთა სახელოვანმა კრებამ საქართველო ციციანო-
ვის ბრჭყალებიდან ვერ იხსნა. მაგრამ თეკლამ ამ საკითხში და-
თმობა არ იცოდა და ცდილობდა მამულის ასე აოხრება ძვი-
რად დაეჯინა რუსეთის იმპერიისათვის.

მაგრამ ერეკლე მართლა საბუთიანად ნანობდა, რომ თეკ-
ლა ქალი იყო და ხმლის ტრიალი არ ემარჯვებოდა. სიამაყე,
ძველებური ქედმაღლობა მაინც უხვად იყო მასში დაშთენილი
და, როცა მისი დედა მუხრაანიდან შეპყრობილი წამოიყვანეს,
ქნარით თან ეახლა და თითქმის მოზდოკამდე მიჰყვა დედოფალს;
გავიხსენოთ ამ ეპიზოდიდან ისტორიული ღამე კაიშაურში: —

დარეჯან დედოფალი, რუსთა ჯარებით შემორტყმული,
ღამის გასათევად ისვენებს, რომ დილით გზა განაგრძოს პეტერ-
ბურგისაკენ, საცა ის ციციანოვმა მეფეს უნდა მოჰგვაროს, რო-
გორც აღსრულებული საქართველოს უკანასკნელი ემბლემა;
შუაღამისას ვიღაც მოხუცი მთიული გამოეცხადება დედოფალს
და მიმართავს (ისტორიკოს ალექსანდრე ორბელიანის სიტყ-
ვებია) : „მთელი მთიულეთი დიდი ხანია მზადებაში ვართ; ეხ-
ლა სულ შეყრილნი გახლავართ აქვე მახლობლად; თუ ნებას
მომცემთ გათენებისას დავესხმით ამ რუსის ჯარს, გავსწყვეტთ,
თქვენ ერთიან მთაში შეგიყვანთ, და მას უკან რაც მოხდება,
ის ღვთის ნება იყოს დედოფალო“-ო.

თეკლა ბატონიშვილი: „მამა ჩემს, მეფეს ერეკლესთან
გახლავარ დასწრობილი ბევრს სროლაში, თვით თქვენც იცით
ესა, რომლისაგან ნება მქონდა კაცურად ჩაცმული ვყოფილი-
ყავ და იმათთან მევლო... ეხლა თუ თქვენი ნება იქნება ვაჟ-
კაცურად ჩავიცეამ, თოფ-იარაღს შემოვირტყამ, ამ ჩემს ქმარ-
საც თან წავიყვან და ამ მოხუცებულ კაცს ქვევითით თან გაგ-

ყვებით“-ო... (ამოღებულია ვ. კოტეტიშვილის „ქარ. ლიტ.
ისტორიიდან“, გვ. 17).

მაგრამ დარეჯანი ამ თავგანწირვას, რომელიც უშედეგო
უნდა ყოფილიყო, მოერიდა. თეკლას კი სამშობლოს და დედის

ცეცხლი მრავალ წლობით დაჰქონდა გულში და შურისძიების ხმალს იდუმალ ლესდა.

მისი მოქმედების გზა შეიკრა, ყოველი საშუალება წაართვეს და მან ქმრის სიკვდილის შემდგომ შვილებს დაუწყო ძველ თავისუფალ ქართველის რაობის დამყნა.

გავიდა წლები და სამი ვაჟი, სამივე სახელოვანი, მებრძოლნი და მწიგნობარნი მოჰგვარა საქართველოს. დიდ ილიასაც უთქვამს: „თეკლა ბატონიშვილი ზედმიწევნით მცოდნე ყოფილა მის დროინდელ ქართულ მწერლობისა, საღმთო წერილისაც, კარგად განათლებული მაშინდელ კვალობაზე, სიბრძნით და სათნოებით შემკული, ამასთან საკვირველი მხნე და გამჭრიახი... ამისთანა დედა, რა თქმა უნდა, ბევრს რასმეს სანაღვლელს და სანატრელს სახელოვანი წარსულისა ჩააგონებდა თავის შვილს და გაუთბობდა გულს სამშობლო ქვეყნის სიყვარულითა და წარსულის ღრმა პატივისცემითა“ (იხ. ილია, ტ. IV, გვ. 266).

მართლაც, თეკლა ბატონიშვილს დიდი მორიდებით და სიყვარულით იხსენიებენ მისი შვილები; ალ. ორბელიანი თავის ისტორიულ ნარკვევში ხშირად იმოწმებს საყვარელ დედას და ამბობს: „ძველთაგან ხშირად გამიგონია, რომ ბატონიშვილი თეკლა მეფის ერეკლის ოჯახის მატიანეა და მართალი დედაკაციც არისო, წმინდა სვინდისიანიო" (ალექსანდრე ორბელიანი: „დედოფალი დარეჯან“, გვ. 113).

მისი მეორე შვილი, დიდი პატრიოტი და მგოსანი ვახტანგ ორბელიანიც მრავალ ადგილას იხსენიებს სახელოვან დედას, რომელმაც სიყრმიდანვე ღრმად ჩაუნერგა სამშობლოს სიყვარული; და დედის ანდერძმა მთელი სიცოცხლე ამ გზისათვის არ გადაახვევინა პოეტს:

„სული მიკვნესის, გული ჩემი მწარედ ღონდება, რა მაგონდება, **რასაც დედა ნორჩს მომითხრობდა**“-ო, ამბობს ის.

და როცა 1832 წლის შეთქმულებისათვის დიდი მზადება შეიქმნა, თეკლას სამივე შვილი სათავეში ჩაუდგენ ამ საქმეს; არა მარტო შვილები, არამედ თეკლას მთელი ოჯახი შეთქმულთა ბანაკი იყო, რომელსაც ძაფები ჰქონდა გაბმული თამართან, დიმიტრისთან პეტერბურგში, ალექსანდრესთან სპარსეთში და ბორჩალოს თათრ,ებთან. თეკლას რძლებიც ხომ ამზადებდენ დროშას საქართველოს ისტორიულ ღამისათვის და ყველა ამას უძღოდა და ტონს აძლევდა თვითონ ღირსეული დედა, თეკლა, მიუხედავათ მოჭარბებულ წლებისა.

და მეფე ერეკლეს ქალი გახდა 1832 წლის შეთქმულების

აქტიური წევრი და საქართველოს სამსხვერპლოზე მთელი ოჯახი მიიტანა...

უნდა ვიფიქროთ, რომ ალექსანდრე ორბელიანის მიწერ-მოწერა დიმიტრი და ოქროპირ ბატონიშვილთან, თეკლას უახლოესი თანამშრომლობით ხდებოდა და ალბად საგანგებოდ პეტერბურგიდან 29 და 30 წლებში ჩამოსული ოქროპირი მისგან ბევრ საგულისხმო დარიგებას მიიღებდა.

საგამომძიებლო მასალის შესწავლა გვაჩვენებს, რომ ალ. ბატონოშვილისადმი მიწერილი პირველი მოწოდება არაჩვეულებრივის უცნაურის ხელით და მსხვილი ასოებით ყოფილა დაწერილი. ამის ავტორი თეკლა ბატონიშვილისა უნდა ყოფილიყო. როზენის მოხსენებაში ნათქვამია, რომ ეს უცნაური ხელი თურმე „ძალიან მიემსგავსება თეკლა ბატონიშვილის ხელს“ *).

შეთქმულთა შტაბის წევრი ღ. ლუარსაბ ორბელიანი აჩვენებს, რომ მას ალექსანდრე ორბელიანისაგან წინასწარ გაგონილი ჰქონია, რომ ალექსანდრე ბატონიშვილთან მიწერ-მო-

*) იხ. „1832 წლის შეთქმულება“, გვ. 56.

წერა აქვს აგრეთვე მის დედას – თეკლა ბატონიშვილსაც"-ო *).

ალექსანდრე ბატონიშვილის სპარსეთიდან გამოწვევის და ამბოხების სათავეში ჩადგომის იდეას რამოდენიმედ ალექს. ჭავჭავაძეს აწერენ, მაგრამ ლუარსაბ ორბელიანი აჩვენებს, რომ ეს გამოწვევა თეკლა და თამარ ბატონიშვილთა თანხმობით ხდებოდა. ლუარსაბ ორბელიანი ამბობს: „1832 წელს მოვიდნენ ერთხელ ჩემთან ალექსანდრე ვახტანგისძე ორბელიანი და ელიზბარ ერისთავი, და ალექსანდრე ორბელიანმა საუბრის დროს ალექსანდრე ბატონიშვილის გამოწვევის შესახებ სთქვა, რომ **მან შარშანვე** აცნობა ამ ბატონიშვილს და რომ ამის შესახებ იციან ბატონიშვილებმა როგორც თეკლამ ისე თამარმა; ამას ელიზბარიც (ერისთავია ნაგულისხმები) ადასტურებდა**). გასაგებია და ბუნებრივი, რომ თამარ ბატონიშვილი დიდის მორიდებით და პატივით ეპყრობოდა თვის მამიდის, თეკლას ფიქრებს და ნააზრევს შეთქმულების შესახებ და ალბათ მუდამ ხანგრძლივი მსჯელობა ექმნებოდა მასთან, ვიდრე რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებდა. რომ შეთქმულების პირველივე უჯრედის წევრი თეკლა შეიქმნა, ეს უკვე დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს; მაგრამ ისევე უდავოდ უნდა მივიღოთ ის მოსაზრებაც, რომ თეკლა შემდეგშიაც იდეური ხელმძღვანელი იყო ამ საქმისა თამართან ერთად და არც მისი შვილები და არც ელიზბარ და დიმიტრი ერისთავები უმისოდ არც ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯს არა სდგამდნენ. მოწმე და შე-

მდეგ კი ბრალდებული ქალი, შთქმულთა წევრი და „კავშირი" მართა მესხიშვილი უჩვენებს, რომ 1832 წ. ზაფხულზე, როცა ამბოხებისათვის გახურებული მზადება იყო, „თამარ ბატონიშვილით თითქმის ყოველ დღე იყო თეკლა ბატონიშვილისას და იქ ხშირად იარებოდენ ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები და ელიზბარ ერისთავიც"-ო ***)

მაგრამ ჭკვიანმა და წინდახედულმა ბატონიშვილმა თავი-

*) იქვე, აგრეთვე იხ. გვ. 188.
**) იქვე, გვ. 368.
***) იხ. ,,1832 შეთქმულება", გვ 428.

დან ყოველი ღონე მიიღო, რომ თუ საქმე გამომჟღავნდებოდა, მისი მონაწილეობა არავის შეეტყო; ეს იმიტომ რომ შემდეგში ლოიალობის გზითა და პეტიციებით, ვითარცა მოხუც დედას და დიდებულ ერეკლეს საყვარელ ქალს, თვისი შვილების და დანარჩენ მონაწილეთა ბედი როგორმე შეემსუბუქებინა; ფიქრობდა, რომ ამ მხრივ მას ვერვინ შესცვლიდა და მისი სარგებლობაც თვალსაჩინო იქმნებოდა. საერთოთ თეკლა, როგორც საქართველოს ამბოხებებში მრავალჯერ გამოცდილი და მოწამე რუსთა უსასტიკეს ეკზეკუციებისა, საქმეში ყველაზე მეტ სიფრთხილეს იჩენდა და სხვებსაც ამგვარ დარიგებას აძლევდა*).

თეკლას პიროვნებისათვის ფრიად დამახასიათებელია ერთი ადგილი ალექსანდრე ორბელიანის მოგონებიდან, საცა ალექსანდრე თვისი დაპატიმრების წუთებს აღწერს, როცა ის მეუღლე ეკატერინას გამოეთხოვა და შემდეგ დედას მიაშურაა..." ... ჩემმა კატინამ" (მეუღლე ალექსანდრესი) „სუნთქვა ამოუშვა უსიტყვო და მეც შეწუხებული გამოველ, აქედან ბატონიშვილს დედაჩემთან შეხველ. იმან **ყველა იცოდა** ჩვენი ამბავი" (ე. ი. შეთქმულებაო) „მხოლოდ ჩემგნით და ჩვენმა ამხანაგებმა კი არ იცოდნენ მისი ამბავი**). როდესაც ყველა განუცხადე იმან მითხრა:

– „მაგ საქმის ამბავი, ჩემი ხომ არავინ იცისრა, რომ მე ვიცი ეგ საქმე".

– მე არავისთვის არა მითქომს რა", მე მოვახსენე.

*) გამოძიება ამტკიცებს, რომ ის შეთქმულთ ურჩევდა: ოჯახში მოსამსახურეებთან არ ელაპარაკნათ არც თუ რუსულად, რადგან მას ეჭვი ჰქონდა, რომ ზოგ მოახლეს რუსულიც ესმოდთ (იხ. „1832 შეთქმულება" იქვე).

**) ესე იგი, დანარჩენ მონაწილეთ არა სცოდნიათ თეკლას შეთქმულთა წრეში მონაწილეობის ამბავი; მისი „კავშირი" მხოლოდ ალექსანდრე ორბელიანი ყოფილა.

– „რადგან არავინ იცის რა, უთუოდ ეგ აგრე უნდა ყოფილიყო, აი **ამიტომ რომ მე ეხლა საჭირო ვარ თქვენთვის, ყველასათვის**. ამას თავი დავანებოთ, ეხლა ეს გაიგონე“.

თავის შესაფერის გულით მოჰყვა ასე.

– „მაგისთანა პატიოსანს განზრახვასთან **სანანურად ნუღარ მიგაჩნიათ თავი**. შენი ცოლშვილებისთვის შენ ნუღარას ინაღვლი, მე იმათი მომვლელი და პატრონი ვიქნები, ოღონდ **რაც უბედურება მოგადგესთ, მოთმინებით მიღეთ,** კარგი, წადი ღვთისათვის მიმიბარებიხართ ერთობ თქვენთან“ *).

ასე მხნეთ და ამაყად ხვდება თეკლა ბატონიშვილი ამ საშინელ კატასტროფას. მან იცის, რომ ამ დიდ მამულიშვილურ აქტს მსხვერპლიც დიდი სჭირია და მოხუცი ქართველი დედა შვილს ანდერძად უდებს, რომ „მაგისთანა პატიოსანს განზრახვასთან სანანურად ნუღარ მიგაჩნდებათ თავი“-ო; ეს ღირსეული დედა კმაყოფილია, რომ მისი ვინაობა ვერ გამომჟღავნებულა... როგორც აღვნიშნეთ, არა იმიტომ, რომ მას ამ დიდი ვალის მოსახდელად თვისი თავი დანანებოდეს; არა ამ ქალმა შიში არ იცოდა და ერეკლეს ტრადიციებს ეხლაც გაუტეხელად იცავდა; კმაყოფილი იყო მარტო იმის გამო, რომ ამ ყოფაში სხვათა დახმარება შეეძლო: **„ეგ, იმიტომ“,** განმარტავს თეკლა, **„რომ მე ეხლა საჭირო ვარ თქვენთვის, ყველასთვისო“-ო.**

მაგრამ ამ საპატიო სამსახურის გაწევა ბატონიშვილს მაინც არ დააცადეს... ის იმდენად გამოკვეთილი სახე იყო ბაგრატიონთა წრეში, იმდენად იყო ჯერ კიდევ ციციანოვ-რტიშჩევ-პასკევიჩის დროსაც დამძიმებული, რუსეთის წინააღმდეგ ჩადენილ ფარულ და აშკარა „ცოდვებით“, რომ გამოძიება მას არ დაინდობდა; კვალდაკვალ მისდევდა მას კომისია, ვიდრე ზოგ ფაქტებს მაგრა არ ჩასჭიდა ხელი. ტყვილი გამოდგა შეთქმულთა ცდა, მზრუნველობა და სიყვარული მისდა გადასარჩენად.

---

*) იხ. „1832 შეთქმულება“, გვ. 123.

მართლაც რომ თამარზე უფრო დაინდვეს შეთქმულებმა ეს შესანიშნავი ცოცხალი განძი, მეფე ერეკლეს დიდებიდან დაშთენილი, და გამოძიებისას არაფერში დაასახელეს. მაგრამ ისედაც ყველამ კარგად იცოდა მისი ვინაობა; ამიტომ რისხვა ამ მოხუც დედასაც არ ასცდა და თავის შვილებთან ერთად ისიც კალუგაში გადაასახლეს...

დატრიალდა პეტერბურგის ქართველთა საზოგადოება, ბევრს ეცადენ და ბოლოს მოალბეს ნიკოლოზ I-ის გული და

მოხუც თეკლას როგორც იყო 1837 წ. საქართველოში დაბრუ-
ნების ნება მისცეს...

მაგრამ ეს აოხრებული, უსახო საქართველო აღარ უნდო-
და მის გულს და დაშთენილი 10 წელი მან მწარე ვაებში გაა-
ტარა და უსიხარულოდ დალია დღენი“...

* *

აქტებში მოკლედ იხსენიება შეთქმულთა შორის ბატონი-
შვილი რიფსიმე, გიორგი მეფის ასული, მეუღლე დიმიტრი ჩო-
ლოყაშვილისა. არა სჩანს, რომ მას პირდაპირი კავშირი ჰქო-
ნოდეს შეთქმულებთან, მაგრამ ეს ალბად იმას უნდა მიეწეროს,
რომ პეტერბურგის წრემ კარგად მოახერხა ყველაფრის დრო-
ზე გადამალვა და მათი ჩვენებაც წინასწარ შეთანხმების შე-
დეგად მოხდა.

საფიქრებელია, რომ მათ უფრო ადრე გაიგეს ტფილისის
ცენტრის ჩავარდნა, ვიდრე თვითონ მთავრობამ; მთავარ ხელ-
მძღვანელს, ბატონიშვილს დიმიტრისაც კი ვერა უპოვეს რა
საეჭვო და გამოტეხაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

ოფიციალური მასალა გულისწყრომით აღნიშნავს, რომ
პეტერბურგის წრიდან ყველანი ერთგვარ ჩვენებას იძლევიან,
თითქოს წინასწარ იყვნენ შემზადებულნიო (აქტები, ტ. VIII,
გვ. 401).

რიფსიმეს არ შეეძლო ახლო მონაწილეობა არ მიეღო ამ
საქმეში, საცა მისი ძმა ოქროპირი მთავარი ხელმძღვანელი იყო
შეთქმულთა, ხოლო მისი შვილი კაპიტანი ზაქარია, რომელსაც
ჯერ ოსმალეთთან ომში მიეღო მონაწილეობა (ვარნის აღება-
ში) და შემდეგ 1831 წელს, პოლონეთში დიდი ომები გადაე-
ტანა, შეთქმულების ერთე-რთ ემისარად და „კავშირად"
ითვლებოდა აჯანყებულებთან.

შეთქმულთა მიერ განზრახულ აჯანყების ტეხნიკურად
მოსაწყობად რიფსიმეს ვაჟი გამოეგზავნათ პეტერბურგიდან
ტფილისს 1832 წლის შემოდგომაზე. სჩანს, რიფსიმე განსა-
კუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდა შეთქმულების საქმეს
და როცა ზაქარია ტფილისს გამოგზავნა, აუკრძალა კიდეც
შვილს საყვარელ ბიძის ოქროპირის ნახვა მოსკოვში. საერთოდ
ის მოსკოვის შეთქმულთა წრეს არ უნდა გაჰკარებოდა და ისე
პირდაპირ ჩასულიყო ტფილისში (აქტები, ტ. VIII, გვ. 905),
რაც მან კიდეც შეასრულა.

ჩამოსვლისთანავე ზაქარია დიმიტრისძე ჩოლოყაშვილი პე-
ტერბურგის დავალებას აცნობს ტფილისს და აქ შეთქმულთა

მეთაურ წრეში თვალსაჩინო ადგილს იჭერს. აქვე აღმოჩნდებიან მისი ძველი ნაცნობი სამხედრო პირები, პოლონელი ოფიცრები, პოლონეთის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ საქართველოში რომ იქმნენ მივლინებული სასჯელის სახით, ამ პირთ ის ქართველ შეთქმულებს უკავშირებს; ამავე დროს გაცხოველებულ პროპაგანდას ეწევა და დეკაბრისტების და აჯანყებულ პოლონელების ბრძოლათა საგმირო ეპიზოდებს აცნობს მოწინავე ქართველობას და გამოსვლისათვის ამხნევებს. მაგრამ მისი მთავარი დანიშნულება კი იყო თამარისა და ალ. ჭავჭავაძისთვის მაშინდელ საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ დაწვრილებითი ცნობა მიეწვდინა. რასაკვირველია, ზაქარიას დედას – რიფსიმეს არ შეიძლებოდა არა სცოდნოდა, თუ რაგვარ დავალებებით იგზავნებოდა მისი ვაჟი რუსეთიდან ტფილისის მთავარ შტაბის განკარგულებაში.

* *

პეტერბურგში იმ ხანად იმყოფებოდა ბატონიშვილი სალომე, ასული 1804 წლის მთიულეთის დიდი ამბოხების გმირის, ფარნაოზისა.

ერეკლეს ეს უმრწმესი ვაჟიც ციციანოვმა 1805 წელს ოჯახითურთ ვორონეჟში გადაასახლა და პატარა სალომემ თამარის მსგავსად ბავშობიდანვე იგრძნო სუსხი მაშინდელ რუსეთის „მფარველობისა". შეთქმულების წლებში სალომეს პეტერბურგის ცენტრში ვხედავთ და როგორც ჰგავს, იქაურ ქართველ ქალთა შორის ყველაზე აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღოს.

როცა დიმიტრი ბატონიშვილის მეთაურობით შეთქმულთა წრე პეტერბურგში ჩაისახა, აქ ელიზბარ და დიმიტრი ერისთავთან ერთად, სჩანს, სალომეც ყოფილა. ამ ქალს ყველაფერი ხელს უწყობდა, რათა ღირსეული მამის საქმე გაეგრძელებინა და ისიც თავგანწირვით ბოლომდე არ მოშორებია საქართველოს აჯანყების აზრს.

როგორც სჩანს, ტფილისიდან შეთქმულთ უმეტესად დიმიტრისთან და სალომესთან ჰქონიათ კავშირი და როცა დიმიტრი კონსპირატიული მოსაზრებით ერთ ხანად განზე გადგა და ელიზბარს და დიმიტრი ერისთავთ შიფრიან წერილებზე პასუხი არ გასცა, მაშინ მიწერ-მოწერა საიდუმლო მზადების შესახებ ბატონიშვილ სალომეს ხელში გადასულა. თეკლას ოჯახთანაც არ შეუწყვეტია მას საჭირო ცნობების მიწოდება და ალექსანდრე ორბელიანიდან იღებდა შესაფერ პასუხს (აქტები, ტ. VIII, გვ. 409). სწორედ ბატონიშვილ თეკლას ოჯახი იყო ის ძაფი, რომელიც სალომეს მომავალ დედოფალთან საიდუმლოდ აკავშირებდა... და თუ დანარჩენმა ქალებმა პეტერ-

ბურგის ცენტრიდან სასჯელის საფრთხეს თავი დააღწიეს და იჭვები აიცდინეს, სალომემ ეს ვერ შესძლო...

მისი რთული და საიდუმლო საქმიანობიდან ზოგი რამ

მაინც არ გამოპარვია რუსეთის მთავრობას და მრისხანე ნიკოლოზ პირველის ბრძანებით ბატონიშვილი სალომე დამნაშავეთა მეოთხე კატეგორიაში ჩარიცხეს (აქტები, VIII, გვ. 411).

მაგრამ ბატონიშვილი სალომე მარტო არ მოქმედებდა შორეულ პეტერბურგში; მას გვერდით უდგა მისი მამა ფარნაოზი, რუსეთის მთავრობასთან წარმოებულ ბრძოლათა დაუცხრომელი ბელადი; ერეკლეს ამ უკვე ხანში შესულ ძეს დიდი იმპერიის სიძულვილი პეტერბურგში ლტოლვილობის დროს არა მარტო პოეზიაში გადაეტანა და „დაკარგულ სამოთხეს" დასტიროდა; იგი ძველებურადვე ცდილობდა ყოველ აქტიურ საქმეში და წამოწყებაში, რომელიც საქართველოს და ბაგრატიონთა აღდგომას ემსახურებოდა, პირველ რიგში მდგარიყო.

„აქტებ"-ში საამისო საბუთებს ვერ იპოვიდით, ხოლო იჭვით კი იტყოდით, რომ შეთქმულების ჟამს პეტერბურგში მყოფ ფარნაოზს არ შეიძლებოდა რაიმე მონაწილეობა არ მიეღო ამ პატრიოტულ აქტის სამზადისში. ახლად აღმოჩენილი დოკუმენტები კი აშკარად აღნიშნავენ, რომ ბატონიშვილი და მისი მთელი ოჯახი ერთი მთავარ-ფაქტორთაგანი ყოფილან პეტერბურგის ემიგრანტთა შეთქმულებისა; საკმარისია აღვნიშნოთ ბირთველ თუმანიშვილის ჩვენება, რომელიც მან 1833 წელს საგამომძიებლო კომისიას მისცა; აქ ის სხვათა შორის ამბობს, თითქოს ერისთავთაგან გაუგია, „რომ ამ საქმის*) დამწყები და დამრიგებელი არის მეფის ძე – ფარნაოზ და ამის დაწყობით და დარიგებით ეს „ბოროტი" საქმე ჰქნეს"-ო **). მეორე ადგილას კი სოლ. დოდაშვილი ელიზბარ ერისთავის განცხადების თანახმად აჩვენებს, რომ რუსეთში მყოფ ბატონიშვილთაგან ოქროპირის გვერდით ფარნაოზიც იყო ამ საქმეშიო; პეტერბურგიდან ემისრად ჩამოსული ტფილისის შტაბის პირველი ხელმძღვანელი ელიზბარ ერისთავი, თვითონაც აცხადებს, რომ ის ამ საქმეების გამო მიწერ-მოწერაში იმყოფება ფარნაოზ

*) ესე იგი, შეთქმულების.

**) იხ. „1832 წლის შეთქმულება", გვ. 255.

ბატონიშვილთან*). ლურსაბ ორბელიანის ჩვენებიდან სჩანს, რომ ზაქარია ჩოლოყაშვილს (ბატონიშვილ რიფსიმეს ვაჟს) პეტერბურგიდან ამბავი მოუტანია, რომ „ფარნაოზ ბატონიშვილმა განგებ შეირთო მდიდარი სენატორის ქალი, იმ

მიზნით, რომ მიღებულ ფულებით საფრანგეთში წავიდეს და იქ **იმოქმედოსო****) აშკარაა, რომ თამარ ბატონიშვილი თვის საყვარელ ბიძა ფარნაოზთან მუდმივ კავშირში იქნებოდა, ხოლო ამ კავშირის უშუალო ჯაჭვი ბატონიშვილი სალომე იყო.

მოსკოვის შეთქმულთა წრეში, სალომეს როლს როგორცა ჰგავს ოქროპირ ბატონიშვილის და ასრულებდა. სამწუხაროდ, ამ ქალის სახელს ჩვენ ვერსად შევხვდით; შეთქმული სოლ. დოდაშვილი, რომელიც რუსეთის ორივე ცენტრებთან (პეტერბურგთან და მოსკოვთან) და ყველა ბატონიშვილებთან მჭიდროდ იყო გადაბმული, აჩვენებს, რომ ეს ქალი შეთქმულთა პირველ უჯრედის წევრი ყოფილა. ჯერ კიდევ 1827 წელს, როცა ეს მოძრაობა მხოლოდ იდეურად იყო ჩასახული და ორგანიზაციულად ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულიყო; აი ასეთ დროს, ამ ქალს საქმის ერთ-ერთ გამძღოლად ვხედავთ. „მე რომ 1827 წელს“, აჩვენებს სოლ. დოდაშვილი, „მოსკოვში ვიყავი, იმათ***) საკუთარ სახლში, მოვისმინე ოქროპირ ბატონიშვილის კოჭლი დისგან დარიგება, რათა ჩემი მოწაფეებისათვის შთამეგონებინა, რომ მათ არ უნდა დავიწყებოდათ ქართველი ბატონიშვილი“****).

რა თქმა უნდა ეს ქალი, რომელიც ოქროპირ და მიხეილ ბატონიშვილთა და იყო, დოდაშვილს სხვა დარიგებასაც მისცემდა, განსაკუთრებით საკულტურო-საპროპაგანდო მუშაობისათვის საქართველოში.

---

*) იქვე, გვ. 220.
**) იქვე, იხ. გვ. 188.
***) ესე იგი ბატონიშვილთა.
****) იხ. ,,1832 წლის შეთქმულება“, გვ. 220.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი მეფის მეორე ასულსაც ვხვდებით ამ ახალ დოკუმენტებში დასახელებულს.

მართალია, რუსთა მიერ განგვირგვინებულის, ვორონეჟის მონასტერში ძალად მოთავსებულის სამეგრელოს დედოფალის, ნინოს, შეთქმულებასთან პირდაპირ კავშირს ვერ ვხედავთ, მაგრამ საბუთიანია ვიფიქროთ, რომ ეს ქალი, საქართველოში რუსეთის ბატონობას რომ არასოდეს შერიგებია, ეხლა ამ შეთქმულების განვითარებას გულის ძგერით ელოდებოდა. შეთქმულების სულიერი მამა და მის საძირკველთა ჩამყრელი ბერი ფილადელფოს კიკნაძე გამოტყდა, რომ მას მართლაც ჰქონდა კავშირი სამეგრელოს დედოფალ ნინოსთან ვორონეჟში. უეჭველია, ეს კავშირი სხვა, უფრო დიდ მიზნებს ისახავდა ამ დროს, ვიდრე რუსული ენის შესწავლას, რასაც ფილადელფოსი კომისიის თვალის ასახვევად აჩვენებდა *).

ჩვენ თავიდანვე ვფიქრობდით, რომ თეკლა ბატონიშვილ-

თან ერთად შეთქმულების ახლო მონაწილე უნდა ყოფილიყო ერეკლეს მეორე ქალიც – ბატონიშვილი ქეთევან. ეს ქალი ხომ ადრევე ჩაება რუსთა ბატონობის საწინააღმდეგო ბრძოლებში და როგორც ვიცით, ფარნაოზის და ალექსანდრე ბატონიშვილების ამბოხებებთან კავშირისათვის, ციციანოვმა ის დააპატიმრა და გამოძიებაში მისცა**). ისე, როგორც ალექსანდრე ბატონიშვილი რამოდენიმე ათეულ წელთა შემდეგაც ახალ ხელისუფლების ბატონობას არ შერიგებია და ბაგრატიონთათვის ტახტის დასაბრუნებლად კვლავ იბრძოდა, სწორედ ამგვარადვე შეურიგებელი დარჩნენ მისი დებიც; და ჩვენ მართლაც ვხედავთ, რომ ქეთევანს ამ შეთქმულების წლებშიაც კავშირი ჰქონია გარდახვეწილ ბატონიშვილთან და 1832 წელს მას სპარსეთიდან შიკრიკიც მოსვლია. ახალ დოკუმენტებიდან სჩანს, რომ სემინარიელი თალიაშვილი, რომლის მამა (მოძღვარი) ალექსანდრე ბატონიშვილს სპარსეთში ხლებოდა და მისი

---

*) იხ. ჩვენი წერილი: სამეგრელოს დედოფალი ნინო“.

**) იხ. ამაზე ჩვენი წერილი: „მეფე ერეკლეს ქალები“.

მარჯვენა ხელი გამხდარიყო, შესაფერ დროს, ტფილისის შტაბის დავალებით, ბატონიშვილთან სპარსეთს გადასულა და შემდეგ მშვიდობით დაბრუნებულა საქართველოში.

თალიაშვილს ალექსანდრე ბატონიშ.-სგან ორი წერილი ჩამოუტანია: ერთი ფარნაოზის და მეორე ქეთევან ბატონიშვილის სახელზე. თალიაშვილი ქეთევანს პირადად ხლებია და წერილთან ერთად აშკარაა დავალებასაც გადასცემდა მას, თუმცა ეს მის ჩვენებაში უარყოფილია. ამის შემდეგ თალიაშვილი რუსეთს გამგზავრებულა, იქაურ ბატონიშვილებთან მოსალაპარაკებლად. ამნაირად სპარსეთის ხაზი ალექსანდრე ბატონიშვილიდან ქეთევანით ტფილისზე მოდის და შემდეგ რუსეთში ოქროპირ და დიმიტრი ბატონიშვილებს აღწევს *). შეთქმული მართა მესხიშვილი თავის გასამართლებლად აჩვენებს, რომ ის არ დაიარებოდა არც ბატონიშვილ თეკლასთან და არც ბატონიშვილ **ქეთევანთან**; ასე დიდ ცოდვად უთვლიდა მთავრობა ყველას ქეთევანთან კავშირს.

შეთქმულ ბატონიშვილ ქალთა დასთან უნდა მოვიხსენიოთ თეკლა ბატონიშვილის რძალი ეკატერინე ორბელიანისა, დავით ბარათაშვილის ასული. თუმცა ეს ქალი თვითონ არ ეკუთვნოდა ბატონიშვილთა გვარს, მაგრამ ბატონიშვილის ოჯახში იღწვოდა და იყო მეუღლე დიდი ერეკლეს შვილისშვილის ალექსანდრე ორბელიანის. თვით ალქესანდრე, როგორც ვიცით, იდეური ხელმძღვანელი და ორგანიზატორთაგანი იყო შეთქმულთა შტაბისა და მისი მეუღლეც მას გვერდით უდგა, ამხნევებდა და აქეზებდა ყველა მის ნაბიჯს...

ის იყო არა მარტო ღირსეული მეუღლე და დედა, არამედ ღრმა პატრიოტი ქალი, წმინდა საქმისათვის აღფრთოვანებული; და აკი დაუფასეს კიდეც ყველა ეს ქართველმა ქალებმა და რო-გორც ალექსანდრე ორბელიანი ამბობს: „პატივი დასდეს და მიანდეს“ ამბოხებისათვის საგანგებო დროშის დამზადება. ამ ქალის დასახასიათებლად ჩვენ მოვიყვანთ ალექ. ორბელიანის

---

*) იხ. „1832 წლის შეთქმულება“, გვ. 432-3.

მოგონებიდან ზოგიერთ ადგილს მისი დაპატიმრების ამბებს რომ ეხება. ალექ. ორბელიანი, სწერს: „ჩვენს ოთახში ერთი მოახლე შემოვარდა და შეშინებულის ხმით დაიძახა: – ბატო-ნებო, სალდათები მოვიდნენ და ფანჯარიდან გვიყურებენ“-ო. ჩემა კატინამ ხმა არ ამოიღო. მე საჩქაროდ წამოვდექ, სინათ-ლის ანთება უთხარ, იქნებ შეუტყვიათ და ჩემი სიზმარი აცხადდეს"–კატინაო! სწორეთ გეტყვი. ამის შემდეგ დიდს უბედურებაში ჩავარდები. თუ ღვთის მადლობით მოითმენ, ღმერთი კიდევ მოგვხედავს, და თუ მოთმინებით არ იქნები, იმედი ნუღარ გაქვს, ჩემი ნახვა კიდევ გეღირსოს, ამისათვის რომ უბედურების მომთმენს ღმერთი წყალობს და მოუთმე-ნელზე ხელაღებულია“. ღვთის მშობლის წინ დაიჩოქა და გულ-მხურვალეს ცრემლით დაიძახა: – **„ამის მადლს ვევედრები, მე სუსტს დედაკაცსა შენი უბედურება მამათმენინოს,** მაგრამ მე რომ უბედურებაში მეგულებოდე, როგორ უნდა მოვითმინო?" – კატინო! მაგისთვის შენ ნუ სწუხარ, მე ვიცი ჩემ თავს რო-გორ გამოვიხსნი უბედურებიდან, ოღონდ შენ მოთმინებით და დიდ სულოვანად იყავ“. მინამ ჩემი კატინა მეტყოდა რასმეს, ჩემი დეიდაშვილი თ. გიორგი რევაზისძე ერისთავი, ჩვენთან შემოვიდა და განსვენებულის გულით და მყარის სიტყვით მითხრა: „ალექსანდრე, კომენდანტი და პოლიცმეისტერი ჩვენს ოთახში შემოვიდნენ, სადაც მე და შენი ძმა ვახტანგ ვდგევართ და ორთავ გვითხრეს: ბარონ როზენმა დაგიბარათო. ეტყობა, რომ ჩვენი შეთქმა გამოცხადებულა, ახლა რა ვქნათ“, – ამის მეტი ჩვენ ვეღარა გამოგვიხსნისრა, რომ რაც უნდა გვტანჯონ, არ გავტყდეთ“. გიორგის სიტყვის თქმა აღარ დასცალდა, ვახ-ტანგი შემოვიდა, პოლიცმეისტერი თან შემოჰყვა, მოვიდა და მითხრა: „ბარონ როზენმა საჭირო საქმეზე დაგიბარათ, მაგრამ რაც ქაღალდები გაქვთ, თან უნდა წავიღოთ“. ამას უკან ჩემს კატინას მოუბრუნდა და გულღრძოს ცბიერის ღიმილით უთხრა (რადგან ჩემმა კატინამ რუსული არ იცოდა, ჩემმა ძმამ უთარგ-მნა და პასუხი ამისაგანვე უთხრა): „თქვენ ამაზე ნუ შესწუხდე-ბით, ამ ორს საათზე თქვენი ქმარი აქვე მოგივათო“. ჩემმა კა-ტინამ **მედიდური სახით უპასუხა**, რომელიცა დაუვიწყებელ

არს ესე – „პოლიცმეისტერო, რასაც მეუბნებით, თქვენი სი-

ტყვა მართალი არ არის, მაგრამ მე კი სწორეთ გეტყვით, **სადაც ამ ჩემს ქმარს დასომთ საპყრობილეში, მეც ამასთან რომ შე-მიყვანოთ, და განუშორებლად ამასთან გამაყოლოთ, უფრო მადლობელი ვიქნები“. ჩემი კატინაც ერია ჩვენს საქმეში,** სხვა-ნი ქართველნი ქალებიც ბევრი, რომელთაცა ჩემს კატინას ვა-ლათ დასდეს, რევოლიუციის ბაირახი შეეკერა. ამ ჩემს კატინას სიტყვაზე პოლიცმეისტერმა ხმა არ ამოიღო, ჩემ დეიდაშვილ გიორგის და ჩემს ძმას ვახტანგს თვალებში ცრემლი მოერიათ, მე შემომხედეს, რომ გულხელდაკრეფილი მე და ჩემი კატინა ერთმანეთს შევცქეროდით, მაგრამ მე ეს მაშინვე მოვიშორე და ტანისამოსი მოვითხოვე ჩასაცმელად, ამ დროს გიორგი და ვახტანგ თავის ოთახში გავიდნენ, პოლიცმეისტერი იმათ გა-ჰყვა და ჩემი საკუთარი ქაღალდებიც თან წაიღო. მე რომ ტა-ნისამოსი ჩავიცვი, შემდეგ ჩემს კატინას გამოვეთხოვე, მისა-ხვედრია როგორც“. (იხ. „1832 წ. შეთქმულება“, გვ. 122-3).

იმ შესანიშნავ ქალებთან, რომელთაც შეთქმულების წმინდა აღთქმისათვის ბოლომდე არ უღალატიათ, სოლ. დოდაშვილის მეუღლეც უნდა მოვიხსენოთ. ის წვრილის შვილებით ციმბირში თან გაჰყვა თვის ქმარს, რამდენიმე წელი სიმშილ-სიცივეში და დამცირებაში გაატარა ვიატკაში და იქვე დაუხუჭა თვალები თვის საყვარელს და ნუგეშს სოლომონს.

სოლ. დოდაშვილი 1833 წლის მიწურულში იქმნა გადა-სახლებული და ალბად მისმა ცოლმა ნება ითხოვა – რათა ქმარს შვილებითურთ თან გაჰყოლოდა ვიატკაში. 1836 წელს სოლ. დოდაშვილის გარდაცვალების ჟამს (მას ჭლექმა მოუსწრაფა სიცოცხლე, სუსტმა ჯანმრთელობამ ვიატკის სასტიკი ჰავა ვე-ღარ აიტანა*) ეს ქალი მასთან იმყოფებოდა ორის მცირე წლო-

*) რამოდენიმე თვით ადრე სოლ. დოდაშვილმა თხოვნით მიმართა სამინისტროს პეტერბურგში და მისი ექიმიც დაიმოწ-მა, რომ მას ჭლექის პროცესი ჰქონდა და ვიატკის ჰავა – სულ მალე მოუსწრაფადა სიცოცხლეს; იგი ითხოვდა სამხრეთში

ვანის შვილით. ვიატკის სამოქალაქო გუბერნატორი შინ საქმ. მინისტრს აცნობებს, რომ ,,20 აგვისტოს სოლომონ დოდაევი გარდაიცვალა, დარჩა რა ცოლი და ორი მცირე-წლოვანი შვი-ლი, რომლებიც ვიატკაში იმყოფებიან. დოდაევის ცოლი **მწუ-ხარებისგან მომკვდარებული ამ უცხო მხარეს მიტაცებული,** განიცდის საშინელ სიღარიბეს ორი მცირეწლივანი შვი-ლითურთ და არც გააჩნია არავითარი საშუალება, არც შესა-ძლებლობა საქართველოში თავის ნათესავებთან დასაბრუნებ-ლად. აღძრული შებრალების გრძნობით“, განაგრძობს გუბერ-ნატორი, „უბედურებაში მყოფ დოდაევის მეუღლის მიმართ, ვბედავ ვითხოვო თქვენი უაღმატებულესობის განკარგულება, ხომ არ შეიძლება მიეცეს დოდაევის ქვრივს რაიმე დახმარება, რათა მან შესძლოს ორი ობლით თვისიანებთან დაბრუნება“.

(იხ. 1332 წ. შეთქმულებთან დართული დოკუმენტი დოდა-
შვილის გარდაცვალების შესახებ, გვ. 517).

* *
*

შეთქმულ ქალთა წინა წრეში სდგას დაი ელიზბარ და დი-
მიტრი ერისთავთა მელანია, შანშე ერისთავის ასული, რომე-
ლიც კოლგ. სავეტნიკს ანდრია იაკობისძე მელნიკოვს ჰყავდა

გადასახლების უფლებას; 27/7 1836 წელს მოვიდა სამხედრო
მინისტრის პასუხი, რომ დოდაშვილის თხოვნა მოხსენდა ხელ-
მწიფეს, მაგრამ „მისი დაკმაყოფილება მისმა უზენაესობამ არ
ინება“-ო. ვიატკის გუბერნატორმა 19 აგვისტოს 1836 წელს,
ამავე მიზნით მეორე თხოვნაც გაგზავნა ხელმწიფის სახელზე,
მაგრამ უკვე გვიან იყო, სწორედ მეორე დღეს მიიცვალა დო-
დაშვილი. როცა რუს დეკაბრისტების ცოლები თავის ქმრებს
– რუსეთშივე გადასახლებულთ მიყვებოდენ, ამას დიდ რაინ-
დობათ უთვლიდენ, ხოლო ქართველ ქალის ორ პატარა ბავშით
საქართველოდან შორეულ ციმბირში გარდახვეწა და იქ ქმრის
დაკარგვა, განა უფრო მეტი გმირობა არაა?..

ცოლათ. როგორც ვიცით, ელიზბარ და დიმიტრი პეტერბურ-
გიდან ბატონიშვილ დიმიტრის და საერთოდ იქაურ ცენტრის
დავალებით ჩამოვიდნენ; ამის შემდეგ შეიძლება ითქვას, პირ-
ველობა და აქტიური ხელმძღვანელობა ელიზბარ ერისთავს
ჩაუვარდა ხელთ. მან ბინა თვის დასთან – მელანიასთან დაიდო
და ამ დღიდან მელანიას ოჯახი მომქმედ შტაბის საერთო ბი-
ნად გადიქცა. მელანია თავიდანვე გაცნობილი იყო ამ საქმეს-
თან და მალე ძმების მესაიდუმლე გახდა. ამ ქალის ოჯახში
იქმნა პირველად მოსმენილი შეფიცულთა მთავარი დოკუმენ-
ტი: „აქტი გონიერი“, აგრეთვე ცნობილი „პირველ ღამის გან-
კარგულება“ და სხვა სადევიზო აქტებიც; აქვე იკრიბებოდენ
შტაბის ყველა პასუხისმგებელი წევრები. გიორგი ერისთავი
კომისიას უჩვენებს, რომ მელანიასთან მასაც ულაპარაკნია ამ
განზრახულებებზე და რომ ეს მელანიამ „ყველაფერი ადრევეც
იცოდა“-ო *). საფიქრებელია, რომ სწორედ ამ ქალის გავლე-
ნით მისი ქმარიც (უკრაინელი) მალე გაერია ქართულ შეთქ-
მულებაში და მეთაურთ ხელსაც უწყობდა. ეს მელნიკოვი ტფი-
ლისის პოლიცმეისტერი იყო და ასეთი საპასუხისმგებლო თა-
ნამდებობის პირის შეთქმულებაში გარევა დიდი გამარჯვება
იყო ტფილისის შტაბისა, რაიც უმთავრესად მელანიას მიეწე-
რებოდა. ლუარსაბ ორბელიანის ჩვენებაში ვკითხულობთ:
„კოლ. სოვეტ. მელნიკოვმა იცოდა ჩვენი შეთქმულება და
განზრახვანი, თავის მხრივ იწონებდა და გვაძლევდა რჩევებს და
სხვა...“ **). გამოძიებამ ხომ მელნიკოვიც დამნაშავედ იცნო.

მელანია სხვა შეთქმულ ქალებთანაც იყო დაახლოებუ-

ლი და ამათ რიგში მანანა ორბელიანთან. შევჩერდეთ ორის სიტყვით ამ საინტერესო ქალის როლზეც 1832 შეთქმულეზაში.

დამნაშავეთა მეოთხე წყებაში მოაქციეს მაშინდელი მოწინავე საზოგადოების თვალსაჩინო წევრი და ქართველ ქალებ-

*) იხ. „1832 წლის შეთქმულება“, გვ. 408.
**) იქვე, გვ. 69.

ში თითქმის ყველაზე წარმტაცი და საინტერესო პიროვნება მანანა ორბელიანისა, რომელიც ტფილისის შეთქმულთა წევრი ყოფილა.

ჩვენ არ ვიცით, რა ბრალი ედებოდა ამ ქალს და რა მოცულობის იყო მისი როლი შეთქმულებაში, მაგრამ სჩანს იგი უმნიშვნელო არ უნდა ყოფილიყო, თორემ ბატონიშვილ სალომეს გვერდით მას არ მოაქცევდენ დამნაშავეთა კატეგორიაში.

ეს ქალი მაშინდელ და შემდეგ ათეულ წლების შავ-ბნელით მოცულ საქართველოს სინამდვილეში, მართლაც შუქურ ვარსკვლავად მოსჩანს და ტყვილად კი არ აუმღერებია მაშინდელი პოეტები.

მანანა ორბელიანის და მაშინდელ მოღვაწეთა და პოეტთა მიწერ-მოწერის უკლებლივ თავის მოყრა რომ შეიძლებოდეს, ეს იქნებოდა ნამდვილი სარკე ოცდაათიანი და ორმოციან წლების ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებისა.

მანანა მაშინდელ ქართველ ქალებში არა მარტო საუცხოვო სილამაზით განირჩევოდა, არამედ ჭკუით, სიმახვილით და იშვიათი გემოვნებით. იონა მეუნარგიამ მას სამართლიანად უწოდა. საქართველოს მადამ რეკამიე.

როგორც აღვნიშნეთ, დიმიტრი ბატონიშვილის საგანგებო ემისრების ელიზბარ და დიმიტრი ერისთავთა საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, მთავარ შტაბის ბინად ერისთავთა სადგომი – მელანია მელნიკოვის ოჯახი გადაიქცა. მანანაც ამ წრეს დაუახლოვდა და მუდმივი წევრი და მესაიდუმლე გახდა ამ შეთქმულთა მეთაურების. ზაქარია ორბელიანი თავის ძმას გრიგოლს ერთ წერილში სწერს: „მანანას აქ გული აღარ უდგეზა, სულ მუდამ მელნიკოვებისასაა, არ ვიცი რად... ეხლა მისი ფოვორიტია დიმიტრი ერისთავი“-ო *). ჩვენ ვიცით, რომ მანანა და მელანია აქ შეთქმულთა მთავარ შტაბში ტრიალებდნენ.

*) იხ. „1832 წლის შეთქმულება“, გვ. 22.

იესე ფალავანდიშვილის ჩვენებით, მებრძოლ ორგანიზაციის მეთაურს – ელიზბარ ერისთავს მისთვის გაუმჟღავნებია, რომ „ეს ჩვენი განზრახვა იციან ლუარსაბის რძალმა მანანამ და ჩემმა დამ კოლეჟ სოვეტნიკის მელნიკოვის ცოლმა“-ო. ჩვენების ერთი ადგილიდან ირკვევა, რომ თვით ლუარსაბ ორბელიანი*), რომლის რძალიც მანანა იყო, თვით მანანას მეცადინეობით შემოუყვანიათ შეთქმულთა წრეში; როგორც ვიცით, ეს ლუარსაბი შემდეგში ალექსანდრე ჭავჭავაძის რწმუნებულად და შუაკაცად ითვლებოდა შეთქმულთა შტაბში. დიმიტრი ერისთავი ამ საგანზე შემდეგ ჩვენებას იძლევა: „ის (ე. ი. მანანა), როგორც ახლო ნათესავი, ხშირად დაიარებოდა ჩემს დასთან, სადაც საერთოდ ვსაუბრობდით ხოლმე ამ საგანზე“-ო.

იმ საშინელ რეაქციის შემდეგ, რომლითაც ნიკოლოზ I-ის ჟანდარმულმა რეჟიმმა უპასუხა საქართველოს 1832 წლის შეთქმულებას, ყოველგვარი საზოგადოებრივი მაჯისცემა მიჰქრა და მანანა ორბელიანი შეიქმნა დამარცხებულთა და დევნილთა ნუგეში.

„ამ ქალის სალონში იკრიბებოდა რაც რამ იყო ტფილისში წარჩინებული: მწერლობაში, ხელოვნებაში, მმართველობაში.

„მანანა იყო მეფედ ქართულის ზრდილობისა და გემოვნებისა 1840 წლებში“-ო, დასძენს იონა მეუნარგია (იხ. ს. ფირცხალავას რედაქციით გამოცემული ნიკ. ბარათაშვილი, 1922 წ., გვ. 25).

მაგრამ განა ეს მარტო შეთქმულების შემდეგ იყო? ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება დაიქსაქსა და დაჩიავდა უფრო ადრე: რუსეთის ორი-სამი ათეული წლის ბატონობამ დაარბია და გაანიავა ქართული კერა; აბუჩად აიგდო საუკუნოებით დაგროვილი კულტურული და ნივთიერი დოვლათი საქართველოსი და უნიჭო და უვიც რუს მოხელეთა საჯიჯგნად გახადა მისი ეროვნული სხეული.

*) იქვე, გვ. 229.

მრავალი აჯანყებით სისხლიდან დაცლილი ქართველობა აქტიურად ვეღარ გამოდიოდა; თვით უბრალო და სრულიად უმნიშვნელო მოვლენაც კი, რასაც შეეძლო საზოგადოებრივი ქართული ხასიათი ჰქონოდა, საშინელ რეპრესიებს იწვევდა რუსეთისა და მისი მოხელეების მხრივ. ამ დროში ისეთი ქალის სათნოება, ხერხი და სიდარბაისლე, როგორიც იყო მანანა ორ-

ბელიანი, შეიძლებოდა ბევრნაირ მნიშვნელობის გამხდარიყო.

დიმიტრი ყიფიანი (იხ. მემუარები „სკოლა სულისა“, გვ. 9). ერთ საამისო ეპიზოდს მოგვითხრობს თავის მოწაფეობის დროიდან: მანანა ორბელიანს მაშინდელ მოწაფეების მონაწილეობით თავის სახლში „წლიური აქტი“ გაუმართავს; ეს იყო უბრალო საყმაწვილო-საჯარო ლიტერატურული საღამო. სასწავლებლის მმართველობამ ამაში ერთგვარი საპროტესტო აქტი დაინახა და მოწაფეებს, და მათ შორის მემუარების ავტორსაც, მძიმე სასჯელი ელოდათ, და დიმიტრი დასძენს – ამ რისხვის გამო „ჩვენ მზად ვიყავით თავის მოსაკლავადაც, რომ მაშინდელ მნათობთა ყოვლისა შემძლებელი სილამაზე ენერგიულად არ გამოგვსარჩლებოდა და არ დავეხსენით“-ო. აქ ავტორს მხედველობაში ჰყავს მანანა, რომელსაც ეკუთვნოდა მფარველობა ამ საღამოსი, და ყმაწვილთ ამისათვის თავისი სახლი დაუთმო და ეს „აქტიც“ შეამზადა.

ტფილისის მაშინდელ მანდილოსანთა მცირე „ჯგუფში, ამბობს დ. ყიფიანი ცოტა უფრო ზევით, **„შუქურ ვარსკვლავივით** ბრწყინავდა ორი თავადის ქალი: ნინო ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული და მანანა ივანე ორბელიანის ასული“-ო.

ეს ღირსეული ჩვენი „მადამ რეკამიე“ ტყვილა არ ითვლებოდა ქართელ ხელოვნების ტონის მიმცემად. მას არა მარტო ორბელიანთა ლიტერატურული ტრადიციები ადევნებოდა, არამედ განსაკუთრებული ალღო ჰქონდა ქართული გემოვნებისა; მდიდარი ესთეტიური ბუნება, რამაც ეს მწიგნობარი ქალი მაშინდელ მწერლებთან ასე დაახლოვა (დ. ყიფიანი, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, მ. თუმანიშვილი და სხვ.). მისი გაბედული კრიტიკა დიდ პოეტებსაც ჩააფიქრებდა ხოლმე

და ბევრ რამესაც შეასწორებინებდა კიდეც. ჩვენ ვიცით, რომ გრ. ორბელიანი მას თავის ლექსებს უგზავნიდა და ხშირად მკაცრ განაჩენსაც ისმენდა მისგან. „ვერაფერი გახლდათ შენი ლექსი „დიპლიპიტო“, სწერს მანანა გრ. ორბელიანს 1835 წ. „შენს დღეში ამისთანა **უგემური** ლექსი არ გითქვამს“-ო (იხ. შენიშვნები გრ. ორბელიანის ნაწერების, გვ. 174).

ვინ იყო კიდევ მანანა ორბელიანის წრეში შეთქმულების წევრად, ეს საქმეებში არ სჩანს; ვიცით მხოლოდ რომ მანანა ორბელიანის შემდეგ „კატეგორიაში“ (მეხუთეში) მოაქციეს გამოძიების შემდგომ მართა მესხი ალექსიშვილისა (აქტები, ტ. VIII. გვ. 112).

აქვე უნდა აღვნიშნოთ ახალ მასალებიდან ერთი მომენტიც – ჩვენთვის თავიდანვე აშკარა იყო, რომ შეთქმულთა მთავარ ხელმძღვანელის ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღ-

ლეც ვერ დარჩებოდა ამ დიდი აქტის გარეშე. დოკუმენტები-
დან ჩვენ ვტყობილობთ, რომ შეთქმულთა ლიტერატურიდგან
ერთი დამახასიათებელი ლექსი გრ. ორბელიანისა („იარალი"),
ალ. ჭავჭავაძის მეუღლეს გადაუცია შეთქმულთა შტაბის წევრ
ვახტანგ ორბელიანისათვის *). ალბად სხვა ცნობები ამ ქალის
შესახებ დროზე იქმნენ შეთქმულთა მიერ მოსპობილი, ისე რო-
გორც თვით ალ. ჭავჭავაძის მონაწილეობაზე, რამაც გამოძიებას
ამ პირთა შესახებ გზა-კვალი მართლაც აუბნია“.

საფიქრებელია რომ იმ 78 პირთა შორისაც, რომელთაც
1832 შეთქმულებასთან გამოძიებამ პირდაპირი კავშირი ვერ
დაუმტკიცა და გაანთავისუფლა, ქალებიც ერივნენ, რომელ-
თა ვინაობა შეიძლება ამ შეთქმულების შესახებ ახლად აღმო-
ჩენილ მასალების მიხედვით ჩვენთვის ნათელი გახდეს...

---

*) იხ. „1832 წლის შეთქმულება“. გვ. 442.

* *

ამით ამოიწურება ქართველ ქალთა მონაწილეობის სია
ამ ერთი საუკუნის წინ განზრახულ აჯანყებაში იმ წყაროების
მიხედვით, რაც დღემდე გამოქვეყნებულია. მაგრამ სინამდვი-
ლეში ქართველი ქალის და განსაკუთრებით ქართველი დედის
როლი მამულიშვილურ საქმეში გაცილებით უფრო დიდია.

თუ ჩვენ შეთქმულთა ხელმძღვანელების და აქტიურ წევ-
რების ბიოგრაფიებს გადავფურცლავთ, დავინახავთ, რომ და-
უფასებელია ის ღვაწლი, რაც მათ დედებმა დასდეს; მათ პირ-
ველად შთაუნერგეს სამშობლოს სიყვარულის გრძნობანი ამ
შესანიშნავ წყებას ქართველ მოღვაწეებისას, საქართველოს
განთავისუფლებისათვის სამსხვერპლოზე რომ მიჰქონდათ თავი
1832 წელს...

ჩვენ შემთხვევა გვქონდა ვახტანგ და ალექსანდრე ორბე-
ლიანის დედის ღვაწლი აღგვენიშნა ამ მხრივ; მაგრამ სხვა მა-
შინდელი დედებიც მხარს უმშვენებდენ თეკლა ბატონიშვილს;
ასეთი იყო შეთქმულთა აქტიური წევრის გიორგი ერისთავის
დედა მარიამი – მდივ. ივანე ქობულაშვილის ასული, ქართუ-
ლი მწერლობის და მწიგნობრობის ზედმიწევნითი მცოდნე,
ასეთი ნაყოფიერი თესლი რო ჩაუთესა სახელოვან პოეტს და
ნამდვილი ქართულის, პატრიოტულის აღგზნებით დაუნთო
ცეცხლი პატარა გიორგის (იხ. „ქართული მწერლობის ანთო-
ლოგია“, III და აგრეთვე ალ. ხახანაშვილის ცნობა მარიამ
ერისთავზე).

შესანიშნავი პიროვნება იყო აგრეთვე მეორე მარიამი; შე-
თქმულთა წევრის, მგოსან ალექსანდრე ჭავჭავაძის დედაც, რო-

მელმაც პირველმა შეუქმნა ტრადიცია ქართულ შეთქმულებას რუსთა წინააღმდეგ: 1802-3 წლებში მან თავისი სახლი საიდუმლო „კლუბად“ აქცია, საცა მაშინდელი მოწინავე ქართველობას უკითხავდა თავის ქმრის, საქართველოს ელჩის გარსევან ჭავჭავაძის საიდუმლო წერილებს და მოწოდებებს და პროტესტისათვის და ახალ ცდებისათვის რაზმავდა მოწინავე

ქართველთ მოტყუილებულ სამშობლოს დასაცავად (იხ. აქტები, II, ჩვენება ორბელიანის, ქობულაშვილის და სხვათა გარსევანზე და მის მეუღლეზე).

ამ წრეში აღზრდილ ყრმას (მაშინ 16 წლის თუ იქნებოდა), ალექს. ჭავჭავაძეს აღეძრა და გაეზარდა წყურვილი სამშობლოს წინაშე ვალის მოხდისა, ის ფარნ. ბატონიშვილთან გაიჭრა და 1804 წლის აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო, საცა დასჭრეს კიდეც (შემდეგ ფარნაოზ ბატონიშვილის მხლებლებთან დაიჭირეს და „აჩვენეს ვრცელი რუსეთი“).

პატივით და მოკრძალებით მოსახსენებელია გრ. ორბელიანის დედა ხორეშან, რომელიც იყო შვილი ერეკლე მეფის ასულის ელენესი; სათნოებით სავსე ადამიანი, ღრმა კვალი რო დაუშთინა ჩვენს პოეტს და ვისმა სიკვდილმა ასე უნუგეშოდ ატირა გრიგოლ ორბელიანი, როცა იგი შეთქმულების დროს დაპატიმრებული იყო (იხ. ლექსი „ჩემს დას ეფემიას", რომელიც დედის სიკვდილის გამო დასწერა მგოსანმა და დას) შესჩივლა:

„ვისგან ნუგეშსა მოველოდი, მისი სამარე,
თვალთ იხილეს
„და არ დაბრმავდეს მყისვე ეს თვალნი"...

და ეკითხება სასოწარკვეთით:

„ვისგან, ან ვისთვის განიხაროს აწ გულმა ჩემმან?“-ო.

და განა თვით ეფემია ყოველ მხრივ დარბაისელ და შესანიშნავ ქალად არ გვევლინება, რომელსაც „ყაზარმობის" დროს დედის დაკარგვის შემდეგ ერთადერთ ნუგეშად სთვლის დიდი მგოსანი?

„ჩემდა ნუგეშად, ჩემდა შვებად სასიხარულოდ...
დაო სასურველ, ამა სოფლად შენ დამშთი მხოლოდ",

---

*) ეფემია ბარათაშვილისა.

სწერს მას პოეტი. და იმედ გაცრუებულ მგოსანს, რომელმაც 1832 წელს სუსხი იგემა და ოქროს სიზმრები დამსხვრეული იხილა, მარტო იმის წადილი აქვს, რომ „მშობელი მიწა ხელთა მისგან“ (ეფემიასაგან) გულს დააყარონ...

ეს ეფემია, დედა – ჩვენი ბაირონის – ნიკოლოზ ბარათა-შვილისა, იყო მეუნარგიას სიტყვით, „სამგზით კურთხეული დედა“-ო, მასვე კონსტანტინე მამაცაშვილისგან გაუგონია, რომ „ეფემია“ იყო მშვენიერი და ქართულად კარგად გაზრდილი ქა-ლი“ (იხ. ი. მეუნარგია ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფია, გვ. 7).

უნდა ვიფიქროთ, ეფემიასათვის დამალული არ ყოფილან 1832 წ. ამბები, მით უმეტეს, რომ როგორც ირკვევა, ძმის, (გიორგის) გარდა, მის შვილს – დიდებულ მგოსანს, მაშინ კიდევ ყრმა გიმნაზიელს, საიდუმლო ხელნაწერი ჟურნალიც გამოუცია შეთქმულთა ლექსებით, ხოლო ჩხრეკა-დაპატიმრების დროს სხვა საეჭვო ნაწერებთან ერთად დაუწვავს, კერძოდ პო-ემა „ივერიელნი“-ც (იხ. გ. ჯავახიშვილის წერილი „ბარათა-შვილის წინამორბედნი“, ნიკ. ბარათაშვილის ნაწარმოებნი, ს. ფირცხალავას რედაქციით).

არც დიმიტრი ყიფიანის დედა, ბარბარე ფურცელაძის ასული, უნდა ყოფილიყო უშინაარსო და უინტერესო ქალი. გრძნობით და სასოებით აღსავსე მის წერილებს, ვოლოგდა-ში გადასახლებული დიმიტრი ყიფიანი უცხო მალამოდ ზულ-ზე იდებდა და ზედ აწერდა: „ჩემი სასოება“-ო (იხ. არჩილ ჯორჯაძის ნაწერები, V, გვ. 12) .

1832 წლის შეთქმულების მასალების დაწვრილებითი შე-სწავლა შეიძლება კიდევ ბევრ „უცნაურობას" აღმოაჩენდა და იქნებ დღევანდელ ქართველ ქალს კიდევ უფრო მეტი სიამაყის საბუთს მისცემდა. ჯერ კი გაუბედავად და მოკრძალებით გვინ-და აღვნიშნოთ, რომ შესაძლოა მაშინდელ რუსეთ-სპარსეთის ურთიერობაში, დიპლომატიურ გართულებაში ერთგვარ როლს მაინც თამაშობდა ქართველი ქალი, სახელდობრ, ოთარ ამილა-ხვარის ასული, მეუღლე გრაფ სიმონიჩისა, რუსეთის ელჩის სპარსეთის კარზე.

ამ გარემოებამ ერთხანად მეტად გაამწვავა მთავარმართე-ბელ როზენის და ამ ელჩის ურთიერთობა; როცა როზენი რისხ-ვას აყრიდა რუსეთის ელჩს: -რად აძლევთ ალექსანდრე ბატო-ნიშვილის ოჯახის ბედში ჩარევის უფლებას სპარსეთის მთავრო-ბასო, თითქოს სიმონიჩი საკმაო სიმტკიცით ვერ იცავდა რუსე-თის ინტერესებს, რაკი დანათესავებული იყო ბატონიშვილ-თან *).

სიმონიჩის მეუღლე კვიდრი და იყო ელენესი რომელიც

ცოლად ჰყავდა ბატონიშვილ თეიმურაზს. თეიმურაზი, მართალია, გამოძიებამ ვერაფერში დაიჭირა, მაგრამ ის ხომ აშკარა იყო, რომ 1832 წ. შეთქმულთა მარჯვენა ხელი და, თუ გნებავთ, საგარეო საქმეთა ემისარი ს. რაზმაძე თეიმურაზის გაზრდილი იყო და მისი უახლოესი მესაიდუმლე პეტერბურგში; სპარსეთის მისსიაშიც თეიმურაზმა მოაწყობინა ს. რაზმაძე გრაფ სიმონიჩს. დოკუმენტებიდან კი სჩანს, რომ ს. რაზმაძეს სპეციალური დავალებანი ჰქონდა: ეწარმოებინა ქართული პატრიოტული საქმე სპარსეთის კარზე ალექსანდრე ბატონიშვილთან შეთანხმებით და გამხდარიყო შეთქმულების ინფორმატორი.

თეიმურაზი ხომ წინადვე ხანგრძლივად ებრძოდა რუსთ თვისი სპარსეთში ყოფნისას და დიპლომატებთანაც კავშირი ჰქონდა (კავკასიიდან გაგზავნ. რუსთა რწმუნებულებთანაც აწარმოებდა იქ მოლაპარაკებას). აშკარაა, თეიმურაზი იმ ძველ ნაცნობ წრეებთან დაკავშირებას დაავალებდა ს. რაზმაძეს ელენეს საშუალებით.

სიმონიჩის ცოლი არ შეიძლებოდა სხვაგვარი ყოფილიყო ამ საკითხში და თავის დის ელენეს მოხერხებული „მოვლა“ და რუსეთისათვის თვალის ახვევა, ალბად, მასაც ასევე ეხერხებოდა: ხომ ათქმევინა ციციანოვს ელენემ – „სიტყვით საყვარელ ბიძას მეძახით და საქმით ასპიდ გველივით მექცევით,

*) იხ. შესაფერისი ადგილი ჩვენს წერილში: „ალექსანდრე ბატონიშვილი და მისი ოჯახის ბედი“.

და აქამდეც თურმე ვერაგულად მატყუებდით“-ო (როცა საიდუმლო წერილი დაუჭირა ელენეს ქმართან: – „არ დაბრუნდე სპარსეთიდან“-ო-). (იხ. აქტები, ტ. II).

აი, ამ ქალის დას, რუსეთის ელჩის მეუღლეს ს. რაზმაძის საშუალებით კავშირი უნდა ჰქონოდა ალექსანდრე ბატონიშვილთან და ამ რიგად 1832 წ. შეთქმულებასთანაც.

დიმიტრი ყიფიანი თავის ჩვენებაში 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის შესახებ ამბობს, რომ 1832 წელს ალექსანდრე ორბელიანის ოჯახში, საცა ის შეთქმულთა წრეში შეიყვანეს, მას გააცნეს ერთი მეთაურთაგანი, ელიზბარ ერისთავი; ხოლო ცოტა უფრო გვიან – სოლომონ რაზმაძე და გრაფი სიმონიჩი (იხ. მემუარები, გვ. 140). ეს ორი უკანასკნელი პეტერბურგიდან იყვნენ ჩამოსული და სპარსეთს მიემგზავრებოდენო.

ს რაზმაძის გვერდით, (რომელიც შეთქმულების მთავარი ხელმძღვანელთაგანი იყო), სიმონიჩის დასახელება ერთგვარ იჭვებს მაინც იწვევს; მით უმეტეს, რომ შეთქმულთ სხვა და სხვა ეროვნების წარმომადგენელებთანაც ჰქონდათ კავშირი

(მაგ. ფრანგული საკონსულოს მდივან – ლეტელიესთან).

თუ სიმონიჩს მართლა რაიმე ცნობა ჰქონდა შეთქმულების სამზადისზე, ან ოდნავ ლიბერალიზმს იჩენდა მისდამი, ეს მარტო მისი მეუღლის, ოთარ ამილახვარის ასულის გავლენას უნდა მიეწეროს...

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საერთოდ სინამდვილესთან ახლო უნდა იყოს ის აზრი, რომ პეტერბურგში შეთქმულთა წრეში მონაწილეობას იღებდენ, გარდა აღნიშნულ ბატონიშვილთ რიფსიმესი და სალომესი, სხვა ღირსეული ქალებიც, რომელთაც ეროვნულ-კულტურული კერა შეექმნათ პეტერბურგში და მოსკოვში. იქ იყვნენ ამ ხანად განგვირგვინებული და გადასახლებული დედოფლები (ქართლ-კახეთისა და იმერეთისა), რომლებიც, რა თქმა უნდა, ერთის წუთითაც არ შერიგებიან საქართველოს ტახტის სამუდამოთ დაცემის აზრს.

იონა ხელაშვილი, რომელიც იყო დედოფლის კარის მოძღვარი და ამავე დროს, შეთქმულების უაქტიურესი წევრის ს. დოდაშვილის მასწავლებელი, არ უნდა დარჩენილიყო ამ დიდი ეროვნული ქტის გარეშე. ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ 1832 წ. მას მისი სამწერლო და სამამულიშვილო ღვაწლის აღსანიშნავად, მეფე გიორგის ოჯახში ებოძა სიგელი. ამ სიგელს ხელს აწერენ: მარიამ დედოფალი, შეთქმულთა მეთაური ოქროპირი, ბაგრატ, თეიმურაზი, ილია და ირაკლი გიორგის ძენი (იხ. პროფ. კეკელიძის „ძველი ქართული ლიტერატურა", ტ. I, გვ. 437). ღენერალ ლაზარევის მკვლელი, დედოფალი მარიამი, მისი პირმშო ოქროპირის ახალ ცდას ალბად გულის ძგერით ადევნებდა თვალყურს...

როგორც აღვნიშნეთ, საგამომძიებლო მასალიდან სჩანს (აქტები, ტ. VIII, გვ. 399), რომ პეტერბურგის წრე დროზე ყოფილა გაფრთხილებული და მათ საეჭვო კვალი დროზე მოუსპიათ და ურთი ერთის სასარგებლო და შეთანხმებულ ჩვენებით ნამდვილი ვითარება დაუფარავთ, რის გამო იქაურ მონაწილეთა ამბები საქმეში ისე არ სჩანს. აშკარაა, – შეთქმულნი ყველაზე უწინ მოხუც და ისედაც ზნეობრივად და ფიზიკურად განაწამებ დედოფლებს დაიფარავდენ...

* *

ასეთი იყვნენ ის შესანიშნავი ქართველი ქალები, რომელნიც ეზიარენ 1832 წლის შეთქმულების უმაღლეს აზრებს და მისთვის სიკვდილამდე არ უღალატნიათ: ისინი გახდენ ნუგეშის მცემელნი და პატრონნი დამარცხებულთა; ამოუშრეს მათ ცრემლები და კვლავ შთაბერეს ძალა ახალ დარაზმვისა და ახალ გაბრძოლებისათვის სამშობლოს სადიდებლად. ჭეშმარიტად,

მათ მამულიშვილური მოვალეობით და მაღალ შეგნებით უტარებიათ აზრები, რომლებიც სახელოვან კანცლერის მეუღლეს, „სულისა ტოლს, სათნო სოფიოს“, მგოსანმა ბარათშვილმა ათქმევინა :

„უცხოობაში რაა სიამე, სადაცა ვერვის იკარებს სული და არს უთვისო, დაობლებული“?-ო. და –

„რა ხელ ჰყრის პატივს ნაზი ბულბული
„გალიაშია დატყვევებული?
. . . . . .
რას არგებს კაცსაც დიდება,
თუ მოაკლდება თავისუფლება“.

მაგრამ სულ მალე გამოირკვა, რომ „გასყიდულ თავისუფლებისათვის“ ქართველმა ერმა, აღთქმულ „პატივისა“ და „დიდების“ ნაცვლად, რუსთაგან მიიღო: –

„გადაჭედილი კიდობანი და პატივი დამნაშავისა „მუჟიკისა“ (იხილეთ იუდინის და ფარნაოზის შესანიშნავი მახვილობით დაწერილი ბარათი ციციანოვისადმი, აქტები, ტ. II).

ქართველი ქალი თავიდანვე სოფიოს სახით გარკვევით დაადგა სახელოვან კანცლერის აზრს და უარჰყო განსყიდვა თავისუფლებისა დაპირებულ ფუფუნებისათვის:

„რად დაგვრჩომია სხვაზედა თვალი,
„როცა მეფეცა და დედოფალიც
„გვყვანან კეთილნი და ღირსეულნი?“
(ბედი ქართლისა)

სოფიო აქ თითქოს კიდეც უსაყვედურებს დიდებულ მეფე ერეკლეს და ქართველ ქალთა მომავლმა თაობამაც გულზე დაიხაზა ამ „ქართლის ბედის“ შეტრიალების დროს „სათნო და სულის ტოლ“ სოფიოს მიერ აღებული გეზი. ამიტომ არის, რომ დიდებული მამულიშვილი და მგოსანი, შეთქმულთა წევრი გრ. ორბელიანი, ღრმა მოხუცებულებამდე ასეთი თაყვანისმცემელი დარჩა ძველ ქართველ ქალისა და მათ გარდასვლას ცხარე ცრემლებით მისტიროდა: –

„კნეინა ეკატერინა მენგრელიისა“, სწერს ერთ მეგობარ

ქალს მოხუცი მგოსანი (1882 წელს 23 აგვისტოს), „გარდაიცვალა გორდსა 13 აგვისტოს. განვიდა ესეცა წარსულის დროისა საქართველოს მშვენიერება, დედუფლად დაბადებული! ვინცა შეხედავდა, მაშინვე მდაბლად თავი უნდა დაეკრა. ესრეთნი

იყვნენ : ანნა, მანანა, მაია, ჩვენი ეკატერინა, ყაფლანის და, ნინო გრიბოედოვისა და მრვალნი სხვანიცა; აბა ეხლა თვალი გადაავლე ჩვენს საზოგადოებას, ვინ არის ამათი მაგიერი? ჩემო ტასო, ბნელდება საქართველო!“.

ამ ეკატერინეს პოეტმა ჯერ კიდევ სიყრმეში ლექსი უძღვნა, საცა მას ასე ამკობდა:

„წინანდლის ვარდო!
„გულითა წმინდავ, ვით მთისა წყარო,
„სულისა ტრედო,
„რომე მხილველის გული ახარო“...

ამ შესანიშნავ პიროვნებას, სჩანს, განსაკუთრებული ღვაწლიც დაუდვია გრ. ორბელიანისათვის... (სამეგრელოს დედოფლის ეკატერინას შესახებ იხილეთ სხვათა შორის ბოროზდინის მოგონებანი – 1885 წ.).

* *

ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლე სალომე და მისი ქალები მართლაც საუკეთესო ტრადიციების მატარებელნი და იმ დროისათვის უაღრესად განათლებულნი ყოფილან; მათ გარს ეხვივნა შესანიშნავ ქართველ ქალთა წრე და ამან უფრო გააღრმავა და გააფაქიზა მათდამი დაახლოვებულ მგოსნის ნიჭი.

ამ ღირსეულ ქალთა მინიატიურული პორტრეტები (ეფ. ბარათაშვილისა, მანანა ორბელიანისა, მაიკო ორბელიანისა, ალექ. ჭავჭავაძის ასულნი და მრავალნი სხვანი), იშვიათის გემოვნებით და უცხო ფერადებით აქვს გადმოცემული შალვა ამირეჯიბს (იხ. „კავკასიონი“, წიგნი № 3).

გრ. ორბელიანი თვისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მრავალ ჭირთა და დიდებათა მნახველი, 1877 წელს ერთხელ კიდევ თვალს გადაავლებს თავის წარსულ ცხოვრებას ეკატერინესადმი მიწერილ ბარათში, რომელიც ბევრნაირადაა საყურადღებო და მაშინდელ მშვენიერ ქალთა სურათის გამაცხოველებელი: –

„მაგონდება თქვენი ბრწყინვალე ყმაწვილ-ქალობა“, სწერდა მგოსანი გრიგოლ ორბელიანი ეკატერინეს „და მასვე დროის სხვანიც მრავალნი, დახატულნი სილამაზითა, გამზიდველნი მაღალ ზრდილობით, გონებით, გულის სიწმინდით; მართლაც მეტად კარგი დრო იყო, სავსე მხიარულებითა, უზრუნველობითა და ამასთანა, საითაც შეჰხედავდით უთუოდ იყო ვინმე მშვენიერი და ამის გამო ხშირად ვამბობდით ძვე-

ლებურს საიათნოვას ლექსსა: „ნეტავ რომელს ვენაცვალო, განა რამდენი თავი მაქვს?" ხშირად მაგონდება ის დრო, თქვენი დრო, მეტად ლამაზი დრო ჩემის აწ დაბერებულ გულისა გასამხიარულებლად, გასაყმაწვილებლად! ღმერთმან გიშველოსთ, მეტად კარგები იყავით და ეხლა ჩემი თავი მიმაჩნია ბედნიერად, რომ მეც თქვენს საზოგადოებაში ვიქცეოდი და მას ვეკუთნოდი, **თქვენ გამომიყვანეთ მე კაცად, პოეტად** და ახლაც თქვენვე ხართ ჩემი ნუგეშის მცემელი“ (იხ. გრ. ორბელიანის მიწერ-მოწერა).

როგორც ვხედავთ, იმ საშინელ რეაქციას, რომელიც 1832 წლის შეთქმულების გაცებას მოჰყვა, ვერ გაუტეხია ქართველი ქალის გული და, რაკი აქტიური ბრძოლის საშუალება წაართვეს, ის ოჯახს დაუბრუნდა და ღირსეულ შვილების აღზრდას მიჰყო ხელი; მაგრამ განა ეს ნაკლები სამსახური იყო თავის ერისა? ნაკლები ვალის მოხდა იყო წამებულ სამშობლოს წინაშე?

და ქალმა ამ ახალ მძიმე დროში მაინც შეინახა ქართული სული, იერი და მომავალსაც ნუგეშით უყურებდა. ვიწრო და შემოსალტული შეიქმნა მისი ასპარეზი, და ნაზი იყო ეს არსება, რომ პირისპირ დაჯახებოდა მოწოლილ ძალას გამარუ-

სებელ დიდ მექანიზმისას; მაგრამ იმ პატარა ასპარეზზეც, რაც ქართველ მეობას სამოქმედოთ კიდევ შერჩენოდა, ქართველ ქალს მოვალეობა მამულისადმი არას დროს არ დავიწყებია.

ჩვენ ვნახეთ, რომ შავბნელ ოცდაათიან და ორმოციან წლებში ამ ქალთა „დარბაზები“ ერთად-ერთი ნავთსაყუდელი იყო ჩვენი საზოგადოებრივ აზრისა; აქ მსჯელობდენ ქართულ ვითარებაზე, მწერლობაზე, ხელოვნებაზე და ნელა წვრთნიდენ ახალ ნიადაგს, რომელმაც მერმეთ ჭირისუფლად **ილია, აკაკი და სხვ. მოგვივლინა**. ქართველ ქალის ამ „სამზადისისათვის“ მუშაობა შეიძლება „უჩინარი“ იყოს, მაგრამ მაინც დაუფასებელია; თვისი ქართული იერით, ტრადიციებით, სიდარბაისლით და მშვენიერებით მან აღმართა მტკიცე ზღუდე, რომელიც ვერ იქმნა, ვერ გაარღვია ძლიერმა მოხეთქებამ, უცხო კულტურის სახით რო მოგვევლინა ვორონცოვის შემდეგ ეპოქაში.

და როცა ქართველი საუკეთესო მხედრები ეხლა რუსეთის ომების ისტორიას სწერდენ, ეს ქალები მათ აქაც „შორიდან მოვლით" და მოხერხებით, ქართველ მამულიშვილობის ამბებს უყვებოდენ და რუსულ „კუტიოჟებს“ ძველებურ ქართულ ლხინს უპირდაპირებდენ; თითქოს ამ მეტად გატაცებულ მეომართა გამოგლეჯა უნდოდათ რუსთა კლანჭებიდან; თითქოს ეუბნებოდენ ამ ვაჟკაცთ:

„შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველ...“

ამ მხრივ დამახასიათებელია ერთი ადგილი გრ. ორბელიანის წერილიდან: –

„ჩვენმა ქალებმა, პატრიოტკებმა მიიპატიჟეს ვახშმად სამსახურში საპასუხოდ გამზადებულნი; და იყო იმ ღამეს მართლაც დიდი მხიარულება საზანდარებითა, სიმღერითა, მშვენიერის ლეკურითა, სადღეგრძელოებითა; და ბოლოს ვახშამზე ნინომ – გოგიის ცოლმა წარმოსთქვა მეტად მოსაწონი სიტყვა, რომლითაც **მოაგონა თავდადებითი სიყვარული მამულისა წინაპართა ჩვენთაგან და სახელი მათი განთქმული ვაჟ-კაცობ-**

ბითა. იმას უპასუხა სოსო ჯორჯაძემ და შეიქმნა დიდი ურრაა. და ზედ მოაყოლეს ლეკური, რა ლეკური! რომ გამაგიჟეს მარუცამ, ბაბუცამ, ალექ. აფხაზის ცოლმა, ია ანდრონიკაშვილის ცოლმა და სუყველამა! მალხაზ! კარგი რამ იყო ის ღამე... ნეტავ ეს ლეკური მაინც დარჩეს ჩვენს საბრალო ქართველობისაგან, რომელიცა ასე ადვილად და დაუდევნელად იცვლის თავის ლამაზს ფერსა“ (იხ. მეუნარგიას წერილი: „ცხოვრება და ღვაწლი გრ. ორბელიანისა“, ჟურ. „მოამბე“, 1904 წ.).

რუსეთის საჩუქრებით და ჩინ-ორდენებით დატვირთულ მხედართა გული ალბად არა ერთხელ „მოაბრუნეს“ მაშინ დელმა ქართველმა ქალებმა ასეთის დიდი მოხერხებით: ახალ რუსულისადმი ძველის ქართულის დაპირისპირებით; და მათ ალბად ბევრი დააფიქრეს მამა-პაპათა წარსული ღვაწლის მოგონებით და მისი ნაშთის კეკლუცად გამოფენით (ქართულის სიტყვით, სიმღერით და ლეკურით).

* *

არა! ქართველ ქალს შეთქმულების შემდეგაც არ გაუხრია ხაზი; მისმა „ბრძოლამ“ ახალი, სხვა სახე მიიღო იმ აზრით, რომ დაღლილ საქართველოს მოვლა უნდა, შენახვა, სიყვარულით გათბობა და ტკივილების მოშუშება, ვიდრე კვლავ დაიზრდებოდენ „არწივნი“ და ბრძოლის ჰანგს შემოსძახებდენ...

ამ იმედით გადვიდა 1832 წლის თაობა – ჩვენი ძველი, ღირსეული დედების დასი…

ნარკვევი მესამე

ალექსანდრე ბატონიშვილი

და მისი ოჯახის ბედი

საქართველოს მწუხრის მოახლოებისას ყველანი გრძნობდენ, რომ ერეკლე მეფის კანცლერის, სოლომონ ლეონიძის ნათელი და გონიერი თავი, მისი გამჭრიახობა და შორსჭვრეტა, საქმეს მარტო ვერ უშველიდა; საჭირო იყო ძლიერი მკლავიც, ვაჟკაცური შეტევა, ძველებური ბრძოლის ჟინი და გამამხნევებელი შეძახება ალექსანდრე ბატონიშვილისა.

საბედისწეროდ, ვერ მოხერხდა ამ თავისა და მკლავის გაერთიანება მთელი საქართველოს მოცულობით. სოლომონ ლეონიძის „რიტორობა“ დავით ბატონიშვილის რუსეთისადმი რომანტიულმა მინდობამ ჩაჰკლა, ხოლო ალექ. ბატონიშვილის ხმალი ქსნის ერისთავებმა გადაამტვრიეს და თან მისი მარჯვენა ხელნი: იულონი და ფარნაოზ ბატონიშვილები შეკოჭილნი ღენერალ ციციანოვს მიჰგვარეს. სოლომონმა დავით ბატონიშვილის ტყვეობიდან გაქცევა მოახერხა და ეხლა იმერეთს მოავლინა თავისი სიბრძნე და დიპლომატიური გამოცდილება. და მან ეხლა სამშობლოს უკანასკნელი კუთხის გადარჩენა სცადა რუსთა დიდ მოზღვავებულ ტალღისაგან. სოლომონი ნახევრად განწირულ საქმეს იცავდა და იმერეთის ელჩობის გახანგრძლივება ვეღარ შესძლო პეტერბურგში ბრძენმა კანცლერმა.

სოლომონ ლეონიძის ჭკუა-მახვილობამ და სიდარბაისლემ იმ თავად მაინც ძალიან გაუჭირვა საქმე პეტერბურგის საგარეო სამინისტროს. იმერეთის დესპანმა დიდის მოხერხებით

გაუმტყუნა რუსეთს დიპლომატიური დივერსია: – გამჭრიახმა ლეონიძემ თავდაცვიდან შეტევაზე გადასვლა შესძლო და ალექსანდრე პირველის დაპირებათა განაღდება მოითხოვა ლეჩხუმის სოლომონ მეფეზე გადაცემის სახით. ამ კაცთან იმპერიის ძლიერი ენით ლაპარაკი არ სჭრიდა; რაკი რუსეთს სხვა გზა ვეღარ ეპოვნა, მან იმერეთის ელჩს, დიპლომატიური ეთიკის სრულის დავიწყებით, უხეშად გამოუხურა კარი... სოლომონმა მაინც მოახერხა საგარეო სამინისტროსადმი ერთი ნოტის გადაცემა, რომელიც ქართულ დიპლომატიის ტრადიციულის განკვეთილობით, პათოსით და მჭერმეტყველობით იყო დატვირთული და რომლის უარყოფა მტკიცე ლოღიკას აღარ შეეძლო.

პეტერბურგიც სხვა გზას დაადგა: ამ კაცთან შეჯიბრი ცუდათ უნდა დამთავრებულიყო და ამიტომ მას საპატიო, საელჩო „კალასკა“ მიართვეს და ტფილისისაკენ გამოისტუმრეს; იქ დანარჩენ საკითხებზე მასთან ციციანოვს უნდა ეწარმოებინა „მოლაპარაკება", თანახმად გადაგზავნილ საგანგებო ინსტრუქციისა.

ეს „ინსტრუქცია“ კი დიპლომატიურ გზით წაგებულ იმერეთის ზარბაზნებით აღებას ნიშნავდა. სოლომონმა პეტერბურგში გაიმარჯვა; მაგრამ ეს იყო მხოლოდ დიპლომატიური გამარჯვება, რომელიც რუსეთს არ უშლიდა ყოველგვარ ტრაქტატების და ვალდებულებების წაშლას ციციანოვების უხეშ და „შეუდრეკელ“ დაკვრით...

* * *

ხმლისა და ფაქტის რაინდმა ალექსანდრე ბატონიშვილმა კი „დიპლომატიის“ გზა რუსეთთან თავიდანვე წაგებულად მიიჩნია; მარტო შეტევებით და აჯანყებებით ცდილობდა ის, რომ ახლად შექმნილ მდგომარეობას სიმტკიცე არ მისცემოდა, რომ ქართველი ხალხი უცხო ძალის გაბატონებას არ შეჩვევოდა და რუსეთის მიერ მოულოდნელად მომხდარი ოკუპაცია სტაბილურად არ მიეჩნია.

პერმანენტული ბრძოლები, პარტიზანულ თავდასხმებით მდგომარეობის გართულება, სხვადასხვა მხარეებიდან მოვლადაკვრა, პანიკის და დეზორგანიზაციის შექმნა ახლად შემოსულ ძალთა რაზმებში... – ეს იყო სამოქმედო გეგმა ალექ. ბატონიშვილისა და მის გვერდით მდგომ ძმათა, ძმისწულთა და სხვა თანმხლებელთა. ეს შეტევები ხშირად საკმაოდ მომზადებული არ იყო: არც იარაღი, არც სურსათი და არც ფული იყო მომარაგებული, მაგრამ ბატონიშვილს ყველა ამისათვის. ცდა დროს უცარავდა, ხოლო ეს დრო კი რუსის მოხელეობასა და მის ერთგულთ ღრმად უდგამდა ფესვებს საქართველოში.

მართლაც გასაოცარია ის თავგანწირულება, რომლითაც ეს კაცი რამდენიმე ათეულის წლის განმავლობაში უტევდა რუსის მხედრობას ხან ერთი და ხან მეორე მხრით; და თუ ერთი მოკავშირე დასუსტებოდა და ხელიდან გაუსხლტებოდა, უცებ მეორეს აიჩენდა (სპარსეთი, ოსმალეთი, დაღესტანი და კერძო ფაშები და ხანები ახალციხისა, განჯისა, ერევნისა და სხ.). გადიოდენ წლები და რუსის მთავარსარდლებს გული უსივდებოდათ მისი შეპყრობის მოლოდინში. „მწყალობელნი“ თუ მას პირველში პატიებას და ყველაფრის „დავიწყებას» ჰპირდებოდენ, ბოლოს ,,პენსიონებს“ ჩინ-ორდენებს და ყმებსაც კი

სთავაზობდენ; – ოღონდ როგორმე პირი ექმნა რუსეთისაკენ და იმ „წყეულ“ საზღვარზე ფეხი გადმოსცდენოდა.

მაგრამ ვერ იქმნა, ვერ მოიგეს ბატონიშვილის გული და ბოლოს ისღა დარჩენოდათ, რომ ერმოლოვის (მთავარმართებელი) პირით განეცხადებიათ: აბა რა მნიშვნელობა აქვს ასეთ „ქარაფშუტა“, თავზე ხელაღებულ, მოხეტიალე ბატონიშვილსო?

ამ ნამდვილ რუსულ სალდათს თავიდანვე არ მოსწონდა წინანდელ მთავარმართებელთა „ცერემონიები“ და განსაკუთრებით რტიშჩევის გზა მან ზიზღით უკუ აგდო; ამ ხანად მაინც იმის მეტი ვერაფერი მოახერხა, რომ ბრაზ მორევით, სრულიად უაზრო და უმართებლო რამ ეთქვა: „ეს ადამიანი, (ე. ი. ალ. ბატონიშვილი) ცნობილი თვისი გარყვნილის ცხოვრებით, „პა-

დლეცობით და სიმხდალით (sic), არ შეიძლება ჩვენთვის საშიშო იყოს და მე არც ერთ გროშს არ მივსცემ, არც მის სიცოცხლეში და არც ასეთ არამზადის სიკვდილში“-ო. *) და მან მართლაც აღუკრძალა ღენ. დელპაცცოს კვლავად ეწარმოებინა რაიმე მშვიდობიანი მოლაპარაკება ბატონიშვილთან.

ერმოლოვი არც იმას მოერიდა, რომ ეს გეგმა პეტერბურგიდან მოდიოდა თვით მინისტრ ნესსელროდესაგან, რომელიც უბრძანებდა დელპაცცოს: როგორმე თხოვნა-ვედრებით გამოეყვანა ბატონიშვილი ლეკეთიდან და დაემზადებინა „ეკიპაჟები" მისთვის და მისი მხლებლებისათვის და დიდის პატივით გაემგზავრებინა ისინი პეტერბურგისაკენ; რადგან ამას ითხოვდა თვითონ რუსის ხელმწიფე, რათა ბატონიშვილისათვის „წყალობანი“ მას პირადათ გადაეცა. **).

მაგრამ მრისხანე ღენერალმა ერმოლოვმაც მალე შესცვალა თვისი გეგმები და ეხლა ანწუხელთ ათასნაირის დაპირებებით ავსებდა, ოღონდ ამათ შეხიზნული ბატონიშვილი გაეცათ.

მაგრამ როდესაც ამან ვერ გასჭრა და ანწუხელებმა აბასმირზას ექვსი მეთაურნი ამანათადაც კი გაუგზავნეს და აღუთქვეს, რომ მომავალ 1817 წლის გაზაფხულზე ბატონიშვილს თვითონ გაიყვანდენ და სპარსეთისაკენ გზას გაუკვალავდენ, – ერმოლოვი შიშმა აიტანა. იმ კაცის გულისათვის, რომლის ფასად წინად „ერთი გროშიც არ ემეტებოდა, ეხლა მთელი ჯარები დააყენა ფეხზე და ანწუხს წალეკას უქადდა: – „თუ სამს კვირაში არ ჩამაბარებთ ბატონიშვილს“, სწერდა იმათ, „თქვენს მთავარ კაცებს, ჩემთან რომ წარმოგზავნეთ, ყველას თავებს დავაყრევინებ; მაგრამ ეს არ კმარა! მე ჭარ-ბელაქნელებს, რომლებიც თქვენი მტრებია, ვაპატიებ მათს ძველს

დანაშაულს ჩვენს წინააღმდეგ ძველად ისინი ალექსანდრე ბ~

*) იხ. პოტტო ტ. III, გვ. 196.
**) იხ. „აქტები“, ტ. IV.

შვილს რომ აქეზებდენ. ეხლა მათ რუსის ჯარებს შევუერთებ და ყველა ამათ ერთად თქვენ მოგისევთ, რომ ერთთავად ამოგიჟ-ლიტონ თქვენი ცოლები, შვილები და გაგიცამტვერონ თქვენი სამყო-საბადებელი“. *).

ეტყობა, დიდი მნიშვნელობა დასდებია ასე უეცრად ამ „ქარაფშუტას“ და „არარაობას“, როგორათაც ერმოლოვმა ბა-ტონიშვილი წინად გამოაცხადა. მაგრამ დიდი რუსეთის ღენე-რალს, პატარა ანწუხის თემი მაინც დარბაისელის და ღირსეუ-ლის პასუხით დახვდა : „ვფიცავთ დიდს ალლახს, რომ ჩვენის მხრით არასდროს არ მოხდება ღალატი და გაცემა ემირ ალე-ქსანდრე-ხანისა. შენ შენს წერილში ითხოვ, რომ ალექსანდრე წარმოგიგზავნოთ; უფალსა ვფიცავთ – ჩვენ მას ვერ ვუღა-ლატებთ და ვერ ჩავიდენთ მისდამი მუხანათობას, თუნდ სულ დახოცო ჩვენი ხალხი და ჩვენი ცოლშვილიც... ასეთ საქმეს ჩვენგან შენ ნუ მოელი, ალექსანდრე ჩვენი სტუმარია“-ო და სხვა **).

და მართლაც“, 1818 წ. ივლისში, მიუხედავად წინასწარ ყოველგვარი ზომების მიღებისა რუსთა მხრით, ალექსანდრემ რა-მოდენიმე მხლებლებითურთ მაინც მოახერხა რუსეთის რაზმებ შუა გაპარვა და მალე ახალციხეში გაჩნდა. „მე ჩვენს ჯარს აწი ვეღარ ვენდობი“, სწერდა ბრაზით სავსე ერმოლოვი პე-ტერბურგს, „მას შემდეგ, რაც ალექსანდრემ შესძლო რამ-დენიმე პოსტის მშვიდობიანად გავლა და თვით პოლკის შტაბ-კვარტირასთანაც გაიარა მხლებლებით, რაღა ითქ-მის!!.“ ***). მაგრამ ის იმედს მაინც არ ჰკარგავდა და ველია-მინოვს უბრძანებდა: – დადევნებოდა ბატონიშვილს, ყოველი საშუალება ეხმარა, სხვის სახელმწიფოშიაც კი შეჭრილიყო ოსმალურ ან სპარსულად გადაცმულ ჯარისკაცებით; და სპარ-სეთში გადასვლისას ადგილობრივ მცხოვრებთა მოსყიდვით,

*) იხ. აქტები VI, ნაწ. II, გვ. 31.
**) იხ. აქტები VI, ნაწ II, გვ. 32.
***) იხ. პოტტო, გვ. 479.

გაქცეული ბატონიშვილი როგორმე მოეტაცნა და გამოეყვა-ნა; ყველაფერი ამაო აღმოჩნდა; ბატონიშვილი ელვის სისწრა-ფით გავიდა სამშვიდობოში...

ალექსანდრე ბატონიშვილს რუსები შემდეგშიაც რომ

უდიდეს როლს აკუთვნებდენ და მისი „ლიკვიდაციისათვის" არავითარ გზას აღარ ერიდებოდენ, ეს სჩანს იმ ვერაგული მოპყრობიდანაც, რომელიც მათ გამოიჩინეს ბატონიშვილის ოჯახის მიმართ, რათა ამ გზით როგორმე თვითონ ბატონიშვილიც ხელთ ეგდოთ. ჩვენ ქვევით დავინახავთ, რომ მოულოდნელმა შემთხვევამ რუსებს ბატონიშვილის ოჯახი მართლაც ხელთ ჩაუგდო, მაგრამ რაც შემდეგ დიდმა იმპერიამ ჩაიდინა, ის „შემთხვევა“ კი არ იყო, არამედ უფრო მისი ბუნება...

* *
*

ალექსანდრე ბატონიშვილი უკანასკნელი იყო ერეკლესა და გიორგი მეფის მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრთაგან, საქართველოს მიჯნასთან ახლოს რომ დაშთენილიყო და ქართული დროშით და მამაპაპური ხმლით ხელახლა ეპირებოდა დამონებულ საქართველოში ბრძოლით შეჭრას და ამიტომ ყველა სამაჰმადიანო სახელმწიფოებში, სახანოებში და თემებში მოკავშირეებს ეძიებდა. ბოლოს მას ყოველ მხრივ შემოაცალეს სიმაგრენი – თვისი საყვარელი ძმისშვილები, საქართველოს ღირსების აღდგენისათვის მასთან ერთად რომ გახიზნულიყვნენ: – თეიმურაზ პეტერბურგს გაგზავნეს, ლევან ვერაგულად მოჰკლეს, კახეთის ამბოხების ჩაქრობის შემდეგ (1812 წ.), ბატონიშვილი გრიგოლ იოანეს-ძე, რომელიც ფრონელის სიტყვით, „რაღაც სასწაულით ერთად-ერთი გადარჩენოდა ციციანოვს რუსეთში გადაუსახლებლად“, დაპატიმრებულ იქმნა და ისე წარიგზავნა ცივს ჩრდილოეთისა-

კენ*); ამით დაამთავრა მთავარმართებელმა რტიშჩევმა ციციანოვის მიერ დაწყებული ბატონიშვილთა გადასახლება.

მაგრამ, ვიდრე საქართველოს საზღვრებთან ჯერ კიდევ თავისუფლად დაჰქროდა ალექსანდრე ბატონიშვილი, რუსეთს მაინც გული საგულეში არა ჰქონდა. საკმარისი იყო ოსმალეთ ან სპარსეთთან მდგომარეობის გართულება, რომ ამ ნაშთს „ასპიდისა“-ს (ასე უწოდებდა ციციანოვი სახელოვან ბაგრატიონთა დინასტიას), ხელახლა თავი წამოეყო და დიდი რუსეთის „შესხეულებით უკეე გაბედნიერებულ“ ყოფილ საქართველოს სახელმწიფოს კითხვა კვლავ დასმულიყო...

ეს ამბავი უკვე 30 წლის მანძილზე მოდიოდა, მაგრამ სიცხოველეს არა ჰკარგავდა და ქართველის გულში კიდევ რაღაც „რომანტიულ, უნიადაგო ოცნებებს“ წარმოშობდა; ქვეყანა არ წყნარდებოდა და აბა სანამ უნდა ეთმინა კიდევ დიდ რუსეთს მწვავე და მძიმე ნესტარი ბატონიშვილ ალექსანდრესი? ვაჟ-

კაცობით მისი ხელში ჩაგდება ვერ მოხერხდა, გაკრული გზები ალექსანდრეს ძლიერ მუხლებს ვერა „ჰკრავდენ“ და ის მუდამ უვნებლად უსხლტებოდა რუსთ. როგორც ვნახეთ, ვერც რუსული ოქრო აღმოჩნდა შესაფერისი სამაგიერო ბატონიშვილის თავისა და არც ქართველთა, არც ლეკთა, არც სომეხთა ან სპარს-ოსთა შორის არ აღმოჩნდა ისეთი, რომ სანატრელ ერეკლეს ვაჟი პეტერბურგის ჯვრებში გაეცვალა.

შემდეგში რუსობა იმ გარემოებამ უფრო გააბრაზა, რომ უკვე მოხუც ბატონიშვილს მემკვიდრე შეეძინა და პრეტენდენტობის წინააღმდეგ, წელთა ბრუნვა ძალას ჰკარგავდა. ამ საქმეშიც რუსეთს სპარსეთმა გაუჩინა გართულება; თავში თითქოს იმედიც იყო, რომ ურჩი ბატონიშვილი, რომელსაც რუსეთის სიძულვილში არასოდეს ზომა არა სცოდნია, ბოლოს მაინც უოჯახოდ და უძეოდ უნდა გადასულიყო. მაგრამ ეს იმედიც

---

*) იხ. ა ფრონელის „კახეთის ამბოხება“.

დაურღვია მათ ბატონიშვილმა; ამაზე დაწვრილებით ქვევით... ჯერ კი პირველ ხანაზე შევჩერდეთ...

* *
*

ალექსანდრემ სიყრმის ჟამს დანიშნა დიდი ყაბარდოს თავადის მისოსტოვის ასული – იშვიათი სილამაზისა; ამ წარჩინებულ ოჯახიდან ადრევეც მოჰყავდათ ბაგრატიონებს მშვენიერნი ასულნი *) და ამათში ალბად ყველაზე შესანიშნავი ვახტანგ მეექვსეს მეუღლე იყო, რომელსაც მონათვლის მემდეგ სახელად რუსუდანი ეწოდა და იყო დედა შესანიშნავ დედოფალ თამარისა (თეიმურაზ მეორეს ცოლისა) და ბებია უფრო შესანიშნავ მეფე ერეკლესი... მაგრამ მშვენიერი ასული ყაბარდოს მთავარისა, ალექსანდრეს ცოლად ვერ იქცა, ისე უეცრივ და მოულოდნელად მიიცვალა. (იხ. ბუტკოვი, ტ. I, გვ. 505).

თავის დროზედ ეს ქალი თვითონ მეფე ერეკლეს გამოერჩია საყვარელ ალექსანდრესათვის. 1790 წელს მეფეს მოციქულები გაუგზავნია ყაბარდოს თავადთან, რომელიც მისი ნათესავი იყო; ერეკლეს ვაჟის სიძობა, აბა ვისთვის არ უნდა ყოფილიყო საამაყო; და „ყაბარდოს მზე ბრწყინვალე მანათობელი“ **) წარმოუგზავნიათ დიდებულ მეფის კარზე. ის უნდა ადგილობრივ ზნე ჩვეულებას და წესებს შესჩვეოდა, სასახლეში შესაფერი სწავლა მიეღო და შემდეგ, როცა ქრისტეს მცნებას შეითვისებდა, საღმრთო წერილებში გაიწრთვნებოდა, უნდა ქრისტიანად მოქცეულიყო და სახელიც გამოეცვალა (ეგევე გზა გაევლო ხომ თავის დროზე დედოფალ რუსუდანსაც). ამ მზეთ-

უნახავს თვისი ძიძა-გამდელი და რამოდენიმე წარჩინებული ყაბარდოელებიც თან გამოჰყოლიან.

მართალია, ის ქართველ ქალად იქცა და ქართული ისტორიული სახელიც მიიღო, სწორედ ისეთი – კაბადოკიიდან მოსულ მშვენიერ განმანათლებელს რომ ჰქვიოდა, მაგრამ ბედი

---

*) იხ. ბუტკოვი, ტ. I, გვ 505.

**) იხ. ჩვენი წერილი: „მეფე ერეკლეს ქალები“, სადაც ბატონიშვილის მარიამის ლექსია მოყვანილი, ამ შემთხვევის გამო რომ დაუწერია.

მაინც არ შეიქმნა მისი მწყალობელი და ყაბარდოდან მოსული მზეთუნახავი ალექსანდრეს „დაწინდული ნინო“ უეცრად გარდაიცვალა*). ალექსანდრეს დიდ ხანს მოუხდა გლოვა, ხოლო ალექსანდრესათვის საგლოვი რუსებს მრავალ წელთა შემდგომაც სამხიარულოდ დაურჩათ...

შემდეგ წლებში მას უკვე სხვაგვარი ფიქრები დაეუფლენ.

ამბები სწრაფად ვითარდებოდა; ღელვა იზრდებოდა, რუსეთი მაგრად იდგამდა ჩვენში საძირკველს და მის მოძულე ალექსანდრეს, საკუთარი ოჯახის შესაქმნელად აღარ ეცალა; მაშინ, როცა „სტუმარი“ უძველესს და უძლიერეს ოჯახს ბაგრატიონებისას, რომელსაც 12-ტი საუკუნე ზურგს უმაგრებდა, ანადგურებდა და საქართველოს ორი ათასი წლის სახელმწიფოს ერთბაშად შლიდა, ბატონიშვილს უფრო დიდი ვალი აწვა... და ალექსანდრე ბრძოლად გაიჭრა და დააგდო ფიქრი საკუთარ ოჯახზე.

როცა საქართველოს სამეფო გვარეულობიდან ალექსანდრეს გარდა ყველა აჰგავეს, რუსებს იმედათ ის რჩებოდათ, რომ ალექსანდრეც ერთხელ სპარსეთში ან დაღესტანში დღეს დალევდა და მისი მომდევნო მემკვიდრე კი აღარავინ ჩნდა.

მაგრამ ბაბა ხანის ღირსეული ვაჟი, აბას მირზა, სპარსეთის შაჰის მემკვიდრეობა რომ წილად ხვდა და დაქანებული ირანის ჯებირის გასამაგრებლად გურჯისტანის რუსეთის ხელიდან გამოგლეჯისათვის იღვწოდა, ასე არა ფიქრობდა... მას მუდამ აღონებდა ის, რაც ახარებდა რუსეთს, სპარსეთის ახლოს რომ მაგრად მოიდგა ფეხი მოტყუებულ საქართველოს მამულში.

ეს დაუცხრომელი მეომარი, დარბაისელი და ღირსეული მოწინააღმდეგე, მარტო იმის ოცნებაში იყო, რომ საქართველოს მიწა-წყალი „რუსული უწმინდურებისაგან“ გაენთავისუფლებია და გურჯისტანში ბაგრატიონის ტახტი სპარსეთის მფარველობის ქვეშ კვლავ აღედგინა. მდგომარეობას არ

---

*) იხ. პროფ. ექ. თაყაიშვილის „ოპისანიე“, № 203, 80.

სცვლის ის, რომ ამას თვით სპარსეთის ინტერესები მოითხოვ-
და*). საქართველოც მას რუსთა საწინააღმდეგო ბაზად მიაჩნდა.

აბასი გვერდით არ იშორებდა მისებრ დაუღალავ და დარ-
ბაისელ მებრძოლ ალექსანდრე ბატონიშვილს და საუკეთესო
მეგობრადაც სთვლიდა. მართალია, შეხიზნული ბატონიშვილი
და მისი მხლებელნი შაჰმა დიდი წყალობითა და საჩუქრებით
აავსო სასახლე, ფული, მამული და პატივი საშვილისშვილოდ
დაუმკვიდრა, მაგრამ ფეხტ-ალი შაჰმა და მისმა მემკვიდრემ,
აბას-მირზამ ძალიან კარგად იცოდენ, რომ ღირსეულ ერეკ-
ლეს შვილს მუდმივი ემიგრანტობა არ უხდებოდა და ვერც
როდისმე მიუდგებოდა. მართალია, ომებში აბას-მირზას და
მასთან ალექსანდრეს ბედი არ სწყალობდათ, რუსული ზარ-
ბაზნები და ქართველთა „მილიციები“ (რომელთაც რუსეთი
ქრისტეს ჯვრით ხელში და რუსულის ჯვრით მკერდზე, ასე
გულუბყვილოდ აქეზებდა), სპარსეთს უწყალოდ ამარცხებდა
და საქართველო ისევ რუსეთს რჩებოდა; მაგრამ იმედი მაინც
არ ილეოდა და შაჰს ძველებურად სჯეროდა რუსების კავკასი-
იდან განდევნა. საქართველო უნდა ხელახლა ამდგარიყო და
ამაზე ალექსანდრეს ფიქრი და ზრუნვა არ უნდა დაეგდო
„ემიგრანტობის“ დროსაც. ამიტომ აბას-მირზა მას დაჟინებით
ურჩევდა ცოლის შერთვას და მემკვიდრის გაჩენას, რათა რუ-
სებს მისი უძეობის იმედი მაინც გაქარწყლებოდათ. (იხ. პოტ-
ტო, კავკასიის ომები“, 4).

ჩვენ გვგონია, რომ შაჰის მემკვიდრეს ადრიდანვე აფიქრებ-
და ბაგრატიონთა სახელოვანი გვარის რუსთაგან გაწყობა.

მართალია – ბაგრატიონები მუდამ მოხერხებული დიპლო-

*) აბას-მირზაც – რა თქმა უნდა – არა საქართველოს,
არამედ ძველი ირანის პატრიოტი იყო, მაგრამ როცა გაზვია-
დებულმა დათვმა ჩრდილოეთიდან ძლიერი თათი გურჯისტა-
ნის გულს მძლავრად დააბიჯა, ირანის დაღლილ ლომს სი-
ბერის ძილი დაუფრთხო; და აბასიც თავის მამას – ბაბა ხანს –
ლექსანდრე ბატლნიშვილთან ახლო კავშირით აიმედებდა.

მატები იყვნენ და გრძელ და მძიმე ისტორიულ გზაზე ქართ-
ველი ერი დიდის მოქნილობით მოჰყავდათ; ამ მოქნილობის
გამო არა ერთხელ განდგომიან ეს ვალიები ირანს, შაჰის
მტრებსაც კი მიჰკედლებიან და ზურგში მახვილი ჩაუციათ
შემთხვევით წაჩოქIეPბულ სპარსეთისათვის, მაგრამ... ტალღა
გადაივლიდა; ისტორიული სინამდვილე ეხლა სხვაგვარ „მოქნი-
ლობას" მოითხოვდა და ბაგრატიონები ისევ სპარსეთის ორიენ-

ტაციის ქვეშ დგებოდენ და ირანის ხმალს დიდებით და მამაცობით აგვირგვინებდენ. ამ გზით არა ერთხელ გადაურჩენიათ ბაგრატიონებს ქართველი ერი. და სპარსეთსაც დიდათ დახმარებიან...

ეხლა კი საქართველოში ბაგრატიონები აღარ იყვნენ, თვით საქართველოც უნდა გამქრალიყო, იქ დიდი იმპერია სამუდამო ბინას იდგამდა და სამუდამოდვე უფრთხობდა ძილს მოხუც, უძლურ ირანს...

ეხლა უკვე საჭირო შეიქმნა ხელოვნურად გამაგრება ირანისაგან ბერჯერ ასე უსამართლოდ და უწყალოდ აღგვილის, ასე ხშირად გაუკაცრიელებულის გურჯისტანისა.

ამ დანგრეულ ზღუდის აღდგენა სპარსეთს საზღვრების დაკარგვის შიშს გაუნელებდა; მაგრამ აბა ვის შეეძლო ეხლა ამ დიდი იმპერიის ბრჭყალებიდან პატარა გურჯისტანის გამოგლეჯა?

საქართველოს სჭიროდა ბელადო ტრადიციულის სიბრძნემოქნილობით შეიარაღებული, მრავალ საუკუნეთა მადლით ნაკურთხი მეთაური. ამას ასე ერთბაშად ვერვინ შექმნიდა, ის უნდა მოცემული ყოფილიყო ძველ ფესვთაგან. ასეთი კი მარტო ბაგრატიონთა დინასტია იყო და რუსეთმა სწორედ ამას მოჰკვეთა თავი: ან გაჟლიტა, ან და აშკარა გადაგვარების გზაზე შეაყენა.

სპარსეთი ხედავდა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილის გარდასვლასთან, გარდავიდოდა საქართველოს აღდგენის სულიერი მეთაურიც, ჰქრებოდა ბაგრატიონთა გვარის ის ნაწილი

მაინც, რომელიც საქართველოს ახლოს იყო და მისი თავისუფლების და გუშინდელ დამოუკიდებლობის ჰავით სუნთქავდა.

ასევე განადგურებული იყვნენ ხომ იმ ხანად ქართლის და იმერეთის ბაგრატიონებიც.

სპარსეთისათვის მაშასადამე, აუცილებელი უნდა ყოფილიყო ეხლავე თადარიგის მიღება, რათა რუსთა მიერ განადგურებული დინასტია როგორმე გაგრძელებულიყო და ამით კავკასიიდან რუსების განდევნისათვის ბრძოლა მომავალშიაც შეიძლება უკეთეს პირობებში წარმოებულიყო.

ამიტომ ვფიქრობთ, რომ ის დაუღალავი და განუწყვეტელი ზრუნვა, რომელსაც შაჰი და განსაკუთრებით მისი მემკვიდრე ალექსანდრე ბატონიშვილის დაღესტანიდან უვნებლად გამოსაყვანად იჩენდენ, მარტო ალექსანდრეს პატივისცემა-სიყვარუ-

ლით კი არა ხდებოდა, არამედ ბაგრატიონთა დინასტიის გაგრ-ძელების მიზნითაც. ამიტომ აბას-მირზა არაფერს მორიდებია და არც რუსეთ-სპარსეთის შორის დიპლომატიურ ურთიერთო-ბის გამწვავებამ ჩააფიქრა ამ დროს სპარსეთი.

აბას-მირზას დავალებით რამდნიმეჯერ წარიგზავნენ დეს-პანები რტიშჩევთან და შემდეგ ერმოლოვთან ბატონიშვილის სპარსეთში გამოყვანის მიზნით. მრავალჯერ გზავნიდა ერევნის სარდალიც აბას-მირზას ბრძანებით ფულს და საჩუქრებს დაღე-სტანში, რათა ბატონიშვილი უვნებლად შეენახათ იქ და შემ-დეგში კი როგორმე გამოეპარებინათ. რუსეთი ამის გამო ნოტას ნოტაზე უგზავნიდა სპარსეთს, მაგრამ ვერ იქმნა, ვერავითარმა მუქარამ ვერ ააღებინა შაჰის მემკვიდრეს ხელი ალექსანდრე ბატონიშვილისთვის ზრუნვა-მფარველობას.

როგორც ვიცით, ეს ცდა კეთილად დაგვირგვინდა და ბა-ტონიშვილმა ანწუხელთა თანხლებით მამაცურად გადაიარა რუსულ ჯარების პოსტები და საოკუპაციო ხაზიდან უვნებლად გავიდა; აბას-მირზა მას მოუთმენლად ელოდა სპარსეთში, მაგრამ ბატონიშვილი არა ჩქარობდა; ამ ჟამათ მან ახალციხის ფაშასთან დაიდო ბინა. თითქოს ბატონიშვილს ახალციხის ფაშა

თვითონ არ იშორებდა, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ბატო-ნიშვილის ზრახვაც შეესაბამებოდა ფაშის ასეთ სურვილს.

სპარსეთის კარს, როგორც აღვნიშნეთ, მეტად აფიქრებდა ალექსანდრეს უშვილობა და ამიტომ ნაირი გეგმები ეწყობოდა თავრიზში და ერევანში ბატინიშვილის დაქორწინებისათვის.

მართალია, ალექსანდრე უკვე მოჭარბებული ხნის და ბევრ ჭირთა მნახველიც იყო, მაგრამ ბაგრატიონთა დინასტიის მაინც უტეხი და ჭარმაგი წარმომადგენელი; იმ დინასტიისა, რომელ-მაც გამრავლების საუკეთესო მაგალითები მეთვრამეტე საუკუ-ნის მიწურულსაც კი აჩვენა.

არა ეს ოჯახი ჯერ კიდევ ცხოველ-მყოფელი იყო; მის გადაგვარებას ტყვილა დღესასწაულობდა რომანოვების რუსე-თი და ალექსანდრემაც მალე დაანახა ქვეყანას, რომ ის ღირ-სეული მამის ამ ტრადიციასაც არ ღალატობდა.

ალბად ალექსანდრეს ყურამდეც მოაღწიეს სპარსეთიდან ცნობებმა მისი მემკვიდრის გაჩენისათვის ზრუნვის შესახებ და ბატონიშვილს, უნდა ვიფიქროთ, მაინცა და მაინც სასურვე-ლად არ დაურჩებოდა სპარსეთის კარის მიერ ასე სახელდახე-ლოდ გამორჩეული საცოლე...

რაკი საქართველოში ბაგრატიონთა ოჯახი ვეღარ სწყვეტ-

და ამ დიდ საკითხს და დესპანები სასძლოს გამოსარჩევად მეფე-ბატონისგან არ იგზავნებოდენ, ბარემ თვით ბატონიშვილს ამო-ერჩია თვისი საყვარელი მეუღლე და მომავალი დედოფალი...

ალბად ბატონიშვილს უტყუარი ცნობები დაახვედრეს ახალციხეში გახიზნულმა ქართველმა ემიგრანტებმა, რომელნიც ერევნის სახანოსთან და თვით თავრიზთანაც მუდმივ კავშირში იმყოფებოდენ, რომ აბას-მირზა ბატონიშვილისათვის საცოლეს დაეძებს და სხვა და სხვა კუთხეში ჰყავს შუა კაცები დაგზავ-ნილი (ჩვენ ქვემოდ დავინახავთ, რომ რუსეთის მხედრობასაც მოუვიდა საამისო ცნობები).

ბატონიშვილს, მუდამ გარდახვეწილობაში მყოფს და

ბრძოლებში ჩაბმულს წინად ამაზე არ ეფიქრა და არც შეეძ-ლო ფიქრი, მაგრამ აბას-მირზასათვის უარის თქმა ეხლა მას არ არგებდა...

იმ მფარველობა-დახმარებათა შემდეგ, რაც ამ პრინცმა ბატონიშვილს აღმოუჩინა, აბა როგორ იკადრებდა დარბაისელი და გამჭრიახი ბატონიშვილი ამ წინადადებაზე ცივი უარი ეთქვა; მით უმეტეს, რომ ბატონიშვილის მომავალ გეგმათა განსახორ-ციელებლად ერთად-ერთი რეალური დახმარება მარტო სპარ-სეთიდან თუ იყო მოსალოდნელი. და თუ ბატონიშვილს მაინც უნდოდა თავაზიანად და მოხერხებით ამ მდგომარეობიდან თა-ვის დახწევა, მისთვის მარტო ერთი გზა რჩებოდა: გზა ფაქტის შექმნისა: თითქოს ბატონიშვილი ჯვარის წერაზე უარს არ ამ-ბობდა, მაგრამ მას უკვე ჰყავდა დანიშნული საქართველოშო და ეს ქალი თუ ჩამოსული არ იყო, ამ მოკლე ხანში უნდა გა-მოეყვანათ იქედან ერთგულ თანამებრძოლთ. ამავე დროს ეს ქალი იყო გავლენიან და ტრადიციულ ოჯახის შვილი, რომლის გულისათვის დიდი ნაწილი მის მრავალ რიცხოვან მონათესავე-თა თავს დასდებდა...

შევჩერდეთ ამაზე უფრო დაწვრილებით: საქართველოს მიწა ჯერ კიდევ არ გაციებულიყო, იქ აჯანყება – აჯანყებას მისდევდა და ამხანადაც დიდი შეთქმულება მზადდებოდა... იმერეთის ხალხი ჩუმად ირაზმებოდა და ფიცს სდებდა, რომ პირველ დაძახებისთანავე რუსთ შეებრძოლებოდა და ან ერთ-ბაშად დაიხოცებოდა, ან მტერს განდევნიდა... იდებოდა შესა-ფერისი „აქტი შეფიცვისა“, რომელსაც სამღვდელოება და წარჩინებულნი ხელს აწერდენ; იგზავნებოდენ საიდუმლო შიკ-რიკები თვით ალექსანდრე ბატონიშვილთან და სხვა...

ჰაერში კიდევ იმედის ზარი რეკდა და ამ დროს საჭირო იყო ახლოს ყოფნა იმერეთთან და შემდეგ ბრძოლის ცეცხლის აღმო-სავლეთ საქართველოში გადატანა. ალექსანდრე ბ˜ვილს კიდევ

ეძლეოდა ერთი შემთხვევა რომ ამ ჟამად დასავლეთ საქართველოში ეცადა თვისი და ქართლის ბედის აღდგენა...

სწორედ ეხლა იყო საჭირო ძველ ნათესავ-მეგობრების გახსენება, ახალის გაჩენა და ხელის გაწვდენა. გარეშე ძალებით შეჭრამ ქვეყანას აქამდე ვერაფერი უშველა... საჭიროა საქართველო ჯერ თვითონ დაირაზმოს და ყოველნაირად მოემზადოს მტრის წინააღმდეგ...

აი, ამ მიზნითაც უნდა გამოეყენებინა ალექსანდრე ბატონიშვილს აბაზ-მირზას წინადადება – მისი დაქორწინების შესახებ. მას უნდა საქართველოს წარჩინებულ და ყველაზე გავლენიანი ოჯახის ქალი გამოერჩია და ხელი მისთვის გაეწვდინა... ეს იქმნებოდა თითქოს დიპლომატიური დაქორწინებაც და ამავე დროს მის გულთანაც ხომ ქართველი ქალი უფრო ახლოს უნდა ყოფილიყო, ვიდრე თუნდაც ფრიად წარჩინებულ აისორის, ან სომხის ოჯახის შვილი.

ალექსანდრე ბატონიშვილმაც არჩია ამ საკითხის გამორკვევამდე გადაედო თვისი შეხვედრა აბას-მირზასთან და ერევნის სარდალთანაც; ის ჯერ ახალციხეში დარჩა და იქედან შუაკაცები გაგზავნა საქართველოში.

ამ ჟამათ მისი გული და გონება ერთ შესანიშნავ ქალზე შეჩერდა, რომელიც ღირსეულ ოჯახის შვილი იყო; სწორედ ისეთის – რომელსაც ამ კრიტიკულ მომენტში დიდი დახმარების გაწევა შეეძლო ალექსანდრე ბატონიშვილისთვის და რომელსაც ჰქონდა გრძელი ტრადიცია საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლისა. ეს იყო დიმიტრი აბაშიძის ოჯახი...

ბატონიშვილი კარგად იცნობდა სოლომონ II-თან დაახლოებულ ამ ოჯახს და უნდა ვიფიქროთ, დიმიტრი აბაშიძის ასული მას ძველათგანვე ჩაუვარდა გულში. მაგრამ ამ მის იდუმალ ზრახვას შესაფერი დრო არ დასდგომოდა: და რაკი ეხლა სპარსეთის კარი მისგან ცოლის შერთვას მოითხოვდა, აბა, ამ ქალზე ძვირფასს ვინ გამოუძებნიდა ალექსანდრეს?

გავიხსენოთ გაკვრით ის ძველი ამბებიც: სახელოვანი გვარი აბაშიძეებისა გვერდში ამოუდგა დიდებულ მეფე სოლომონს და ერთის წუთითაც არ გაუგდია ხელიდან ხმალი იმერეთის

სამეფოს რუსთა კლანჭებიდან სახსნელად. ამ მებრძოლ წრეში ძმები ლევან და დიმიტრი აბაშიძეები მუდამ თვალსაჩინო და მოწინავენი იყვნენ; ისინი არა მარტო მკლავით იცავდენ ტახტს, არამედ დიპლომატიურ მისიასაც იღებდენ თავის თავზე.

როცა კავკასიის მთავარმართებელმა ტორმასოვმა ქუთაისის (და იმერეთის) მმართველს სიმონოვიჩს 1810 წელს თვისი პროკლამაცია გამოაცხადებინა: იმერეთის სამეფოს გაუქმების და სოლომონ II-ის ტახტიდან გადაყენების შესახებ, ძმები დიმიტრი და ლევანი, მეფის დავალებით პირველნი გაიჭრენ ახალციხეში შერიფ-ფაშასთან და დაუყონებლივი დახმარება ითხოვეს... მალე ამ აბაშიძეთ მოემატათ ბრძენი კანცლერი ლეონიძე და სარდალი მალხაზ ანდრონიკაშვილიც, (ხოლო პატრი ნიკოლა ადრევე იყო ამ დავალებით გაგზავნილი).

ჩვენ ვიცით, რომ იმ ხანად ამ შუამავლობამ უნაყოფოდ ჩაიარა, მაგრამ შემდეგში მაინც იყო საგრძნობი დახმარება...

და როცა სოლომონ მეფემ ახალციხიდან ჯარებით ხელახლა შემოჭრა მოახერხა, მას თან ახლდენ დიმიტრი და ლევან აბაშიძეები, რომლებიც თავდადებით და ღირსებით იბრძოდენ იმერეთის და ტახტის გადასარჩენად. ლევან და დიმიტრი თვისის რაზმებით ზოგ ადგილას ამარცხებდენ კიდეც რუსის ჯარებს და სარდალი მალხაზ ანდრონიკაშვილი მათ ამ ბრწყინვალე გამარჯვებას ულოცავდა (იხ. აქტები, ტი IV, № 395).

საფიქრებელია რომ ძმები აბაშიძეები სოლომონ მეფის ტფილისიდან გაპარების შემდეგ (10 მაისი 1810 წ.), არა ერთხელ გადიოდენ ახალციხის საფაშოში და უკან ბრუნდებოდენ მეფისა და ალექსანდრე ბატონიშვილის დავალების აღსრულებაში მოსაყვანად. ამ დროს სოლომონ II-ეს ახალციხეში თან ახლდა თავისი შტაბი, წარჩინებულთა წარმომადგენელნი და ამათ შეუერთდენ ალექსანდრე ბატონიშვილი და მისი მხლებლებიც.

მეფის ამ ახლო გარემოცვაში ძმები აბაშიძეები და ალექსანდრე ბატონიშვილი ხშირად ხვდებოდენ ერთმანეთს

და მათ შორის ალბად ძველი კავშირი განახლდა და განცხოველდა. დიმიტრი და ლევან აბაშიძეები 1810 წ. ივლისს ერთხელ კიდევ ხლებიან მეფეს და ახალციხეში დაბანაკებულ შტაბს, რათა მათთვის შეეტყობინებინათ, რომ იმერეთი შეფიცულია საყვარელ მეფეზე და მის მობრძანებას დარაზმული უცდის *).

იმერეთის მმართველს სიმონოვიჩს სამეფო სამუდამოდ გაუქმებულად გამოეცხადებინა და ხალხი რუსეთის მონარქის ერდგულებაზე დაეფიცებინა, ხოლო მთავარმართებელი ტორმასოვი ხელმწიფეს გამარჯვებას ულოცავდა, იმერთს ფეშქაშად აწვდიდა ხონჩით და სთხოვდა განკარგულებას – თუ როდის გაეგზავნა პეტერბურგში ტყვედ-ქმნილი ყოფილი მეფე, ტფილისში რომ ჰყავდა სუმბათის სახლში დამწყვდეული...

მაგრამ უცებ ყოველგვარი ანგარიში თავდაყირა დაუდგა რუსებს; მეფე ტფილისიდან გაექცათ და ახალციხეში შემდგარ რაზმებით იმერეთში კვლავ შემოიჭრა. დაპყრობი-დაფიცე-

*) ჯერ კიდევ 3/VII 1810 წელს ძმები ორჯონიკიძეები სწერდენ რუსების ჯართა უფროსს ქუთაისში: იმერეთი ფეხზე დადგა და – მეფის შემოჭრას ელოდება ახალციხიდანაო; ქაიხოსრომ, (რომლის გვერდით მრავალი „მოღალატენი“ დგანან), უკვე ოდიშ-ლეჩხუმი დააფიცა მეფის ერდგულებაზე, შემდეგ წერეთელმა სეხნია წულუკიძემ, როსტომ ნიჟარაძემ და სხვ. შეკრიბენ აფხალაურში თავად-აზნაურობა, გლეხობა და სამღვდელოება – შეჰფიცეს სოლომონ მეორეს და დაადგინეს: – არ მისცენ რუსებს არც პური, არც წყალი, არც მისყიდონ და არც მათგან იყიდონ რამე და არც ახლოს მიუშვან... რომ შიკრიკებს აგზავნიან ახალციხეში მეფესთან ალექსანდრე ბათნიშვილთან და იწვევენ: „მოდით, ჩვენ მზად ვართო“. რომ ლევან და დიმიტრი აბაშიძეებიც გაიქცნენ მეფესთანაო და სხვა (იხ. „აქტები“, ტ, 4, ნომ. 283). აღსანიშნავია, რომ იმ ხანებში ეს იყო მართლაც უდიდესი მარცხი, რომელიც რუსებს იმერეთში მოუვიდათ და ამაშიაც ალექსანდრე ბატონიშვილს პატარა წილი არ ედო.

ბული იმერეთი, როგორც ერთი კაცი კვლავ ფეხზედ დამდგარიყო; რუსთა რაზმებს და ციხეებში დაბანაკებულ გარნიზონებს აჯანყებულებმა ალყა შემოარტყეს და მთავარი ნაწილი რუსულ მხედრობისა, სიმონოვიჩის ხელმძღვანელობით, ქუთაისთან მოჭრილი შეიქმნა და საფრთხეში ჩავარდა.

რუსეთის ჯარების პრესტიჟი მთელს კავკასიაში ირყეოდა ამ დივერსიით და ალექსანდრე ბატონიშვილიც, როგორც ვსთქვით, ამ აჯანყების ცეცხლის გადატანაზე ფიქრობდა იმერეთიდან საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში.

მდგომარეობა მართლაც კრიტიკული იყო, ყველაფერი ძაფზე ეკიდა და სიმონოვიჩი ახალი ჯარების და ზარბაზნების გამოგზავნას ეევედრებოდა ტორმასოვს.

სასწრაფოდ მოხდა კონცენტრაცია რუსთა მხედრობისა და მთავარი ძალები როზენის წინამძღოლობით დიდძალის ტექნიკურის მასალებით (რაც იმ ასე უწყალოდ ანადგურებდა აჯანყებულ ქართველთა გმირებს) სიმონოვიჩის რაზმის საშველად გაეშურა; და აი, ამ დიდ ჯარს წინ გადაეღობა დიმიტრი აბაშიძის რაზმი, რომელიც 5.000 მეომრისაგან შესდგებოდა*). ბრძოლა ჩხარის ახლოს მოხდა და დიმიტრი აბაშიძის რაზმი იძულებული გახდა სოფ. გრადოსაკენ უკან დაეხია; აქ ის ხელახლა გამაგრდა და შეუტია როზენის ჯარს, მაგრამ ცხარე ბრძო-

*) ამს ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა ქუთაისის და კერძოდ

სიმონოვიჩის ჯარების ბედი და საყურადღებოა, რომ ასეთი დიდათ საპასუხისმგებლო ამოცანა მეფემ დიმიტრი აბაშიძეს მიანდო; არა ამაზე ნაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანა დაავალა სოლომონმა ადრევე ძმებს დიმიტრი და ლევან აბაშიძეთ: ამათ 2.000 კაცით უნდა ბრძოლა მიეცათ ღენ. ორბელიანისათვის, რომელიც რუსთა დიდძალ ჯარებით მიიწევდა საფრთხეში ჩავარდნილ მაიორ ტიხოცკის რაზმის სახსნელად (იხ. ჩუდინოვის «Имеретинская неурядица в 1809-1810 годах». – Кавк. сборн. ტ. 15, 16; 1895 წ.).

128

ლის შემდეგ რომელმაც 3 საათზე მეტი გასტანა, რუსულმა არტილერიამ მაინც სძლია დიმიტრი აბაშიძის მამაცურ რაზმს... ამით როზენმა ქუთაისისაკენ გზა გაიხსნა და სიმონოვიჩს მიაშურა.

ამ ცხარე ბრძოლაში გმირულად დაიღუპა თვითონ რაზმის მეთაური დიმიტრი აბაშიძე, რომლის გვამი მტრებმა ხელში იგდეს... ეს მოხდა 24/VII 1810 წ; რუსებმა დიდათ იდღესასწაულეს დიმიტრი აბაშიძის სიკვდილი და ყველაზე უფრო ის ახარებდათ, რომ ამ „ავაზაკს“ ჯიბეში საყურადღებო ინსტრუქციები და წერილები უპოვეს, თვით მეფისაგან, დედოფალ მარომისაგან და სხვა წარჩინებულ პირთაგან*).

ასე სახელოვნად შეეწირა ეს კაცი დიდ საქმეს საქართველოს განთავისუფლებისას და რა თქმა უნდა, მისი ტრადიცია და ოჯახი ასეთივე ძვირფასი უნდა ყოფილიყო ალექსანდრე ბატონიშვილისათვის ამ 9 წლის შემდეგაც.

და რაკი აბას-მირზა ასე მოწადინებული იყო ბატონიშვილის დაქორწინებას, უკეთესს აბა ვის ამოირჩევდა ბატონიშვილი ალექსანდრე, თუ არა ამ დიმიტრი აბაშიძის ასულს...

და მან ეს გულის ზრახვა გაუზიარა ქალის საყვარელ ბიძას – ლევანს, რომელიც მას ზრდიდა და პატრონობდა დიმიტრის დაღუპვის დღიდან.

ლევანი ამ ხანად, მართალია, აქტიურად შეთქმულებაში აღარ ერია და მას შემდეგ, რაც ბრძოლათა და აჯანყებათა პირველი პერიოდი (1812 წლამდე) ასე უშედეგოდ დამთავრდა, მან ლოიალობა აირჩია, მაგრამ ეს „ლოიალობა“ დროის მოგება უფრო უნდა ყოფილიყო, ვიდრე შერიგება; სოლომონის და იმერეთის დაღუპვას ეს ძველი მებრძოლი ხომ ასე ადვილად არ

*) იხ. „აქტები“, ტ. IV, გვ. 327, № 435; აგრეთვე ჩუდინოვის ზემოაღნიშნული შრომა, გვ. 261.

აპატიებდა რუსთ. მან იცოდა შურის ძიება და დამარცხებასაც მუდამ ძვირად დაუდგენდა ბაგრატიონთა მტერს *).

იმერეთი რუსეთმა ხომ ვაჟკაცობით ვერ დაამარცხა, ვიდრე ლევანი და მსგავსნი თავდადებული მებრძოლნი მეფეს გვერდით უდგენ; მაგრამ, აბა, რა ექმნათ ამ რაინდებს, როცა შავი ჭირი და საშინელი სიმშილი მძვინვარებდა მთელს იმერეთში, რამაც ერთიანად გააუკაცრიელა ეს მხარე და რუსების საწინააღმდეგო უნარი დიდის ხნით მოშალა ხალხში.

ტყვილა უცდიდა ლ. აბაშიძე საქმის გამობრუნებას, გული უსივდებოდა, და როცა ალექსანდრე ბ˜ის ახალი ცდა კახეთში ასეთივე მარცხით გათავდა (1812 წელს), ლევანი თავის საყვარელ იმერეთს დაუბრუნდა და გარეგნულად მაინც ლოიალობის გამოჩენა არჩია; მაგრამ ერმოლოვის აგენტები ლევანის ყოველ ნაბიჯს ფხიზლად ადევნებდენ თვალ-ყურს, და ეხლა რომ იმერეთში ახალი შეთქმულება მზადდებოდა, ლევანის გავლენის და მისი ნაცად სარდლობის შიში რუსებს დიდათ ჰქონდათ.

ეს ამბავი ალბად ლევანმაც კარგად იცოდა და მას უთუოდ არ გამოპარვია, რომ ერმოლოვის ყურამდე უნდა მისულიყო იმ წერილის ამბავიც, რომელიც მას ალექსანდრე ბატონიშვილმა ხერთვისიდან მოსწერა. „ლოიალობას“ სწორედ ამ სახიფათო დროში სჭიროდა დამტკიცება, თორემ ნიღაბი აშკარად გამოჩნდებოდა... ერმოლოვის მოადგილეს ღენ. ველიამინოვს საიდუმლო აგენტების საშუალებით, ალბად უკვე გაგებული ჰქონდა, რომ დაღესტნიდან გამოსული ბატონიშვილი – ჯერ კი-

*) სოლომონ მეფის ხელმეორედ დამარცხების შემდეგაც გაჰყვა მას ლევანი ახალციხეში და ერთის წლის შემდეგ (10 VI 1811 წ.) ის თურქულ-ლეკურ მხლებლებით ისევ შემოიჭრა ქართლში (აწყურიდან – ზედუბანში), დაეცა ყაზახთა რაზმს, ბევრი დასჭრა და გაფანტა, რენეგატ ყიფიანს 14 მცველი წაართვა, გადასწვა მისი სახლ-კარი და სხვებისაც, საცა რუსის ჯარები იდგნენ და დახმარებას ჰპოულობდენ; და დიდის ნადავლით გადვიდა ვახანში (იხ. „აქტები“, ტ. IV, № 497).

დევ რომ ახალციხეში იჯდა და იმერეთის ამბების განვითარებას უცდიდა – ლევან აბაშიძესთანაც კავშირში იყო. დანარჩენი აბაშიძეების ახლო ურთიერთობა ახალციხის ფაშასთან და ალექსანდრე ბატონიშვილთან ხომ კარგა ხანია რუსთათვისაც ცნობილი იყო; ქაიხოსრო აბაშიძეს, დარეჯან ბატონიშვილის (სოლომონ I-ის ასული) მეუღლეს, ხომ ძველთაგან ჰქონდა იქ მჭიდრო კავშირი და მისი მოკეთენი და დამხმარენი აქამდე ოსმალეთის კარზედ თვალსაჩინო როლს თამაშობდენ; ხოლო ამისი ვაჟი ივანე ხომ აჯანყებულთა მეთაური იყო და მეამბოხენი მას მეფეთაც კი უპირებდენ გამოცხადებას“.

აბა, რა გასაკვირველი უნდა ყოფილიყო, რომ ამ გვარში ქაიხოსროსთან და ივანე აბაშიძესთან ერთად ლევანიც დიდის იჭვის ქვეშ აეყვანა ერმოლოვს. ამ მოსაზრებებმა თუ უკარნახეს ფრთხილსა და დარბაისელ ლევანს ალექსანდრე ბატონიშვილის წინადადება, დიმიტრი აბაშიძის ასულის შერთვის შესახებ, რუსთა მხედრობის უფროსისათვის – სტალისთვის გაემჟღავნებინა.

ამ ბარათში ალექსანდრე ბატონიშვილი 26 ოქტომბრის 1818 წელის თარიღით ლევანს შემდეგს სწერდა: „საქართველოს ბატონიშვილი ალექსანდრე გაახლებთ მრავალს მოკითხვასა, აღსავსე ძმურის სიყვარულითა. ამასთან ჩვენთვის ფრიად სასიხარულო იყო შეტყობა, რომ შენ კეთილად იმყოფები მანდ, შენს მამულში, მაგრამ მრთელის გულით მაგათ მაინც ნუ მიენდობით... ახლა ჩვენს ამბებს თუ ისურვებთ, გაუწყებთ, რომ ღვთის წყალობით მოვახერხეთ მშვიდობიანად გამოსვლა დაღესტნიდამ და აქ მამედ-აღასთან სტუმრად გახლავარ, თანახმად ჩემის სურვილისა. ეხლა ახალი ფაშა რომ მობრძანდა, აქედან აღარ გამიშვა და სულთანს თხოვნა მიართვა, რომ ესა და ეს წარჩინებული პირი ჩამობრძანდა და სპარსეთს მიდიოდა და ჩვენ ვერ გავუშვით, რის ნებასაც ვითხოვთო. ამავე დროს ირანის ხელმწიფე და შახ-ზადე ჯავრობენ რომ ამდენი წელიწადია, რაც ისინი მე მფარველობენ, რომ ჩვენ მუდამ მათ მხარეს ვყოფილვართ და ვიყავით დიდი და წარჩინებული ვალიები. ეს

საქმე ამნაირად არის ეხლა და ღვთის-წყალობით როგორს მსვლელობას მიიღებს ის, ამისი არა ვიცი. თუ ეს მართალია, არა მგონია, რომ აქედან გამიშვან, რაიც ჩემთვის სასურველი იქნება *).

„ამასთან“, დასძენს ბოლოს ბატონიშვილი, „მოგეხსენებათ, რომ ჩვენი სახლი თავიდანვე ყოფილა თქვენთან ნათესაურს და ახლობელს დამოკიდებულებაში და რაკი ნათესაობა ჩვენი ბოლოს მობერდა, მე მოწადინე ვარ კვალად განვაახლო იგი და განვამტკიცო ახლად კურთხევითა ღვთისათა და თავდებობითა მოციქულთა; თუ ეს თქვენი ნებაც იქნება, მოგვათხოვეთ ცოლად ასული ძმისა თქვენისა დიმიტრისა და თუ მას მოისურვებთ, მისი აქეთკენ გამომგზავრებასაც მოგიხერხებთ. მგონია, არ უნდა ვიყო დასაწუნარი სასიძე.

ამის პასუხს გთხოვთ ნუ დამიყონებთ, რათა სარწმუნოდ ვიუწყო და შევუდგე ჩემს შემზადებასა. ამასთან გთხოვთ მაუწყო მშვიდობა შენი, რითაც ფრიად გვაამებთ ჩვენ" (აზის ბეჭედი ალექსანდრესი – იხ. „აქტები“, ტ. VI, ნაწ. 1, გვ. 310).

აი, ამ წერილის არსებობა რუსთა მმართველობისთვის საიდუმლო არ უნდა ყოფილიყო და რაკი ლევან აბაშიძე მუდამ

აგენტების სასტიკ თვალ-ყურის რკალში მოემწყვდა, მან როგორც აღვნიშნეთ, ლოიალობა ამჯობინა და ეს წერილი ორგინალში ღენ. სტალს მიართვა მთავარმართებელ ერმოლოვისთვის მოსახსენებლად, თითქოს მისგან შესაფერ „რჩევა-დარიგებათა“ მისაღებად ერმოლოვმა ეს „თავაზიანი შემოვლა“

*) აქედანაც აშკარად სჩანს, რომ ბატონიშვილი გარკვევით სპარსულ ორიენტაციის (როგორც ბევრსა ჰგონია) არ ყოფილა. მისთვის სულ ერთი იყო, რომელ მოკავშირესაც გაიჩენდა იგი რუსთა წინააღმდეგ: იქნებოდა ის ოსმალეთი, სპარსეთი, ეგვიპტის საფაშო თუ დაღესტანი. ის იმისკენ იყო, ვინც საქართველოში, ან კავკასიაში რუსთა ბატონობას ებრძოდა, ამიტომ ის, ჩვენის აზრით, მარტო ქართულ ორიენტაციას ადგა...

სწორედ ახსნა და მართლაც ტლანქად ისარგებლა ამ კეთილშობილ ჟესტით და „ან“-ის მთქმელს ძალად „ბან“-იც ათქმევინა.

მისი პასუხი თ. ლევანისადმი არ სტოვებს არავითარ ადგილს რჩევა-დარიგებისათვის. ის სრულიად უკრძალავს ლევანს ლმობიერებას და წინასწარ უკარნახებს, თუ რა ხასიათის წერილი უნდა მისწეროს მან ბატონიშვილს. ამიტომ ერმოლოვის ამ წერილში „რჩევა“ ძალიან უხეშად და ყოველ გვარ დიპლომატიურ მოქნილების გარეშე უცებ გადადის „მოთხოვნაში“, რომლის უკან ასევე უხეშად იმალება რუსული ხიშტი. ერმოლოვი 1819 წელის 15 იანვარის პასუხში უცხადებს რა მადლობას თავ. ლევანს, ბატონიშვილის წერილის გენ. სტალზე გადაცემისათვის, განუმარტავს, რომ ამით მან შეასრულა მოვალეობა რუსეთის იმპერიის პატიოსან ქვეშევრდომისა. „ხოლო, რაიცა შეეხება ბატონიშვილ ალექსანდრეს წინადადებას“ განაგრძობს ერმოლოვი, „თქვენი ძმის, დიმიტრი აბაშიძის ასულის ცოლად შერთვის შესახებ, გატყობინებთ ჩემის მხრივ, რომ მისი ასეთი სურვილი არასოდეს არ შესრულდება და **ა რ ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა შ ე ს რ უ ლ დ ე ს** თქვენგან, ვინაიდგან ამგვარი დანათესავება იმ ადამიანთან, რომელიც მთელ თვის ძალ-ღონეს რუსეთის მავნებლობისაკენ მართვს და სხვა... „ასეთ ადამიანთან დანათესავება არა თუ მოუმატებს რაიმე ღირსებას თქვენს ოჯახს, არამედ შემდეგში შეუძლიან ბევრი უსიამოვნება და სამართლიანი იჭვები მთავრობისა თავს დაატეხოს. ამის გამო, გულწრფელად გირჩევთ და **მ ო ვ ი თ ხ ო ვ** თქვენის ბრწყინვალეგისაგან, რომ თქვენ ასეთი წინადადება ბატონიშვილ ალექსანდრესი თქვენის **პირადი მშვიდობიანობისათვის**, გადაწყვეტილად და ზიზღით უკუ-აგდოთ“ *).

როგორც აღვნიშნეთ, ორი გარემოება უკარნახებდა ამ ნაბიჯის გადადგმას ალექსანდრე ბატონიშვილს: პირველი ის, რომ აბას-მირზას გადაწყვეტილი ჰქონდა ბატონიშვილს სა-

*) იხ. წერილი ერმოლოვისა ლევან აბაშიძისადმი, 15/I

1819 წ. („აქტები“, ტ. VI, ნაწ. 1).

სწრაფოდ ჯვარი დაეწერა და მოციქულები ჰყავდა დაგზავნილი სარძლოს გამოსარჩევად; მეორე კიდევ ის, რომ მარტოდ სპარსეთზედ მინდობა, რომელმაც ამდენი მარცხი განიცადა რუსებთან ბრძოლებში და ახლო პერიოდი ამ ბრძოლათა გიულისტანის სამარცხვინო ზავით დასრულდა, ასეთ სახელმწიფოზე მინდობა, თუ კი მეორე შესაძლებლობა წარმოდგებოდა, საჭირო აღარ იყო. ეხლა კი მოსალოდნელი იყო სპარსეთ-ოსმალეთის ურთიერთობის გამწვავება აშკარა ომით დამთავრებულიყო, და ამ ჭიდილში ბატონიშვილს უკეთესი მოკავშირის შოვნაც შეეძლო. ოსმალეთი ბევრად უფრო ძლიერი მოწინააღმდეგე უნდა ყოფილიყო რუსეთისა, და იმერეთიც ფეხზედ იდგა ტრაღიკულად დაღუპულ მეფის სოლომონ მეორის ანდერძის დასაცავად.

ალექსანდრე ბატონიშვილი ცდილობდა, თუ საჭირო იქნებოდა, ნიადაგი შეემზადებინა ოსმალეთის მხარეზე გადასასვლელად და ახალციხის ფაშის გულის მოსაგებად. ამ პოლიტიკურ კომბინაციისათვის, როგორც დავინახეთ, მას აბაშიძეების გვარი და ოჯახები ყველაზე უფრო გამოადგებოდენ და მათი დანათესავებაც დააშურა, ვიდრე აბას-მირზა თავისას გაიტანდა და სულთანს ბრძანებას მიაწერინებდა ახალციხის ფაშისადმი, რომ ბატონიშვილი დაუყონებლივ გაეშვათ მასთან თავრიზში *).

მართლაც, ისედაც დამძიმებული ურთიერთობა სპარსეთ-ოსმალეთის შორის უფრო მწვავდებოდა ბატონიშვილის ახალციხეში გაჩერებით.

აბას-მირზასათვის აუცილებელი იყო ბატონიშვილის გვერ-

*) იხ. მოხსენება ველიამინოვისა ერმოლოვისადმი (7/XII 1818 წ.), საცა ის სწერს ალ. ბატონიშვილის წადილზე – შესცვალოს სპარსეთის მფარველობა ოსმალეთისაზე, რათა ამით უფრო დაეხმაროს საქართველოს. ბატონიშვილს სწორედ ამისათვის ეჭირვება აბაშიძეების დანათესავებაო, ამბობს ველიამინოვი. (იხ. „აქტები“, VI, ნაწ. 1, გვ. 309).

დით ყოლა, რადგან შირვანის სახანო ამდგარიყო რუსთა წინააღმდეგ და დაღესტანიც, ბატონიშვილის მიერ მრავალ წელთა განმავლობაში განმტკიცებული და შემზადებული, ბობოქრობდა დიდ იმპერიისაგან თავის სახსნელად.

ერევნის სარდალს ნაბძანები ჰქონდა, მოლაპარაკება გაემართა ახალციხესთან ბატონიშვილის სპარსეთში გასამგზა-

რებლად, მაგრამ ამ ცდამ უშედეგოდ ჩაიარა. სარდალი იმდენად გააბრაზა ფაშის უარმა, რომ მუქარას – მუქარაზე უთვლიდა და ბოლოს ახალციხის საფაშოს საზღვრებთან ჯარებიც კი მოიყვანა; მაგრამ ახალციხის საფაშომ ბატონიშვილი მაინც არ გაუშვა (იხ. მოხსენება ერმოლოვისა მინისტრ ნესსელროდესადმი, 15 დეკემბრიდან 1818 წ. „აქტები“ № 6, ნაწ I, გვ. 310).

ჩვენ ზევით ვნახეთ, რომ ბატონიშვილი თვითონაც არ უჩქაროდა სპარსეთისაკენ გამგზავრებას და არაფრად აგდებდა იმ გარემოებას, რომ ორ სახელმწიფოთა გამწვავებულ ურთიერთობას უფრო ართულებდა.

ჩვენ ვიცით, რომ ოსმალეთ-სპარსეთის ურთიერთობის გამწვავების გამო, ბატონიშვილს სხვა ანგარიშები ჰქონდა. იქნებ ეს პოლიტიკური ანგარიშები მართლაც ხვდებოდა იმ ინტიმურ გრძნობებს, რომელიც მას დიდი ხნით დამარხული ჰქონდა მშვენიერ ასულის მნახველს დიმიტრი აბაშიძის ოჯახში; ეს იყო იმ ბრძოლით და იმედებით სავსე წლებში, როცა ბატონიშვილი აჯანყების დროშით ხელში დააქროლებდა თვის ბედაურს ქართლში და კახეთში და დრო გამოშვებით იმერეთშიაც...

ტყვილა იცდიდა ბატონიშვილი ხერთვისში; მისი გული აჩქარებით სცემდა, თვალები ლოდინმა დაღალა, მაგრამ ტანწერწეტა, მშვენიერი ასული აბაშიძისა, არ იქნა, არ მოჰგვარეს მას ლევანის კაცებმა. მეტი დაყოვნება კი საქმეს გააფუჭებდა სპარსეთის კარზე, როდესაც ოსმალეთთან ჯერ კიდევ არაფერი იყო გამორკვეული და არც ომი სჩანდა ასე ახლოს. და როდესაც სპარსეთმა დიპლომატიურის საშუალებით ყოველი ღონე

იხმარა, სულთანს საქმის გაჭიანურება უკვე უხერხულად მიაჩნდა, და მან ახალციხის ფაშას უბრძანა: ბატონიშვილი სპარსეთს გაემგზავრებინა...

ალექსანდრეს მეტი არა დარჩენოდა რა; მან აბაშიძის ქალთან შეუღლების წადილი გულში დაიმარხა და ახალციხის საფაშო დასტოვა. ის მიენდო ბედს, ხოლო თვითონ კი საკუთარ ბედნიერებაზე ხელი აიღო. ეხლა მას ის უნდა შეერთო, ვისაც აბას-მირზა ურჩევდა, რადგან სხვა მოკავშირე საქართველოს ამ ჟამად აღარ გააჩნდა... და ლევან აბაშიძისაგან გაწბილებულმა ბატონიშვილმა 7 იანვარს 1819 წელს ახალციხიდან 3 ბეგის და 140 მხედრის თანხლებით ყარსზე გადაიარა; 10-ს იანვარს მას ეჩმიაძინის მონასტერში ღამე გაუთენებია, საცა ერევნის სარდლის მიერ წარმოგზავნილი წარჩინებულნი შეგებებიან და ბატონიშვილი დიდის დიდებით მეორე დღესვე ერევანში წაუბრძანებიათ. სარდალი მას ციხის გალა-

ვნის გარეთ შეგებებია დიდის ამალით, ცხენოსანის ჯარებით და ზარბაზნებით...

ამ ცნობებს ერმოლოვი მინისტრ ნესსელროდეს აწვდის და შემდეგ გულის ტკივილით დასძენს: „როგორც მატყობინებენ, აბას-მირზა ბატონიშვილს აძლევს არაქსთან ახლო მდებარე ქალაქს რამოდენიმე სოფლებით, რომლებიც რუსეთის საწინააღმდეგო ბაზად უნდა იქმნეს გამოყენებული მათ მიერ“-ო*). ხოლო ორიოდე კვირის შემდეგ ამ გულსაკლავ ხმებს უფრო გარკვეულის სახით მიუღწევია მთავარმართებლამდე და ისიც, შიშით მოცული, სწერს თავად ვოლკონსკის პეტერბურგში: „აბას-მირზას დაჟინებით ბატონიშვილ ალექსანდრეს მიეცა სამფლობელო ყარაბახის და ჩვენი თათრული პროვინციების საზღვრებზე, საცა მას კავშირი და ურთიერთობა აქვს. მას მისცეს თანხები ციხის ასაგებად და გარდასახლებულთა დასაბინავებლად),რომელთა გადაბირებას უნდა

*) იხ. აქტები ტ. VI, ნაწ. I, გვი 311.

შეეცადოს ჩვენის სოფლებიდანო *), ალექსანდრე ბატონიშვილს ებოძა დარალაგიოზის ოლქი, საცა უმთავრესად ყარაბახიდან გასული თათრობა სცხოვრობს“-ო, და ამავე დროს გულის ტკივილით ატყობინებდა მთავარმართებელი მინისტრს: „აბას-მირზა ცდილობს ბატონიშვილს ჯვარი დასწეროს, რათა მას გაუჩნდეს მემკვიდრე **მამრობითის სქესისა** და ამ მიზნით სპარსეთის მიერ გაგზავნილია შუაკაცები თურქეთში მცხოვრებ აისორთა მღვდელ-მთავართან, რათა მან ბატონიშვილს თვისი ძმის წული მიათხოვოს"-ო **).

როგორც ეტყობა, აბასის ამ ცდამ ნაყოფი ვერ მოიტანა და ბატონიშვილმა აისორის მღვდელ-მთავარის ასული ვერ შეირთო. საქმის დაყოვნება კი აბას-მირზას არას გზით არ უნდოდა და ამ ხანად მან უფრო ახლოს დაუწყო საპატარძლოს გამოძებნა. შესაძლებელია ეს შუამავლობა ეხლა ეჩმიაძინის მონასტრის ხელმძღვანელთ ხვდათ წილად.

სომხეთის ერთი ნაწილი უკვე აშკარად ხედავდა, რომ არარატსკის და არღუთაშვილ-ბებუთაშვილთა პოლიტიკა ვერ გამოდგა სომხეთისათვის მაინც და მაინც საბედნიერო; არც ის კმაროდა, რომ ღენერალი მადათოვი წარჩინებას წარჩინებაზე იღებდა. ეხლა სომხის ვაჭრებს ახალი მეტოქე უჩნდებოდათ კავკასიაში; ძველი ტრადიციული მონოპოლია სომეხთა ვაჭრობისა, ქართველმა მეფეებმა რომ შეუქმნეს, ირყეოდა და რუსეთიდან მოდიოდა ახალი სავაჭრო კაპიტალი, რომელსაც მთავრობა ათას წარჩინებას აძლევდა. არც სომხების სამღვდელოების და ეკლესიის მდგომარეობა შეიქმნა სახარბიელო რუსთა ხელ-ქვეით... მათი მამულებიც ქართველ თავად-აზნა-

ურების და ეკლესიების მამულებთან ერთად, მუდამ ხიფათში იყო და პატარა წინააღმდეგობის გაწევისათვის რუსეთის ხაზინის საკუთრებად ხდებოდა.

ვეღარ სჭრიდა ბაგრატიონთა მიერ ბოძებული, ტრადიციით ნაკურთხი სიგელი ამ ახლად მოსულ ძალის წინაშე.

---

*) იხ. აქტები VI, ნაწი II, გვ. 9).

*) ibid გვ. 214.

ყველა ამას ემატებოდა დიდი გადასახადები და დაუსრულებელი აჯანყება-ეკზეკუციები სომხებით დასახლებულ ადგილებში, რაც სომხების სარჩო-საბადებელს ანიავებდა. არსად ჩნდა სანატრელი „სიწყნარე“, რომელსაც სომხის სავაჭრო წრეებისათვის აღებ-მიცემაში ხელი უნდა გაემართა და სხვა. შორს წაგვიყვანდა ყველა ამ მიზეზთა ჩამოთვლა, მაგრამ ერთი კი მაინც აშკარა იყო: სპარსეთის საზღვარზე, ან თვით ერევნის სახანოში დასახლებული სომხობის ნაწილი ეხლა უფრო გაბედვით აძაგებდა რუსთა პოლიტიკას და ბევრნაირად სანატრელად მიაჩნდა ის ხანა, როცა ამიერ-კავკასია ქართველ მეფეთა ჰეგემონიის ქვეშ იმყოფებოდა.

ალბად, ამ სულიერ განწყობილებას აბას-მირზაც და ერევნის სარდალიც კარგად იცნობდენ და სცდილობდენ მის შესაფერად გამოყენებას. საჭირო იყო ქართველთა და სომეხთა ხელ- ახლა დამეგობრება, ერთის იდეით გატაცება და ბაგრატიონთა ხანის ხელახალი იდეალიზაცია, რა თქმა უნდა, სპარსეთის პროტექტორატის ქვეშ. აი, ამ მოსაზრებით თუ ხელმძღვანელობდენ ეჩმიაძინის მონასტრის წინამძღოლნი, როცა ისინი ასეთ რჩევას აძლევდენ აბას-მირზას“.

ალექსანდრე ბატონიშვილს ებოძა სამფლობელოდ სპარსეთისაგან პროვინცია დარალაგიოზი, ნახიჩევან-ერევნის შუა, საცა მრავლად იყვნენ სომხები დასახლებული. ალბად ამ დარალაგიოზის სომხობამაც სასურველად დაინახა საქართველოს მემკვიდრის დანათესავება; იმ მემკვიდრისა, რომელიც ასეთი მიღებული იყო შაჰის კარზე და ეხლა ამ ოლქის ბატონ-პატრონიც გამხდარიყო. ბატონიშვილის დარალაგიოზში დაბინავების მიზანს სწორად ხსნიდა მთავარმართებელიც: „ის დააბინავეს ჩვენს საზღვრებთან ახლოს იმ იმედით და ანგარიშით, რომ მეზობელი თათრობა აგვიჯანყოს, ან აჰყაროს და თვისთან გადაიყვანოს და ყარაბახზედაც იქონიოს უშუალო გავლენა ბატონიშვილმა“-ო *).

---

*) ibid, იხ. ერმოლოვის წერილი მადათოვს, 4/V 1819 წ.

საქმის დიდიხნით გაჭიანურება არც ბატონიშვილს მიაჩნდა შესაძლოდ და გადასწყვიტა აბას-მირზას სურვილი სისრულეში მოეყვანა. მან ინახულა მელიქ სააქის ქალი მარიამი და მაშინვე მისი მშვენიერებით მოხიბლული იქმნა. ამის შემდეგ ბატონიშვილმა მოუხშირა ერევანში და ეჩმიაძინში დარბაზობას.

... და მაისის მშვენიერ დღეს უძველეს მონასტრის წიაღში საქორწინო გვირგვინი დაიდგა უკვე გაჭაღარავებულ თავზე.

ამის შესახებ ღენ. სავარსამიძე მთავარმართებლის თანაშემწეს ველიამინოვს წინასწარ აწვდიდა შესაფერ ცნობებს.

20 მაისს 1820 წ. ის იწერებოდა: „ბ˜ლი ალექსანდრე დარალაგიოზშია და ამ დღეებში მოელოდებიან ეჩმიაძინში, საცა ის ჯვარს დაიწერს მელიქ სააქის ასულზე. აბას-მირზამ თვითონ აიღო თავზე ყოველი ხარჯები ქორწინებისათვის“-ო*). ამავე წერილში სავარსამიძე რუსთ ატყობინებდა, რომ არზრუმის სერასქირისაგან ხშირად მოდიოდენ მოციქულები აბას-მირზასთან და სთხოვდენ მას – „გაუშვას ბატონიშვილი იმერეთში უკვე დაწყებულ აჯანყების სახელმძღვანელოდ“-ო.

ერმოლოვის წინანდელი მოხსენებიდან სჩანს, რომ ბატონიშვილს აჯანყებული იმერეთი მეფედ აცხადებს და სპარსეთს დახმარებას სთხოვს**). თუ ბატონიშვილი მართლაც დიდ მნიშვნელობას აძლევდა იმერეთში დაწყებულ ამბებს, აშკარაა, რომ მას სწორედ ამ დროს სჭიროდა სპარსეთის დახმარება... ოსმალეთი მაშინ ფორმალურად მაინც რუსეთთან მშვიდობიან განწყობილებაში იმყოფებოდა და იმერეთს აქტიურად ვერას დაეხმარებოდა. ახალციხის საფაშოც კი, რომელიც პორტასთან ვასალურ დამოკიდებულებაში იყო, აჯანყებულებს ხელს აშკარად ვერ გაუწვდიდა. ისე კი ლეკთა, აჭარელთა და ქობულეთელთა რაზმებით მაინც ეხმარებოდა იმერეთს ახალციხის

*) იხ. „აქტი“, ტ. VI, ნაწ. I, გვ. 312.

*) იხ. პოტტო, ტ. III; აგრეთვე „აქტები“, ტ. VI, ნაწ. 1. გვ. 563.

ფაშა და ტყვია-წამალს საპალნებით უგზავნიდა*); ქაიხოსრო აბაშიძეს და მის შვილს ივანეს არ მოჰკლებიათ დახმარება ამ ფაშისა, რომელიც გურიასაც აგულიანებდა რუსთა წინააღმდეგ და ქაიხოსრო გურიელთანაც მჭიდრო კავშირში იყო.

მაგრამ ეს დახმარება საკმარისი არ იყო აჯანყებულ იმერეთისათვის, რომელსაც ერმოლოვმა ჩრდილო კავკასიიდან და ქართლიდან ყველა ჯარები შეასია და ამას ძალათ გამოყვანი-

ლი გურულ-მეგრული მილიციებიც თან მიუმატა იმერეთის საბოლოოდ დასათრგუნავად.

საჭირო იყო სპარსეთის აქტიური დახმარება და იმერეთიდან და ახალციხიდანაც მოციქულები ზედი-ზედ მოდიოდა ბატონიშვილს. ივ. აბაშიძის დესპანები მას აბას-მირზას წინაშე შუამდგომლობას სთხოვდენ დახმარებისათვის. ალექსანდრე ბატონიშვილმაც აღუთქვა ასეთი შუამდგომლობა**). ამ დროს

*) ეს გარემოება იმდენად აბრაზებდა მთავარმართებელ ერმოლოვს, რომ ის ყოველგვარ წონასწორობას ჰკარგავდა, დიპლომატიურ ეთიკას და ფორმალურ მხარეებს ერთბაშად ივიწყებდა და უშვერის ქუჩური სიტყვებით აგინებდა ფაშას: „ცრუს, მდაბალს და სალახანას“ უწოდებდა მას იმერეთის დახმარებისათვის და თან ამ „ავაზაკს" სულთანთან ასმენდა რუსეთ-ოსმალეთის მეგობრული ხელშეკრულების დარღვევისათვის.

სულთანიც და საგარეო მინისტრიც აშოშმინებდენ ერმოლოვს, რომ „შესაფერი ბრძანება“ უკვე გაეგზავნა ფაშასო; მაგრამ ერმოლოვმა მწარე გამოცდილებით ისწავლა, რომ ეს იყო უბრალო დაყვავება, ხოლო ნამდვილად კი სულ სხვა სახის ინსტრუქცია მიდიოდა ფაშას; უკანასკნელი ერმოლოვის გინებას დარბაისლურად, დინჯად ხვდებოდა და მუდამ ზვიადად მოუგებდა; ხოლო აბაშიძეების შიკრიკებს ძველებურად იღებდა და აჯანყებულთ დახმარებას არ აკლებდა (აქტი VI).

**) იხ. წერილი ერმოლოვისა გალიცინისადმი. „აქტები“, ტ. V, ნაწ. I. გვ. 563.

უკვე გადაწყვეტილ დაქორწინების და ამ გზით აბასის და აგრეთვე სომხეთის გავლენიან და ფულიან წრეების მომხრობის გადადება აღარ გამოდგებოდა.

მაინც არ ვიცით, ბოლოს უფრო აბას-მირზას რჩევამ გასჭრა, თუ ერევნელი მელიქის სააკ აღამალის ქალის მართლაც ზღაპრულმა სილამაზემ, რომ უკვე ხანში შესულმა ბატონიშვილმა სასწრაფოდ დაქორწინება გადასწყვიტა. კიდევ მეტიც: მან აბას-მირზას ანგარიში არ წაუხდინა და ამით რუსებს დავთრები უფრო აურია: მალე მზეთ-უნახავისაგან ბატონიშვილ ალექსანდრეს ვაჟი შეეძინა და რომ უფრო ადვილი ამოსახსნელი გამხდარიყო რუსთათვის ეს სიმბოლო, მემკვიდრეს უკვდავი პაპის სახელი დაარქვეს და პატარა ერეკლე სპარსეთის კარზე ლაღობდა და „გურჯისტანის ვალიად" ემზადებოდა. რუსეთის ელჩმა სპარსეთის კარზე იცოდა, რომ კარგ სამახარობლოს ვერ მიიღებდა პეტერბურგში ამ ამბის მიწოდებისათვის, მაგრამ აბა რა ექმნა: სანამ უნდა ემალა „ჭირი“, რომელიც თავის თავს აღარ მალავდა.

ალექსანდრემ სხვაფრივაც გაუმართლა იმედი აბას-მირზას. ეხლა რუსეთს თავსატეხად ის გარემოება უხდებოდა,

რომ ბატონიშვილმა ამ დაქორწინებით დიპლომატიურ-პოლიტიკური დივერსიაც მოახდინა და მამისა და ძმის ტახტზე მიკედლებული საქართველოს ძველი მოხარკე ერევნის სახანო თუ ვერ შემოიმტკიცა, დაიახლოვა მაინც. ეს ის სახანო იყო, რომელსაც ასეთის დაჟინებით ეძგერა უძლეველი ციციანოვი და რომელმაც ასე მოულოდნელად აჭამა სირცხვილი მასაც და რუსის ჯარსაც და 1804 წ. ხანგრძლივი ალყა უშედეგოდ მოახსნევინა. მაგრამ არც რუსეთი გამოდგა გულუბრყვილო და მალე დაინახა, რომ ისეთივე საფრთხე, რომელსაც იმერეთის შემომტკიცებისათვის ახალციხის საფაშო წარმოადგენდა, ქართლ-კახეთისათვის ერევნის სახანო გამხდარიყო. ალექსანდრე ბატონიშვილს და მის ოჯახს სწორედ აქ გაეჩინათ ბაზა ქართლ-კახეთში ანტი-რუსულ მუშაობის საწარმოებლად. ერევნის სარდალიც ბოლომდე საუკეთესო განწყობილებაში დარჩა ბატონიშვილთან და ძველებურად უწყობდა ხელს მის საქართველოში იარაღით შეჭრას.

რუსეთის ერთადერთი დასაყრდენი, სომხობა, როგორც დავინახეთ, უკვე დიდ ეჭვებს შეეპყრო და ეხლა შეიძლება მათი სიძისაგან – დიდებულ ერეკლეს მემკვიდრისაგან – უფრო მეტს გამოელოდნენ, ვიდრე მრისხანე ერმოლოვის ცარიელ დაპირებისაგან.

ამიტომ რუსეთს მეტი დაყონება აღარ შეეძლო და უნდა ისევ ციციანოვის გეგმას დაბრუნებოდა: საჭირო იყო ამ ბაზის მოშლა და, რადაც არ უნდა დამჯდარიყო, ერევნის აღება... ჯერ კიდევ ერმოლოვი ელოლიავებოდა ამ აზრს და ციციანოვის გამარჯვებათა გვირგვინები მას მოსვენებას არ აძლევდნენ; – მაგრამ იცოდა, რომ ამ უძლეველმა მხედარმა სწორედ ერევანთან წაიტეხა ფეხი და – მეტ სიფრთხილეს იჩენდა... დაიწყო რუსეთ-სპარსეთის ახალი ომი და თითქოს აქ ეძლეოდა ერმოლოვს შემთხვევა ერევნის ხელთ საგდებად, მაგრამ...

ინტრიგების ქსელში ბოლოს თვით მთავარ-მართებელიც გაება და გახდა ხელმწიფის ახალ ფოვორიტის – პასკევიჩის მსხვერპლი; ბედმაც „ერევნის გრაფობა“ ამ ახლად მოვლინებულ მთავარმართებელს არგუნა; ერმოლოვი კი ცივად გაისტუმრეს რუსეთისაკენ...

ამ შემთხვევაში რუსეთის ცდა უფრო ნაყოფიერი გამოდგა და მისი სამხედრო მომზადება ბევრად უსწრებდა წინ სპარსეთისას. ომი 1828 წლამდე გაგრძელდა, მაგრამ სპარსეთს აქ დამარცხება დამარცხებაზე არ ასცდენია და ფეხტ-ალი-შაჰი თვისი მემკვიდრის აბასის წინდაუხედავ ნაბიჯების გამო თმაწვერს იგლეჯდა და ზავის შეკვრას აჩქარებდა; დეზორგანიზაცია იწყებოდა, წნააღმდეგობის გაწევის ძალა აღარ იყო და 10 თებერვალს 1828 წ.თურქმეჩაის ზავი შეიკრა; ამის ძალით სპარსეთს ერისთავის მიერ დაპყრობილი თავრიზი დაუბრუნეს,

მაგრამ ერევან-ნახჩევანი მას სამუდამოდ ჩამოაცალეს. თუ ვინ-
მემ ეს ზავი დააჩქარა, ეს იყო ისევ ის ერისთავი, რომლის თა-
მამმა შეჭრამ თავრიზში მთელ სპარსეთს თავზარი დასცა. მაგ-
რამ მას ამ სახელოვან დივერსიის გამო რუსეთმა სამსახურიდან
დათხოვნით უპასუხა, ხოლო თავრიზი კი ისევ სპარსეთს დარჩა.

მაგრამ რაც რუსთ თავრიზში იპოვეს, ის კი იქ აღარ დასტო-
ვეს... ეს იყო ალექსანდრე ბატონიშვილის ოჯახი, რომელიც
პოლიტიკურ კლუბად გადაექცია ბატონიშვილის მეუღლეს... ამ
ომის მსვლელობაზე ამყარებდა ალექსანდრე ბატონიშვილი
თავის სანატრელ იმედებს და ომის პირველ წელში მან მართ-
ლაც მოახერხა საქართველოში შეჭრა და მალე რუსთა ჯარების
პირისპირ დადგა...

ეს გარემოება არც ისე აშინებდა ბატონიშვილს, მაგრამ
მალე აქ ძლიერი ქართული მილიციები გამოჩნდენ და ამ მრა-
ვალ რიცხოვან მოწინააღმდეგეთ ბატონიშვილი დიდის ხნით
ვეღარ გაუმაგრდა; **„არ ისროლოთ, ქართველებო“** გონს მოდით!..
ჩვენთან არის დიდი ერეკლეს მემკვიდრე ალექსანდრე ბატონი-
შვილი“-ო... მოუწოდებდენ მაღლობიდან ბატონიშვილის მხლე-
ბლები-მეომრები ქართველ მილიციებს, მაგრამ უკან დახევა
აღარ შეიძლებოდა (მრავალი მწარე გაკვეთილები მიეღოთ მათ
ამ წლებში ერმოლოვის საშინელ ეკზეკუციების სახით... ამათ
უკან ეხლაც რუსული ზარბაზანი იდგა).

„ხედავთ“, ეუბნებოდენ ქართველები რუსის ღენერალს,
„ისინი რას გვეუბნებიან და საით გვიწვევენ? ის არის ჩვენი
ერეკლეს მემკვიდრე, მაგრამ... ჩვენ ფიცი მივეცით რუსთ და
აბა, ნახეთ – რას ნიშნავს ქართველთა ფიცი“-ო... (იხ. პოტტო,
ტ. III); და მათ მართლაც დაამტკიცეს ლოიალობა, თავი არ
დაზოგეს, და ბატონიშვილიც საშინლად დაამარცხეს.

ასე უშედეგოდ გაიარა შემდეგმა ცდებმაც, რადგან სპარ-
ხეთისაგან აღთქმული დახმარებანი ბატონიშვილის რაზმამდის
დროზედ ვეღარ აღწევდენ.

ამ ხანებში მაინც საჭირო იყო სპარსულ მთავარ შტაბთან
ერთობა და ვიწრო კავშირი და რადგან მთელი ომების ბაზა –
თავრიზი და აბას-მირზას იქაური სასახლე იყო, ალექსანდრე-
მაც აქ დაიდო ბინა.. ქართველ ემიგრანტების და შიკრიკების
წრე ბატონიშვილის ოჯახთან ტრიალებდა და მარიამს ისე უც-
ქეროდა, როგორც მომავალ დედოფალს საქართველოისას.

მარიამი ენერგიულად ჩაება საქმეში და სპარსეთის წარჩინე-
ბულ წრეებში საქართველოს განთავისუფლების იდეის სამსა-

ხურს შეუდგა. ამ ხანად მარიამს დიდი გავლენა ჰქონდა მოპოებული სპარსულ მაღალ წრეებში. ამ გავლენით ფრიად სარგებლობდენ ქართველი ლტოლვილები, ალექსანდრესთან რომ მოეყარათ თავი. ამავე დროს ეს ქალი სომხურ კათალიკოსთა მიერ სომეხ-ქართველთა ერთობის ჩატეხილ ხიდს ამრთელებდა სპარსელი სომხების მოწინავე წრის ალექსანდრე ბატონიშვილთან შემომტკიცებით...

თუ სომხეთს კავკასიაში კიდევ ეწერა ეროვნული სახის შერჩენა, ეს მარტო საქართველოს ხელახლა ფეხზე დადგომით შეიძლებოდა. ასე იღწოდა ეს ქალი, რომელიც მართლაც სცდილობდა ბატონიშვილის უღლის გამწევი ყოფილიყო...

მაგრამ უწყალო ბედი სხვაგვარად სჯიდა და სომეხ-ქართველთა ერთობის ხიდის „აფეთქება“ მაინც მოხდა.

ამას ეხლა ხელი შეუწყო სხვა ქართველმა – ღენერალმა ერისთავმა, რომელმაც ქართველური თავგამოდებით სტრატეგიაც დაივიწყა და რუკაც, – ისე მამაცად და მოულოდნელად შეიჭრა სპარსეთის სიღრმეში, რომ თვით თავრიზის აღებაც კი შესძლო. და იმის შემდეგ, რაც მას პასკევიჩისაგან ერევნის აღების ამბავი მოუვიდა, მამაცმა ერისთავმა მას თავრიზის აღება მოულოცა. ეს იყო ძველებური: „იახშიოლ“ *).

მეტად ორიგინალური მხედარი უნდა ყოფილიყო ეს რუსეთის ძლევამოსილებისათვის თავდადებული ერისთავი. ესეც იმ ერისთავთა ჯგუფს ჰგავდა, რომელთაც **ერეკლეს ჟინით საქართველო და მისი თავისუფლება დაივიწყეს** და უმაგალითო ერთგულებით შეეწირენ რუსის ხელმწიფეთ...

---

*) მამაცი ერისთავი მუსიკით, რუსულის „ურა!“-თი და დაფ-ნაღარის ცემით 13 ოქტ. 1826 წელს შევიდა თავრიზში; (პოტტო, ტ. IV).

სჩანს, ამ ერისთავს, რომელსაც რუსის ჯარისკაცნი მეტის სინაზით „ბატუშკას“ ეძახოდენ, მამაცობასთან ერთად მოხერხება და დიპლომატია არა ჰკლებია და როცა უკვე მის მიერ დაპყრობილ თავრიზში სარდალი პასკევიჩი შემოვიდა და ერისთავს მადლობის მაგიერ ყვირილი და ლანძღვა დაუწყო (რომ ამ ქალაქის აღება მას ერისთავმა დაასწრო), ერისთავმა მშვენიერად შეიკავა თავი; და როცა პასკევიჩმა გინებით გული მოიჯერა, ერისთავმა მორიდებით მოახსენა, რომ თავრიზის აღებაც, ისე როგორც ერევნისა, მარტო პასკევიჩის საქმეაო და ის ულოცავს მას ამ გამარჯვებას. ამ მოხერხებულმა პასუხმა, მოგვითხრობს ისტორიკოსი პოტტო, პასკევიჩი სულ დააბნია და ეხლა ის ყელზე მოეხვია ერისთავს და ჯვარზეც

წარადგინა იმ „დახმარებისათვის“, რაც მამაცმა ქართველმა რუს სარდალს თავრიზის აღების დროს გაუწიაო.

გაზვიადებულმა პასკევიჩმა ამ მხნე სტრატეგ ერისთავში ალბად დიდი მეტოქე დაინახა, რომელიც მომავალში მას შეიძლება ასე ადვილად აღარ გადულოცავდა დაპყრობილ ციხეებს. ამიტომ პასკევიჩმა ერისთავის „განთავისუფლება“ არჩია სამხედრო სამსახურისაგან (ასევე გაიძვერულად მოექცა ის დიდ მხედარს და მგოსანს ალ. ჭავჭავაძეს, ცოტა უფრო გვიან) და მამაც ერისთავს „მშვიდობიან მოღვაწეობისათვის“ სენატორობა მიანიჭა...

რუსთა ზეიმს თავრიზის აღების გამო ცხარე ცრემლებით შეხვდა ბატონიშვილის ოჯახობა, რომელსაც აქ დიდის ხნით დამალვა აღარ შეეძლო. უნდა ვიფიქროთ, ბატონიშვილი ამ დროს თავრიზის გარეთ იმყოფებოდა, ხოლო მისმა მეგობარმა – აბასმა თვითონაც ძლივს მოახერხა გაესწრო უცნაურ ერისთვის შურდულივით შემოჭრამდე და დარჩნენ მშვენიერი მარიამი და პატარა ერეკლე რუსთა რკალში მომწყვდეულნი.

ისტორიკოსი პოტტო მაინც არ გვეუბნება, თუ ვინ აღმოაჩინა ამ დროს თავრიზში ალექსანდრე ბატონიშვილის მეუღლე მარიამი და მისი ყრმა ერეკლე... ვინ შეუკრა მოულოდნელად

გზა ამ ოჯახს, გასაქანი არ მისცა და ამნაირად, გარედ დარჩენილ ალექსანდრეს მოსწყვიტა?

მაგრამ ჩვენ არ შევცდებით, თუ ვიტყვით რომ აქაც ერისთავებმა თავის „ღალატის ტრადიციას“ ერეკლეს ოჯახისადმი არ უღალატეს და ალექსანდრეს ოჯახზეც ამ დროს ისევ ერისთავმა „იფიქრა“...

ღენერალ ერისთავს არც ამ 25 წლის შემდეგ დაეგდო ის უცნაური ერთგულება ერისთავთა (უფრო ქსნისა და შემდეგ არაგვისაც), რომლითაც ღენ. ციციანოვსაც კი მოჰქონდა თავი. აი რას სწერდა ის იმ ხანში მინისტრ კოჩუბეის:

„.ერისთავნი იმდენად ერთგულნი არიან რუსეთისა, რამდენათაც მე შემიძლია თავი მოვიწონო, ჩემი ერთგულებით“. ერისთავნი ერთად-ერთი გვარია, რომელსაც ისე ვენდობი, როგორც რუსებს“-ო... („აქტები", II).

„ბატუშკამ“ არ იკმარა სარდლისათვის აბას-მირზას რეზიდენციის გასაღების ჩაბარება, მას მეტი ერთგულების გამოჩენა მოსწყურდა და ალექსანდრე ბატონიშვილის ოჯახის **ფეშქაშად** მიძღვნით ხომ საუკეთესოდ დამტკიცდებოდა ეს

ერთგულება.

ამ დროს ალექსანდრე ბატონიშვილის მეუღლე 23 წლისა ყოფილა და როგორც ისტორიკოსი პოტტო მოგვითხრობს – „ეს მარიამი იყო იშვიათი სილამაზის"; კიდევ მეტიც – ის „ზღაპრული სიტურფით" ყოფილა შემოსილი.

ამ ქალის გავლენა მაღალ წრეებში, როგორც აღვნიშნეთ, ცნობილი ყოფილა, „ამაზე მთელი თავრიზი ლაპარაკობდა"-ო, განაგრძობს პოტტო. უნდა ვიფიქროთ: ამ ქალს იქ ნამდვილი პოლიტიკური სალონი ჰქონოდა გამართული და არა მარტო ალექსანდრე ბატონიშვილთან გახიზნული ქართველები იყრიდენ აქ თავს, არამედ ერევნის სახანოდან და დაღესტანიდან გადმოსულნიც და ალბად თვით თავრიზის ანტირუსული ნაკადიც ამ ოჯახში ჰპოებდა სათავეს.

პასკევიჩმა არ დააყოვნა მარიამის და მცირეწლოვანი

ერეკლეს თავრიზიდან გამგზავრება და რომ ამას უცხო ხალხის თვალში ცუდი შთაბეჭდილება არ მოეხდინა, დედა და შვილი მარიამის მამასთან – მელიქ სააკთან ერევანში გაისტუმრა".

ემცნო თუ არა რუსეთის ხელმწიფეს ეს ამბავი, მაშინავე სიხარულმა მოიცვა იგი და დაჩქარებით დაიწყო პატარა ერეკლესადმიც იმ მზრუნველობის გამოჩენა, რომელიც არ დაუკლია ყველა დანარჩენ ბატონიშვილთათვის, ულმობელად რომ გადალალა საქართველოდან, მამული და სახლ-კარი ხაზინის სასარგებლოდ ჩამოართვა, ძალად რუსის ქალები შერთო – რათა მათი მოდგმა გაერუსებინა – და რუსული ჩინები დააკერა.

ამ ცდის მიუხედავად, საქმე თავიდანვე ნელის ტემპით წავიდა. აშკარა იყო, სიხარულის გრძნობას გონებამ სძლია და მარიამს და პაწია ერეკლეს საშუალება მიეცათ რამოდენიმე წელი მაინც გაეტარებინათ მელიქ აღამალის ოჯახში.

სასტიკი ზვერვის მიუხედავად, ალექსანდრე ბატონიშვილი მაინც ახერხებდა ცოლშვილთან კავშირის დაჭერას წერილებით და შიკრიკების საშუალებითაც. თუმცა მათგან მოშორებული იყო. მაგრამ შიში არაფრისა ჰქონდა, რაკი ცოლშვილი სიმამრის ოჯახში ეგულებოდა დაბინავებული.

თურქმეჩაის ზავის შემდეგ ბატონიშვილის ცდები, საქართველოს საკითხის საგარეო ძალთა განვითარებასთან დასაკავშირებლად, დიდის ხნით იხსნებოდა; მაგრამ თითქოს განგებაც ხელს უწყობდა, რომ ამ კაცის მღელვარე ცხოვრება არ დამ-

ცხრალიყო და ახალი ნაკადი იმედისა მას აროდეს მოკლებო-
და. ეხლაც ასე მოხდა: როგორც კი სპარსეთთან ზავი შეიკ-
რა, ოსმალეთ-რუსეთის ახალი ომი ასტყდა; ეხლა აქ გადი-
ტანა ბატონიშვილმა მოქმედების ასპარეზი და მალე მას ქო-
ბულეთში ვხედავთ იმერეთის ბატონიშვილ ვახტანგთან ერ-
თად. ესენი ქაიხოსრო გურიელის დახმარებით ხელს უწ-
ყობენ გურიის მხნე და თავდადებულ დედოფალ სოფიოს...

მაგრამ ოსმალეთმა შორეულ ფრონტზე დამარცხება განიცა-
და და გურიის საკითხიც ავტომატიურად მოიხსნა...

ადრიანოპოლის ზავმა (2 ენკენისთვე 1829 წ.) ალექსანდრე
ბატონიშვილს ერთხელ კიდევ გადაუწყვიტა იმედები და სა-
ქართველო დაატოვებინა; ყველაზე უმძიმესი ბატონიშვილი-
სათვის ის გამოდგა, რომ ადრიანოპოლის ზავით ახალციხეც
რუსეთის ხელში გადავიდა და სამუდამოდ მოიჭრა ის ბაზა,
საიდანაც იმერეთის აღდგენისათვის მუშაობა მრავალ წელთა
მანძილზე სწარმოებდა ბატონიშვილს ეხლა თითქოს ორივე
ხელები მოსჭრეს: აღარც ახალციხე იყო, აღარც ერევანი და
ქართული ემიგრაცია ბატონიშვილთან ერთად შიდა სპარსეთ-
ში გადავიდა...

თითქოს ყველაფერი გაქრა, მაგრამ ეხლა რიგში ახალი
იმედი დგებოდა: მთა და მისი არწივი ქაზი-მულა საშინლად
ურთულებდენ რუსთ საქმეს და მათ წინააღმდეგ გაგზავნილი
ვოლჟინსკის რაზმი ერთავად იქმნა განადგურებული. ეგვიპტეს
ფაშაც რუსეთ-ოსმალეთს კავშირის ჩასაშლელად კავკასიით
ინტერესდებოდა და ალექსანდრე ბატონიშვილი ეხლა ამ ფა-
შის და მთის თემების დაკავშირებას შეეცადა... მისი შიკრიკები
ხან დაღესტანში გადიოდენ ქაზი-მულასთან, ხან კიდევ ეგ-
ვიპტესაკენ.

ამავე დროს საქართველოს მოწინავე წრე დიდ შეთქმუ-
ლებისათვის ემზადებოდა და შიკრიკთა მეორე წყება ბატო-
ნიშვილ თამარისა და ალექსანდრეს შორის მიდი-მოდიოდა...

ქაზი-მულას გმირულმა იერიშებმა ალექსანდრე ბ˜ლს
კვალად აღუძრეს საქართველოში შეჭრის იმედი და ისიც და-
ეთანხმა 1832 წ. შეთქმულთ, რომ თუ აჯანყება დაიწყებოდა,
ქართლ-კახეთს მოევლინებოდა და მეფედ ეკურთხებოდა;
მაგრამ როზენის ახალმა ტაქტიკამ (ფრთხილ და თან და თან
შეტევისა) გიმბრი აიღო და მალე ქაზი-მულა ალყა შემო-
რტყმული შეიქმნა. რუსულმა არტილერიამ ქაზი-მულა დაცხ-
რილა, მთის არწივთა ბუდე გაანიავა, და ბატონიშვილის იმე-
დებიც თან გაატანა... დაიღუპა საქართველოს შეთქმულებაც
და ბაგრატიონთა მზე ეხლა უკვე სამუდამოდ ჩაესვენა...

ბატონიშვილმა იგრძნო, რომ თურქმენჩაის და ადრიანოპოლის ზავით, საგარეო გართულება რუსთ ახლო მომავალში აღარ მოელოდათ; ქაზი-მულას დაღუპვით, მთაც კარგა ხნით ცხრეზოდა და პაუზა ხანგრძლივი უნდა ყოფილიყო.

დაიწყო გრძელი და მწარე ლოდინი და ამ დროში მეტად გაუძნელდა მარტოობა ბატონიშვილ ალექსანდრეს და სცადა ლეგალური გზით უკან გამოეთხოვა თვისი ცოლშვილი. რუსეთის ელჩი შეშფოთდა. კავკასიის მთავარმართებელი შეშინდა და ეს ამბავი პეტერბურგს აცნობეს.

ეხლა კი მეტი დაგვიანება აღარ შეიძლებოდა და ხელმწიფემ პატარა ერეკლეს პირადათ ხილვის და „გაბედნიერების“ სურვილი გამოსთქვა. საგარეო საქმეთა მინისტრი ნესსელროდე 1832 წ. ნოემბრის 4-ს, საგანგებო დავალებით მიმართავდა ერევანში სომხეთის ოლქის მმართველს ღენ. ბებუთოვს, რათა მას ეს საქმე მშვიდობიანად მოეგვარებია. ამის შემდეგ გაიმართა განუწყვეტელი მიწერ-მოწერა პეტერბურღ-ტფილისსა და ტფილის-ერევან შორის, მაგრამ შედეგი კი არა სჩანდა.

ალექსანდრე ბატონიშვილის მეუღლე უფრო სხვა წარმოდგენის იყო შვილის გაბედნიერებაზე და ცივი უარით ისტუმრებდა ღენ. ბებუთოვს და მის მიერ შეძლეულ დიდ „პენსიონებს“ და რუსთ ხელმწიფის წყალობებს გულს ოდნავადაც არ უხსნიდა. საქმეს ვერც იმან უშველა, რომ იმპერატორმა შვილთან ერთად დედაც რუსეთში მიიპატიჟა და აღუთქვა, რომ მას პეტერბურგში, სადაც მისი ერეკლე საუკეთესო სასწავლებელში მოთავსდებოდა, ფუფუნება და ბრწყინვალება არ მოაკლდებოდა.

ბარონ როზენი *) ბებუთოვს სწერს, რომ მას პირდაპირ აოცებს მარიამის ასეთი უარი... ჯერ ერთი, რომ უარი საერთოდ აღარ შეიძლება, რადგან უმაღლესი ნება უკვე წარმოითქვა და მეორეც – ყველაფერი ეს ხომ მხოლოდ პატარა ერეკლეს

*) კავკასიის ახალი მთავარმართებელი პასკევიჩის შემდეგ.

გაბედნიერების წადილით ხდებოდა; „მე მგონია, რომ“, ამბობს როზენი, „ყოველი დედა არა თუ რაიმე წინააღმდეგობას გაუწევდა ამგვარ წინადადებას, არამედ პირიქით, სიხარულით აღივსებოდა მთავრობის ასეთ წყალობათა გახმო, თუ კი ამ დედას თავისი შვილი უყვარს“-ო*).

მაგრამ მარიამს მართლაც უფრო ძალიან უყვარდა თავისი შვილი, ვიდრე ამის წარმოდგენა ბარონ როზენს შეეძლო... და

ამიტომაც უცნაურის სიმტკიცით იღებდა ხელს ყველა დაპირებულ „ბედნიერებაზე" ბატონიშვილის მეუღლე.

გასაოცარია ის ღირსება, ამ ქალმა თავიდანვე რომ გამოიჩინა და რომლითაც იდუმალ მოკრძალებასაც კი იწვევდა იგი თვით რუსთა ბანაკში. მარიამმა ღენ. ბებუთოვის დაჟინებით მოთხოვნაზე წერილობითი **პასუხის გაცემა** აღუთქვა მთავარმართებლისათვის გადასაგზავნად და ტფილისი და პეტერბურგიც გულის ძგერით ელოდენ ამ უგვირგვინო დედოფლის „ნოტას"...

აქტების მერვე ტომში, სადაც ამ ამბის შესახები დოკუმენტებია გამოქვეყნებული, არა სჩანს მარიამის წერილობითი პასუხი; ალბად ის ან მეტად სასტიკი და დასასტამბავად უხერხული აღმოჩნდა, ან პეტერბურგში გაიგზავნა დანარჩენ მასალებთან და იქ დარჩა, როგორც ამას ზოგი საბუთის შესახებ ბ. ბერჟე აქტების წინასიტყვაობაში აღნიშნავს. მაგრამ საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ასეთი დაჟინებითი „მიპატიჟებისათვის", რომელიც უფრო ტყვედ წაყვანას ჰგავდა და რომლის ნამდვილი აზრი დანარჩენ ბატონიშვილთა ბედმა მას უხვად დაანახვა, მარიამი რუსებს ვალში არ დარჩებოდა.

ბარონ როზენი ამ წერილის გამო მარიამის მამას – აღამალს უსაფუძვლო ეჭვის ქვეშ აყენებს; მისი შეხედულებით, მამის კარნახის გარეშე ქალი ვერ გაბედავდა თავის წერილში გამოეთქვა ასე **სასტიკად** და **მჭრელად** დებულება მთავრობის

---

*) იხ. წერილი ბარ. როზენისა ბებუთოვისადმი, 12 აპრ. 1833 წ. („აქტები", ტ. VIII).

„რაღაც უდიერობის" შესახებ*). ამავე დროს როზენი აფრთხილებს სომხეთის მმართველს – კარგად ეჭიროს თვალი მარიამზე, რომ ჩუმად არ გაიქცეს, ან შვილი არ გააპაროს სადმეო. ღენ. ბებუთოვი არავითარ ცდას არ აკლებს, რომ საქმე მშვიდობიანად მოაგვაროს მაგრამ ამ ღენერალის გარჯა ძველებურად უშედეგო დარჩა...

„გააფთრებულმა მარიამმა უეჭვოდ განმიცხადა"-ო, ატყობინებს ის როზენს ტფილისში, „რომ **თავისი ხელით განგმირავს ხანჯლით საკუთარ შვილს**, თუ მართლაც მის წაყვანას დააპირებენ"-ო. არ შეიძლებოდა რუსებზე ამას შთაბეჭდილება არ მოეხდინა და ახლო წარსულის ამბავი არ მოეგონებინა, როცა დიდი ერეკლეს მეორე რძალმა მშვენივრად დაამტკიცა, რომ შეეძლო ხანჯლის ხმარება ასეთ დროს.

იქნებ ღენერალ ბებუთოვს მეორე ღენერალის – ლაზარევის განგმირული მკერდი თვალწინ დაუდგა და წადილი მა-

რიამისა ნახევრად განაღდებულად ჩასთვალა ერევნის ღენე-
რალმა.

ამიტომ გასაგებია, რომ ბებუთოვმა ხიფათის თავიდან ასა-
ცილებლად არჩია მარიამი როგორმე ტფილისამდე გაემგზა-
ვრებინა, ვითომდა მთავარმართებელთან პირადი მოლაპარაკე-
ბისათვის და თხოვნის გასაგზავნად ხელმწიფისათვის. ის ამით
ცდილობდა თავდაცვას ქალის პირაქეთ შემოტევათაგან...

მეორე წერილში, რომელიც ალბად შეცდომით იმავე რი-
ცხვითაა დათარიღებული, ბებუთოვი როზენს ატყობინებს უც-
ნაურ და გაუგონარ სიჯიუტე-სიმტკიცის ამბებს, რომელსაც ეს
ქალი იჩენდა დაუღალავ თხოვნა-რჩევა-მოლაპარაკებათა
დროს.

ეს სიჯიუტე ხშირად ისტერიული ხდებაო,-ამბობს მმა-
რთველი; ამ გააფთრებულ ქალთან არავითარი საბუთი არა
სჭრის და მე ყოველი იმედი დავკარგე, რომ ის ნებით ან შვილს

*) ibid, გვ. 217.

მარტოკა გამოუშვებს, ან მასთან ერთად წამოვაო. ამიტომ ერ-
თადერთი გამოსავალია, რომ როგორმე ტფილისამდე მაინც
ჩაიტყუილონ ეს ქალიო. აშკარაა, მარტო ამ გზით თუ შეეძლო
ბებუთოვს ამ სახიფათო მონდობილობისაგან თავის დახსნა.

ალბად ამ რჩევის თანახმად მიმართა მთავარმართებელმა
როზენმა თავაზიანის და რიტორიულის წერილით მარიამს და
ურჩია ტფილისში „ჩაბრძანებულიყო“ პატარა ერეკლეთურთ.
თუმცა უმაღლესი ნების შეცვლა არ შეიძლებოდა და ერეკლე
უნდა საკუთარ „ბედნიერებისათვის“ პეტერბურგს გაგზავნი-
ლიყო, მაგრამ როზენი მარიამს პირდებოდა შვილთან ერთად
ტფილისში იმდენ ხანს დარჩენის ნებას, რამდენსაც კი თვითონ
ბატონიშვილის მეუღლე მოისურვებდა; და შემდგომ, თუ თა-
ნახმა გახდებოდა, თვითვე შეეძლო გაჰყოლოდა შვილს რუსე-
თში; და თუ არა, შეეძლო ისევ ერევანში მამასთან დაბრუნე-
ბულიყო. როზენი ეხლა იმის ცდაში იყო, რომ ეს დედა-შვი-
ლი როგორმე ტფილისში ჩამოეყვანა და ამით ალექსანდრე
ბატონიშვილთან ყოველი კავშირის საშუალება მოესპო.

ამ ხანებში მთავარმართებელი უკვე აშკარად უხვევს ხელ-
მწიფის პირველ ინსტრუქციას „შთაგონების“ შესახებ და ღენ.
ბებუთოვს უბრძანებს: – თუ სხვა არა გაუვა რა, ძალა იხმა-
როს და ისე ჩამოიყვანოს მარტო ერეკლე მაინც ტფილისში.

ამგვარ ძალადობაზე გადასვლას თავისი მიზეზები ჰქონდა.

საქმე ის იყო, რომ ალექსანდრე ბატონიშვილმა, გაიგო თუ არა, რა ვერაგულის საშუალებით ფიქრობს რუსეთი მის ხელში ჩაგდებას და როგორ უწყალოდ უპირებენ საყვარელი ცოლშვილის წართმევას, მაშინვე სპარსეთის მაღალი წრეები შესძრა, რაიც როზენთან ერთად პეტერბურგმაც შეიტყო.

რუსეთის ამ გვარ განზრახვით აღშფოთებული სპარსეთის მთავრობა ენერგიულად ერევა საქმეში და დიპლომატიურ ნაბიჯსაც სდგამს. რუსეთის ელჩი სიმონიჩი თავრიზიდან სასწრაფო ინსტრუქციებს ითხოვს, რათა შეეძლოს რაიმე დამაჯერებელი საბუთი დაუსახელოს სპარსეთის მთავრობას: თუ რად არ უშვებენ მარიამს და პატარა ერეკლეს სპარსეთში –

საკუთარ ოჯახში, ბატონიშვილ ალექსანდრესთან. სიმონიჩი (ელჩი) სწერს როზენს, რომ დასახელებული მიზეზი, თითქოს თვითონ მარიამს არა სურდეს ქმართან წასვლა, ან და – თითქოს საგზაო ფული არა ქონდეს, „საბუთად“ ვერ გამოდგება; სპარსეთის მთავრობას და თვით ალექსანდრეს ადვილად შეუძლიათ წარმოადგინონ საჭირო თანხაო.

ამაზე მთავარმართებელი როზენი მეტად გრძელი წერილებით მიუგებს რუსეთის ელჩს და საჭირო „დარიგებას" აწვდის, რომელშიაც ბრაზი და ნერვიულობა უფრო გამოსჭვივის, ვიდრე დიპლომატიური ელეგანსი. როზენი ურჩევს ელჩს: შეატყობინოს სპარსეთის მთავრობას, რომ დაბრკოლებას მარტო გზის ფული არ იწვევს, არამედ **ვალები**, რაიც მარიამს ამ წლებში დაედო და რის დაფარვასაც თითქოს დიდი თანხა სჭირდება; და თუ ალექსანდრე ბატონიშვილმა ამ დიდი თანხის შოვნაც მოახერხა, ან სპარსეთის მთავრობამ თვით წარმოადგინა ეს ფული, ამ შემთხვევაში რუსეთის ელჩს ევალება განაცხადოს, რომ მას არ შეუძლია ამ თანხის მიღება, ვიდრე პეტერბურგის მთავრობისაგან შესაფერ ნებართვას არ მიიღებს!

მაგრამ როზენს თვითონაც ეეჭვება ამ მოჭორილი „დიდი ვალებით“ ფონს გასვლა და ისიც უფრო მოკლე და მოჭრილ გზას ირჩევს, რომელშიაც ყველაფერია, გარდა დიპლომატიური ეთიკისა, რაც განსაკუთრებით სპარსეთის კარზე უნდა ყოფილიყო უცილო. მთავარმართებელი უჯავრდებოდა კიდეც რუსის ელჩს – რად იძიებთ საერთოდ ამას? ან სპარსეთს რად არ მოუჭრით, რომ ეს რუსეთის შინაური, „საოჯახო“ საქმეა და რა უფლებით ერევა ჩვენს საქმეში შაჰის მთავრობაო? რომ ალექსანდრე ბატონიშვილი დღესაც, როგორც 30 წლის წინ, გამდგარია და მტერი იმპერიისა, გამოცხადებულია კანონის გარეშე, ხოლო მისი ვაჟი ერეკლე რუსეთის ქვეშევრდომია და არა სპარსეთის, და ჩვენი საქმეა, რაც გვინდა იმას ვუზამთ მასო.

ეს ტლანქი, უხეში და თან უჭკუო „პასუხი“ ვერც ერთის

მხრივ ვერ დააკმაყოფილებდა ელჩ სიმონიჩს და ამ წერილს მოჰყვა სხვა კიდევ მრავალი იმავ ხასიათისა.

როზენის მკვახე და მჭრელ ტონს, რიგორც ირკვევა, სხვა საბუთიც ჰქონია; მთავარმართებელს დიპლომატიის ამგვარი დელიკატობა და ბატონიშვილ ალექსანდრეს ოჯახის ბედის გამო, ნოტების ჭექა-ქუხილი ორ სახელმწიფოს შორის სრულიად გაუგებრად მიაჩნდა. მთვლის საკმაო იყო, რომ ალექსანდრემ რუსეთს აჯანყებები მოუწყო და საქართველოს იმპერიის პროვინციად გადაქცევას არ შეურიგდა ამ 30 წლის მანძილზედაც კი. ასეთი „ბუნტარი“ მარტო უმაღლესი სასჯელის ღირსი თუ იყო და აბა რა საჭირო იყო ამის გამო დიპლომატიური გართულებანი? როზენი სხვანაირად ხსნიდა ამ ამბებს: მას ეგონა, რომ რუსის ელჩი განსაკუთრებული ხათრითა და მორიდებით ეპყრობოდა ალექსანდრე ბატონიშვილს, როგორც ნათესავს.

სიმონიჩს ცოლად ჰყავდა ამილახვრის ქალი, რომელიც იყო დაი ალექსანდრეს ძმისშვილის, თეიმურაზ გიორგის ძის ცოლისა. მაგრამ ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა არა ჰქონია საქმის მსვლელობაზე. სიმონიჩი შეძლებისდაგვარად ასრულებდა პეტერბურგის ნებას. მაგრამ ვით დიპლომატს და მით უმეტეს ირანის კარზე მყოფს, სულ სხვა ეტიკეტი სჭიროდა, რაც როზენს არ ესმოდა...

მთავარმართებელს უნარი არა ჰქონდა განზრახვის დამალვის და საგნებს ნამდვილი სახელით ნათლავდა; ამიტომ ის გულის ტკივილით სწერდა ელჩ სიმონიჩს: რა დროს ნოტებია, რის დიპლომატია, როცა საქმე რუსეთის ინტერესებს შეეხებაო? „ალბად თქვენც აშკარად ხედავთ, რომ აუცილებელია ერეკლეს რუსეთში დარჩენა, რათა ამ ყმაწვილს მიეცეს წესიერი აღზრდა და განემტკიცოს მას მომავალი კეთილდღეობა; წინააღმდეგ შემთხვევაში, იხეტიალებს რა უცხო ქვეყანაში თავის მამასთან ერთად, ის ბავშობიდანვე **შეითვისებს აზრს, თითქოს საქართველოს რაღაც პრეტენდენტი იყოს,** და დარჩება ყოველგვარ განათლების გარეშე, და მარტო სიძულვილით აღივსება ყოველივე რუსულისადმი; და რადგან ბატონიშვილი ალექსანდრე მუდამ სცდილობდა კავშირი დაეჭირა ლეკებთან, და ჯერ კიდევ შარშანაც ურჯულო ქაზიმულასთან იყო, ასე-

ვე შეინახავს ამ კავშირს მისი შვილიც. და როცა წამოიზრდება, შეეძლება მთებში შემოგვეპაროს, სადაც დაუცხრომელ ავაზაკად გახდება, ან და მდგომარეობის მიხედვით, შეეძლება საგრძნობი ზიანის მიყენება მთავრობისათვის“ *).

როზენის „შორსმჭვრეტელობა“ მართლაც რომ ძალიან შორს მიდიოდა ამ დროს; ეს ყველაზე ადრე ალექსანდრე ბატონიშვილმა თვისი დაუძინებელის შეურიგებლობით ასწავლა მას.

თუ იმ მიწერ-მოწერას უფრო დაკვირვებით შევისწავლით, რომელიც კარგა ხნის მანძილზე მთავარმართებელ როზენისა და ელჩ სიმონიჩის შუა სწარმოებდა, უნდა დავასკვნათ, რომ შესაძლებელია როზენს მართლა ეფიქრა, რომ სიმონიჩი ერთგვარ ლოიალობას იჩენდა ალექსანდრეს ოჯახის ბედისადმი... ყოველ შემთხვევაში, ელჩის მერყევმა მოქმედებამ ძალიან შეუწყო ხელი მარიამის და ერეკლეს რუსეთში გადასახლების გაჭიანურებას...

თუ მისაღებია ის მოსაზრება, რომ ელჩს სიმონიჩს რაიმე დამოკიდებულება ჰქონდა 1832 წლის შეთქმულებასთან **), მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ სვიმონიჩი გულწრფელად იყო მოწადინებული, შეძლებისდაგვარად, ჩუმი მფარველობა მაინც გაეწია მარიამისათვის და ამ მიზნით მან მთავარმართებელს დიპლომატიური ომი გაუმართა.

ამას უნდა დავუმატოთ, რომ სვიმონიჩთან სამსახურში იმყოფებოდა შეთქმულთა ერთი მეთაურთაგანი ს. რაზმაძე, რომელიც, ვიდრე მას დააპატიმრებდენ, ალბად აქტიურ დახმარებას უწევდა ბატონიშვილს და სვიმონიჩზეც შესაფერ გავლენას ახდენდა. ამიტომ უნდა ვიფიქროთ – ბატონიშვილის მდგომარეობა საკმაოდ მტკიცე იყო: ერთის მხრივ რუსულ სა-

---

*) იხ. „აქტები“, ტ. VIII, გვ. 220.

**) იხ. ბ. კახაბერის: „მასალები 32 წლის შეთქმულების შესწავლისათვის“; კრებული „კავკასიონი“, № 8.

ელჩოსთან კავშირით რაზმაძისა და თვით სიმონიჩის ლოიალობის გამო, და მეორე მხრივ კი შაჰის მემკვიდრის – აბასის ენერგიულის ჩარევით.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ პატარა ერეკლესა და მისი დედის ტრაღედიას, თავრიზში რომ დაიწყო და ერევნით ტფილისზე და შემგედ პეტერბურგზე სევდის არშიად გადაიარა.

როგორც დავინახეთ, რუსეთი ბოლოს მოკრძალებას სტოვებს და როზენი ბებუთოვს უბრძანებს – ძალაც კი იხმაროს ერეკლეს ტფილისში წამოსაყვანად. ეს უკარნახა მას ან ერეკლეს მამის ხელში მოგდების წადილმა, ან კიდევ პეტერბურგის მართლაც უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნამ საქმეში სპარსეთის დიპლომატიის ჩარევის გამო.

ბატონიშვილი ალექსანდრე მართლაც რომ არ აძლევდა მოსვენებას რუსეთის ელჩს და როზენის უსაბუთო და მოკლეფეხიან ტყუილებს, რომელსაც ის ალექსანდრესაგან ცოლშვილის წართმევის მიზეზად ასახელებდა, სპარსეთის სამინისტროსულ ადვილად ააშკარავებდა.

რა თქმა უნდა, მარიამი ამ ბრძოლაში მთავარმართებელს ვერ გაუმკლავდებოდა და ბოლოს იძულებული შეიქნა მამის, ძმების და ახლობლების დაჟინებით რჩევას დაჰყოლოდა... მაგრამ იარაღი მაინც არ დაუყრია და ქალი მამას ჯერ მარტო ტფილისამდე წაყოლას დაეთანხმა. ღენ. ბებუთოვი 5 აგვისტოს 1833 წ. თარიღით ატყობინებს მოთმინებიდან გამოსულ ბარონ როზენს, რომ ბოლო დროს იმ მუქარამ, რომ პატარა ერეკლეს ძალით და მარტოკა გაგზავნიდენ, გასჭრაო. და რომ მარიამს შეუთანხმდენ – 8 აგვისტო დაენიშნათ ტფილისში წასასვლელად. შემდეგში მარიამმა კიდევ შესძლო რამოდენიმე ხნით გადაედებინა ეს ვადა. ეხლა დანამდვილებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მარიამის „დათანხმება“ სწორად ნაანგარიშები „სტრატეგიული მოვლა“ იყო.

რაკი ერევანში მეტი გაჩერება აღარ ხერხდებოდა და შესაძლო იყო, მას შემდეგ რაც ქმარს ძალად მოსწყვიტეს, ეხლა შვილიც დაჰკარგოდა, მან თითქოს მოისურვა ეხლა „ნებაყო-

ფლობით“ ხლებოდა მთავარმართებელს ტფილისში ორის თხოვნითა. მარიამმა ღენ. ბებუთოვიც კი დაიყოლია და როზენისთვის მიაწერინა – როგორმე ეს ორი სათხოვარი აესრულებინათ დიდი ერეკლეს რძლისათვის... პირველი იყო: ტფილისში საკმაო ხნით დარჩენის ნება, რათა ჯერ ყრმა ერეკლეს (რაღაც 7-8 წლისა) წერა-კითხვა (თუნდაც რუსულიო) ესწავლა; მეორე იყო – გაეგზავნათ არზა ხელმწიფე იმპერატორისათვის და ეშუამდგომლათ ბატონიშვილი ალექსანდრეს ბედის შესამსუბუქებლად; და თუ ის რუსთაგან ყოველმხრივ შენდობილ და პატიებულ იქნებოდა, რა თქმა უნდა, მოისურვებდა ცოლშვილთან ერთად თვითონაც რუსეთისაკენ გამგზავრებულიყო. ამ თხოვნას, როგორც ვსთქვით, მხარს უჭერდა ღენ. ბებუთოვიც და ამან უფრო გააბედვინა მარიამს ერევნიდან ტფილისს წასულიყო.

აშკარა იყო – აქაც ჩვეული, ნაცადი საშუალება და ხერხი მეტყველებდა ბაგრატიონთა და მათი რძლების, რომ როგორმე საქართველოში დარჩენის საშუალება და ვადა გაეხანგრძლივებინათ და ვინ იცის, იქნებ ამ ხანში ბედი ისევ შეტრიალებულიყო და ისინიც საკუთარ ქვეყანაში სამუდამოდ დარჩენილიყვენ.

ამ რძლებში ყველაზე მეტი საბუთი მარიამს ჰქონდა, რად-

გან იცოდა, თუ რა დიდი გავლენა და პატივი ჰქონდა მოპოებული იმის ქმარს სპარსეთის კარზე; თუ ბატონიშვილი აქამდე ვერას გახდა, იმედი იყო სულ მალე ყველაფერს მოაგვარებდა, ოღონდ კი იმ დრომდე როგორმე არ გაცლოდენ დედა-შვილი **მშობლიურ მიწა-წყალს.**

აი, ამას აღწევდა თითქოს მარიამი ტფილისში წასვლით და სჩანს არც მთლად უშედეგოდ დარჩენილა ეს ცდა. 1833 22 ენკენისთვეს, მთავარმართებლის აპარატის საშუალებით გაუგზავნია მარიამს წერილი საყვარელ ქმრისათვის, საცა თავისს და შვილის ამბავს ატყობინებს, თან აცნობებს ხელმწიფის განზრახვას, მათი რუსეთში გაგზავნის შესახებ და ბოლოს მოკრძალებით ურჩევს: თვითონაც ითხოვოს ხელმწიფისაგან პა-

ტიება და ნება ცოლშვილთან ერთად რუსეთში გამგზავრებისა. დიდის პატივით მიმიღო აქ მთავარმართებელმაო, სწერს იგი ქმარს, მაგრამ სადაა ჩემთვის ან დღე ან ღამე, როცა თქვენგან მოშორებით ვარო... შემდეგ მარიამი მას ატყობინებს: პირადათ ველაპარაკე ბარონ როზენს, რომელმაც განმიცხადა, რომ ხელმწიფის ნება ერეკლეს რუსეთში წაყვანის შესახებ ურყევიაო. მე კი ამაზე თქვენი თანხმობა არა მქონდა, თან **უარის თქმაც აღარ შეიძლებოდა** ხელმწიფის სურვილის წინააღმდეგ, ამიტომ განვუცხადე როზენს: თანახმა ვარ წავიდე, თუ კი ჩემი ბატონი და დამტირებელი, მეფის ძე ალექსანდრე აქ ჩამობრძანდება და ჩვენ ერთად წავალთ და წარვსდგებით რუსთა ხელმწიფის წინაშე. მთავარმართებელს, დასძენს მარიამი, მეტად მოეწონა ეს ჩემი წინადადება და ძალიან კარგადაც მიიღოვო. და სთხოვს მარიამი ბატონიშვილ ალექსანდრეს „პასუხი დამიჩქარეთ“-ო... *)

უეჭველია, მარიამმა კარგად იცოდა მისი „დამტირებელის“ და „ბატონის“ ამბავი; იცოდა, რომ ის რუსეთს არასდროს არ შეურიგდებოდა და ბრძოლას არ დააგდებდა, მაგრამ საჭირო იყო დროის მოგება და ეს დრო ხომ მის სასარგებლოდ მუშაობდა **). „აქტებიდან“ სჩანს, რომ ალექსანდრე ბატონიშვილს გაუგია თუ არა მისი ცოლშვილის ტფილისში წაყვანის ამბავი, გაორკეცებული ძალით დაუწყია მოქმედება, საქმეში სპარსეთის დიპლომატიის უფრო ენერგიულად ჩარევისათვის...

15/9 1833 წ. რუსეთის ელჩი სიმონიჩი თავრიზიდან მთავარმართებელს მოახსენებს ბატონიშვილ ალექსანდრეს დაუღალავ ცდაზე და აცნობებს, რომ აზერბეიჯანის მმართველს

---

*) ibid, გვ. 223.

**) ამის გარდა, ალბად, მარიამმა ამ წერილის წამღების საშუალებით ბატონიშვილს თვისი და ერეკლეს მდგომარეობა დაწვრილებით აცნობა და ადგილობრივ პირობებსაც გააცნო საიდუმლოდ. ე. ი. ამ ხერხით ერევნის გაწყვეტილი კავშირი

ინფორმაციისა დროებით მაინც აღადგინა ამ ქალმა.

უკვე ჰქონდა მასთან ამ საგანზე ოფიციალური მოლაპარაკება. წერილიდან სჩანს, რომ ბატონიშვილი ალექსანდრე ვერ დაკმაყოფილებულა აზერბეიჯანის მმართველის ნაბიჯებით და უთხოვნია სასწრაფოდ გამგზავრება შაჰის მემკვიდრე აბას-მირზასთან, რომელსაც ყოველივეს პირადათ მოახსენებდა. რუსთა ელჩი უკვე დარწმუნებულია, რომ ალექსანდრე ბატონიშვილის პირადი და დიდი ხნის მეგობარი და საყვარელი თანამებრძოლი პრინცი აბას-მირზა მართლა ბეჯითად მოჰკიდებს საქმეს ხელს და ასე უბრალო ნოტებით აწი საქმეს აღარა ეშველებოდა რა...

ამავე დროს ბარონი როზენი უკვე გრძელ წერილებს აგზავნის პეტერბურგში ცენტრალური მთავრობის დასამშვიდებლად. ის სწერდა, რომ ირანი თუმცა ოფიციალურად ითხოვდა ალექსანდრე ბატ˜ლის ცოლშვილის ისევ სპარსეთში დაბრუნებას, მაგრამ მან, მარიამის მამის დახმარებით, საქმე მოაგვარა და ეხლა დედაშვილი ტფილისში იმყოფებიან, რათა გაზაფხულზე პეტერბურგისაკენ გამოემგზავრონო. ამავე დროს მარიამის თხოვნის თანახმად, ხელმწიფეს უმდაბლესის რჩევით მიმართავს: „შეუნდოს ცოდვები ალექსანდრე ბატონიშვილს, მისცეს რუსეთში ჩამოსვლის ნება და „წყალობასაც ნუ მოაკლებთ“-ო.

ამგვარად, ალექსანდრე ბატონიშვილს კიდევ ერთხელ მიანიჭეს წინდაწინ „უკანასკნელი“ ამნისტია... თუმცა მას ამის შესახებ არც ეხლა უთხოვნია ვისმესათვის. როზენი ამ ამნისტიას ენკენისთვის დამლევის წერილით ითხოვდა; და მას 7 ნოემბერს სასწრაფოდ სწერდა პასუხს საგარეო საქმეთა მინისტრი, რომ ხელმწიფემ „ყველაფერი აპატია“ ალექსანდრე ბატონიშვილს და თქვენი ნაბიჯები მეტად მოიწონაო. სჩანს, მალე დავიწყებია რუსეთს უამრავი და თანაც „**უკანასკნელი**“ გაფრთხილებანი, რომლითაც ის ბატონიშვილს მიმართავდა.

ეხლა თავსატეხ საკითხად ის გახდომოდათ –სად დავასახლოთ ბატონიშვილი დაბრუნებისას და რამდენი ჯამაგირი დავუნიშნოთო. და შესაფერ რჩევას ბარონ როზენს ჰკითხავ-

დენ. უკანასკნელი თანახმა იყო სადმე რუსეთში დაემკვიდრებინათ ბატონიშვილი, ხოლო საქართველოში კი არავითარ შემთხვევაში.

მაგრამ ეხლაც ტყუილა ჩაიარა მიწერ-მოწერამ და მილოცვებმა, ტფილისიდან პეტერბურგს მეფის გულის მოსაგე-

ბად რომ იგზავნებოდენ. ალექსანდრე ბატონიშვილი ცოლ-შვილის დატყვევებით და „მძევლობით“ ვერ ჩაიტყუეს რუ-სეთში და ხელმწიფის საჩუქრები და წყალობები ეხლაც ზიზღს იწვევდა მის გულში. მხნე და გავლენიან ალექსანდრეს მაინც სჯეროდა, რომ სპარსეთის დიპლომატიური ჩარევა ბო-ლოს აიძულებდა რუსეთს: მისი ცოლშვილი უკან დაუბრუნე ბინა, რომ ამ ბრძოლის ველზე მაინც არგუნებდა ძველ მტერს დამარცხებას და წართმეულ და დარღვეულ ოჯახს კვლავ აღადგენდა... ამ იმედს უეჭველად ჰქონდა საფუძველი, რადგან ძლევამოსილი იყო მისი მეგობარი აბას-მირზა, რომელიც ასე ცდილობდა ალექსანდრეს მემკვიდრე გასჩენოდა და ეს მემ-კვიდრე მამის მაღალი ტრადიციის მატარებელი გამხდარიყო.

ეხლა რუსეთმა ეს მემკვიდრე გაიძვერულად, მოპარ-ვით წაართვა არა მარტო მამას, არამედ ბაგრატიონებს, საქა-რთველოს და შეიძლება სპარსეთსაც *).

ამიტომ ლამობდა ალექსანდრე ბატონიშვილი ჩქარა ენახა აბას-მირზა და ამ საქმეში აზერბეიჯანის მმართველობის არა საკმაო ენერგიულობა მოეხსენებინა. მაგრამ... ბედი ამ შემთ-ხვევაში არა სწყალობდა ბატონიშვილს.

სწორედ ამ ხანებში აბას-მირზა მოულოდნელად გარდაიც-ვალა და ახალ მემკვიდრესთან, მემედ-მირზასთან ასეთი ინტი-მური განწყობილება არა ჰქონია ალექსანდრეს, რომ მისი ხა-

---

*) აბასისათვის ეხლა უკვე აშკარა გამხდარიყო, რომ ბუფერული კავკასიური სახელმწიფო, წინად ასე უაზროდ დევნილ, გურჯისტანის მეთაურობით, დღეს თვით სპარსეთს ისე ესაჭიროებოდა, როგორც თევზს წყალი...

თრისათვის „პრინცს“ რუსეთთან, რომელთანაც ფორმალურად მაინც დაზავებული იყო, საქმე გაერთულებიოს.

ალექსანდრე კიდევ სწერდა და ანუგეშებდა მარიამს: – მალე მემედ მირზა წავა თავრიზს, სადაც მეც გავემგზავრები და რუსის ელჩს წარვუდგები პრინცის დახმარებით თქვენს საქ-მეზედო (იხ. 3/12 33 წ. წერილი ალექსანდრესი მარიამისად-მი)*); მაგრამ სჩანს ამ ჩარევიდან არა გამოვიდა რა...

მარიამმა მართლაც ჩინებულად შეასრულა თავისი გეგმა: მოახერხა სწორედ ერთი წლის მოგება და 1834 წ. აგვისტომდე ერეკლეთურთ ტფილისში დაჰყო; მაგრამ სპარსეთიდან შველა მეტად დაგვიანდა... რუსეთიც ხედავდა, რომ ალექსანდრე ბა-ტონიშვილი შერიგებაზე და უკან დაბრუნებაზე არც კი ფიქ-რობდა, პირიქით, მარიამისა და ერეკლეს გაგზავნას ითხოვდა თავისთან სპარსეთში. ამიტომ მეტ დაყოვნებას აზრი აღარა ჰქონდა და როზენმა დედა-შვილი პეტერბურგისკენ გაის-

ტუმრა.

„აქტებიდან“ კიდევ სჩანს, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი 1834 წ. აგვისტოში ისევ თავრიზს ყოფილა და მემკვიდრესთან აუდენციაც ჰქონია, მაგრამ მარიამის და ერეკლეს ბედი ამან ვეღარ შეაბრუნა.

პატარა ერეკლე კადეტთა კორპუსში მიაბარეს და ერთი წლის შემდეგ სასახლის პაჟებში ჩარიცხეს და მალე ორდენებით დაამძიმეს, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ როზენის თქმით, საქართველო დავიწყებოდა და მის მთებს „ყაჩაღათ“ არ მოვლენოდა, როგორც „მამა მისი“, საქართველოსათვის რომ იწოდა და იბრძოდა ღრმა მოხუცებულობამდე...

ალექსანდრე ბატონიშვილი სიკვდილამდე შერჩა მტკიცედ ფიცს, დიდი ერეკლეს დროშაზე რომ მისცა, და რაკი ვერ შესძლო მისი საქართველოს სასახლეზე აფრიალება, გულში ჩაიხუტა და საფლავში თან ჩაიტანა. ბატონიშვილი 73 წლის

---

*) იხ. „აქტები“, ტ. VIII.

აღესრულა თეირანში და მისი რაინდობა და გმირობა ისე ღირსეულად დაუფასა მოწინააღმდეგე რუსეთმა, რომ უკანასკნელი ნუგეშიც წაართვა. ცოლშვილი ქურდულად გამოაცალა და ჩრდილოეთში გადაუკარგა – მათგან დატირებაც აღარ აღირსა მოხუცს.

მშვენიერი მარიამ რუსეთის სუსხმა დააზრო და დამტირებელზე და საყვარელ ბატონზე უძილო და უძირო ფიქრებმა დალიეს მისი მთრთოლვარე გული.

დაშალა რუსეთმა ბაგრატიონთა უკანასკნელი ოჯახიც საქართველოში; მძევლებად წაიყვანა დაუცხრომელი მტრის უსაყვარლესი არსებანი იმ იმედით, რომ მალე ბატონიშვილსაც ხელთ იგდებდა; ფიქრობდა, რომ ამით ეს ცოცხალი პროტესტი, სინიდისის მხელა და საქართველოზე მოხდენილ უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა ჩაჩუმდებოდა და დიდი რუსეთის დიდი მორალური მარცხიც დაიმალებოდა... მაგრამ იმ ძველ მარცხს ეხლა ხომ მეორეც მიემატა.

ალქსანდრე ბატონიშვილის დრამატიზმით სავსე ხანგრძლივ ბრძოლის ამბებს, მის მშფოთარე და მღელვარე ვრების მატიანეს, ღრმა მოხუცებულობამდე რომ არ დამცხრალა, ჩვენ აქ სულ გაკვრით და საერთო ხაზებით შევეხეთ. ამ დიდი ხარვეზების ამოვსება ჩვენს მიზანს ამ ჟამად არ შეადგენდა... ჩვენ მისი მოღვაწეობის და ბრძოლების ზოგიერთ მომენტებზედ შევჩერდით, რომლებიც, ასე თუ ისე, და-

კავშირებული იყო მისი ოჯახის ბედთან. როგორც დავინახეთ, ეს მისი ოჯახური ტრაღედია ოცდაათიან წლებში დაიწყო და თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე სიმწვავე მას არ დაუკარგავს...

ბატონიშვილის ცსოვრების მღელვარე გზა – ეს დაპყრობილ საქართველოს თავგანწირული ცდებია რუსეთის იმპერიის ბორკილების ასაყრელად და ჩვენ ვფიქრობთ, რომ საჭიროა მალე იქმნას სათანადოთ შესწავლილი ეს დიდი პიროვნება და მისი ბრძოლათა ყველა ეტაპები, რომლებიც აშკარად გამოაჩენდენ, რომ საქართველოს და ბაგრატიონებს

თავისუფლება და ტახტი ადვილად არ დაუთმიათ... ბრძოლა გრძელი, ძნელი და მამაცური იყო და ამ ბრძოლამ ღირსეული ტრადიცია შექმნა.

იმ ულეველ მასალებში, რაიც დღესაც დაუმუშავებელია, მრავლადაა გაბნეული ამ ბრძოლის საგმირო ეპიზოდები, რომელთა შექმნაში პირველი ადგილი ბატონიშვილს უჭირავს.

ჩვენ შეგვიძლია იჭვებით და ხან უარყოფითაც შევხედოთ ალექსანდრე ბატონიშვილის განდგომის პირველ წლებს, ბევრი აქ გაუგებარიცაა; მაგრამ, რაც ამას მოჰყვა და, განსაკუთრებით, ალექსანდრე ბატონიშვილის თავდადებული ხანგრძლივი ბრძოლები კავკასიაში რუსთა დამკვიდრების წინაღმდეგ, ამ ბატონიშვილს უდავოდ საქართველოს აღდგომისათვის მოწამებრივ გვირგვინს ადგამენ.

* *
*

ბოლოს გაკვრით მაინც გვინდა აღვნიშნოთ, რომ დიდ იმპერიას პატარა ირაკლისადმი ანგარიში ბევრად არ გამართლებია... მართალია, ის პაჟთა კორპუსში სწავლობდა და ცარსკოე სელოს და პეტერბურგის ბრჭყვიალა არისტოკრატიის წრე სიკეკლუცით და სიუხვით შეეცადა მისს მოხიბლვას, მაგრამ ერეკლეს გული მაინც ვერ იქმნა – ვერ მოიგეს.

ვერც ის არიგებდა ახალგაზრდა ბატონიშვილს თავის ყოფასთან, რომ ქართველი წარჩინებულები და ბაგრატიონთა ოჯახის წევრნი ბლომად იმყოფებოდენ პეტერბურგში და მასთან მჭიდრო კავშირში იყვნენ. საპატიო ტყვეობა მისთვის მაინც ტყვეობა იყო და ბოლოს პაჟთა კორპუსს თავი გაანება და დაიწყო ზრუნვა საქართველოში დაბრუნებისათვის...

განვლო მისი ტყვეობის დღიდან ათეულმა წელმა; კავ-
კასია უკვე „სანამესტნიკოდ“ აქციეს და 1845 წ. პირველ ნა-
მესტნიკად ტფილისს ვორონცოვი მოევლინა. ცოტა არ იყოს
უხერხულებაში ჩააყენა ეს კაცი დიდებულ ერეკლეს შვილის-

შვილმა, რომელიც არც ტახტს, არც პატივს და არც სიმდიდ-
რეს არ ითხოვდა, არამედ იმის ნებას, რომ ვითარცა კერძო
პირს და მოქალაქეს უფლება ჰქონოდა მის წინაპართა სისხლით
გაპოხიერებულ და ძვლებით მოკენჭილ ტფილისში ეცხოვრა...

ეს იყო პრაქტიკული გამოცდა იმ დიდ დაპირება-წყა-
ლობათა, რომელიც უხვ ბედნიერებად უნდა მოეფინა „ლმო-
ბიერ“ ვორონცოვს ქართველ წარჩინებულთათვის; ეხლა მას
„ლიბერალიზმი“ ამ ბატონიშვილისადმი კეთილშობილის სა-
ხით უნდა გამოეჩინა და ქართველობა მის პასუხს გულის ძგე-
რით ელოდებოდა... ალბად ეს „ლიბერალი“ ბევრჯერ ჩაიკვ-
ნეტდა ჩარბებს და ჩუმად იკლავდა მოწოლილ ბოღმას, მაგ-
რამ ხელოვნურ დარბაისლურ ნიღაბის წახდენას ვეღარ ბედა-
ვდა, და მანაც თავაზიანად გაუწოდა ერეკლეს მწყალობელი
ხელი...

ეღირსა ერეკლეს საყვარელ ტფილისში დაბრუნება, მაგ-
რამ ეხლა ეს უკვე სხვა ტფილისი იყო მას რომ დახვდა... ტფი-
ლისი ეხლა „ტიფლისად“ ექციათ და ერეკლეც ხომ „გრუზინ-
სკათ“ გაეხადათ... ეხლა ის ნაცნობი, ბრჭყვიალა ბალები პე-
ტერბურგისა აქ გადმოეტანათ, ხოლო ძველს ყაბახს თალხი გა-
დაეცვა... უმოქმედოთ, უსიხარულოდ გადიოდენ წლები ერეკ-
ლეს ახალგაზრდობისა; და ისიც დიდებულ სეხნიას – სახე-
ლოვან პაპას ცრემლითა და ნაღველით სავსე გულით შენდო-
ბას ევედრებოდა ამ უფერულ წლებისათვის, რომელიც საქარ-
თველოსა და ბაგრატიონთათვის უქმად იკარგებოდა. ერეკ-
ლეს ხომ ათასნაირ პირობებს ქვეშ მისცეს ნება ტფილისში
დაბრუნებისა და რუსთ ისიც დიდ საფრთხედ მიაჩნდათ, რომ
ქართველობა ტფილისის ქუჩებში ხედავდა ამ კაცს – ვით
სიმბოლოს ძველ დიდებისას, რომელიც გარეგნულად ასე
ჰგავდა დიდებულ ერეკლეს“.

თანამედროვეთა დამოწმებით, „ერეკლე იყო შუათანა
ტანის, მხრებში წახრილი, როგორც მისი პაპის ერეკლეს სუ-
რათს ვხედავთ, სახითაც მას ამგვანებდენ. წმინდა ბაგრატიონთ
ტიპი ჰქონდა: შავი თვალ-წარბი, სწორი, ცოტა მოზრდილი

სახის გამომეტყველება; საკმაოდ მაღალი, ზრუნვის ბეჭდით
აღბეჭდილი შუბლი, კაცის გულს მიიზიდავდა“... „უყვარდა
ქართული კაბით სიარული“ *)...

უნდა ვიფიქროთ, რომ ეს „ქართული კაბა“ იყო ერთად - ერთი საშუალება ერეკლეს მიერ პროტესტის გამოსახატავად... მაგრამ არა; მას კიდევ დარჩენოდა ერთი პატარა ასპარეზი, რომლის აღკრძალვა ალბად „ნამესტნიკი“-სათვისაც უხერხული თუ იყო... ერეკლეს თურმე შეუქმნია კომიტეტი წერაკითხვისა, რომელსაც ტფილისში ორი სკოლა გაუხსნია: ერთი მთაწმიდაზე და მეორე ავლაბარში. ხალხი ამ სკოლებს თურმე „ერეკლეს სკოლებს“ ეძახდა... ალბად ეს იყო დასაწყისი იმ კულტურულ-ეროვნულ მუშაობისა, რომელსაც ასე თავგამოდებით მიეცა უფლება-აყრილ საქართველოს მოწინავე საზოგადოება. თვით ცნობილ „წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სათავეც ეს ერეკლეს კომიტეტი თუ იყო.

დანარჩენ მის მოღვაწეობაზე, სამწუხაროდ არა ვიცით რა; საინტერესოა მხოლოდ ბ. ზ. ჭიჭინაძის ცნობა, რომ ერეკლე საზღვარგარედ გამგზავრებულა და ნაპოლეონ მესამესთან რაღაც კავშირი და ურთიერთობა დაუჭერია. ჩვენ ამ საინტერესო ცნობის შემოწმება ვერ შევსძელით...

ერეკლეს ცოლად შეურთავს თამარი, ასული დავ. ჭავჭავაძისა (შვილის-შვილი ალ. ჭავჭავაძისა); მას დარჩენია ორი ქალი.

ერეკლე გარდაცვლილა ტფილისში, თავის სასახლეში 1882 წ. 27 აპრილს, დიდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ... ცხედარის გამოსვენება მომხდარა 1 მაისს, დილის 10 საათზე, სიონში. გზა სახლიდან სიონის ტაძრამდე სავსე ყოფილა ხალხით, ყველა სავაჭრო დაუკეტიათ და მთელი ამქარი გამოსულა.

---

*) ეს და სხვა დანარჩენი ცნობები ერეკლეს შესახებ ამოღებული გვაქვს ზ. ჭიჭინაძის მიერ გამოცემულ წიგნაკიდან: – „სახსოვარი ბატონიშვილ ალექსანდრეს ძის – ირაკლის გარდაცვალებაზე“; (ტფილისი, 1882 წ.).

კუბო წაუსვენებიათ ბალდახინით, რომელსაც ოთხის კუთხით საქართველოს მეფეთა ღერბი ამკობდა. აქედან იგი წაასვენეს მცხეთაში და მეორე დღეს სვეტი-ცხოველში დაუსაფლავებიათ. დასაფლავების დღეს ტფილისიდან სპეციალური მატარებლები იქმნა დანიშნული, რომელმაც მცხეთაში სამი ათას კაცამდე წაიყვანა; სხვა კუთხეებიდანაც ბლომად მოაწყდა მცხეთას ხალხი და სოფლის ხალხმა ქელეხი გამართაო – დასძენენ ამ ამბის მომსწრენი. სჩანს – ქართველმა ხალხმა თავის ბატონიშვილს ძველ სიონ – მცხეთის წიაღში ნამდვილი მეფური წირვა და დაკრძალვა გაუმართა.

თუ რუსეთმა ერეკლე ცოცხალი არ დაანება საქართველოს, მკვდარს მაინც დაეუფლა ქართველი ერი და სამეფო

ბალდახინით, დიდებით მიიყვანა ძველ მცხეთაში და აქ ბაგრატიონს საიდუმლო „მეფეთ-კურთხევა" გაუმართა მისი სახელოვანი წინაპრების წყების წინაშე; და მოწიწებით გვერდით დაუსვენა დიდ პაპას ერეკლეს და უკანასკნელ მეფეს – გიორგის. ესეც გადაკრული, ქარაგმული მეტყველება იყო დაგროვილ რისხვისა, გულში რომ ჩაემარხათ ქართველთ. მაგრამ დიდ რუსეთს პატარა ერის გადაკრულის ქარაგმისათვის როდი ეცალა... ამ პროტესტმაც უშედეგოდ ჩაიარა; მაგრამ დრო მაინც მიდიოდა და რუსეთის იმპერიას დამსახურებულ საბრალმდებლო ოქმს უწერდა*)...

---

*) მეტად საინტერესოა ბ. ზ. ჭიჭინაძის წიგნაკში ერთი ცნობაც: – თითქოს ბატონიშვილი მარიამ და პატარა ერეკლე თავის დროზე (იხ. ზევით) ერევნიდან ნებით კი არ წასულან ტფილისში, არამედ მოთმინებიდან გამოსულ რუსის ჯარს მათთვის ალყა შემოურტყამს, დაუპატიმრებია და ასე ძალად ჩაუყვანიათ ტფილისში და როზენისათვის მიუგვრიათ. ესეც ერთი, ზედმეტი შტრიხია მარიამის შეურიგებელ და თავგანწირულ ბრძოლის დასახასიათებლად...

ნარკვევი მეოთხე

იმერეთის ქალები

(ეპიზოდები დასავლეთ საქართველოს ბრძოლათა ისტორიიდან)

ქართლ-კახეთის დამორჩილებით ჯერ კიდევ არ სწყდებოდა საქართველოს რუსეთის პროვინციად გამოცხადების საკითხი. საჭირო იყო დასავლეთი საქართველოც „შეერთებოდა“ დიდსა და ერთმორწმუნე რუსეთს და მისი მფარველობის ქვეშ ყოფნის „სურვილი განეცხადებინა". საამისო იმედი ცოტა იყო და ნიშნები კიდევ უფრო ნაკლები სჩანდა. მაგალითი იმისი – თუ როგორ „მფარველობას“ უწევდა ეს დიდი იმპერია პატარა ქართლ-კახეთის სამეფოს, უკვე მრავალი იყო და ეს მწარე გაკვეთილები საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაშთენილ ოაზისების მიერ კარგად იყვნენ გამოყენებულნი. იმერეთის სამეფოს აფარებდენ თავს ის ბატონიშვილებიც, რომლებიც ჯერ ღ. კნორრინგის და შემდეგ ღენ. ციციანოვის რისხვას გაქცევით გადურჩენ და რუსეთში გადასახლება დროებით მაინც აიცდინეს. მართალია, მემკვიდრე დავითი ჩრდილოეთისაკენ გაისტუმრეს, მაგრამ მეორე პრეტენდენტი – იულონ ბატონიშვილი და მისი მარჯვენა ხელი ფარნაოზი ეხლა იმერეთში იღწოდენ დაუღალავად; ახლოს უვლიდენ ქართლის საზღვრებს და რუსთა მდგომარეობის გართულებას ელოდენ. მათ უკან სოლომონ მეფე იდგა და ამის უკან კი სულთანის ვასალი: ახალციხის ფაშა, რომელსაც ასე ეშინოდა იმერეთში რუსთა და-

მკვიდრების. რუსეთს მაშინ არ შეეძლო ქართლ-კახეთში თავი დამშვიდებულად ეგრძნო, ვიდრე გუშინდელი ამბების მოწამენი, შეურაცხყოფილი წარჩინებულნი ლიხის მთის გადაღმა ხალხს ერეკლეს დროშაზე აფიცებდენ, და შურის ძიების ხმალი ილესებოდა.

ეს დიდძალი ემიგრაცია არა რომელსამე უცხო სახელმწიფოს კარზე იყო შეხიზნული, არამედ ისევ თავის ტომზე, თავის სისხლზე და ხორცზე მინდობილი და ის საქმე, რომელიც დიდმა ერეკლემ რუსთა დაუნდობლობის გამო წააგო, აქ მისს შვილის-შვილს, სოლომონ მეორეს კიდევ მაგრად ეჭირა ხელში.

რუსეთის უზრუნველ ბატონობას ეს კარგს არას უქადდა და მარტო ისეთ ენერგიულ კაცს თუ შეეძლო ამ მდგომარეობიდან თავის დახწევა, როგორიც ღენ. ციციანოვი იყო. ჭეშმარიტად, მას არაფერი დაუზოგავს – რომ ქართლ-კახეთის ბედი რაც შეიძლებოდა მალე იმერეთისთვისაც ერგუნებინა და პირველი ტრაქტატიც იმერეთთან დადებული ხომ მთლად ღენ. ციციანოვის საქმეა; მისი მტკიცე გადაწყვეტილებით არა მარტო მუდმივ აჯანყება უკმაყოფილების ბუდე უნდა დანგრეულიყო ლიხს იქეთ, არამედ რუსეთს თავისუფალი გზა უნდა გახსნოდა შავი ზღვისაკენ და კავკასია ამ მხრითაც უფრო მტკიცედ უნდა გადაჯაჭვულიყო დიდ იმპერიასთან. იმერეთი იყო უკანასკნელი სიმაგრე საქართველოს სახელმწიფო სხეულისა, რომელსაც ულეველ ისტორიულ გზასთან დიდი უნარი და გამოცდილება ჰქონდა რთულ მგდომარეობიდან გადარჩენისა.

ძველი და დიდი ბრძოლა უნდა დაწყებულიყო ამ ახალ ძალასთან, რომელმაც რამოდენიმე წლის ბატონობით ქართლ-კახეთში და სამაჰმადიანო მეზობელ ქვეყნებში თვისი აგრესიული ზრახვანი უკვე საკმაო მოცულობით გამოაჩინა. ეს უს-- წორო ბრძოლა მრავალ წელთა მანძილზე გრძელდებოდა და ვერც ღენ. ციციანოვი და ვერც მისი მომყოლნი: ტორმასოვი, როზენი და მრისხანე ერმოლოვი ვერ მოესწრენ იმერეთის დამშვიდებას და მის სრულ დამორჩილებას.

ამ ბრძოლის ცალკე შტაბების აღწერა ჩვენ შორს წაგვიყვანდა... ჩვენი მიზანია ამ თავდადებულ ბრძოლათა გზებზე მარტო ის ხაზები აღვნიშნოთ, რომლებიც მას ქართველმა ქალმა დააჩნია... ეს ცალკე ეპიზოდები მართლაც ლეგენდარული და განსაცვიფრებელია. იმერეთის ამ ბრძოლათა ამბები იმით უფრო დიადია ჩვენთვის, რომ აქ საქართველოსათვის

თავდადებულ მამაკაცთა გვერდით ჩვენ ქალებსაც ვხედავთ, რომლებიც არა ნაკლებ გმირობას და თავგანწირვა-გამჭრია-

ხობას იჩენდენ. ისენიც ისევე ულმობლად შეიწირა დიდმა რუ-სეთმა, როგორც მამაკაცები – ამ ბრძოლაში რომ უწყალოდ გაჟლიტა და დაშთენილნი კი შორეულ ქვეყნებში გადაჰკარგა.

ამ სახელოვან და წამებულთა რიცხვი უთვალავია, მაგრამ წყაროებში მარტო თითო-ოროლა შესანიშნავ ქალთა შე-სახებაა ლაპარაკი და ჩვენც იძულებული ვართ ამით დავკმა-ყოფილდეთ.

ამ დასში პირველი ადგილი უჭირავთ : იმერეთის დე-დოფალს მარიამს, სოლომონ მეფის დას მარიამს (სარდალ მალხაზ ანდრონიკაშვილის მეუღლეს), იმერეთის ბატონიშვილს დარეჯანს (სოლომონ პირველის ქალს, რომელიც იყო მეუღ-ლე ქაიხოსრო აბაშიძისა და დედა 1820 წლის აჯანყების გმი-რის ივანე აბაშიძისა), გურიის უკანასკნელ დედოფალს სოფიოს (ასულს გიორგი წულუკიძისას და მეუღლეს მთავარ მამია გუ-რიელისას), იმერთა ჯარების სარდლის ქაიხოსრო წერეთლის მეუღლეს ეკატერინე აბაშიძის ასულს, სამეგრელოს დედოფალს ნინოს, ასულს ქართლ-კახეთის უკნანასკნელ მეფის გიორგი მე-12-სას და მეუღლეს გრიგოლ დადიანისას; ხოლო უფრო ბო-ლო ხანიდან დედოფალ ეკატერინეს, დავით დადიანის მეუღ-ლეს და ასულს პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძისას და კიდევ მრა-ვალთ სხვათ...

ყველა ამათ ამაყად და მძლავრად უცემდათ გული საქარ-თველოსათვის და, ხედავდენ რა ქართლ-კახეთში წაგებულს საქმეს, იმის ფიქრში და ზრუნვაში იყვნენ, რომ ყოფილ „ერ-თობილ საქართველოს“ მიწა-წყალზე, საცა ჯერ კიდევ რუ-სული ძლიერი ტალღა არ მოვარდნილიყო, ჯებირები ჩაეყა-რათ და საზღვრები გაემაგრებინათ; მათ უნდოდათ – დაეცა-დათ იმ უკეთესის დროისათვის, როცა რუსეთს მდგომარეობა გაუმწვავდებოდა; აქ საქართველო იმერეთის მხრიდან კვლავ დაიწყებდა ფეხზედ დადგომას და სახელმწიფოს ძველ სა-ზღვრებში აღდგენას...

ამ მიზნისათვის ორგვარი გზა არსებობდა და ქალებიც ისევე მოჰყვებოდენ ამ გზებს, როგორც მამაკაცები. პირველი იყო – გზა აშკარა შებმისა, პროტესტისა, ბრძოლისა, ხშირად უსწორო დაჯახებისა; მეორე კი – შორით დამიზნებისა, ფრთხილის მოვლისა, ძლიერ მტერთან „ლოიალურ ურთიერ-თობის" დამყარებისა, რაინდულ დახმარებისაც; უფრო ხშირად კი ეს იყო გზა „დაპირებისა“, რომ ამით მდგომარეობა რო-გორმე გაეხანგრძლივებინათ და შეექმნათ ერთგვარი „სტატუს-ქვო“, რომელსაც რუსეთი ერთხანად მაინც შეურიგდებოდა და სახელმწიფოის ყველა ფუნქციებს ბრძოლას აღარ დაუწყებდა.

ამასთან ხშირად დაკავშირებული იყო ძლიერი იმპერიის

სამხედრო ძალის გამოყენების წადილიც: საქართველოს, ან რომელიმე სამთავროის დაკარგულ, გამაჰმადიანებულ ნაწილის ხელ-ახლა შემოსაერთებლად; ძველ, ქართულ მიწა-წყლის დასაბრუნებლად. მათ სწადდათ ეს დიდი ჭირი რითიმე მაინც „მარგებლად“ ექციათ და ერეკლეს ტრადიციულ პოლიტიკი-სათვის გამართლება ეპოვნათ. ერეკლეს რუსული ორიენტაცია ხომ მშრალ ანგარიშებიდან გამოდიოდა და არა რაიმე სიმპა-ტიებიდან (როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს პროფ. ზ. ავალიშვილი)*).

ქართველ ქალებსაც ღირსეულად უვლიათ აღნიშნულ გზით...

---

*) იხ. მისი „პრისოედინენიე გრუზიი კ როსიი“

ეკატერინე წერეთლისა

1810 წ. მთავარმართებელმა ტორმასოვმა იმერეთში უამ-რავი ჯარების დაგროვება მოახერხა და მეგრულ-გურულ მი-ლიციების დახმარებით სოლომონ მეფეს ყველა გზები მოუჭრა და ხანის ხეობით ახალციხეს გასვლის საშუალება წაართვა...

მეფეს კიდევ შერჩენ მისთვის თავდადებული მეომრები, რომლებიც თუნდ ერთბაშად გაწყდებოდენ, მაგრამ მეფეს და იმერეთის დამოუკიდებლობის დროშას კი ტორმასოვის კა-ცებს: სვიმონოვიჩს (ქუთაისის ღენერა-ღუბერნატორი, ბო-ლოს იმერეთის მმართველი) და მოგილევსკის (მთავარმართებ-ლისაგან იმერეთის მეფესთან მიგზავნილი საგანგებო დესპანი), არ დაანებებდენ. მაგრამ თავდადებულთა ეს რაზმი ალყა-შე-მორტყმული შეიქმნა და ამ ხანად ახალციხის ფაშისაგან დახ-მარების საშუალებაც წართმეული იყო; მეფეს მარქაფი ჯარი აღარა ჰყავდა და არც სურსათ-მარაგი უნდა ყოფილიყო დიდი ხნის საყოფი. ამის გამო სოლომონმა აღარ ინება ხანის ხეო-ბაში განწირული ბრძოლის მიცემა და თვისი მეომრების და ერთგულების დაზოგვის გზა აირჩია. მაგრამ საბოლოო ბრძოლა ჯერ მაინც მიცემული არ იყო და მეფეს კიდევ ჰქონდა სა-შუალება მეფურის ღირსებით ელაპარაკნა მოპირდაპირესთან და სიმონოვიჩი მცირედ დათმობებზე მაინც წაეყვანა.

რუსთ საქმე მოგებულად რომ არ მიაჩნდათ, და ხეობაში მომწყვდეულ მეფის სარდლობის და ჯარების დიდი შიში მაინც ჰქონდათ, ეს იქედანაც სჩანს, რომ მათ მეფე ხატებზე და სახა-რებაზე აფიცებდა და საჯარო აღთქმას ადებინებდა; ეს აღთქმა იმაში მდგომარეობდა, რომ მეფეს რუსნი მეფურად მოეპყრო-

ბოდენ და ის ღირსებით (მისი 500 შეიარაღებული მეომრის თანხლებით), შეხვდებოდა მთავარმართებელ ტორმასოვს და რომ ეს შეხვედრა იმერეთისა და ქართლის საზღვრებთან მოხდებოდა. დამარცხებულს ხომ ასეთ ფიცს არ აძლევენ! და თუ სოლომონ მეფემ სიმონოვიჩი 500 მებრძოლის თანხლებაზე დაიყოლია, აშკარაა, რუსეთისათვის მთავარი იყო – იმერთა ჯარის ნაწილები ჯერ-ჯერობით 500-მდე მაინც დაეყვანათ... მეორეს მხრივ, გამარჯვებულ რუსეთის მხედრობას საქმეს ურთულებდა იმერეთის ციხეები, მეფისადმი მიცემულ ფიცს რომ არ სტეხდა და ალყა შემორტყმული მაინც გმირულად იცავდა თავს იმერეთის დამოუკიდებლობის დროშის ქვეშ.

სიმონოვიჩ-მოგილევსკის დაფიცება იმ მეფის მიერ, რომელიც ხელმწიფის ბრძანებით უკვე ტახტიდან გადაყენებულად და მოღალატედ იყო გამოცხადებული, ვიმეორებთ, დამარცხებულის, მორჩილების სურათს ვერ გამოხატავს. მაგრამ არც ამ ფიცის მიმღები ყოფილა იმდენად რაინდი, რომ მიცემულ სიტყვის აღსრულება შესძლებოდეს...

და სიმონოვიჩ-მოგილევსკიმ მეფეს და იმერეთს ერთხელ კიდევ მისცეს იმის საბუთი, თუ რას ნიშნავს დიდი იმპერიის ფიცი და სიტყვა იმ პატარა იმერეთის წინაშე, რომელსაც პეტერბურგის მოხელეები „მუხანათ-გაუტანელ აზიელებს" უწოდებდენ...

გავიხსენოთ გაკვრით მაინც ეს ამბავი.

1810 წ. 11 აპრილის თარიღით სიმონოვიჩი მთავარმართებელს ტორმასოვს სწერდა: 20 თებერვალს ქუთაისში და იმერეთის სხვა ადგილებში თქვენი ცნობილი პროკლამაცია იმერეთის სამეფოს გაუქმების და სოლომონ მეფის გადაყენების შესახებ (მისი მოღალატურ-გაუსწორებელ საქციელისა და ახალციხის ფაშასთან კავშირის გამო) გამოვაცხადეო. მაშინვე დავიწყე მცხოვრებთა რუსეთის ქვეშევრდომობა-ერთგულებაზე დაფიცებაო, ხოლო 1 აპრილს კი დავამთავრე ბრძოლები მეფის ერთგულ ნაწილებთან, **დავიპყარ იმერეთი და**

თვით მეფეც ჩაგაბარეთო. მხოლოდ იმერეთის ოსურ ნაწილებში და აგრეთვე რაჭის ხეობებში კიდევ კარგა ხანს არ დამცხრალან წინააღმდეგობანი მეფის დამორჩილების შემდეგაცო; ამის მიზეზი ის იყო, რომ მეფის მახლობლები, რომლებიც მასთან ერთად ბოლო წუთამდე ხანის ხეობაში იბრძოდენ, იმედს არა ჰკარგავდენ და ზოგიერთ გამაგრებულ და მიუვალ ციხეებს აგულიანებდენ; ესენი იყვნენ უმთავრესად სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, სვიმონ ზურაბის ძე წერეთელი, როსტომ ნიჟარაძე, დავით და გიორგი ერისთავნი, დავით აბაშიძე, ბერი

ლორთქიფანიძე და სხვა, რომელნიც მეფეს ქართლში თან ეახლენო.

სწორედ ეს პირები ავრცელებდენ ამაღელვებელ ხმებს და აგზავნიდენ შიკრიკებს იმერეთში – თითქოს მეფე ტორმასოვს (რუსეთს) შეურიგდა და დატოვებულ იქმნა თავის მეფურ ხარისხში და რომ ის მალე ისევ იმერეთში ჩამობრ-ძანდებაო. ასეთი ხმების გამო, ციხეები, რომლებიც მეფის ერდგულთ კიდევ ხელთ ეჭირათ: ყვარი, ჭყვიში, მოდი-ნახე, მუხური და საპაიჭაო მაგრად იდგნენ და რუსთ არ ნებდებოდნენ.

მეფის უახლოესთა იმედი ალბად ის იყო, რომ ახალციხე-ში შერიფ-ფაშასთან გაგზავნილნი: სოლომონ ლეონიძე და მალხაზ ანდრონიკაშვილი, (რომელთაც იქ დახვდენ ამავე მიზ-ნით ადრევე გასულნი პატრი ნიკოლა და ლევან და დიმიტრი აბაშიძენი) მალე მოაშველებდნენ იმერეთს დამხმარე ჯარს; ალბად ამ მიზნითვე იყო გადაწყვეტილი მეფის დროზე დახსნა „საპატიო" ტყვეობიდან. პირველად მხლებლებმა მეფის გაპარება მოინდომეს სოფელ დირბიდან ოსეთში, მაგრამ რაკი ეს განზრახვა გამომჟღავნდა, მეფის განთავისუფლების საქმე უნდა სხვა დროისათვის გადაედვათ.

თვით მეფეც, როგორც ვსთქვით, ხომ ღირსება და პატივ აყრილი არ წამოსულა იმერეთიდგან; არამედ 500 მეომარის თანახლებით დაიძრა ქართლისაკენ; იგი თვითონ ამშვიდებდა იმერელებს და ჰპირდებოდა, რომ თუ მთავარმართებელი მეფის პირობას არ მიიღებდა კვლავ იმერეთში დარჩენის შესახებ, მა-

შინ სოლომონი უკანვე დაბრუნდებოდა ბრძოლის გასაგრძე-ლებლად და იმ დროისათვის მას ამ მებრძოლთა დახმარება დი-დათ დასჭირდებოდა (იხილეთ ხახანაშვილი -–„სოლომონ, იმერეთის მეფე", გვ. 58). მეფე იმითაც აშოშმინებდა ხალხს და გულს უმაგრებდა, რომ ის მთავარმართებელს ტრიალს მინ-დორზე შეხვდება – ვით სწორი სწორს...

ამ გვარი მოწოდებები მეფემ გაუგზავნა ციხის მცველთ: საპაიჭაოში და მუხურში (ibid). იჭვი არაა, რომ მეფე და კერ-ძოდ სარდალი ქაიხოსრო წერეთელი ამავე გამამხნევებელი მო-წოდებით მიმართავდენ ციხე „მოდი-ნახე"-საც – ამ „არწი-ვის საბუდარს", რომელიც მუდამ წერეთელთა გვარის საამაყო და გაუტეხელი თავშესაფარი ყოფილა*).

მთავარ ბრძოლათა წაგების შემდეგ, სარდალ ქაიხოსრო წერეთლის ამოცანა იყო, მეფისათვის ახალციხეში გასა-სვლელი გზა ლინასევიჩის რაზმებს არ მოეჭრათ; ამიტომ სა-რდალმა ეხლა საკუთარი ციხის „მოდი ნახე"-ს დაცვა თავის მეუღლეს ეკატერინეს (აბაშიძის ასული) მიანდო.

საფიქრებელია, რომ ციხის მცველებმა მეფის დაპატიმრების ამბავი გაიგეს, მაგრამ ამან მათზე მაინც ვერ იმოქ-

*) ამ ციხის თავგადასავალიდან საინტერესოა ერთი ეპიზოდი, რომელიც ასე ახლოს სდგას ქაიხოსრო წერეთლის მეუღლის – ეკატერინე აბაშიძის გმირულ ამბებთან: მეფემ ზვიადი და უტეხი პაპუნა წერეთელი თავისთან დაიბარა, აგრეთვე მისი სიმამრი აბაშიძეც, თითქოს იმ უთანხმოების მოსასპობლად, რომელიც მათ შორის კარგა ხნით ჩამოვარდნილიყო; მეფემ მათ ორთავეს თავები დააყრევინა და მოინდომა წერეთლის გვარიც განდგომა-ღალატისთვის სრულიად ამოეჟლიტა. მეფემ ჯარები გაგზავნა, მაგრამ პაპუნა წერეთლის ქვრივმა ძალები შემოიკრიბა, „მოდი-ნახე“-ში გამაგრდა და ისეთი ხანგრძლივი და სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია მეფეს, რომ იძულებულ ჰყო ციხისათვის ალყა მოეხსნა (იხ. „კავკაზსკი კალენდარ“, 1854 წ., გვ. 494, აგრეთვე პოტტო, II, გვ. 458).

მედა და იარაღი ვერ დააყრევინა. ისინი ვერ ურიგდებოდენ საყვარელ მეფის ხანგრძლივ ტყვეობის ამბავს და განსაკუთრებით იმ ვერაგულის მოტყუილებით იყვნენ შეურაცხყოფილნი, რომელიც დიდი იმპერიის აგენტებმა, მიუხედავად ჯვარზე და სახარებაზე მოცემული ფიცისა, ჩაიდინეს.

ეს ამბავი, რა თქმა უნდა ყოველ მოთმინების ფიალას აღავსებდა ამ მეომრებში და შურის ძიების და ბრძოლის წადილს ერთს ათად გაზრდიდა.

ამ ჟამად ეს ბრძოლა ბუნებრივად ძლიერ, მაგრამ ტექნიკის მხრივ პრიმიტიულად გამაგრებულ და შეიარაღებულ პატარა ციხეებს უნდა ეწარმოებინათ და მათ შესძლეს კიდეც რამდენიმე ხნით მაღლა დაეჭირათ იმერეთის თავისუფლების დროშა (უკანასკნელი ციხე მხოლოდ აპრილში დაეცა); საერთო ბრძოლები კი უკვე ყველგან შეჩერებული იყო ამ დროს.

ხალხი მოქანცული და დაბნეული შიშისგან მთებში და ტყეებში გახიზნულიყო, სოფლებში ეგზეკუციები თარეშობდენ, ხოლო მეთაურნი კი ან ტყვედ იყვნენ ჩავარდნილნი, ან მეფესთან ერთად ტფილისში იმყოფებოდნენ. ამრიგად, რუსის ჯარს ხელები გაშლილი ჰქონდა და პატარა ციხეებს მთელის სიძლიერით ეძგერა მაგარის არტილერიით და მალე ისინი საშინელ რკალში მოამწყვდია.

იმერეთის ჯარების მთ˜სარდლის ქ. წერეთლის მეუღლეს კარგად ჰქონდა ქმრისაგან ციხის დაცვის და ბრძოლის წესები შეთვისებული და ალბად მან ტრადიციაც გაიხსენა სხვა აბაშიძის ქალისა, რომელიც ერთხელ მხნედ იცავდა სწორედ ამ ციხეს...

ეხლაც ქალი ამხნევებდა და აქეზებდა „მოდი-ნახე"-ს პატარა გარნიზონს და როცა რუსულ ჯარებს მ~რ პრიბილეესკის მეთაურობით იერიში მიუტანია და არტილერიის ცეცხლი დაუნთია, „მოდი ნახე“-ს სარდალი ქალი არ შემდრკალა: ბრძანებანი გაუცია, სათანადო განკარგულებანი მოუხდენია და ციხის ზარბაზნებიდან სროლა აუტეხია; „თეითონ ეკატერინე ისროდა

ერთ ზარბაზნიდანო“, მოგვითხრობს ისტორიკოსი პოტტო (იხ. ტ. II, გვ. 458); მაგრამ ამ სროლამ მეტოქეობა ვეღარ გაუწია რუსულ ახალ ზარბაზნებს და ეკატერინეს რაზმს რკალი უფრო და უფრო მჭიდროთ ერტყმოდა; ეხლა „მოდი-ნახე“-ს წინ სულ სხვა მტერი იდგა, სხვაგვარად შეჭურვილი და ეკატერინეს აღარ შეეძლო პაპუნა წერეთლის სახელოვან ქვრივის მაგალითით კიდევ კარგა ხნით გამხნევებულიყოვო, განაგრძობს პოტტო (ibid). ეკატერინე მაინც არ ფიქრობდა „მოდი-ნახე"-ს გასაღების ასე ადვილად მტრისათვის გადაცემას, მაგრამ მდგომარეობა თან და თან მწვავდებოდა: მოსალოდნელი იყო, რომ რუსის გაბრაზებული მაიორი პრიბილევსკი არა თუ ციხეს გაანადგურებდა, არამედ თავებს დააყრევინებდა ყველა მის მცველთ და პირველ რიგში სარდალ ქაიხოსროს ოჯახის წევრთ და მთელს საწერეთლოს მიწასთან გაასწორებდა. ეტყობა, რუსის მხედრობას ამას გარდა, სხვა ხერხისათვისაც მიუმართნია; ღენ. ტორმასოვს „მოდი-ნახე“-ს მცველ ქართველ ქალის ასეთი გაუტეხელობა და შეურიგებლობა ახალ, დიდ ძალასთან (რომელმაც უკვე მთელი იმერეთი აიღო და მეფეც ხელთ იგდო), მეტად უცნაურ მდგომარეობაში აყენებდა; ის ხელმწიფეს „სრულ გამარჯვებებზე“ მოხსენებებს უგზავნიდა და საწერეთლოს მაღლობიდან კი ეს ქალი რუსის ხელმწიფის ჯარებს ებრძოდა და „მოდი-ნახე“-ს გალავნიდან ზარბაზანს უშენდა. ეს მშვიდობიანობას არ ჰგავდა და ნაკლებად შეესაბამებოდა იმ ცნობებს, რომლითაც მთავარმართებელი პეტერბურგს ამშვიდებდა: „იმერეთმა არ აპატია თავის მეფეს რუსეთის ხელმწიფის ღალატი და ამიტომ მისი გადაყენების პროკლამაციას ხალხი ყველგან მშვიდობიანად შეხვდა და რუსეთის ერთგულებაზე შეჰფიცა“-ო. დისსონანსი, რომელსაც რამოდენიმე ციხის წინააღმდეგობა ჰქმნიდა და ამ გამარჯვებას ელფერს უკარგავდა – უნდა გამქრალიყო ან ახალ ძალების შეტევით, ან რაიმე ხერხით. ეკატერინე წერეთლის დამარცხებისთვის ტორმასოვს საუკეთესო რაზმები არ დაუზოგავს, მაგრამ ამავე დროს, მან აამუშავა ზოგიერთი გამდგარი, ან რყევაში მყოფი ქართველიც; და ციხის კარებზე

მოციქულები – მოციქულებს სცვლიდენ; ამ მიზნისათვის მტერმა ყველაზე მოხერხებულად გამოიყენა ქაიხოსრო წერეთლის

ბიძის, ფრიად გავლენიანი ფეოდალის, სახლთ-უხუცეს ზურაბ წერეთლის ოჯახის წევრნი და ალბად თვითონ ზურაბიც.

მიტროპოლიტი დავით ზურაბის ძე არწმუნებდა ეკატერინეს, რომ ბრძოლის გაგრძელებით ისედაც წამხდარ მდგომარეობას, უფრო გააფუჭებდა და მხოლოდ დამორჩილებით შეიძლება ბევრ რამეს გადარჩენა და შენახვაო *); მეორე ვაჟი ზურაბ წერეთლისა ცნობილი გრიგოლ წერეთელი ხომ ყოველნაირ დახმარებას უწევდა მაიორ პრიბილევსკის რაზმს, რომელსაც „მოდი-ნახე"-ს სარდალი ქალი უნდა დაემორჩილებინა. ის რუსებს ხალხის გადმობირება-დაფიცებაში ეხმარებოდა, აწვდიდა პრიბილევსკის რაზმს სურსათს და აძლევდა რჩევას „მოდი ნახე“-ს ასაღებად და სიმონოვიჩი გრიგოლ წერეთლისათვის რუსეთის მთავრობიდან წყალობებს და ორდენებს მოითხოვდა **). მაგრამ ყველაზე მეტი უნარი ეკატერინეს დაყოლიების საქმეში და საერთოდ „მოდი-ნახე“-ს უმწეო მდგომარეობაში ჩაყენებისათვის გამოიჩინა თავ. გიორგი ამილახვარმა, რომელიც ტორმასოვმა დიდის ნდობით აღჭურვილი, ელიზბარ ერისთავთან და ზაალ ამირეჯიბთან ქართლიდან იმერეთში გადმოგზავნა, იქაურ ურჩ თავად-აზნაურთა „მოსაქცევად“. (ზაალ ამირეჯიბი იმერეთის აჯანყებულებმა მოჰკლეს 1810 წ.).

ჯერ კიდევ 26 თებერვალს 1810 წ., მთავარმართებელი გიორგი ამილახვარს სწერდა, რომ მან უკვე უბრძანა პრიბილევსკის: თუ „მოდი ნახე“ რუსებს თვითონ არ დანებდება, იგი იარაღით დაიმორჩილოს; „თქვენ კი განსაკუთრებით გთხოვთ“, სწერდა ტორმასოვი ამილახვარს, „იხმაროთ ყოველგვარი ღონისძიება, ქაიხოსრო წერეთლის მეუღლის ნებით დაყოლიებისათვის, უნდა დაარწმუნოთ, რომ თუ თვით დაგვითმობს ციხე „მოდი-ნახე“-ს და რუსეთისადმი ერთგულებაზე ფიცს დას-

*) იხ. „კავკაზსკი კალენდარ“, 1854 წ., გვ. 494.
**) „აკტი“, IV, გვ. 243.

დებს, მისი ოჯახი ძველ მდგომარეობაში იქნება დატოვებული, ე. ი. კვლავ თავის სახლში დარჩებაო. თუ ამაზე არ დაგვეთანხმება და ბოლოს ციხე იარაღით ავიღეთ, ეცადეთ ქაიხ. წერ˜ის ოჯახობაც ხელთ იგდოთო“ *). ამ რენეგატ თავადს თვითონ სიმონოვიჩიც ახასიათებდა როგორც რუსეთის დამკვიდრებისათვის თავდადებულ მებრძოლს ჯერ კიდევ ქართლ-კახეთში, საცა ის აჯანყებულ ბატონიშვილთ: ვახტანგს, ფარნაოზს, იულონს და ალექსანდრეს ებრძოდა; და ეხლაც, იმერეთშიაც თურმე რუსეთის მოხელეთა მოლოდინი და ნდობა სავსებით გაუმართლებია გიორგი ამილახვარს **). ეს თავადი მაიორ პრიბილევსკის მთელი ექსპედიციის დროს საწერეთლოში თან ხლებია, და ყოველნაირად ცდილა რუსეთის სასარგებლოდ ხალხის გულის მოგებას; მრავალნი კიდეც დაუფიცებია ერთ-

გულებაზე...

ამნაირად, როცა ციხის დამცველნი მიტოვებულნი, მარაგ-შემოლეულნი მძიმე ყოფაში იყვნენ ჩავარდნილი, ამილახვარმა დრო იხელთა. მან ვითომდა მოლაპარაკების მიზნით, როგორც სარდლის მეუღლისა და ოჯახის ახლობელმა და კეთილისმდომელმა პირმა, მოახერხა ექვსი იეგერით გალავანში შესვლა; აქვე მას დამზადებული ჰყოლია იეგერთა მთელი კომანდა ობერ-ოფიცრებით; აი, ამათ – ვითომდა მოციქულად გალავანში შესულმა ამილახვარმა – გაუღო უცებ კარები***). მდგომარეობა უკვე გამორკვეული შეიქმნა, საქმე უიმედოდ უნდა მიეჩნია სარდლის მეუღლეს და მის პირად სიმხნე-მამაცობას ეხლა აღარაფრის გამოსწორება აღარ შეეძლო. როცა ეკატერინე წერეთლისას მაიორ პრიბილევსკის უკანასკნელი ულტიმატუმი გადასცეს და ახლოვდებოდა საათი საშინელი შეტევისა, სამღვდელოება წარსდგა „მოდი ნახე“-ს ამ მამაც დედოფლის წინ და სთხოვა: მორიდებოდა უაზრო მსხვერპს, რომელსაც უამრავი მეომარი შეეწირებოდა და შედეგად მთელი

*) ibid, გვ. 234.
**) იხ. „აკტი“,ტ. IV, გვ. 242.
***) „აკტი“, ტ. 4, გვ. 242.

იმ მიდამოს ნაცარ-ტუტად ქცევა და ხანგრძლივი ეკზეკუციები მოჰყვებოდა. ასეთივე ვედრებით მიმართეს ეკატერინეს ახლობელ და წარჩინებულ ნათესავებმა; რა თქმა უნდა – ასეთ დროს დაცდა უნდა სჯობნებოდა; მეფისაგან ჯერ ხომ ნამდვილი ამბავი არავინ იცოდა; იქნება მართლაც მოეხერხებინა მას ტყვეობიდან თავის დახწევა და იმერეთში დაბრუნება; მეფეს ხომ სარდალი ქაიხოსრო და მრავალი სხვა გახიზნულიც მოჰყვებოდენ, და იქნებ ალექსანდრე ბატონიშვილს მართლაც ეშოვნა აბას-მირზას, ან ერევნის ხანის, ან ახალციხის ფაშის საგრძნობი დახმარება იმერეთისათვის.

მაშინ „მოდი ნახე“-ს და მის დამცველთ დიდი სამსახურის გაწევა შეეძლოთ სოლომონ მეფისათვის. მაშ რაღა აზრი უნდა ჰქონოდა ეხლა ძალების და ციხის განადგურებას? ჯერ საქმე საბოლოოდ დაკარგული არ უნდა ყოფილიყო; სოლომონ ლეონიძე, მალხაზ ანდრონიკაშვილი და თვით ეკატერინეს გვარის შვილები: დიმიტრი და ლევან აბაშიძეები ხომ ამდენ ხანს ტყვილად არ გაჩერდებოდენ შუქრი-ფაშასთან და საყვარელ მეფეს რუსებს ასე ადვილად არ დაანებებდენ...

ამ რჩევებმა ბოლოს გასჭრა და „მოდი ნახე“-ს დედოფალმა ზვიადად და ამაყად გააღო ციხის კარები და რუსის მაიორს და ამილახვარს გასაღები გადასცა... რუსებმა ჩაიბარეს: 8 ზარბაზანი, ორი ფალკეტი, 30 საციხე თოფი და ორი

საგვარეულო დროშა: – ერთი მწვანე ფარჩისა წმიდა გიორგის ხატით, მეორე წითელი ფარჩისა, რომელზედაც იესო ქრისტეს ჯვარცმა იყო გამოსახული (იხ. „კავკაზსკი კალენდარ“, 1854 წ. გვ. 494). ასე დაეცა „მოდი-ნახე“, ეს არწივის საბუდარი. ეკატერინეს ალბად ყველაზე უფრო ის უთანაღრებდა გულს, რომ ამილახვრის მუხანათობით იმერეთის სარდლის საამაყო დროშები რუსებმა ხელთ ჩაიგდეს და სარდალის მეუღლემ მათ ეს უფრო ძვირად ვერ დაუჯინა...

* *
*

ბოლოს სამართლიანობა მოითხოვს „მოდი-ნახე“-ს თავგამოდებულ დამცველთ იმ საწყაულით მიუზღოთ, რომელიც

მათ დაიმსახურეს და ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია გაკვრით შევრჩერდეთ იმ შეცდომაზე, რომელიც შესაფერ გამოკვლევებში გაუგებრობის გამო განმტკიცებულა. მთავარი მასალა, რომელსაც რუსის ისტორიკოსები და აგრეთვე პროფ. ა. ხახანაშვილი ემყარებიან, უნდა იყოს ჩუდინოვის გამოკვლევა: „იმერეთის აღრევანი 1809 და 1810 წლებში“ *); ესენიც იმ შეცდომას იმეორებენ, რომელიც ჩუდინოვს მოსვლია. ეს მკვლევარი მეტად ამარტივებს მაშინდელ ამბებს და „მოდი-ნახე“-ს აღებასაც ასევე მსუბუქად აგვიწერს; ავტორი გვეუბნება, რომ მაიორ პრიბილევსკის 20 თებერვალს 1810 წელს საჩხერე აუღია და სამი დღის განმავლობაში ახლო-მახლო სოფლები რუსეთის და ალექსანდრე I-ის ერთგულებაზე დაუფიცებია. ხოლო სარდალ ქაიხოსრო წერეთლის მეუღლეს ეკატერინეს და მის ერდგულ გლეხებს ასეთ ფიცზე უარი განუცხადებიათ – შეხიზნულან და გამაგრებულან ციხე „მოდი-ნახე“-ში; ეს ციხე მათ მიუვალად მიაჩნდათო, მაგრამ სწორედ **ერთ კვირაში იძულებული** გახდენ იარაღი დაეყარათ და ფიციც მიეღოთ **); სჩანს – თებერვლის დამლევს ციხე უკვე აღებული უნდა ყოფილიყო და სწორედ ამასვე იმეორებენ პოტტო, ა. ხახანაშვილი და სხვები; პირველი გვეუბნება, რომ 23-ს თებერვალს პრიბილევსკი ციხეს მიადგა, ალყა შემოარტყა და 5 დღის განმავლობაში თავადი ამილახვარი ცდილობდა ეკატერინესთვის ჩაეგონებინა, ნებით დამორჩილებოდა ძლიერ მტერსო. ამ ცდამ გასჭრა, სარდლის მეუღლეს ციხეზე იერიშის მიტანის შეეშინდა, ნებას დაგვყვა და კარები გაგვიღოვო“ ***).

ნამდვილად კი საქმე სულ სხვანაირად სჩანს: მიუხედავად რუსის ღენ. ორბელიანის მედგარ შეტევისა ქაიხოსრო წერეთლის რაზმზე და – კერძო „შთაგონებათა“, იმერეთის სა-

---

*) იხ. „კავკაზსკი სბორნიკ“, ტ. 15 და 16.

**) იხ. „კავკაზსკი სბორნიკ“, ტ. 15, გვ. 294.

***) იხ. პოტტო, ტ. II, გვ. 93; როგორც აღვნიშნეთ, ამასავე იმეორებს პროფ. ა. ხახანაშვილიც „იმერეთის მეფე სოლომონ

მე-2“-ში. გვ. 55.

რდალი თვითონაც მტკიცედ იბრძოდა და მისი მეუღლეც ხომ მეორე რენეგატის ამილახვარის ასეთსავე „შთაგონება"-ს ზიზღით ზურგს უქცევდა და „მოდი-ნახე“-ც ზარბაზნებით უპასუხებდა ძლიერ მტერს...

დაიღალენ ორბელიან-ამილახვარი ახალ ხერხების მოგონებით, მაგრამ შედეგი კი არა სჩანდა... სამ წერილზე, რომლითაც ორბელიანი იმერეთის სარდალს „მეგობრულ რჩევას“ აძლევდა, მან მხოლოდ ერთხელ მიიღო პასუხი და ისიც **სიტყვიერი**, გვეუბნება ჩუდინოვი: „ქაიხოსრო წერეთელმა ღენ. ორბელიანს უპასუხა, რომ აიღო რა ხელში იარაღი, ამით ის ასრულებდა თავის ერთად-ერთ მბრძანებელ, კანონიერ მეფის ნებას და თუ საჭიროდ დაინახავდა, გადმოიბირებდა თვისკენ იმ იმერლებსაც, რომლებმაც უკვე დაიფიცეს რუსეთის ერთგულებაზე“-ო*). ასეთივე ზვიადი იყო ეკატერინეს პასუხი პრიბილევსკის რაზმისადმი მას შემდეგ, რაც სოლომონს იმერეთი დაატოვებინეს და სარდალი ქაიხოსროც თან გააყოლეს...

მაგრამ დავუბრუნდეთ დატებს, რომლებიც ეკატერინეს შესახებ ასე „იოლად და პანიკის ქვეშ მომხდარ“ კაპიტულაციის ცნობებს აბათილებენ.

სიმონოვიჩის მოხსენებიდან მთავარმართებლისადმი ირკვევა, რომ 12 მარტს მან და მოგილევსკიმ სოლომონ მეფეს ცნობილი ფიცი მისცეს; 15 მარტს კი მეფე თავისი რაზმით გამგზავრებულია სოფ. საზანოში, სადაც დედოფალი მარიამი იმყოფებოდა; მასთან გამოთხოვება სამ დღეს გაგრძელებულა; 21-ს მარტს – მეფე იყო სოფ. ბეკამთან (12 ვერსია სურამიდან) და თვისი მრავალრიცხოვანი (500 კაცი) რაზმი შეიარაღებული თან მიაცილებდა მას ქართლის საზღვრამდე ტორმასოვთან შესახვედრად. როგორც ვიცით, გზა და გზა მეფის ერთგულნი ხალხს აგულიანებდენ და არწმუნებდენ, რომ მეფე რუსთ შეუთანხმდება და ისევ დაბრუნდება მეფედაო.

„ამის გამო ძლიერი ციხეები, რომლებიც კიდევ მეფის ერთ-

*) იხ. ჩუდინოვის დასახელებული წერილი, გვ. 295.

გულთა ხელში იყვნენ, წინააღმდეგობის გვიწევდენ და არ გვნებდებოდენო; ეს ციხეებია: ყვარი, ჭყვიში, მოდი-ნახე, მუხური, და საპაიჭავო“*). აქედან ირკვევა, რომ მეფის ხანის წყლიდან გამოსვლის შემდეგ და მისი ტორმასოვთან გამგზავრების დროსაც ე. ი. 23 მარტამდე ეს ციხეები სასტიკ წინააღმდეგო-

ბას უწევდენ რუსთ („упорно стояли“) ; არა თუ თებერვლის დამლევს, 5-6 დღის წინ,აღმდეგობის შემდეგ დაუყრიათ მათ იარაღი.

„მოდი-ნახე“- ს დამცველ ეკატერინესაც იმედი ჰქონდა, რომ მეფე კვალად მოახერხებდა თავის დახწევას, ვიდრე ის კიდევ იმერეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდა; მაგრამ ტორმასოვი მეფეს დაპირებულ ადგილას არ დახვდა და მას გორთან, სოფ. ვარიანში დაუნიშნა შეხვედრა. ამ ხანად მეფეს უკვე დიდძალი რუსის ჯარი შემოერტყა რკალივით და იქ ვერც გაჩერება ხერხდებოდა, ვერც გაქცევა... ეხლა კი საქმე წაგებული იყო და მეფე და მისი რაზმებიც ტორმასოვს ტყვედ უვარდებოდა.

ეხლა წინააღმდეგობის გაწევას აზრი აღარ ჰქონდა და ეკატერინემ მტერს „მოდი-ნახე"-ს კარები გაუღო. ჩვენის ფიქრით, მაშასადამე, 23 მარტამდე არ უნდა მომხდარიყო „მოდი ნახე“-ს აღება...

ბრძოლის ასეთი გახანგრძლივება და სიმტკიცე ერთი მუჭა რაზმისა დიდი მტრის წინააღმდეგ ეკატერინეს საქმეა და უსამართლობა იქნება, რომ ეს ღვაწლი მას დავუკარგოთ.

---

*) იხ. „აკტი“, ტ. IV, № 325, მოხსენების თარიღია: 11 აპრილი 1810 წ.

რაჭა და წულუკიძის ოჯახი

ხალხის იმ დიდ აზვირთებას, რომელსაც 1819 და 1820 წლებში იმერეთში ადგილი ჰქონდა, რუსეთმა „საეკლესიო ბუნტი“ უწოდა; ამით მას უნდოდა ამ დიდი პოლიტიკური აქტის ერთგვარი განგვირგვინება მოეხდინა.

ეს ამბავი თითქოს მარტო იმ უკმაყოფილებას გამოეწვიოს, რაიც ეგზარხოს თეოფილაქტეს მიერ საეკლესიო ქონებათა აღწერამ დაბადა. თითქოს „განებივრებული“ თავადობა (წულუკიძეები, აბაშიძეები, ერისთავები და იაშვილები, რომელთაგან მუდამ ინიშნებოდენ მიტროპოლიტები) შიშს აეტანოს, რომ მათ ეკლესიების ქონება ჩამოერთმეოდათ და ამით შემოსავლის წყაროც იკლებდა... მაგრამ ოდნავი ანალიზი იმ ოფიციალურ წყაროებისა, რომელთაც შემთხვევით ჩვენამდე მოუღწევიათ, ცხადათ მოწმობენ, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს დიდ პოლიტიკურ აქტთან და ამ აჯანყებას წინ უძღოდა ხანგრძლივი სამზადისი, როგორც თვით იმერეთში და რაჭა-ლეჩხუმში, ისე გურია-სამეგრელოს ავტონომიურ სამთავრობებშიც... ამავე დროს, აჯანყების მეთაურნი უშუალო კავშირში იყვნენ ოსმალეთთან (კერძოდ ახალციხის ფაშასთან), სპარსეთთან, ერევ-

ნის სახანოსთან და იქ შეხიზნულ ალექსანდრე ბატონიშვილთან...

განზრახული იყო ხელახლა აღმართვა იმ დროშის, რომელიც ასე ვერაგულად გამოჰგლიჯავს ხელიდან იმერეთის უკანასკნელ მეფეს და სწადდათ ხალხის დარაზმვა დასავლეთ საქართველოის დამოუკიდებელ სახელმწიფოს აღსადგენად; და შეთქმულთა საიდუმლო ცენტრიც 1819 წლის საეკლესიო აღრევას როგორც საბაბს იყენებს იმ აჯანყების დასაწყებად, რომელიც კარგა ხნით იყო შემზადებული.

185

ხანგრძლივმა სიმშილმა, შავმა ჭირმა და რუსეთის დევნა-ვკზეკუციებმა, იმერეთი დაღალა, მაგრამ ვერ გასტეხა და არ დაავიწყდა ის ანდერძი შორეულ ტრაპეზუნდში რომ დაუტოვა სოლომონ მეფემ. საჭირო იყო რამდენიმე წლით მაინც დასვენება, მოღონიერება, ძალთა დარაზმვა და ყველაზე ადრე კი იმ ძველის, ნაცადის გზის გახსენება, რომელსაც საქართველო საუკუნეთა მანძილზე შეენახა: ძლიერ მტერს ეხლაც დაყვავება ეჭირვებოდა „ლოიალობის და ერდგულების“ ჩვენება; მისი პოზიციები ადმინისტრაციაში თუ ჯარში თვითონ ქართველებს უნდა სჭეროდათ, რომ დევნა და განადგურება ქართულ სულისა და კერისა თან და თან შენელებულიყო. მარტო ამ მოქნილ პოლიტიკით შეიძლებოდა „სულის მოთქმა“, წელში გასწორება და მოხერხებულ დროისათვის მახვილის ლესვა; ასეც მოიქცა იმერეთის თავად-აზნაურობა 1809 და 1810 წლის დიდი მარცხის შემდეგ... საყვარელ მეფესთან ერთად ემიგრაციაში გახიზნული მოწინავე ნაწილი ისევ უკან ბრუნდებოდა და რუსთ ფიცსა და აღთქმას აძლევდა, „შეცდომას“ ინანიებდა და ერდგულების დამტკიცებას ჰპირდებოდა. საქართველოს მიუვალ ადგილებში გახიზნულ რაზმთა ნაშთები და კერძო პირებიც საკუთარ კერას უბრუნდებოდენ, ახალ ხელის უფლების სამსახურში მოწყობას ლამობდენ, და ჩინ-მენდლების შეძენისათვის იღწვოდენ.

განსაკუთრებით ეს ტალღა 1815 წლიდან გაძლიერდა, როცა მეფე ტრაპიზონდს მიიცვალა (მას შემედგ, რაც რუსეთთან შეურიგებელ ბრძოლისა და საქართველოს სახელმწიფოს აღდგენის სულიერი მოძღვარი, დიდი კანცლერი – სოლომონ ლეონიძე ადრევე აღესრულა ახალციხეში).

თითქოს ეხლა გამოაცალა და დაიწურა იმედი უცხოეთის დახმარებით საქართველოში შემოჭრისა; თვით იმერეთის ჯარების მთავარსარდალიც, სოლომონ მეფის სიძე, მალხაზ ანდრონიკაშვილი ეჩმიაძინით და ერევნით შემოვიდა თვის საყვარელ ქვეყანაში და საჯაროთ ფიცი დასდო რუსეთისადმი ერთგულებისა. ამით მან სიმბოლიურად გარდატეხა ხმალი რუ-

სების წინააღმდეგ ბრძოლისა. ნამდვილად კი, მალულად მოიტანა იმერეთის განთავისუფლების დროშა, რომელზედაც ასეთივე სიმბოლიური აღთქმა იყო აღბეჭდილი საყვარელ მეფისა: **„ჰსაჯენ, უფალო, მავნებელნი ჩემნი და ჰბრძოდენ ბრძოლითა მათ ჩემთა“-ო *).**

მაგრამ ამ შეგუების და ლოიალობის პოლიტიკას, მაშინდელი ქართველობა რომ აწარმოებდა, არ შეეძლო ერის დინამიური ძალა დაეკარგა და გახანგრძლივებულ შერიგება-შეგუებაში გადაეყვანა... მაშინ ეს იქნებოდა გარდასვლა მტრის მხარეზე, მისი აშკარად სამსახური, ხოლოდ ჩუმად სადმე ნიანგის ცრემლების ღვრა... მალე ეს რომანტიული ოხვრაც თავის სიმწვავეს გაანელებდა და მოწინავე წრეც რენეგატად იქცეოდა. ნამდვილად კი სურათი მაშინ ისეთი იყო, რომ საქართველო მართლაც დროს მოგებას ცდილობდა და ამ საშინელ რბევა-განადგურების შემდეგ **) ფეხზე დადგომას ლამობდა, რათა ახალი ძალებით და ახალ მოკავშირეთა შეძენით ამ უსწორო მტერს კვლავ დასჯახებოდა... შეიძლება ამ მხრივ 1819 წ. აჯანყება მართლაც ნაადრევი იყო და ალბად დაღლილ და დასჯილ იმერეთს ახალ დარაზმვისათვის უფრო ხანგრძლივი ინტერვალი ეჭირვებოდა. მაგრამ თოფის წამალი ბლომად იყო მომარაგებული და ნაპერწკალის გადავარდნამ ის მარდათ ააფეთქა.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს ამ ამბების, მისი გამომწვევის და დამარცხების მიზეზების დაწვრილებითი აღნიშვნა, თუმცა უნდა გამოვტყდეთ, რომ საამისო მასალა ბევრია და საინტერესოც, მაგრამ დღემდე ვეღარ ეღირსა მათ გამომზეურება.

ამ შემთხვევაში ჩვენ გვინდა ამოცანა ვიწროდ შემოვხაზოთ და ამ დიდ პოლიტიკურ აქტიდან ერთი კუთხის ერთ ეპიზოდზე შევჩერდეთ; იმიტომ კი არა, რომ მაშინდელ მატია-

---

*) ფსალმუნი 34. იხ. წარწერა სოლომონის საფლავის ქვაზე

**) 1809-10 წლების ამბები იმერეთში; 1811-14 წლის ამბები კახეთში, ფშავ-ხევსურეთში და სხვა...

ნის ეს დრამატიზმით სავსე ფურცელი სხვაზედ მეტის მნიშვნელობის იყოს, არამედ იმიტომ, რომ (რამდენადაც ოფიციალური პირის აღსარება საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ) ამ ამბავთა და საქმეთა სათავეში ქალი უნდა მდგარიყო.

სამწუხაროდ, ვერც ერთ ოფიციალურ წყაროში და ვერც რომელსამე მემუარებში ვერ შევხვდით ამ ქალის ნამდვილ ვინაობას და ვერც მისი სახელის გამორკვევა მოვახერხეთ.

ვინაიდან ჩვენი მიზანია შევისწავლოთ ქართველი ქალის როლი საქართველოს მწუხრის ჟამს, და გვინდა მაშინდელ მამაკაცთა სახელოვან ბრძოლებთან არც ამ ჩვენი საყვარელ და სათაყვანებელ დედების ამაგი დავივიწყოთ, ამიტომ უსამართლობა იქნებოდა ამ შესანიშნავ ადამიანზეც არ შეეჩერებულიყავით. ეს ის ამბავია, მაშინდელ იმერეთის საერთო აჯანყების ფურცლებიდან, რომლებიც სისხლით და ცრემლით დაუწერიათ **რაჭის ხალხს** და **კერძოდ წულუკიძეთა ოჯახებს.**

ამ უკანასკნელთა შორის კი მედროშე და მოწინავე იყო გიორგი წულუკიძის ოჯახი, რომელიც დანათესავებული იყო სამეგრელოს სამთავროებთან და რომლის ქალი გურიის მთავარს მამიას ჰყავდა. აი, ამ გიორგი წულუკიძის მეუღლე უნდა ყოფილიყო ის გამჭრიახი და შესანიშნავი პიროვნება, რომელსაც ჩვენის აზრით, უჩინარად ხელში ეჭირა მაშინდელ შეთქმულების საიდუმლო ძაფები.

ეს ქალი იყო ძლიერი და მტკიცე პიროვნება; მისი ნება ფლობდა თვით მოწინავე წრეს რაჭის შეთქმულთა და საფიქრებელია, რომ მას სამეგრელოსთან და გურიასთანაც საიდუმლო კავშირი ჰქონოდა. როგორც აღვნიშნეთ, მისი ასული გურიის მთავარს ჰყავდა და ეს ასული იყო ყოველის მხრივ შესანიშნავი: ნიჭიერი, უტეხი და უსწორო მებრძოლი დიდი იმპერიის წინააღმდეგ; მისი სიცოცხლის მიზანი იყო, რომ როგორმე გადაერჩინა ავტონომიური მმართველობა თავის პატარა სამთავრო გურიაში. ამისათვის ის დიდ პოლიტიკურ დივერსიებსაც არ მორიდებია და აშკარა კავშირში იმყოფებოდა რუსეთის ყველა მტერ-მოწინააღმდეგეებთან (ახალციხის ფა-

შასთან, ქობულეთის ბეგებთან, ალექსანდრე და ვახტანგ ბატონიშვილებთან, ქაიხოსრო გურიელთან და სხვ.) და ბოლოს, ომის დროს პირდაპირ და გაბედულად მოემხრო რუსეთის მტერს – ოსმალეთს. ეს ღირსეული ქალი გახლდათ გურიის დედოფალი სოფიო, რომელშიაც მისმა დედამ ეს ქართული სული და მტკიცე ბრძოლის უნარი აღზარდა...

ვიდრე თვითონ გიორგი წულუკიძის ოჯახობის ამბებზე გადავიდოდეთ, გვინდა მოკლეთ მაინც შევჩერდეთ მაშინდელ ვითარებაზე საერთოთ იმერეთში და კერძოდ რაჭაში...

როგორც აღვნიშნეთ, იმერეთის ყველა კუთხეში და სამთავროებშიაც არ შეწყვეტილა პოლიტიკური მუშაობა სამეფოს აღდგენისათვის. მართლაც, სოლომონ მეფის დაღუპვის შემდეგ თავად-აზნაურობა რუსთ ლოიალობას ეფიცებოდა; სამღვდელოებაც გარეგნულად მაინც ახალ ხელისუფლებას შეეგუა, ხოლო გლეხობა, მოკლებული ყოველგვარ პოლიტიკურ უფლებას და საკუთარ სოციალურ ბაზას, ჩუმად

თან მიჰყვებოდა თავად-აზნაურობის პოლიტიკას. ეს გლეხობა არც იმდენად დაშორებული და მოწყვეტილი იყო მოწინავე ფენებისაგან, რადგან ყველა მის ბრძოლაში თვითონაც ხომ უშუალო მონაწილეობას იღებდა; ეხლაც რუსების ეკზეკუციები მასაც ფრიად ავიწროებდა *) და ჩუმად მაინც ახალ ხელის უფლების წინააღმდეგ ოპოზიციაში აყენებდა. მაგრამ ამ წინააღმდეგობის გამოჩენას დღეს მისი ზვიადი ბატონი თუ ვერ ბედავდა და რუსეთის ხიშტის წინ მოწიწებით

*) „სოლომონ მეფის დროს გადასახადი თვითოეულ ოჯახზე ორი აბაზი იყო, მეტი ჩვენ არა ვიცოდით რაო. მხოლოდ ხან და ხან სოფელზედ თითო თაინს (ძროხა ან ხარს) მოჰკრეფდენ ხოლმე მეფის და მისი ამალის გასამასპინძლებლად“-ო, უთქვამს ამ ამბების მომსწრე მოხუცს, ს. მერკვილაძისათვის („რაჭა“, გვ. 67). ეს ცნობა მოგვყავს პროფი ა. ხახანაშვილის შრომიდან: ,,იმერეთის მეფე სოლომონ II“, გვ. 70.

ქედს იხრიდა, აბა დაბეჩავებული გლეხობა ხმას როგორ ამოიღებდა...

მას კარგად ახსოვდა, თუ რა ძვირად დაუჯდა ის ბრძოლები, რაც მან 1809-10 წლებში ბატონ მეფისათვის გარდაიტანა და რომ ყველა იმ სოფლებში, საცა მაშინ რუსულმა ძალამ შურისძიებით გადაიარა, ქვა-ქვაზედ არ დარჩენილა რომ მისმა ზარბაზნებმა და ცეცხლმა ყველაზე ადრე ამ გლეხთა ავლა-დიდება და მარაგი შთანთქა... ამ უბედურებას ზედ ერთოდა ეროვნული შეურაცხყოფა და დევნა ყოველ - გვარ ქართულისა, რაც ახალ „მმართველობას იმერეთისას“, სიმონოვიჩის და შემდეგ კურტანოვსკის მეთაურობით და ბრძანებით ხალხში ძალად შემოჰქონდა. ყველა წოდება მართლაც ერთის საიდუმლო ძაფით იყო გადამბული და ერთი იყო მაშინ მათი გულის ძგერა და იდუმალი ზრახვა. გლეხობას არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რომ ეს ლოიალობა, რომელსაც მისი ბატონი იჩენდა, მარტო გარეგნული სახის იყო და დრო საერთო შურისძიების და რისხვისა მალე უნდა დამდგარიყო. ჩვენ ქვევითაც დავინახავთ, რომ პირველ საიდუმლო „შეფიცვაში“ უმთავრესად გლეხები ერივნენ და საიდუმლო რაზმებიც მათგან შესდგებოდა (იხ. ივ. ჯავახიშვილი: „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა მე 19 საუკუნეში“.

17 იანვარს 1820 წ. უკვე შიშს მოცემული იმერეთის მმართველი კურტანოვსკი სწერს ველიამინოვს ტფილისს: მთელი იმერეთი ფეხზე სდგება, იარაღს კაზმავს და აწყობსო და იმერეთის ყოველი წოდება მზადაა პირველ დაძახებისათანავე ჩვენს წინააღმდეგ აღსდგესო; ისინი მარტო იმას უცდიან, რომ რაიმე საბაბი მივსცეთო; სამასზე მეტი ისეთივე „პიკები", როგორიც ჩვენ ყაზახებსა აქვთ, თვითონ დაამზადეს აქაო; მთავრობას აღარავითარი ნდობა არა აქვს და არც ვინმე უჯერი-

სო... შემდეგ დასძენს, რომ უკვე აშკარა გამოსვლა დაიწყო **რაჭაშიო**; იქ ჩვენ ვითხოვეთ: მოეყიდნათ თივა ყაზახთა რაზმის საჭიროებისათვის, რასაც ისინი წინად სიამოვნებით ას-

რულებდენ; ეხლა კი არც ერთმა არ მოგვყიდა და უცებ შესდგა შეიარაღებული რაზმი ხუთასი კაცისაგან, „რომლებიც ბუკით და ნაღარით ერთი სოფლიდან მეორეში გადადიან და ხალხს ჩვენს წინააღმდეგ აფიცებენ“-ო.

ეჭვს გარეშეა, რომ ხალხის ამ დაფიცებაზე ლაპარაკობს ტყვედ ჩავარდნილი რაჭის რაზმის დაჭრილი მეთაური ლეჟავა, რომლის აღსარებაში ნათქვამია: „შარშან ამ ვაკეზედ, რიონის პირას ამ ხეების ქვეშ ყრილობა იყო ყველა თავადებისა, აზნაურობის, სამღვდელოების და მრავალი ათასეული **მდაბიო ხალხისა**; ამ ყრილობაზე გადაწყვეტილი იყო მთლად გაწყვეტა რუსებისა და საკუთარი მეფის ამორჩევა. ყრილობის განაჩენი (ღრამოტა) დაწერილია ქაღალდზე, მოთავეთა ხელის მოწერით და შემოწმებულია ბეჭდების დასმით. ფიცი კი ჯვარსა და სახარებაზე იყო მიღებული. შემდეგ ამისა იქვე არჩეულ იქმნენ მებრძოლ რაზმთა (ჯარის კაცთა) მოთავენი“ *) და სხვა. აქედანაც აშკარადა სჩანს, რომ ეს ამბოხება არა მარტო საეკლესიო ქონებათა აღწერის საწინააღმდეგო მიზნით მომხდარა და არა მარტო თავადთა უკმაყოფილების გამო, როგორც ამას რუსთა „ისტორიკოსნი" აღნიშნავენ, არამედ ეს იყო ღრმად და ხანგრძლივად შემზადებული პოლიტიკური აქტი, რომელშიაც ყველა წოდებანი იღებდენ მონაწილეობას და ყველაზე უწინ „მრავალი ათასეული მდაბიო ხალხი“ ე. ი. გლეხობა.

„ღრამოტის შედგენა“ ნიშნავდა დამოუკიდებლობის აქტის საჯაროდ შემუშავებას და მის განსახორციელებლად

---

*) ამ „აქტს“ ისტორიკოსი პოტტო ეხება და აღნიშნავს, რომ ამ დოკუმენტში ნაჩვენები იყო შეთქმულების მიზანი, გეგმა და საშუალებანი და ამასთან ჩამოთვლილი იყვნენ მისი თვითოეული აღმსრულებელიცო. იხ. პოტტო, ტ. მე-3, გვ. 506-7.

სამოქმედო გეგმის დასახვა*) უბრალო დეკლარაცია არ ყოფილა, არამედ სამკვდრო-სასიცოცხლოდ დადებული პირობა მთელი ერის წინაშე თვითოეულის მიერ; ეს პირობა განსაკუთრებულ სიმტკიცეს იღებდა ჯვრებზე და სახარებაზე დაფიცებით. ამ შეფიცვის შემდეგ დაიწყო სამზადისი ბრძოლისათვის: არჩეული რაზმის უფროსები ჯარს აწყობდენ, იარაღს შოულობდენ, ხალხს წვრთნიდენ, რუსთა ნაწილების შესახებ ყოველგვარ ცნობებს აგროვებდენ **) და საქართვე-

ლოს სამთავროებში შიკრიკებს გზავნიდენ.

ასეთი ფართო სახალხო აჯანყების მომზადება საიდუმ-
ლოდ ვერ დარჩებოდა და რუსთა აგენტები ქუთაისის ღე-
ნერალ-გუბერნატორს კურტანოვსკის და მის მოხელეთ მრა-
ვალ ცნობებს აწვდიდენ. მაგრამ უმთავრესის დაფარვა მაინც
მოახერხეს შეთქმულებმა თითქმის ბოლო ხანებამდე – ეს
იყო შეთქმულების მეთაურთა ვინაობა და სამხედრო ცენტრის
მონაწილეობა. როგორც ვთქვით, შეთქმულნი ნიშანს უცდი-
დენ; იმერეთის ახალ მმართველ პუზირევსკის მიერ მოხდენილი
რბევა მართლაც სიგნალი შეიქმნა საერთო გამოსვლებისათვის.
მიტროპოლიტთა და მეთაურთა დაპატიმრებამ და გადა-
სახლებამ აჯანყების საერთო ცეცხლი დაანთო. მალე ეს
აჯანყება რაჭაში გადავიდა, საცა დიდი ხანია იდგნენ შეთქ-
მულთა რაზმები და ცენტრის **განკარგულებას** ელოდებოდენ.

4 მარტს 1820 წელს მოხდა ქუთაისში და საერთოდ იმე-

---

*) იხ. ი. დუბეცკის წერილი „ამბოხება იმერეთში 1820 წელს", ჟურნ. „რუსკაია სტარინა“, 1895 წ., აპრილი. ამ წერილს, რომელიც თავის დროზე ჟურნალ „მოამბე“-ში იყო გადმოთარგმნილი, ჩვენ მრავალჯერ დავუბრუნდებით.

**) ეს ცნობები ზუსტად და სარწმუნოდ მოდიოდა შეთქმულთა ცენტრის იმ ქართველ ოფიცრებიდან, რომლებიც რუსულ ჯართა ნაწილებში მსახურებდენ და ამავე დროს ქართველ შეთქმულთა მეთაურნი იყვნენ...

რეთში ეს დაპატიმრება*), და გამოცხადდა ერმოლოვის პროკ-
ლამაცია „იმერეთის დასამშვიდებლად“; ხოლო მეორე დღეს, 5
მარტს, დილითვე სოფ. საიაშვილოში და საწულუკიძეოში
შეთქმულთა გამოსვლები დაიწყო. პუზირევსკი ველიამინოვს
მოახსენებს, რომ რაჭაში არეულობა დაიწყო და იქ საიდუმ-
ლო ხელმძღვანელები დაძრწიანო; ესენი არიან რაჭის წუ-
ლუკიძეები, რომლებიც „განგებ“ რევენ ხალხსო, რათა შემდეგ
თვითონვე შეესიონ და დააწყნარონ, რომ ამით რუსეთის მთა-
ვრობას საჩუქრები და წარჩინება გამოსტყუონო.

ასეთის ცინიზმით და უჭკუობით სავსე დოკუმენტი მა-
რთლა „ახალგაზრდა და მამაც“ პუზირევსკის ხელიდან თუ
გამოვიდოდა; ამ ყმაწვილ კაცს თავბრუ დაასხა კარიერამ
და ერმოლოვის წყალობამ. მან „ძლიერის ხელით“ დააპირა
იმერეთის რუსიფიკაცია და ყველაზე ადრე ის აბრაზებდა,
რომ რუსულ ჯარებში ღენერლებად და პოლკოვნიკებად „ტუ-
ზემცები“: წულუკიძე, აბაშიძე, მიქელაძენი ერივნენ. პუზი-
რევსკი ამ ღირსეულ მამულიშვილთა აჯანყებას ისე ხსნის, თი-
თქოს მათ სურდეთ ამ გზით რუსთა ყურადღება მიიპყრონ, აჯან-
ყება თვით ჩააქრონ და ჩინ-პენსიონები იშოვონო. ამ წარმო-
დგენის იყო იმერეთის მოწინავე წრეებზე ის კაცი, რომელ-

საც რუსეთმა გაუქმებულ სამეფოს ბედი ჩააბარა**). განა ამ-ბავი თავისთავად არ მეტყველებს?

---

*) ქუთათელმა მიტროპოლიტმა დაპატიმრებისას რუსთ წინააღმდეგობა გაუწია; ის დაჩხვლიტეს ხიშტებით და ძალად შესვეს ცხენზე; სისხლისგან დაცლილი მიტროპოლიტი სურამ-გორს შუა მიიცვალა, მაგრამ მკვდარი მაინც ასე ატარეს (რომ არავის შეეტყო) ანანურამდის და აქ ჩუმად დაფლეს (იხ. დუ-ბენსკი, დუბროვინი და პოტტო.).

**) «Имеретия страдает», ამბობს პუზირევსკი, «от жадности князей и от милости правительства», იხ. პუზირევსკის მოხსე-ნება ველიამინოვს, 8 მარტს 1820 ., „აქტები“ ტ. VI, ნაწ. I, № 804.

პუზირევსკი მთავრობას სასტიკ ზომების მიღებით ამშვი-დებს: მე დავიბარე ყველა იმერეთში მყოფი წულუკიძე-ებიო, განაგრძობს ის, და განვუცხადე, რომ დაამშვიდონ თვი-სი სოფელი – საწულუკიძეო და თუ ეს არა ჰქმნეს, აღუთქვი, რომ ის სოფელი სრულიად იქნება განადგურებულიო; რა თქმა უნდა, წულუკიძეები ეხლა ამას შეეცდებიან, ხოლო საიაშვი-ლოს მე თვითონ დავამშვიდებ და დავსჯიო.

ამავე მოხსენებაში იმერეთის ახალი მართველი პუზირე-ვსკი რუსეთს იმასაც ატყობინებს, რომ აჯანყება იმერეთის ყოფილ სამთავროებშიაც გადვიდა: გურიაში ქაიხოსრო გუ-რიელის რაზმი მზადა სდგას და სამეგრელოშიაც მთავრის ძმას, გიორგის (რომელიც პრეობრაჟენსკის პოლკის ოფიცერი იყო და ამ ხანად სამშობლოში ჩამოსული, პეტერბურგში დაბრუ-ნებას აგვიანებდა) რაზმი შეედგინა აჯანყებულ იმერთა დასა-ხმარებლადო. ამ რაზმების მეთაურებთან მუდმივ კავშირშია ივანე აბაშიძეცო.

აი, ამ დროს მთელი რაჭა ფეხზე დადგა და მისმა რაზ-მებმა მთავარი ადგილები დაიჭირეს. აჯანყებულ რაჭის ამ რაზმებს ხელმძღვანელობდა ლომკაცი ლეჟავა. ამ შესანიშნავ მხედარს ბრძოლათა დიდი ტრადიცია ჰქონდა და კარგად ახსოვდა ის გმირული თავდადება, რომელიც მისმა სოფელმა, ლეჟავასეულმა გამოიჩინა სოლომონ მეფის ბრძოლების დროს 1810 წ. როცა მეფე ახალციხიდან იმერეთში შემოიჭრა.

აჯანყებულთა მეთაურს, ქაიხოსრო აბაშიძეს, იმ დროს, თვისი სამხედრო შტაბი მაღლა საქარაში, ლეჟავასეულში ჰყავდა დაბანაკებული. სიმონოვიჩმა მაშინ ლეჟავასეული მართალია აიღო *) და მალე ქაიხოსროც მოკლულ იქმნა; მაგრამ მისი ანდერძი ეხლა იმის შვილს, ივანეს ვალად აეღო და ლეჟავასე-ულს და რაჭას კვლავ უნდა გამოეჩინათ თვისი გმირობა.

---

*) 26 აგვისტოს 1810 ამ ბრძოლაში დაიღუპა ქაიხოს-

როს ვაჟი ხახული, უფროსი ძმა ივანესი. (იხ. ჩუდინოვის „იმე-
რეტინსკაია ნეურიადიცა 1809-10 წ.").

საფიქრებელია, რომ მაშინ რაღაც 17-18 წლის ლომკაციც
ამ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა და თვისი გმირობის მა-
გალითებს მაშინაც ბევრს დაანახვებდა მტერს.

ეხლა, როცა 1819 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის დი-
დი აქტი გამოცხადდა და შესაფერი ფიცი დაიდო, სწორედ ეს
ლომკაცი უნდა ყოფილიყო ყველაზე უფრო გულადი და თავ-
დადებული სარდალი.

თვით პუზირევსკი აჯანყების ცეცხლითა და მახვილით ჩა-
ქრობას, როგორც ვიცით, ვეღარ მოესწრო და გურიაში, შემო-
ქმედის ციხესთან ხმლით იქმნა ორად გაპობილი...

მისი მოადგილის, თ˜დ გორჩაკოვის ადიუტანტი დუბენცკი
ასე აგვიწერს მებრძოლ რაზმთა მეთაურის, ლეჟავას პიროვნებას:

„შეტაკების დროს, რაჭის მაზრაში, როდესაც ჯარი
მთის უღელს გადადიოდა, დასჭრეს და დაიჭირეს ლომკაცი ლე-
ჟავა, აჯანყებულთა მეთაური; ეს ლეჟავა ნამდვილი აზიე-
ლის ტიპი იყო. დაბალი ტანისა, მხარ-ბრტყელი, ჩასკვნილი,
ჭკვიანურის გამომხატველობით, შავთვალება, ცხვირი და პირი
თანაბარი ჰქონდა, სწორე და დიდულვაშება, 27 წლისა იყო
და განთქმული მთაში, როგორც კარგი ცხენოსანი და საქმე-
ში გამჭრიახი". დუბენცკის წერილში მოყვანილია ზოგი ცნობის
დამოწმება თვითონ ლეჟავას მიერ. ის ამბობს: „ხალხში მო-
პოებული მქონდა სახელი მკვირცხლი და მამაცი ცხენოსნისა
(მხედრისა) და ამასთანავე მისვლა-მოსვლა მქონდა მთიე-
ლებთან, სვანეთში, ლეჩხუმში, წებელთაში და აფხაზეთშიაც.
ამისათვის ჩაბარებული მქონდა ამბოხების „განაჩენი“, რათა
მისი ძალით მემოქმედნა და გამომერჩია კარგი ჯარისკაცები
საბრძოლველად“-ო *). ფეხზე დამდგარმა რაჭამ ბატონიშვი-
ლი ვახტანგ დავითისძე გამოაცხადა სრულიად იმერთა მე-
ფედ და თუ ვინმე მას არ სცნობდა და რუსთა შიშით ერთ-
გულების ფიცს არ სდებდა, არბევდენ და სასტიკად სჯიდენ.

---

*) იხ. „რუსკაია სტარინა“-ში ზემო დასახელებული წე-
რილი დუბენცკისა.

აჯანყების ჩაქრობისათვის დიდის ჯარებით წარმოგზა-
ვნილი, ემისარი ველიამინოვი შეშინდა და გორჩაკოვის რა-
ზმები, რომლებიც სამეგრელოში მოქმედებდენ, რაჭისკენ გა-
მოიწვია; ყვირილის „პოსტი"-დანაც მოხსნეს ორი როტა და
ვლასოვის ყაზახთა რაზმთან ერთად აჯანყებულ რაჭის წინა-

აღმდეგ გაუშვეს; ესენი ჯერ ყვარში შევიდენ და ციხეს, რომელშიც ძმებს იაშვილებს 2000 კაცი ჰყავდათ გამაგრებული, არტილერიის ძლიერი ცეცხლი დაუშინეს; ამ ცეცხლს ციხის კედლებმა ვეღარ გაუძლეს და ხანგრძლივ, ცხარე ბრძოლათა შემდეგ იაშვილებიც დამარცხდენ. რუსებს აქ არაფერში გამოუჩენიათ რაინდობა და უკვე დამარცხებულ რაზმს შმაგად შეესივნენ... აქ დახოცილთა შორის ორი მღვდელიც აღმოაჩინეს, ციხეს ასე თავდადებით რომ იცავდენ*).

რაკი რუსებს სამეგრელოში ხელი გაეხსნათ და მთავარმა ლევანმა მეგრული მილიციით მათ დიდი დახმარება გაუწია (გამდგარ ძმის, გიორგის რაზმის გასანადგურებლად). ეხლა ამათ მთელის ძალებით რაჭას შეუტიეს და ველიამინოვი მართლაც ასრულებდა ერმოლოვის უსასტიკეს ინსტრუქციას, აჯანყების ჩასაქრობად რომ მისცა მას მთავარმართებელმა... 30 მაისის თარიღით ერმოლოვი საგანგებო უფლებით აღჭურვილს ველიამინოს უბრძანებდა: „რათა მომავლისათვის ამ გვარი რამ აღარ განმეორდეს, მეამბოხენი საგანგებოდ უნდა დასაჯოთო. ვისაც იარაღით დაიჭერთ, ან თუ ვინმე აჯანყებულთა რაზმიდან ხელთ ჩაგივარდებათ, მაშინვე დახვრიტეთ იქვეო, სასამართლოს კი მარტო ისინი შეგიძლიანთ გადასცეთ, ვინც ეჭვის ქვეშ გეყოლებათ“-ო; თვით გასამართლება, აჯანყების სრულ ჩაქრობის შემდეგ უნდა მოახდინოთ, „მანამდე კი ტყვედ გყავდეთ დაპატიმრებულნი, ხოლო აჯანყებულთა მიერ ხალხში გაგზავნილი ემისრები იქვე დახვრიტეთო (საცა დაიჭერთო); სოფლები, რომელთა მცხოვრებთ იარაღი აუღიათ – ერთთავად განაიარაღეთო, მეთაურთა სახლები გადასწვით და დაარბიეთო“; „განსაკუთრებით“, ამთავრებს ერმო-

*) იხ „აქტები“, ტ. VI, ნაწი I, № 826.

ლოვი ამ საინტერესო წერილს, „აჯანყებული რაჭის მცხოვრებნი დასაჯეთ უსასტიკესად, სხვათა სამაგალითოდ“-ო*). როგორც აღვნიშნეთ, სამეგრელოს მთავრის და მისი ჯარების წყალობით, აჯანყებულ იმერეთს დიდი ზიანი მიაყენეს და რუსების მხედრობას ჯარების კონცენტრაციის საშუალება მიეცა.

გადაწყვეტილი იყო ჯერ რაჭის დამარცხება, მერმეთ კი იმერეთის სხვა ადგილების; ბოლოს, გურიაში დიდი ეკზეკუციით შესვლა და ქაიხოსრო გურიელის მომხრეთა განადგურება.

ყვარის ციხის (რომელმაც, როგორც ვიცით, დიდი წინააღმდეგობა გაუწია რუსთ 1809-1810 წლ. სოლომონ II-ს ბრძოლათა ხანაში**) აღების დროს, მოჰკლეს ბატონიშვილი დავით ბაგრატის ძე; ის ქუთაისში მიიტანეს, რათა ყველა დარწმუნებულიყო, რომ აჯანყებულთა რაზმის ერთ-ერთი უფროსი, ბაგრატიონი, რუსთა მიერ ტყვედ წაყვანილ და მოკ-

ლულ იქმნა. „რაჭის მაზრაში“, სწერს ამ დროს ერმოლოვი მინისტრ ვოლკონსკის: „რომელიც აამხედრა თავადაზნაურობამ, ამ უეჭველად ყველაზედ უფრო საზიზღარმა კლასმა მთელს იმერეთში, შევიდა ჯარებით გორჩაკოვი, მიუხედავად მძიმე და გაუვალი ადგილებისა. მრავალი გვნებდება, ხოლო ურჩი სოფლები სულ ნადგურდებიან ჩვენის ჯარებისაგან. ზემო რაჭაში“, განაგრძობს მთავარმართებელი, მცხოვრებლებმა ცოლ-შვილი გადახიზნეს, ხოლო თვით კი იარაღით დგანან, მაგრამ მათაც მალე გავანადგურებთ“-ო***)...

აჯანყებულთა დიდი სატკივარი იყო იარაღის უქონლობა და მოციქულები მოციქულებზე იგზავნებოდენ ახალციხეში, რათა ფაშას დაპირებული იარაღი მოეწოდებინა; მაგრამ ერმოლოვი ყოველგვარ ზომას ხმარობდა, რომ ამისათვის ხელი

---

*) იხ. პოტტო, ტ. III, გვ. 527.

**) იხ. ჩუდინოვის ზემოდ დასახელებული წერილები – „კავკასკი სბორნიკ“-ში, ტ. 15-16, აგრეთვე პროფ. ა. ხახანაშვილის – „იმერეთის მეფე სოლომონ მეორე".

***) იქვე, № 828.

შეეშალა და დიპლომატიაც კი ჩაირია საქმეში, რათა პორტას შესაფერისი გავლენა მოეხდინა ამ „მოღალატეზე და რუსეთ-ოსმალეთის ტრაქტატის დამრღვევ“ ფაშაზე.

მართალია, ალი-ფაშა ნაკლებ ყურადღებას აქცევდა მთავარმართებლის სალდათურ გინებას, მაგრამ საქმეზე ერთგვარ გავლენას მაინც ახდენდა ეს დაუღალავი საჩივარი და მუქარა... ბოლოს, აჯანყებულთა მეთაური, მეფედ გამოცხადებული ვახტანგ ბატონიშვილი, თვით წავიდა ახალციხეში ფაშასთან მოსალაპარაკებლად (იხ. ერმოლოვის მოხსენება მინისტრ ვოლკონსკის, 8 ივნისი 1820 წ.).

ველიამინოვს რომ ზედმიწევნით შეუსრულებია ზემოაღნიშნული ინსტრუქცია, ეს სჩანს იმ საშინელი დარბევა-აწიოკებიდან, რაც მის ემისარს რაჭაში მოუხდენია. ისტორიკოს პოტტოს მოწმობითაც, გორჩაკოვმა, რომელმაც ჯარის ყველა ნაწილები შეაერთა და საიაშვილოსაკენ გასწია, გზაზე ქვა -– ქვაზე აღარ დასტოვა და ყველაფერი ცეცხლსა და მახვილს მისცაო. მალე ამ საშინელი ზომების მნახველნი, შიშით შეპყრობილნი, ზოგიერთ სოფლების მეამბოხენი განაიარაღეს და მათი თოფის ლულებიდან და ხმალ-ხანჯლებიდან გორჩაკოვის ბრძანებით გამოაჭედინეს ლურსმნები, ურდულები, სარაზავები და სხვა საგნები, რაც კი საჭირო იყო რუსთა ყაზარმებისათვის, რომელსაც სოფ. ქატევში აშენებდენო. ასევე ჩამოართვეს მცხოვრებთ საყვირი ბუკებიო *).

რუსეთმა დამარცხებულთ ამ ჟესტით ცინიკურად დასცინა

და თავმოყვარეობა შეულახა. და განა ქართულ ხმლიდან რუ-
სულ ყაზარმის ურდულის გადადნობას რაჭა მოითმენდა?..

ზემოდ მოყვანილ საბუთიდან ირკვევა, რომ ამ აჯანყების
მთავარი ცენტრი ყოფილა რაჭა, რომელიც, რაჭის ერისთავის
მოწმობით, მზად იყო ქუთაისისათვის ალყა შემოერტყა, იქ
შეჭრილიყო და ვახტანგ ბატონიშვილი სრულიად იმერთა მე-
ფედ ეკურთხებინა. მაგრამ აჯანყებულებმა შესაფერისი და-
ხმარება ვეღარ მიიღეს და სასტიკ ბრძოლათა შემდეგ. დამა-

*) იხ. პოტტო, ტ. III, გვ. 506-7.

რცხდენ აი, აქ იყო საჭირო სიბრძნე და დარბაისლური თავ-
შეკავება, რათა ხალხი სასოწარკვეთილების ან შურის ძიების
გზას არ გაჰყოლოდა; ეს ხომ უფრო მეტად გაუხსნიდა ხელს
ერმოლოვს მთელი რაჭის მცხოვრებთა დასარბევად და ამო-
საჟლეტად.

ხალხმა, როგორც ყოველთვის, ისე ეხლაც ჭრილობები და
შეურაცხყოფა ღრმად ჩაიმარხა, დროებით დავიწყებას მისცა.
შეთქმულნი ეხლა იმის ცდაში იყვნენ, რომ გააფთრე-
ბულ ყაზახთა ეკზეკუციებისაგან გადაერჩინათ ის, რის გადა-
რჩენაც კიდევ შეიძლებოდა და მებრძოლნი მომავალ შეტა-
კებათათვის შეენახათ; მათ ფრთხილად დაშალეს ეს რაზმები
იქ, საცა ეს უცილო შეიქმნა და იარაღიც მთავრობას ჩააბარეს.
მაგრამ შეფიცულთა მთავარი კადრი მაინც იარაღში დარჩა; ეს
ისე მოხერხებულად მოხდა, რომ ამ გააფთრების დროს მთა-
ვრობამ მათი ნიღაბის დანახვა ვერ შესძლო. მან იცოდა მხო-
ლოდ ერთი: რომ შეთქმულთა მთავარი შტაბი და სამხედრო
ცენტრი შეიარაღებულ ძალებისა კიდევ სადღაც იმალებოდა,
მაგრამ ვერავითარმა საშუალებამ ის ვერ აღმოაჩინა. აზრა-
თაც არავის მოსდიოდა, რომ ამ სამხედრო ცენტრის მთავარი
ძალები ამ დროს პოლკოვნიკ გიორგი წულუკიძის ოჯახში
იყრიდა თავს და მისი მეუღლის გავლენას ემორჩილებოდა.

„თვით გიორგი წულუკიძე რუსის ჯარში მსახურებდა;
მას პოლკოვნიკის ჩინთან, ბრილიანტის ჯვარი ჰქონდა მი-
ღებული და 1000 მან. პენსია; ხოლო მისი შვილები სვიმონი
და ლევანი რუსულ ჯარში იმყოფებოდენ გორჩაკოვთან“-ო,
ამბობს გორჩაკოვის ადიუტანტი დუბენცკი*), და თან დასძენს:
„არეულობის მოთავენი მომეტებულად ჩვენს ჯარში იმყო-
ფებოდენ“-ო. ეს, როგორც აღვნიშნეთ, ის თავად-აზნაურობა
იყო, რომელმაც სოლომონ მეფის სიკვდილის შემდეგ გარე-
გნულად ლოიალობა გამოაცხადა და ჯარებში და ადმინი-

*) იხ. მისი ზემოდ დასახელებული წერილი „რუსსკაია
სტარინა“-ში.

სტრაციის სამსახურში შევიდა; ესენი შეიქმნენ ეხლა დიდი შეთქმულების მეთაურნი და აჯანყებულ რაზმთა ინსტრუ-ქტორები; ამავე დროს რუსულ ჯარს ვერა სტოვებდენ და იძულებულნი იყვნენ საეკზეკუციოდ გაგზავნილ „ოტრიადში“ და ამათგან მომხდარ დარბევებში მონაწილეობაც მიეღოთ.

ამათი დამაკავშირებელი და აქტიური წევრი წულუკიძის მეუღლე იყო. ასეთ რთულ თამაშს აწარმოებდენ ეს თავდადე-ბული მამულიშვილები, რუსული „ზარბაზნის ლულაზე“ რომ ისხდენ და ამ ქალის საიდუმლო ნიშანს ელოდენ...

ჩვენ აღნიშნული გვქონდა, რომ რაჭის მებრძოლ რაზმე-ბის მეთაურად არჩეული იყო ლომკაცი ლეჟავა; აი, ეს და-ჭრილი ლეჟავა ჩაუვარდა გორჩაკოვს ხელში. რუსეთმა იცო-და, რომ ეს კაცი მეთაური იყო აჯანყებულ რაზმთა. მაგრამ ვინ აძლევდა მას შესაფერ ინსტრუქციებს, ვინ აწვდიდა ცნო-ბებს და აკავშირებდა სხვა რაზმებთან? ე. ი. ვინ იყო სამხე-დრო და პოლიტიკურ ცენტრის ხელმძღვანელი?... ამისი გა-გება, ვერც ამ დაჭრილ ლომკაციდან მოხერხდა... ბოლოს მას ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს და ერმოლოვისაგან მოსული სა-ამისო ბრძანებაც გამოუცხადეს. ლეჟავა მტკიცედ შეხვდა ამ განაჩენს, მხოლოდ ითხოვდა წყალობას და შებრალებასს თავის საცოდავ ცოლისა და 2 შვილისათვის; ამ თხოვნით მან გორჩა-კოვის ადიუტანტს მიმართა... უკანასკნელმა სასიკვდილოდ დაჭრილ კაცის (რომელიც მეორე დღესვე უნდა ჩამოეხრჩოთ) სულიერი მდგომარეობა შესაფერისად გამოიყენა, ვერაგულად ითამაშა მის მამობრივ გრძნობაზე და ცოლის უნუგეშო მდგომარეობაც დაუხატა. უნდა ვიფიქროთ, რომ დუბენცკიმ სწორედ ამ სუსტ მხარეებიდან აწარმოვა დაღლილ ლეჟავა-ზე შეტევა და თუ მეტში ვერა, იმაში მაინც დაარწმუნა სა-ბრალო ტყვე, რომ მისი სიკვდილის შემდეგ მისს ცოლშვილს შორეული ციმბირი და გადასახლების საშინელებანი არ ასც დებოდა...

უდანაშაულო ცოლშვილის მომავალ უბედურებათ ვე-ღარ გაუძლო ამ კაცის გულმა და ლეჟავა გასტეხეს. ის მიენდო

დუბენცკის „ადამიანურ“ მზრუნველობით მოპყრობას... და ბო-ლოს გაანდო, რომ ცნობილი „ღრამოტა" (აქტი ფიცისა იმერე-თის დამოუკიდებლობისათვის) მისს ცოლს ჰქონდა შენახული, რომ შეთქმულების ყველა მეთაური აწერდა ხელს ამ აქტს... ეს „ღრამოტა“, როგორც დავინახეთ, იყო არა მარტო დამოუკი-დებლობის დეკლარაცია, არამედ აჯანყებისთვის შემუშავე-ბული გეგმა და ინსტრუქციაც. ვინაიდგან ის იყო უდიდესი

მნიშვნელობის საბუთი, რომელსაც წარჩინებულნი საერო და სასულიერო პირნი ხელს აწერდენ, ამიტომ იგი თავის დროზე რაზმთა მეთაურს ჩაბარდა. ხოლო სიფრთხილისათვის ამ ლომკაცის ცოლშვილი გიორგი წულუკიძის მიერ ამანათად იქმნა აყვანილი და ციხეში მოთავსებული. შეთქმულთა ცენტრმა ეს თუმცა იცოდა, მაგრამ არ იცოდა თუ ლომკაცს ეს ისტორიული დოკუმენტი თავის დროზე ცოლისათვის გადაეცა.

ლომკაცი აღსარებაში დუბენცკის ეუბნება: „გამოვემშვიდობე ცოლს, ჩავაბარე ხსენებელი ღრამატა და ავუხსენი რა მისი მნიშვნელობა, ვუბრძანე: შეენახა იგი თავის თავივით და მოეცა ჩემთვის თუ ცოცხალი დავბრუნდებოდი, ანუ მისთვის, ვინც ჩემს ნიშანს მიუტანდა“... ლომკაცისაგან ტყობილობს დუბენცკი „პაროლს“, რომლითაც მას შეეძლო ხსენებული დოკუმენტის მიღება. მას ქალისათვის მარცხენა ხელი უნდა ჩამოერთმია და რუსულად ეთქვა : „გამარჯვება!“, რაზედაც ცოლი შეეკითხებოდა: „ვინ არის"? მას კი უნდა ეთქვა: „ლეჟავა, თქვენი მეგობარი“, და გადაეცა მისთვის ლეჟავას ფაფანაკი. ამის შემდეგ ის დაიჯერებდა და ღრამატას გადასცემდა *). წარმოსადგენია, რა სიხარულს მიეცემოდენ გორჩაკოვი და მისი შტაბი, როცა დუბენცკიმ მათ ეს ამბავი გააცნო.

ეხლა გასაღები უკვე ხელთ ჰქონდათ, მაგრამ მაინც დიდი სიფრთხილე სჭირდებოდათ. ლეჟავამ თვითონ ამცნო მათ, რომ იარაღით მიზანს ვერ მიაღწევდენ, რადგან ჯერ კიდევ ბლო-

---

*) ibid.

მადაა შეიარაღებული ხალხი მთებში ჩასაფრებული და ისინი მხოლოდ ნიშანს უცდიანო.

გორჩაკოვმა ამ საბუთის, ესე იგი ღრამოტის ხელში ჩაგდებამდე შეთქმულთა დატყვევება ვეღარ გაბედა და მთელ ამ მძიმე საქმის შესრულება დუბენცკის მიანდო.

ჩვენთანო, ამბობს ადიუტანტი, ბევრნი იყვნენ წულუკიძეები, აბაშიძეები, იაშვილები, ერისთავები და არ ვიცოდით ვიზე მიგვეტანა ეჭვი, რადგან თვითოეული მათგანი რუსეთის ერგულებას ღაღადებდაო (იქვე).

მარტო ეს გარემოება არ აფიქრებდა გორჩაკოვის შტაბს, არამედ ისიც, რომ ოდნავი აჩქარება, „ცოტაოღენი გაუფრთხილებლობა დაღუპავდა ლეჟავას ოჯახს, ავნებდა მთელს საქმეს და ჯარსო“.

დიდი წინდახედულება და სიფრთხილე, რაიც მაშინ რუ-

სთა სარდლობამ რაჭაში გამოიჩინა, იმით აიხსნებოდა, რომ ის კაცი, რომლის ოჯახშიაც შეთქმულებს მძევლად აყვანილი ლეჟავას ცოლშვილი დაებინავებინა, აშკარად ამ აჯანყების ხელმძღვანელთაგანი იყო. ამავე დროს, გიორგი წულუკიძის ოჯახი თითქმის მთლიანად გორჩაკოვის შტაბში მსახურებდა და რა თქმა უნდა, მთელი ასავალ-დასავალი და გეგმა რუსთა საეკზეკუციო ნაწილებისა მათ ხელში იყო...

ამ ოჯახს ისე ჰქონდა შენახული თავი და ისე მოხერხებულად ატარებდა ამდენი ხნის განმავლობაში „ერთგულების“ ნიღაბს, რომ გიორგი წულუკიძეს, იარაღ-აყრილ რაჭაში ვითომდა აჯანყებულთაგან თავის დასაცავად და მათთან შესაბრძოლებლად, კარგად შეიარაღებული რაზმი ჰყავდა რუსეთის მთავრობის ოფიციალური ნებართვით.

ამ რაზმის ერთი ნაწილი იცავდა წულუკიძის ციხეს, სადაც მძევლად იმყოფებოდა ლომკაცის ცოლშვილი... ამ ლეგალურ რაზმის გარდა, ჩუმად დაბანაკებული ხომ სხვაც ბლომად ჰყავდა რაჭას. თუმცა აქ იმერეთის ბრძოლა წაგებულად მიაჩნდათ, მაგრამ შეთქმულების მთავარმა შტაბმა, როგორც აღვნიშნეთ, ძალების შენახვა და ახალი მდგომარეობისათვის

დაცდა გადასწყვიტა. აკი მეფედ გამოცხადებული ვახტანგ ბატონიშვილი თვითონ ეახლა ახალციხის ფაშას, რომელიც მჭიდრო კავშირში იყო შეთქმულთა ცენტრთან; იგი აჭარის და ქობულეთის ბეგთ აგულიანებდა დახმარებოდენ ქაიხოსრო გურიელს და მის მოკავშირეს ივანე აბაშიძეს *): აქედან დახმარება კიდევ მოსალოდნელი იყო... ალექსანდრე ბატონიშვილთანაც გაგზავნილი ჰყავდათ მოციქულები, რომ მას ეშუამდგომლა აბას-მირზას წინაშე, რათა აჯანყებულთ სპარსეთი ხაზინით და იარაღით დახმარებოდა. ახალციხის ფაშამ თვით აახლო აჯანყებულთა დელეგაცია ალექსანდრე ბატონიშვილს და იმანაც შესაფერის დაპირებით წარმოგზავნა თავის მხლებლებიდან შიკრიკებად: ესტატე თარხნიშვილი და მიხეილ ამირეჯიბი. ერმოლოვი დღე-დღეზე ელოდა ბატონიშვილის იმერეთში შემოჭრას და უნდოდა როგორმე დაესწრო და მანამდის უსასტიკესს ტერორით სისხლში ჩაეხრჩო ეს აჯანყება და მისი დავალებით ველიამინოვი ლაჟინსკის სწერდა: – ბატონიშვილი ალექსანდრე ეპირება აქეთ შემოჭრას და აჯანყების გაღრმავებას. ალბად ახალციხით შემოვა (საცა მას იმერეთის დელეგატები ელოდებიანო); და ველიამინოვი ევედრებოდა ლაჟინსკის, რომ ერევნიდან ახალციხეში გადასვლის დროს, დასცემოდა გზაში ბატონიშვილს და როგორმე ხელთ ჩაეგდო ის, ან ვინმესთვის მალულად მოეკვლევინებინა**) ამავე დროს ღელავდა მთა და ერმოლოვს დაღესტანში***) საქმე მეტად ურთულდებოდა, თან

---

*) ერმოლოვი ალი-ფაშას სწერდა, რომ მან უკვე გაიგო საკუთარ აგენტებიდან, თუ როგორ დახმარებას უწევს ფაშა იმერეთის აჯანყებულთ, ქობულეთ-აჭარის ბეგებს აგულიანებს და იმერეთიდან გაქცეულ „მაშენიკებს“, აჯანყების მონაწილეებს ინახავსო. (იხ. „აქტები", ტ. VI, ნაწ. II).

**) იხ. „აქტები", ტ. 6, ნაწ. I, ნომერი 815.

***) ალ. ბატონიშვილმა რამდენიმე წელში იქ უფრო გაადვივა რუსთა სიძულვილი და მთის ბრძოლას ორგანიზაციული ხასიათი მისცა.

რუსეთის სპარსეთ-ოსმალეთთან მდგომარეობის გამწვავება ძველებურად მოსალოდნელი იყო. ასე რომ, მიუხედავად სამეგრელოს რაზმის დამარცხებისა და იმერეთის ქვემო ნაწილის დაცხრომისა, საქმის შემობრუნება მაინც შესაძლებელი იყო და აჯანყების კომიტეტმა თავისი ძალები რაჭას გამოიყვანა და სადაც კი შეიძლებოდა მტერს მოარიდა... ხოლო იმ ადგილებში, საცა რუსეთმა აშკარად დიდი წინააღმდეგობა განიცადა, აჯანყებულთა ცენტრი სოფლებს იარაღის დაყრასა და ლოიალობის ფიცის დადებას ურჩევდა.

აუცილებელი იყო, როგორც ვსთქვით, გამხეცებულ ჯარების ბრჭყალებიდან ხალხის დახსნა და მარტო მთავარ შტაბის და ზოგ შეიარაღებულ კადრების შენახვა...

ამ საქმეს საიდუმლოდ უძღოდა გიორგი წულუკიძის მეუღლე და ლეჟავას დატყვევების შემდეგ ამ ქალმა თვისი სიფრთხილე უფრო გაამახვილა...

ამ ქალს უნდოდა როგორმე გაეგო – თუ რა ჩვენება მისცა ლეჟავამ რუსებს : ხომ არ გაუცია მას შეთქმულთა ცენტრი და ყველაზე უწინ ის, თუ სად ჰქონდა შენახული „ღრამოტა“ და სად იყო ამ ჟამად ეს დიდი მნიშვნელობის დოკუმენტი.

შეთქმულთა ცენტრმა ეს საყურადღებო საქმე ამ გამჭრიახ დიპლომატ ქალს მიანდო; მალე გამოირკვა, რომ ყველაფერი ეს ამაო შეიქმნა, თუმცა ამ დარბაისელ ქალს, თვისი ცდა და უნარი ამ საქმისათვის არ დაუკლია; დუბენცკის მოწმობით, გორჩაკოვი ამ დროს რაჭაში ორი ათასი საუკეთესოდ შეიარაღებული ჯარი ჰყავდა, ძლიერის არტილერიით; და აი, ეს გარემოება იყო, რომ გიორგი წულუკიძის ოჯახს დიდ საგონებელში აგდებდა.

მიუხედავად ასეთის უპირატესობისა, გორჩაკოვი მაინც უდიდეს სიფრთხილეს იჩენდა და წულუკიძისა და აბაშიძე-იაშვილების ჩასაფრებულ რაზმების შიში ჰქონდა; მაგრამ დაყოვნება აღარ შეიძლებოდა და რუსის შტაბმა ვერაგული გეგმა შეიმუშავა, რომლის შესრულება თვითონ დუბენცკიმ იკისრა.

პირველი საქმე იყო: იმერეთში ახლო-მახლო დარჩენილ ჯართა სასწრაფოდ თავის მოყრა და მეორე – „ღრამოტის" ხელში ჩაგდება; ეს მეორე საქმე ჩვეულებრივის მზაკვრულობით ჩაატარა თვით დუბენცკიმ.

გორჩაკოვმა გადასწყვიტა, წულუკიძის სახლიდან 20 ვერსით დაშორებული სოფელი გადაეწვა, რათა ამით ესარგებლნა და წულუკიძის სახლის ახლოს დაებანაკებინა დუბენცკის პატარა რაზმი და აქვე გაეჩინა ბაზა ეკზეკუციისათვის. ამ დროს დუბენცკი წულუკიძის ოჯახობას შეხვდებოდა და შეეცდებოდა მისი მოტყუებით და დაშინებით ლეჟავას ცოლი ხელთ ეგდო.

იმ ხანად რუსები საერთოდ ისეთ სოფლებს სწვავდენ, სადაც მეამბოხენი მოქმედებდნენ და საცა სამხედრო ცენტრი თვითონ ურჩევდა მცხოვრებთ დამორჩილებას.

„ამ დროს მეამბოხეთა სახლები იწვოდა და მათს საქონელს კი ჩვენი ჯარისათვის იტაცებდენ"-ო, სიტყვა-სიტყვით გვეუბნება თვითონ დუბენცკი. ასე რომ, მის განცხადებაში, თითქოს მას გ. წულუკიძის მახლობლად ერთი სოფელი უნდა გადაეწვა, უჩვეულო არაფერი იყო... ამ ექსპედიციაში წასვლის წინ მან თითქოს „მოისურვა" გ. წულუკიძის ოჯახობას სტუმრებოდა, რაიც მის ვაჟს, ოფიცერს სვიმონს გამოუცხადა და წინადადებაც მისცა თან გაყოლოდა სვიმონს საშუალება არა ჰქონდა უკან დახევისა და ყოველგვარ იჭვების ასაცდენად (მასზე, მის დედაზე, მამაზე და საერთოდ მთელ ოჯახზე), „სიამოვნებით" დათანხმდა გაჰყოლოდა დუბენცკის ამ დამსჯელ ექსპედიციაში. ალბად სვიმონმა დედასთან საიდუმლო შიკრიკები აფრინა და ყველაფერი აცნობა. აქ ჩვენ გვინდა თვით ლუბენცკის დავუთმოთ სიტყვა: „ზაფხულის მშვენიერი დილა იყო (მგონი აგვისტო) და რვა საათზე ბანაკიდან გავემგზავრე. გზის მაჩვენებლად თან მომყვებოდა ორი ცხენოსანი იმერელი და ახალგაზრდა თავ. სვიმონ წულუკიძე. ჯარისაგან ორი ვერსის სიშორეზედ დაბანაკდა კაპიტანი ინდუტინი. წულუკიძის სახლამდის ექვსი ანუ შვიდი ვერსის მანძილზე, შორი შორს ჩავასაფრე ექვსი ცხენოსანი ყაზახი, რომელთაც თოფების გა-

სროლით უნდა ეცნობებინათ ჯარისათვის, თუ ვინიცობაა რაიმე არეულობას და მტრის მოძრაობას შენიშნავდენ. გზაში მე მათ ნიშანს ვაძლევდი და ისინიც შესდგებოდნენ ხოლმე, ვითომ და ცხენს რომელსამე მოკაზმულობას უსწორებდნენ. ორი საათის სიარულის შემდეგ, პატარა ჯარით ხეობიდან ვაკეზედ გავედით, რომელზედაც მარცხნივ გზიდან მოსჩანდა დიდი და კოხტა სასახლე თავ. წულუკიძისა, მარჯვნით კი უზარმაზარი ციცაბო მთების ძირში, კლდეზე აღმართული იყო

ქვითკირის ძველის-ძველი ციხე. ერთ ადგილას, სადაც აქა-იქ უზარმაზარი კაკლის ხეები და ნერგები მოსჩანდა, 300-მდე შეიარაღებული კაცი იყო*), რომელთაგან ზოგნი გროვად იდგნენ ერთად, თოფებზე დაყრდნობილი, ზოგნიც ისხდნენ და ჩიბუხებს სწევდნენ; ორი ხის სიახლოვეს შევდექი გზაზედ. მაშინ მოვიდა ჩემთან თავ. სიკო წულუკიძე, გიორგი წულუკიძის ძმა, მომესალმა და სახლში შემიწვია. მეც მაშინვე წავყევი. თავად სვიმონმა მეც და თუმანოვიც**) გასაცნობად წარგვადგინა კნეინასთან – თავის დედასთან***). აი, აქ მოხდა შეხვედრა ამ წარჩინებულ ქალისა, გორჩაკოვის მარჯვენა ხელთან და, რა თქმა უნდა, კნეინა შეეცდებოდა, შეთქმულთა კომიტეტის დავალებით, ყოველივე შეეტყო და კარგათ გამოეყენებინა ეს შეხვედრა.

ნორმალურ პირობებში, რა თქმა უნდა, ეს ქალი, რომელიც გამჭრიახობითა და ჭკუით ბევრით უსწრებდა თვის მოპირდაპირეებს, ყველა საჭირო ცნობებს მიიღებდა დუბენცკისაგან, მაგრამ ეხლა... ეხლა დუბენცკი ათასნაირად იყო გაფრთხილებული; მან კარგად იცოდა, რომ ის იყო არა რუსულ ჯარის პოლკოვნიკისას და მის მეუღლესთან, ყველაფრად მომხიბლავ და სანდო არსებასთან, არამედ „გამცემის და შეთქმულის“

*) ეს ის რაზმი იყო, რომელიც გიორგი წულუკიძეს ვითომდა ციხის დასაცავად რუსთათვისაც ახდილად ჰყავდა.

**) თარჯიმანი, რუსთა ერთგული მოხელე.

***) იხ. დუბენცკის დასახელებული წერილი „რუსკაია სტარინა“-ში.

ოჯახში, ერთ მათ ხელმძღვანელ და მესაიდუმლესთან. იცოდა, რომ არც მის საყვარელ ღვინის დალევა შეიძლებოდა ამ დროს და არც ცეკვა-სიმღერით გართობა, რომელიც მას მუდამ ასე ატყვევებდა. ახლა ის გამზადებული მოვიდა – რომ პირიქით – თვითონ გაეგო ამ ქალისაგან, რაც კიდევ აკლდა. უნდა იმდენად ფხიზლად და მთელის გონებით დაჭიმული და თავშეკავებული დარჩენილიყო, რომ ამ ქალს მისგან არაფერი გამოეტანა. რა თქმა უნდა, აქ კნეინას პოზიცია წინასწარ განწირული იყო. მან არ იცოდა ის მთავარი რამ, რაც იცოდა დუბენცკიმ... მიუხედავად ამისა, მან ისეთის მოხერხებით და ნაცადობით დაუსვა „შორიდან მოვლილი“ კითხვები ლეჟავას შესახებ, ისეთის ქარაგმებით დაუგო ამ მომზადებულ და შეიარაღებულ კაცს ყოველის მხრივ მახე, რომ დუბენცკიმ დიდ ხიფათში იგრძნო თავი... შესაძლო იყო, ამ ქალს მთლად გაეხსნა ამისი ზრახვანი და დუბენცკიმ ჩქარა უკან დაიხია.

„კნეინამ", განაგრძობს დუბენცკი, „ძალიან კარგად მიმიღო და სწორე უნდა გითხრათ, თვისი შორს გამჭვრეტელობით გამაკვირვა. ლეჟავას შესახებ კითხვები ისე **მოხერხებით** და **სისწრაფით** იყო ჩემდამი მიმართული, რომ ძალიან მეძნე-

ლებოდა მისი იჭვების გაქარწყლება და დაჯერება. თუმცა ჩემი პასუხი, რომ ლეჟავას სიკვდილით დასჯა ჰქონდა გადაწყვეტილი, მისს ცოლშვილს კი ციმბირში გადასახლება, კნეინას თითქოს ესიამოვნა, მაგრამ ეს მეტად ხერხიანი და შორს გამჭვრეტი ადამიანი, კიდევ სულ სხვა რასმეს განიცდიდა.

კნეინა ისეთ „მოუსვენარ მდგომარეობაში იყო“, ამბობს ავტორი, „რომ მიუხედავად ჩემის მჭერმეტყველებისა, ვერას გზით ვერ დავაშოშმინე და ვერ დავაჯერეთ ვერც მე და ვერც ჭკვიანმა და ჩინებულმა თარჯიმანმა თუმანოვმა“.

დუბენცკის და თუმანოვს რომ ლომკაცისგან გასაღები საიდუმლოებისა ხელთ არ ჰქონოდათ, ცხადია, წულუკიძის მეუღლე ადვილად მიაღწევდა საწადელს და მის აღელვებას ადგილი არ ექნებოდა. მაგრამ აშკარაა, ამ ქალმა იგრძნო, რომ მოსულებმა რაღაც იცოდნენ, რაღაც იჭვები ჰქონდათ და ვიღაცას

შესახებ ცნობებს ეძებდნენ. მაგრამ რა იცოდენ, ან ვის უგებბდენ რუსის აგენტები ამ შემთხვევაში საშინელ ხაფანგს? აი, ეს არ იცოდა ამ ქალმა და იტანჯებოდა, ჰკარგავდა ჩვეულ სიდარბაისლე-წონასწორობას...

ამ გარემოებამ მოსულები მალე შეტევაზე გადაიყვანა და იმ კითხვებზე, რომელსაც კნეინა უსვამდა, პასუხი ააცდენინა; ობეკტიურად დამკითხავი და თავდამსხმელი, შეთქმული ქალი, თავდაცვის როლში გადიყვანა და მისი მდგომარეობაც დამძიმდა... დუბენცკიმ ეხლა თავი ნახევრად გამარჯვებულად იგრძნო და თვისი ბადე გაშალა: „ეხლა ლეჟავას ცოლი სრულიად უდანაშაულოს ჩარევს უბედურებაში", სთქვა მან. „როგორ?“, შეეკითხა კნეინა. აი, აქ მიეცათ აგენტებს თვისი მზაკვრულად მოფიქრებულ გეგმის განხორციელების საშუალება. დუბენცკიმ კნეინას უპასუხა, რომ ლეჟავას ცოლი, „როგორც პოლიტიკური დამნაშავე და საციმბიროდ გამზადებული შეუძლებელი იყო, ვისმეს მიერ ოჯახში მიღებული და დამალული ყოფილიყო. უბრალო დამნაშავეთა დამფარველნიც კი **დიდათ დაისჯებიან** ხოლმე ამ შემთხვევაში"; ამ მზაკვრულ მოვლას მოხერხებული აცდენა სჭიროდა... კნეინა უცებ დარწმუნდა, რომ მოსულებმა უკვე იცოდენ ლეჟავას ცოლის ამ ოჯახში დამალვის ამბავი, რომ მიტანილი იყო უკვე იჭვი და შეთქმულთა ცენტრი ქსელში ეხვეოდა.. ეხლა მარტო გაბედულება იყო საჭირო და ლოიალობის მთელის ძლიერებით გამოჩენა, რომ ახალ დემონსტრაციას რუსის აგენტები ერთხელ კიდევ დაებნია.

კნეინამ იფიქრა, რომ სიმართლის გამჟღავნება და თავის მართლება იმ გზით სჯობდა, რომ ვითომ არ იცოდა თუ ლეჟავას ცოლის ოჯახში მიღება აღკრძალული იყო. იქნებ ამ ხერხს გაეჭრა და თუ ქალის მიცემასაც მოსთხოვდენ, მიეცა კიდეც.

თუ ამ მსხვერპლითაც ვერ გაჰფანტავდა მიტანილ იჭვებს, მაშინ საქმე ალბად თავიდანვე განწირული უნდა ყოფილიყო. და მან აუღელვებლად და ჩვეულის ზვიადობით განაცხადა: „ოხ, ღმერთო ჩემო, ის ხომ ჩვენს სოფელში სცხოვრობს... აი, კიდევ დავიდარაბა!.. მაშ, როგორ უნდა მოვიქცეთ?“ – „გულუბრყ-

ვილოდ“ ჰკითხავს უკვე ნახევრად გამჟღავნებული კნეინა დუ-ბენცკის.

ამ კილოში და თავდაჭერაში მართლაც დიდი ჭკუა და ხე-რხი სჩანს; მაგრამ რუსის აგენტები ეხლა ანკესზე ვეღარ წამო-ეგებოდენ; მათ ხომ ყველაფერი კარგად იცოდენ და მარტო ლეჟავას ქალის ხელში ჩაგდება სწადდათ. დუბენცკიმაც, თით-ქოს კნეინას „გულუბრყვილო და უნებლიე შეცდომა" სჯერაო, მოსთხოვა: მიეცათ, მისთვის ლეჟავას ცოლი, რომელსაც გორ-ჩაკოვი ციმბირში გასაგზავნად ითხოვდა. „ამ სიტყვებზე", ამ-ბობს დუბეცკი, „კნეინამ თვალები აჭყიტა და გაკვირვებით და-უწყო მზერა თავის შვილს, რომელიც ჩაფიქრებული შესცქე-როდა დედას"-ო. ვინ იცის – რა არ უთხრეს ერთმანეთს ამ შე-ხედვით შეთქმულ დედა-შვილმა...

დედა აქ შვილს გაოცებით ეკითხებოდა: ნუთუ ამისთვის მო-ჰყავდა მას დუბენცკი, ან და თუ ეს იცოდა, რატომ დროზე არ გააფრთხილა, რომ ლეჟავას ცოლი სადმე გადაემალათ. ხომ შე-ეძლოთ ოჯახისათვის ჯარი შეესიათ, სასახლე და ციხე გაე-ჩხრიკათ და ეს ქალიც აღმოეჩინათ?.. შვილსაც არა ნაკლებ გა-აკვირვებდა დუბენცკის ასეთი მოთხოვნილება; ის ხომ ზემო სო-ფლის გადასაწვავად წამოვიდა აქეთ (და სვიმონიც თან წამოიყ-ვანა) და არა ლეჟავას ცოლის წასაყვანად.. დუბენცკის მზაკვ-რული გეგმა ამ დაეჭვებულ და შეშინებულ დედა-შვილის ფსიხიკაზე მოხერხებულად მოქმედებდა და მასაც შეტევა – შე-ტევაზე მიჰქონდა: ის სვიმონს ცალკე გაიხმობს და ეუბნება, რომ სამსახური ითხოვს – მისი დედის ცნობა, რომ ლეჟავას ცოლი ამ ოჯახში იმალება გორჩაკოვისათვის გადაეცა.

„გთხოვთ თავადო“, ეუბნება იგი სვიმონს: „დამიხსენით ამ არა სასიამოვნო მოვალეობისაგან და თქვენი თავი და მშო-ბლებიც **მძიმე პასუხის მგებლობისაგან.** მომეცით ვინმე გზის მაჩვენებელი და თან თქვენი ბრძანებაც და მე გავგზავნი ყაზახს ლეჟავას ცოლის მოსაყვანად“. მაგრამ დუბენცკიმ იცოდა, რომ ამ საკითხს სუვერენულად მარტო კნეინა სწყვეტდა და სთხო-ვა სვიმონს – ყველაფერი ეს დედისათვის მოეხსენებინა და

ეთხოვნა, რომ ასე მოქცეულიყო... ამ ბაასში თუმანოვი კიდევ

მეტის მზაკვრულის მოვლით ერევა და ნიშნის მოგებით ურ-ჩევს სვიმონს: თვითონ აასრულოს ყველაფერი, რადგან ის მეფის სამსახურშია და ხელმწიფის ერთგულია, კიდევაც უნდა დაამტკიცოს ეს ერთგულება; „ან კი რად უნდა შეაწუხოთ კნე-ინა, ნუ თუ თქვენ თვითონ არ უნდა შეასრულოთ კნეინას და-უკითხავათ ის, **რასაც კანონი მოითხოვსო?“**. ეს კი მეტისმეტი იყო: სვიმონი კუთხეში იქმნა მიმწყვდეული და მოინდომა თა-ვის დაცვა, რამდენადაც ეს კიდევ შეეძლო.

ამ ჩოჩქოლზე კვლავ გამოვიდა სვიმონის დედა „და როცა მას ყველაფერი უამბეს“, განაგრძობს დუბენცკი; „კნეინამ უთ-ხრა შვილს: „ამ წუთშივე გაგზავნე კაცი, უბრძანე რომ მათი (ე. ი. ლეჟავას ცოლშვილის) ხსენება აღარ იყოს ჩვენს მამულ-დედულში“-ო. ეს განაჩენი ამ ქალს მართლაც სასოწარკვეთი-ლებამ წარმოათქმევინა. თვისმა ყნოსვამ და ჭკუამ ეს ქალი არ მოატყუილა; ის მიხვდა, რომ ყველაფერი წაგებული იყო, რომ მთელი ოჯახი იჭვის ქვეშ ჰყავდათ აყვანილი და აწი მათ აღარ მოასვენებდენ და შეთქმულებისათვის რაიმე მუშაობა ამ პი-რობებში სრულიად შეუძლებელი ხდებოდა. საჭირო შეიქმნა, რომ ხანგრძლივის და ბეჯითის თვალთმაქცობით მას და მისს ქმარ-შვილს ისევ ლოიალობა გამოეჩინათ და ნელნელა მო-ეპოვებინათ უკვე შერყეული ნდობა.

ერთად-ერთი იმედი ის იყო, რომ ლეჟავას ცოლს არა-ფერი არ უნდა სცოდნოდა „ღრამოტაზე" და ამ დოკუმენტის საიდუმლოება ლეჟავას საიქაოს თან მიჰქონდა... იჭვი არაა, კნე-ინა და დანარჩენი შეთქმულნი შეეცდებოდენ გაეგოთ ლეჟა-ვას ცოლისაგან რაიმე ამ დოკუმენტის შესახებ ლომკაცის და-პატიმრებისთანავე*). მაგრამ ლეჟავას ცოლმაც შეასრულა ქმრის დანაბარები და არც ერთ ადამიანს არ გააცნო ამ „აქ-

---

*) ლომკაცის ცოლი შემდეგ დუბენცკის გამოუტყდა, რომ მას მუდამ ეკითხებოდენ ამ „აქტი“-ს შესახებ, მოსვენებას არ აძლევდენ და ემუქრებოდენ კიდეც შეთქმულთა მეთაურნი...

ტი“-ს ამბავი. ის უცდიდა იმ „პაროლს“, რომელიც საყვარელმა ქმარმა გაანდო და საკუთარ „თავზე უფრო უფრთხილდებოდა ამ „ღრამოტას“. და აი, ამ „პაროლით“, მისდა გასაოცრად, მას-თან მივიდა არა ქართველი, არამედ გორჩაკოვის ადიუტანტი და ცნობილ სიტყვების შემდეგ ლომკაცის ფაფანაკი გადასცა... და რუსებს ჩაუვარდათ ხელში ეს დღეს საისტორიო და მაშინ კი საბედისწერო დოკუმენტი, რომლის ასლი, სამწუხაროდ, დღემდე არსად არის აღმოჩენილი.

ასეთი მოხერხებით ჩაიგდო ხელში დუბენცკიმ ეს დოკუ-მენტი და სიხარულმა აიტაცა მთელი მისი არსება. მაგრამ ასე უეცრივ ამ სახლიდან წასვლა, როცა ის თითქოს სოფლის გადა-

საწვავად იყო ამოსული, სახიფათოდ მიიჩნია და იძულებული იყო დასთანხმებოდა სვიმონ წულუკიძეს და სადილზედაც სწვევოდა*).

ამ სადილობის დროს კნეინა კიდევ უფრო დარწმუნდა თვის იჭვებში; დუბენცკი, წინააღმდეგ რუსთა საერთო ჩვეულებისა, მისგან საგანგებოდ მიძღვნილ ღვინოს (უშესანიშნავეს ჯიშისას) არ იკარებდა და სიფრთხილეს იცავდა.

კნეინამ რამდენჯერმე გაუგზავნა დუბენცკის განსაკუთრე-

---

*) ჩვენის აზრით, მკითხველისათვის საინტერესოა აწ უკვე მივიწყებული წესი, მაშინდელ იმერეთის დარბაზობა-სადილობისა და ამიტომ ამ ადგილს დუბენცკის წერილიდან უცვლელად მოვიყვანთ: „უზარ-მაზარ ხის ქვეშ, გაშლილი იყო მრავალი ხალიჩები და მაგიდის ნაცვლად-დაბალი და გრძელი განიერი სკამი, რომლის ერთს მხარეს გამწკრივებული იყო აბრეშუმის ბალიშები, რაზედაც მოკეცილები ვისხედით. მე, თუმანოვი, ორი თავადი წულუკიძე და რამოდენიმე უფროსი ჩვენი შეიარაღებული ჯარის კაცებისა. სადილად გვქონდა მოხრაკული ქათმები, კალმახი, გარეული თხისა და ცხვრის მწვადები (ქათამს, კალმახს და სხვა საჭმელს ისე ხელოვნურად ამზადებენ იმერეთში, რომ უკეთესს საჭმელს არსად შევხვედრილვარ) და სხვა. სადილმა კარგა ხანს გასტანა. კნეინამ გამოგვიგზავნა ერთი დოქი ჩინებული შაფთის ღვინო (шаптисъ – царское вино)

ბული პირები და სთხოვდა სალაპარაკოდ სასახლეში მობრძანებას; მაგრამ დუბენცკი იჩქაროდა... მას შიში იტანდა: ამ უცნაურ ქალს კიდევ არ დაეჭირა ის რამე წინააღმდეგობაში. ვერ მოხერხდა და მაინც ვერ გადაურჩა დუბენცკი კნეინასთან ახალ „აუდენციას“. – კნეინა კიდევ ვინახულე, ამბობს ის, მაგრამ მისი **ეჭვი და შიში მაინც ვერ გავფანტეო.** აშკარაა, ეს ქალი დარწმუნებული იყო, რომ რუსებმა ლეჟავას ყველა ცნობები გამოსტყუეს და აბა რაღა ფასი ჰქონდა ამის შემდეგ ლეჟავას ცოლს?..

დუბენცკიმ სწრაფი წასვლის მიზეზად თავის ტკივილი მოიგონა, ხოლო სოფლის გადაწვა სხვა დროისათვის გადასდო... სამწუხაროდ, დუბენცკი აღარ გადმოგვცემს ამ ღირსეულ ქალთან უკანასკნელ ბაასის შინაარსს. ალბად აქაც იყო თქმული მრავალი რამ, რაიც გააოცებდა გორჩაკოვის ადიუტანტს და განმეორებით ათქმევინებდა ამ ქალზე – თუ რა ჭკვიანი და გამჭრიახი იყო ის. ერთ ადგილას ის გვეუბნება: „ეს ადამიანი ცნობილი იყო მთელს **იმერეთში, როგორც დიდათ გონიერი** და ლამაზი მანდილოსხნი" და დასძენს, რომ „ახალგაზრდობისას ეს მშვენიერი ქალი, თვალსაჩინო იყო თვისი ინტრიგებითო... ხოლო ეხლა კი ხანში შესულს, ხელში ეჭირა როგორც თავისი ქმარი, ისე სხვა მამაკაცებიც და როგორც უნდოდა, **ისე ათამა-**

შებდა მათ“-ო. ჩვენთვის ახლა აშკარაა, რას ეძახოდა დუბენცკი ამ „თამაშს“ და რა მნიშვნელობით ამბობდა, რომ ქმარი და სხვებიც ე. ი. შეთქმულები ხელში ეჭირა მასო. ამ მოხელის აზრით, პოლკოვნიკის ჩინის და ბრილიანტის ჯვრის პატრონი, გიორგი, მისი ძმები, შვილი და ახლო ნათესავები: აბაშიძეები, ერისთავები და იაშვილები, რუსულის ორდენით და „წყალობებით“ რომ იყვნენ უხვად დაჯილდოვებულნი, არას გზით არ გაერეოდენ ასეთ „ინტრიგებში“ და არ გახდებოდენ შეთქმულების წევრნი, თუ ამ მოხერხებულ და ჭკვიან ქალის დიდი გავლენა არაო. მეორე ადგილას ის სწერს: „მე მოვშორდი ამ უცნაურ ქალს, **რომელიც იყო მიზეზი** თავისი, თავის ქმრის და ნათესავების უბედურებისა“-ო. აშკარაა, ამ ადამიანმა კარგად იცოდა, რომ კნეინას ხელში იყრიდა თავს შეთქმულთა საიდუ-

მლო ძაფები და საქმის ახლო გაცნობამ თუ ათქმევინა დუბენცკის, რომ იმ უბედურების მიზეზი, რაც ამ „ღრამოტის“ აღმოჩენას მოჰყვა, სწორედ ეს ქალი იყოო.

მაინც რა მოყვა ამ „აღმოჩენას?“ არაფერი ისეთი, რაც მაშინდელ რუსეთისათვის ჩვეული არ ყოფილიყოს. მას მოჰყვა მზაკვრულად უკან მოვლა და მოულოდნელად ზურგში ჩაცემა... ქართველთა დარბაისლობა-რაინდობაზე ცინიკური გათამაშება...

გორჩაკოვმა 6 ივნისს სისხლიანი ზეიმი გაუმართა ამ ღირსეულ ძველ მეომართ, რომლებიც რუსულის ჩინებით და ქართულის გულით ზვიადათ მიაბიჯებდენ ღუბერნატორის „ლაგერში“, საცა ისინი დილიდანვე ადრე დაიბარეს. საწვევ ბარათში ნათქვამი იყო, თითქო რაზმი სასწრაფოდ მიემართებოდა ზემო რაჭაში, ჯერ კიდევ დაუცხრომელ აჯანყებულთა ასალაგმავად და გორჩაკოვი სთხოვდა ღირსეულ ოფიცრობას და „ტახტის ერთგულ“ ქართველ თავადობას, ამაში მონაწილეობა მიეღო და აღესრულებინა თვისი ფიცი და წმიდა მოვალეობა დიდი იმპერიისადმი. შეთქმულებმა ამ მიპატიჟებაში თავისი „ლოიალობის“ კიდევ ერთი გამოსაჩენი გარემოება დაინახეს და უკან არ დაიხიეს. წავიდნენ იმ იმედით, რომ ეხლაც ვერ დაინახავდა მტერი რუსულ ორდენებით დაფარულ მკერდ ქვეშ ქართულ გულის ცემას...

მაგრამ ამ ჟამად მტერმა მეტი ხერხი გამოიჩინა... და 70 წარჩინებული მეთაურნი მებრძოლთა, რომელნიც რუსულ ჯარის სამსახურში ითვლებოდენ, რიგ-რიგად და დარბაისლად ეახლენ თავ. გორჩაკოვს. როგორც კი „ლაგერში“ შევიდნენ, თავადებს მათი ამალა ჩამოაცილეს, რაიც წინადაც ხდებოდა და რამაც ისინი არც ეხლა გააოცა... და როდესაც ყველანი წარსდგნენ და რუსთ მხედრობას მდაბალი სალამი მისცეს, მაშინ გამოეცხადათ მათ, რომ ყველანი დაპატიმრებულნი არიან, რო-

გორც მოღალატენი და აჯანყების მონაწილენი.

ერთხელ კიდევ დატრიალდენ ეს მოხუცი რაინდები და შეჰკივლეს: „ან სიკვდილი, ან თავისუფლება“-ო და ძველებურად

იშიშვლეს ხმლები; მიხვდენ ისინი, რომ ვიღაცამ გასცა და მტრის ხაფანგში ასე ერთბაშად ჩაჰყარა. და მოინდომეს – ძვირად მაინც დაესვათ მტრისთვის ეს ვერაგული გამარჯვება. მკერდით და ხმლებით ეჯახნენ წრეს, რათა გაერღვიათ და ნაწილი ბრძოლით მაინც გასულიყო... მაგრამ იქ დახვდათ ორ წყებად შემორტყმული ალყა წინასწარ ჩასაფრებულ ჯარისკაცთა; მათ მოაგებეს ტყვიები და ხიშტებით შეიღება მათი გრძელი წვერები და რუსული ორდენები ქართულის სისხლით... ბევრი დაიხოცა, თითო-ოროლმა თუ მოახერხა გასვლა, ბევრი კი მძიმეთ დაჭრილი იქვე დაეცა და სისხლს და ქვიშა-მტვერს ბრაზით სავსე ცრემლები შეურია... უნდოდა ჩქარი სიკვდილი, ამ სირცხვილის ატანა მას აღარ შეეძლო... ამ თავგანწირულ გაბრძოლების დროს მერაბ წულუკიძემ მოახერხა წრის გარღვევა, მაგრამ იგი არ გაქცეულა... როგორც ვეფხი, ისე მივარდა გორჩაკოვს და სირცხვილის მოსარეცხად, ასეთ სისხლიან და ვერაგულ „მოპატიჟების“ სამაგიეროდ მისი შუაზე გაჩეხა მოინდომა; მაგრამ მძლავრად მოქნეულ ხმალს აღარ დასცალდა, დროზე უკნიდან მოვარდენ და ორჯერ დაჰკრეს ხმალი. „თარჯიმანმა არაზოვმა“, განაგრძობს დუბენცკი, „თავიდან ტყავი ჩამოაცალა“), მე კი მხარზე ხმლის დაკვრით გავჭერ ძეწკვი, რომელზედაც სათოფისწამლე ეკიდა და გადავუპე კიმკიმა. მაგრამ ეს ჩემი ხმლის დარტყმა ისეთი უხერხული და მძიმე გამოდგა, რომ ჩემი ხოროსნის ხმალი ორჯერ მოიხარა“-ო...

გიორგი წულუკიძეც ხიშტებით მძიმედ დასჭრეს (მისი ძმა ლევანი სხვებთან ერთად იქვე მოჰკლეს)... ვინც გადარჩა, მალე ციმბირს გაგზავნეს და ზოგნიც ჯარის კაცებად ჩანიშნეს შორეულ ქვეყნებში.

დაჭრილთაგან გიორგი და დავით წულუკიძენი გადასახლებამდე გარდაიცვალენ ტფილისის ციხეში; ყველა ამათი

---

*) ამ არაზოვმა ასეთ სამსახურისათვის ერმოლოვისაგან მიიღო საპატიო ხმალი და მუდმივი პენსიაო, გვეუბნება პოტტო (იხ. ტ. III).

სასახლეები და ციხეები დაანგრიეს, მოსრნეს და დანარჩენი ქონება და მიწა-წყალი რუსეთის ხაზინას გადასცესო, დასძენს ამ ამბების აღწერას ისტორიკოსი პოტტო*). გამარჯვებული გორჩაკოვი კი ზეიმით წამოვიდა რაჭიდან და

ხანის ხეობას მიაშურა, სადაც გამაგრებული იყო გადარჩენილ აჯანყებულებითურთ ივანე აბაშიძე. მაგრამ ამ შემთხვევაში გორჩაკოვს ბედმა არ გაუღიმა და ივანემ და მისმა ერთგულებმა მოასწრეს ახალციხეში გასვლა...

გიორგი წულუკიძის ოჯახობას, შეთქმულთა მეთაურ ქალს, „რომელიც“, რუსების თქმით, „იყო მიზეზი ყველა ამ უბედურებათა“, არ ასცდენია სასტიკი კანონის რისხვა და შურისძიება; ის დაპატიმრებულ იქმნა და ბოლოს მონასტერში გაიგზავნა. სამწუხაროდ, მისი შემდეგი ბედი ბნელითაა მოცული...

ასე დაასრულა ამ ღირსეულმა ქართველმა ქალმა თვისი დაუღალავი და მწვავე ბრძოლა საქართველოს შელახულ პატივის აღსადგენად.

ივანე აბაშიძემ ეხლა ოსმალეთის კარზე დაიწყო იმ საქმის გაგრძელება, რომელიც საყვარელ მეფის სოლომონ მეორის სიკვდილმა შეაჩერა... იგი და იმერეთის ბატონიშვილი ვახტანგ და ტარიელ მალე გადაებნენ მჭიდრო კავშირით ქართველ ძველ ემიგრაციას და ალექსანდრე ბატონიშვილის ახალი ცდების იმედით სცოცხლობდენ**).

---

*) იხ. პოტტო, ტ. 3, გვ. 506-7.

) ივ. აბაშიძე მალე გარდაიცვალა ოსმალეთში, ხოლო იმერეთის ბატონიშვილები თავის ცდას არ აკლებდენ იმერეთის სამეფოს აღდგენის საქმეს კიდევ მრავალ წელთა მანძილზე. ბოლოს მათ პარიზშიც ვხვდებით (დაახლოვებით 1834), საცა ისინი ცნობილ ისტორიკოსს **მარი ბროსეს უკავშირდებიან და საქართველოს პოპულარობისათვის მუშაობენ. საფიქრებელია, რომ მათ თეიმურაზ ბატონიშვილთან და დანარჩენ რუსეთში გადასახლებულ წარჩინებულებთანაც ჰქონდათ ბროსეს მეშვეობით კავშირი. ეს საკითხიც ცალკე შესწავლას მოითხოვს. (იხ. „აქტი“ VIII, გვი 962).

რუსეთის იმპერიამ ჩაახრჩო რა პაწია რაჭა სისხლში, მთელის ჯარებით იმერეთის დანარჩენ კუთხეებს მოევლინა და ბოლოს გურიის ურჩნიც (ქაიხოსროს მომხრენიც) დაიმორჩილა.

მალე მთელს იმერეთში საშინელი რეაქცია გამეფდა და ხალხი მძიმე კირთების ქვეშ თავჩაკიდებული ჩვეულებრივ, დღიურ ცხოვრებას მიეცა და სამეფოს აღდგენაზე ოცნებას ამ ხანად ვეღარავინ ბედავდა. პეტერბურგმა 1821 წლის გაზაფხულზე საქმე დასრულებულად მიიჩნია და 12 მარტს გორჩაკოვმა იმერეთის ხალხს განსაკუთრებულის პროკლამაციით მიმართა. მანიფესტი აღნიშნავდა „კვალად დადგინებულსა მშვიდობიანობასა ამა ქვეყნისა შინა“. გორჩაკოვი იმერეთს უცხადებდა. რომ „განუსაზღვრელის მოწყალებით“ მიანდო მას ხელმწიფემ, რათა სახალხოდ გამოაცხადოს „მიტევება

ყოველთა მცხოვრებთა იმერეთისათა მონაწილეთა შარშანდელ აღრეულებათა შინა“. მმართველი ხალხს ჰპირდებოდა, რომ ამა დღიდან „წარსულის აღრეულობისათვის აღარავინ აღარ დაისჯების, თვინიერ რომელთამე უპირველესთა ავაზაკთა, რომელნიცა საზოგადო ცნობისათვის აღინიშნებიან სიით“. ამ სიაში მოხსენებულნი „ავაზაკნი“ კანონს გარეშე ცხადდებოდენ და სამუდამოდ განიდევნებოდენ „საზღვართაგან იმპერიისა!“ აქ გორჩაკოვი იმერეთს და მის საზღვრებს აღარ გამოჰყოფს და დიდი იმპერიის ერთ-ერთ პროვინციად ჩათვლილ იმერეთის ხალხს აფრთხილებს, რათა ამ სიაში მოხსენებულთან არავითარი კავშირი არ იქონიონ: „სასტიკად აღეკრძალვისთ ყოველთა და თვითოულსა, არა თუ მიცემა მათდა სადგურისა ანუ შემწეობისა, რა გვარიც უნდა იყოს, არამედ მცირედი მათთანა გამომცნაურებაცა. წინაღმდეგ ამისა ყოველ გამოაშკარავებულ, განუსხვავებლად ღირსებისა, მიეცემის ყოველთა **სასტიკთა სამართალთა, ვითარც მუხანათნი“.** ამ სიაში მოხსენებულთა შესახებ იმის თქმა, რომ „ისინი სამუდამოდ განიდევნებიან საზღვართაგან იმპერიისათა“, დიდი უაზრობა უნდა ყოფილიყო, რადგან ეს პირნი თვისი ნებით გადასულიყვნენ უცხოეთში და ეხლა იქედან აპირებდენ ბრძოლის დაწყებას... ველიამინოვმა და გორჩაკოვმა ბევრ-ნაირად

სცადეს მათი შემოტყუილება სხვა და სხვა გვარის დაპირებით, მაგრამ ეს მრავალ ჭირთა მნახველი ხალხი, რუსის მოხელეთა ახალ ანკესზე აღარ ეგებოდა... მათ თვით არა სურდათ დარჩენა „საზღვართა შინა იმპერიისათა“, არამედ მათ ძველებურად თავისუფალ იმერეთის სამეფოში სწადდათ ცხოვრება... რუსეთს ეხლა კიდევ ახალი თავ-სატეხი გაუჩნდა, ხედავდა რა, რომ გარდახვეწილნი სამშობლოს აღსადგენად ათასნაირად იღწვოდენ და ძველ ემიგრანტთა ტალღას ამდენი ცოცხალი ძალა ემატებოდა.

მართალია, ხალხი ამ ხანად სდუმდა და თითქოს ლოიალობას იჩენდა, მაგრამ წარსულის მაგალითებმა აშკარად დაამტკიცეს, რომ ამ ერის დანდობა რუსთ არ შეეძლოთ, რომ ის მარტო ნიღაბს ატარებდა და ისევ მარჯვე დროს უცდიდა... ამიტომ უნდა სასტიკად შებრძოლებოდა გორჩაკოვი იმერეთის ხალხის რაიმე კავშირს ამ ახალ ემიგრაციასთან: „უკეთუ“, განაგრძობს მმართველის პროკლამაცია, „ვინცობა არის, ვინმე ხსენებულ **ავაზაკთაგანმა** გაჰბედა წაპილწვად საზღვართა იმპერიისათა **მოსვლით** თვისით, იმისთვის ვალად დაედების ყოველსა რომელ **ცოცხალ ანუ მკვდარი წარმოუდგინოს მთავრობას**, რომლისათვის მიიღებს შესაფერს ჯილდოს. ნამდვილზედ აწერს: მმართველი იმერეთისა ღენერალ-მაიორი კნიაზ გორჩაკოვი. ქუთაისი მარტის იმ ს. წელსა ჩყკა“*). ამ პროკლამაციას დართული აქვს სია უცხოეთში გასულთა 1820 წლის აჯანყების შემდგომ. აქ მოხსენებულნი არიან: ბატო-

ნიშვილ ვახტანგ და ტარიელთან, ივანე აბაშიძე, ნიკოლოზ (ფინეზი) აბაშიძე, მხეიძეები, იაშვილები და სხვა თავადნი, შემდეგ აზნაურნი და გლეხნი. ჩვენთვის ამ ჟამად საინტერესოა, რომ ამ სიაში სვიმონ გიორგის ძე წულუკიძესაც ვხვდებით. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ იმ სისხლიან მოპატიჟებას, რომელიც გორჩაკოვმა ლეჟავას „ღრამოტის“ აღმოჩენის მეორე

---

*) იხ. „ისტორიული დოკუმენტები იმერეთის შესახებ“. ჟურნ. „მოამბე“ 1904 წ., წიგ. X, მართლ-წერა დოკუმენტისა დაცულია.

დღეს შეთქმულთ გაუმართა, ალყა შემორტყმულმა მებრძოლებმა მაინც თავგანწირულად შეუტიეს უსწორო მტერს და საგრძნობი ზარალიც მიაყენეს... ამ ბრძოლის დროს ზოგმა მართლაც შესძლო ხიშტების ტყის გაკაფვა და ბრძოლით გასვლა. ამათ რიცხვს ეკუთვნოდა გიორგი წულუკიძის ვაჟი სვიმონიც.

მართალია მას ბიძები და მამა ხიშტებზე აუგეს, მაგრამ ხანის ხეობაში მაინც მიიჭრა ივანე აბაშიძესთან და მასთან ერთად ბრძოლით ოსმალეთში გავიდა...

ალბად ყოველგვარ უფლება აყრილს, უდროოდ დაქვრივებულს და განაწამებს მისს ღირსეულ დედას, ცივი მონასტრის კედლებში დატყვევებულს, ნუგეშად მარტო ის-ღა რჩებოდა, რომ მისი საყვარელი ვაჟი სვიმონი ლაჩრულად მტერს არ დამონებია, ხოლო მისი ქალი – მშვენიერი სოფიო, ჯერ კიდევ დედოფლობდა პატარა, მაგრამ ამაყ გურიაში...

შურისძიების ძალა ჯერ კიდევ არ გამქრალიყო და განგვირგვინებული ქალი მისთვის ლოცვით არ იღლებოდა.

ნარკვევი მეხუთე

სამეგრელოს დედოფალი ნინო

ნინო დედოფალი ერეკლე მეფის ოჯახის იმ წევრთაგანი იყო, რომელმაც დიდებულ მეფის შარავანდედის მცირე ანარეკლი დასავლეთ საქართველოში გადმოიტანა და შეეცადა ნეტარ-ხსენებულ ბაბუას უკანასკნელ მცნებისათვის თავისი სუსტი ძალებით შესაფერი სამსახური გაეწია. თუმცა მას არ შეეძლო არ დაენახა, რომ ჩრდილოეთისაკენ ცქერამ და პეტერბურგზე გეზის აღებამ მისი მამა, საქართველოს უკანასკნელი

მეფე – გიორგი უბრალო ვასალის საფეხურამდე ჩამოაქვეითა და ბოლოს მის მემკვიდრეს დავითს (ნინო დედოფლის ძმას) ტახტი და ქვეყანაც სამუდამოდ დააკარგვინა. ყველა ამას ის ხედავდა, მაგრამ მაინც არ უღალატნია იმ ტრადიციისათვის, რომელსაც დიდმა ერეკლემ 1783 წელს გიორგევსკში საძირკველი ჩაუყარა.

უნდა ვიფიქროთ, რომ სანატრელ ბაბუასაც საგანგებოდ უყვარდა თვისი შვილის-შვილი ნინო, და იმ გამწვავებულ მდგომარეობას, დასავლეთ საქართველოში ბოლოს რომ გახანგრძლივდა, ამ ქალის დახმარებით უპირებდა გამოსწორებას. იმერეთის მეფის სოლომონის და სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანის დაუსრულებელმა მიხტომ-მოხტომამ და ომებმა ეს მხარე საკმაოდ დაასუსტა და დაქანცა და ბოლოს ორივე მოპირდაპირენი მეფე ერეკლეს შველა-დახმარებას სთხოვდენ.

ბრძენმა ერეკლე მეფემ ერთხელ კიდევ მოარიგა ისინი და, რომ ზავი ამხანად მტკიცე და ხანდაზმული ყოფილიყო, მან თვისი შვილის-შვილი –ნინო ცოლად შერთო გრიგოლ დადიანს, ხოლო სოლომონ მეფეს კი გრიგოლის და – მარიამი.

[ვიდრე ჩვენს თხრობას გავაგრძელებდეთ, გვინდა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ ერთ დამახასიათებელ ამბავზე ამ დიპლომატიურ ქორწინების ისტორიიდან. ამ ეპიზოდით არა მარტო ნინოს კულტურულ-ეროვნული დონე ხასიათდება, არამედ საერთოდ ბაგრატიონთა ტრადიციულად მაღალხარისხოვანი მწიგნობრობა და ინტერესი ლიტერატურისადმი, რასაც ასე ურყევად მოეღწია რუსეთის შემოსვლამდე... ჩვენ მოგვყავს (მგოსან ი. გრიშაშვილის საინტერესო შრომიდან: „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა“, ტფილისი, 1927 წ.) სია იმ წიგნებისა, რომლებიც ფრიად მდიდარ მზითევში (მაგალითად: ერთი კაბა, რომელსაც 1260 მარგალიტი ეკერა), თან გაატანეს გიორგი მეფის ასულს, ნინოს.

ი. გრიშაშვილს ნათქვამი აქვს, რომ ამ „ნაირფერ დოვლათიანობით“ სავსე სიიდან ის მოიხსენიებს მარტო ქართულ წიგნებს; ხოლო შემდეგ კი განმარტავს, რომ წიგნების ამ სიაში მთავარი ადგილი უჭირავს სასულიერო წიგნებს, რომელსაც მგოსანი კვლევაში, სამწუხაროდ, სრულიად არ იხსენიებს და პირდაპირ გადადის საერო ხასიათის წიგნებზე. აი, ეს ფრიად შეკვეცილი სია ნამზითევ წიგნებისა, რომელნიც ერთ-თავად ხელნაწერები ყოფილან: –

ქართლის ცხოვრება.
სიტყვათა კონა.
ქილილა და დამანა.

ზეილანიანი.
ვარდ - ბულბულიანი.
შამი - ფარვანიანი.
გაზაფხულისა და შემოდგომის გაბაასება.
ანბანთ - ქება.
მაჯამა.
ღრამატიკა.
დიალექტიკა.
კატეღორია.
სიბრძნე-სიცრუე.

222

ვისრამიანი.
ჩარლავრიშიანი.
მირიანიანი.
დაფნის ქალაქი.
ყარამანიანი. *) (იხ. გრიშაშვილი, გვ. 58).]

მოხსენებული ქორწინებით მეფის ასულს ნინოს უკვე სიყრმის წლებში დააკისრეს მძიმე მოვალეობა: ურჩი მთავრის ზვიადობა დაეცხრო და იმერეთთან მყარი მშვიდობიანობა შეექმნა **). მნელია იმისი თქმა, თუ რამდენად შესძლო ამ ქალმა ასეთ მძიმე და რთულ ამოცანის შესრულება, მაგრამ ერთი კი აშკარაა – სოლომონ მეფის და მთავარ გრიგოლის შორის მშვიდობიანობა მართლაც ჩამოვარდა და დასავლეთ საქართველომ ერთი ათეული წელი მაინც (სანამ ნინოს ბაბუა ერეკლე და მამა გიორგი კიდევ ცოცხალნი იყვნენ) მოისვენა.

შემდეგში ქართლ-კახეთში რომ რუსეთის მთავრობა დამკვიდრდა და ბაგრატიონთა ტრაღიკული მწუხრი დადგა, დასავლეთ საქართველოში ნიადაგსაც წყალი შეუდგა... რაც ამას მოჰყვა, ის არც სოლომონ მეფის და არც გრიგოლ დადიანის ბრალი არ უნდა ყოფილიყო; ძველ დროის წესი, ისტორიულ გადარჩენის მამა-პაპური უნარი და მისი კიდევ უფრო ძველი, ნაცადი გზები, ეხლა შექმნილ ვითარებას აღარ უდგებოდა... ჩრდილოეთიდან მოწოლილი სტიქია, ქართლ-კახეთიდან ლიხის მთაზე რომ მოგორავდა, სულ სხვა ჯურის გამოდგა და ძველის ხმლით და ხერხიანობით მასთან განმკლავება უნაყოფო ოცნებად იქცა. ამ ძალამ, რომელიც განგებ ანტი-მაჰმა-

*) ი. გრიშაშვილი ამ ცნობის წყაროდ ასახელებს ნ. ერისთავ-შარვაშიძის შრომას: „კნიგა ო პრიდანნომ ცარევნი ნინი გეორგიევნი (1916 წ., მოსკოვი). ჩვენ ვწუხვართ, რომ ეს წიგნი ვერსად აღმოვაჩინეთ; იქნება ამ შესანიშნავ, პატარძალ ნინოს დამახასიათებელ სხვა ცნობებსაც შევხვედროდით...

**) ეს ორი „დიპლომატიური“ ხასიათის ჯვარისწერა, ისტორიკოს ნიკო დადიანის ცნობით, 1789 წ. მომხდარა (იხ. ნ.

დიანურ სამოსელში გახვეულიყო, რომელმაც ქართლის ბაგრატიონთაგან რუსეთს წაღებული ისტორიულ სიწმინდის სიმბოლო – ვაზის ჯვარი – სხვა ჯვრებით და საჩუქრებით ქართლ-კახეთს უკანვე მოჰგვარა, კარგად იცოდა: თუ რა წააქცევდა დასავლეთ საქართველოსაც. ამ ხალხს ოსმალეთიდან მოსვენება უნდოდა და თანაც ეროვნულ-სახელმწიფოებრიობის თუნდა მცირე ნაშთის დაცვა. რუსეთის ჭკვიანმა და ერთგულმა ემისარმა ციციანოვმა *), ჯერ მარტო სოლომონ მეფეს დაუწყო ამ „მშვიდობიანობა-მფარველობაზე“ და „ავტონომიაზე“ ვაჭრობა. თუ მეფე რუსულ ხაფანგში გაებმოდა, იმერეთის ყველა სამთავროებიც ხომ უმტკივნელოდ ზედ „დაემატებოდენ“.

მაგრამ მეფე გულუბრყვილობისაგან შორს იყო; ქართლ-კახეთის და დევნილ ბატონიშვილების მაგალითი მას თვალწინ ჰქონდა; ამ უნუგეშო სურათს ვერც ალექსანდრე ნეველის ბრილიანტით მოჭედილი ორდენი სცვლიდა, ვერც ათას სხვა დიდებათა დაპირება და ვერც რუსეთის მხედრობის არტილერია, ციციანოვს სათანადო „შთაგონებისათვის“ ქართლიდან თან რომ ჩამოეტანა. მეფეს არც ეს „მფარველობა“ ახარებდა და

დადიანის ისტორია, პროფ. ექვ. თაყაიშვილის „ოპისანიე“-ში). მარი ბროსეს ეს დატა სავსებით გამორკვეული არა აქვს ერთ ადგილას (“Histoire de la Géorgie“, ტ. II, ნაწ III, გვ. 254) ის ამბობს, რომ ნინოს ჯვარისწერა 1791 წ. მოხდაო, ხოლო მეორე ადგილას დადიანთა გენეალოგიის ცხრილში აჩვენებს, თითქო ეს ამბავი 1789 წელში ყოფილიყოს. (იხ. "Histoire de la Géorgie“, II, ნაწ. II, გვი 648). ჩვენ გვგონია, რომ ეს უკანასკნელი დატა უფრო სწორია, რადგან საეჭვოა, რომ ყველა იმ ამბების უშუალო მოწმეს და ჩამწერს, ისტორ. ნ. დადიანს ეს დატები ზედმიწევნით არ სცოდნოდა. ისტორ. ბუტკოვიც ამავე წელს ასახელებს. (იხ. ბუტკოვ, „მატერიალი").

*) თუმცა ბატონიშვილი დავითი თვის „ნარკვევებში“ ამ „ღიანერალს“ ისევ „ციციშვილს“ უწოდებდა.

ვერც ზარბაზნები აშინებდენ... შეთანხმება ვერ მოხდა; ციციანოვი დაიღალა და ეხლა ტაქტიკა შესცვალა: სამეფოს ნაწილებს შეუჩნდა და სამეგრელოს მთავარს უშუალოდ მიმართა. ეხლა კი ამას აღუთქვა: დიდი ხნით სადაო ლეჩხუმი, მუდმივი პენსიები, მფარველობა, ორდენ-ხმლები და ოსმალთა ალაგმვა; ხოლო ყველაზე უწინ კი – სამთავროის ავტონომიურ მმართველობის საუკუნოდ დაცვა.

* * *

ამ „აღთქმის“ უკან მართლაც დიდი პერსპექტივები ეშლე-

ბოდა გრ. დადიანს; ლეჩხუმის შემომტკიცება აქ პატარა ეპიზოდი იყო, მთავარი იმედი კი რუსის გაწვრთნილ არტილერიაზე მყარდებოდა... ოდიშ-ლეჩხუმის ჯარების დახმარებით შეიძლებოდა სამურზაყანოს, აფხაზეთის, წებელთის და სხვათა შემოერთება, ფოთის აღება და შავ-ზღვაზე მტკიცედ ფეხის მოკიდება და შემდეგ ვინ იცის: იქნებ ოსმალეთის მიერ ჩამორთმეულ-გამაჰმადიანებულ დანარჩენ ნაწილთა შემოერთებაც. იმერეთის მეფე ხომ ამის ნახევარსაც ვერ მისცემდა დადიანს... ზვიადი, განდიდების სურვილით შეპყრობილი მთავარი ხაფანგში გაება და იმერეთის თავდაცვის საქმეს 1803 წლის რუსეთთან დადებულ ტრაქტატით ზურგში მახვილი ჩასცა.

ალბად ნინომ ბევრი უძილო ღამეები გაატარა, ვიდრე თავის ქმრის გარდაწყვეტილებას შეურიგდებოდა; მაგრამ, რაკი გრიგოლის ახალი გეზი მტკიცე შეიქმნა და შემობრუნება შეუძლებელი გახდა, ნინოც ბედს დაემორჩილა... რუსეთის მფარველობის ქვეშ, რუსულ იარაღის გამოყენებით სამეგრელოს განდიდება-გაძლიერების წადილმა ეხლა ნინოც გაიტაცა; ის მტკიცედ დაადგა ახალ გზას და ქმრის სიკვდილის შემდეგაც, თვის დედოფლობის ხანაში, ეს ხაზი ერთხელაც არ გაუხრია.

ჩვენ თავს ნებას არ მივცემდით, გადაჭრით რაიმე გვეთქვა, ნინოს ქვევით ჩამოთვლილ ამოცანებზე; მაგრამ თუ დედოფლის

თავგამოდებას რუსეთის განმტკიცებისათვის კარგად ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ ალბად მას უფრო სხვა, დაფარული და მაღალი ზრახვანი ამოძრავებდენ. ამ ზრახვებს სათავეს ქართლ-კახეთის სასახლედან წამოღებული რუსულ-ორიენტაციის ტრადიცია აძლევდა. ის სიმტკიცე, რომლითაც ერეკლე მეფე და თვით ნინოს მამა – გიორგი, რუსეთთან ახლო კავშირის აზრს იცავდენ, დედოფლისათვის ეხლა უფრო გარკვეული გამხდარიყო.

ახალ ტალღის გამკლავება სამეგრელოს სამთავროს უკვე აღარ შეეძლო; ამიტომ ერთადერთი აზრიანი გამოსავალი იყო ლოიალობის გამოჩენა და რუსეთის გამოყენება ოსმალეთის ასალაგმავად, დაკარგულ ტერიტორიის დასაბრუნებლად და შინ და გარეთ მოსვენებულ-მშვიდობიანი ცხოვრების განსამტკიცებლად.

იმ თავგასულ ფეოდალების ასალაგმად, რომლებიც განსვენებული მთავარის გრიგოლის ძმების: – მანუჩარის და ტარიელის მეთაურობით გამოდიოდენ, დედოფალს საკუთარი ძალები არ ჰყოფნიდა; დაკარგულ მიწა-წყლის შემომტკიცებაზე ხომ ფიქრიც შეუძლებელი იყო; და თუ ერთხელ სანატრელი ბაბუა ერეკლე რუსებთან კავშირით ოსმალეთის დამარცხებას და საქართველოს ძველი აკვნის: სამცხე-საათაბაგოს

შემოერთებას ფიქრობდა *) და ამიტომ 1783 წლის ხელშეკ-
რულებას სდებდა, რად არ შეიძლებოდა ნინოს ქმრის, გრი-
გოლის ცნობილი ტრაქტატიც სამეგრელოს ასეთივე მიზნით გა-
მოეყენებინა და რუსეთის ჯარებით საქართველოს უძველესი
კუთხის – აფხაზეთის შემოერთებაზე ეფიქრა... მაგრამ ნინო
ხომ ერეკლე არ იყო და მისი სამთავროც, ძალიან შორს იყო
ქართლ-კახეთის იმ დროინდელ ძლიერებისაგან; ამ დედოფ-
ლის შესაძლებლობა და ასპარეზიც ვიწროდ იყო შემოფარგუ-

*) პროფ. ზ. ავალიშვილის - „პრისოედინენიე გრუზიი
კ როსსიი“, გვ. 124, 167; აგრეთვე – ს. კაკაბაძის: „ახალ
საუკუნეთა ისტორია“, გვ. 221.

ლი და დიდი იმპერიის დიდ გზებს ეს პატარა ბილიკები ვერ
გადასჭრიდენ... რუსეთის იმპერიას აფხაზეთიც, ფოთიც და სა-
მეგრელოც ძველ საქართველოს ტერიტორიალურ გამრთელე-
ბისათვის კი არ უნდოდა, არამედ საქართველო მას მთლიანად
სჭიროდა კავკასიაში სამუდამოდ გასამაგრებლად და ქედმა-
ღალ მთასთან ენერგიულ ბრძოლათა საწარმოებლად. ამიტომ
რუსეთის ენა და სტილი სულ სხვა იყო დედოფალ ნინოსადმი,
ვიდრე თავის დროზე მეფე ერეკლე, ან თუნდაც უკვე დაუძ-
ლურებულ გიორგი მეფისადმი... საქმის არსებით მხარეს ეს
მაინც არ სცვლის და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ გარკვეულ რუ-
სულ ორიენტაციის დროს დედოფალ ნინოსაც იგივე წმინდა
მიზნები და სამშობლოს მომავლისათვის ზრუნვა ამოქმედებ-
და, რაიც თავის დროზე ქართლ-კახეთის სამეფოს.

რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ეს უფრო განწირული ცდა
უნდა ყოფილიყო და სუსტი სამეგრელო დიდ რუსეთის მხე-
დრობას და პოლიტიკურ გავლენას თავისთვის ვერ გამოიყე-
ნებდა; მაგრამ ცდა აქაც ბედის მენახევრე იყო და 1803 წლის
აქტის შემდეგ დედოფალს ხომ სხვა გზა არ დაშთენოდა.

თუ დედოფალ ნინოს ამ მხრივ მივუდგებით, მისი პირო-
ვნება ბევრად უფრო გაშლილი და ნათელი სახით გამოჩნდე-
ბა, ვიდრე ეს აქამდე ჩვენ ვიცოდით და ვიდრე ოფიციალური
დოკუმენტები საამისო საბუთს იძლევიან. ამ შემთხვევაში
მართლაც შეგვეძლება ავხსნათ უცნაურობა იმ ბილიკებისა,
რომელსაც ეს ქალი უმძიმეს წლებში მტკიცედ მიჰყვებოდა.
არც ის გაგვაოცებდა რომ ეს ბილიკები რუსულ იმპერალიზ-
მის ფართო გზებს უერთდებოდა. ვიმეორებთ, ნინო დედოფა-
ლი 1803 წლის აქტით მომხდარ ფაქტის წინ იყო უკვე დაყე-
ნებული და ეხლა მისმა გამჭრიახობამ და ელასტიურმა ლოია-
ლობის პოლიტიკამ რუსეთის ძალის თავისთვის გამოყენება
სცადა...

უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართლ-კახეთში რუსთა გამა-

გრების შემდეგ იმერეთის წინააღმდეგობა ნინოს განწირულად მიაჩნდა და, ალბად, გრიგოლთან ერთად ისიც ფიქრობდა რუ-

სეთთან დადებულ ხელშეკრულებით და მისი მფარველობით სამეგრელოს სამთავროის ავტონომიურ არსებობის შენარჩუ-ნებას. იქ, საცა ხმლით წინააღმდეგობა უაზრობა იყო, მოსულ ძალასთან უფლებრივ, ურყევ ნორმათა შემუშავება და იური-დიული გამიჯვნა საჭირო და რაციონალი ყოფილიყო.

ამ დღიდან ნინოს მხოლოდ სამეგრელო მიაჩნდა ქართულ პოლიტიკურ რაობის გახანგრძლივებულ დასაყრდენად და აშ-კარად სამეგრელოს გაფართოება-გაძლიერებაზე იღწვოდა... ამიტომ საფიქრებელია, რომ ლეჩხუმის გამო სოლომონისა და გრიგოლის შუა ატეხილ დავაში ნინო თავის ქმრის მხარეზე იდგა. ასეთ პირობებში მათში დიდი სხვაობა არც უნდა ყოფი-ლიყო და უეჭველად უარსაყოფია ის მოსაზრება, თითქოს გრიგოლის მოწამვლაში ნინოს რაიმე მონაწილეობა მიეღოს. გარდა იმისა, რომ ასეთი ვერაგული ნაბიჯი მის ლმობიერ და კეთილშობილ ბუნებას არაფრით არ უდგებოდა, ეს არც შე-იძლებოდა შესულიყო მის პოლიტიკურ ანგარიშში. ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ ნინო დიდის თავ-გამოდებით იცავდა პა-ტრი ნიკოლაისაც, რომელიც ციციანოვის აზრით, სოლომონ მეფის მიგზავნილი უნდა ყოფილიყო მთავრის მოსაწამლავად*).

* *

შედარებით დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოება ნინოს 1804 წლიდან უნდა დაეწყო, როცა ის სამეგრელოს დედოფლად იქმნა გამოცხადებული. მისი უფროსი ვაჟი, ლევანი (მემკვი-დრე) ამ დროს ოსმალეთის ვასალს ქელაიშ-აჰმედ-ბეგ შარ-ვაშიძეს მძევლად ჰყავდა აფხაზეთში. ხოლო დანარჩენი მცირე წლოვანი შვილები: ეკატერინე, ელენე, მარიამი, ქეთევან და გიორგი დედასთან იმყოფებოდენ სასახლეში.

---

*) იხ. ნინოს წერილი მთავარმართებელ გუდოვიჩისადმი 12 დეკემბერს 1806 წ. („Акты“, III, № 328).

დედოფლისათვის პირველი საზრუნავი საგანი უნდა ყოფი-ლიყო მემკვიდრეს ტყვეობიდან დახსნა, სამეგრელოში ჩამო-ყვანა და მისის სახელით ქვეყნის მართვა-გამგეობა. მაგრამ დედოფალი სხვა მხრივაც უვლიდა ამ საკითხს: ეს იყო პირვე-ლი ცდა რუსეთის იარაღისა და დიპლომატიის დახმარებით აფხაზეთზე შეტევისა... ნინომ ოდიშ-ლეჩხუმის ჯარი ღენე-რალ რიხკგოვის რაზმს შეუერთა და ამ ჯარმა მალე ანაკლია

აიღო. დედოფალის და მისი საბჭოს (რომელშიაც შედიოდნენ: ისტორიკოსი ნიკოლოზ დადიანი, ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ბესარიონ, სახლთ-უხუცესი გიორგი ჩიქოვანი და ლეჩხუმის მოურავი ბერი გელოვანი) მიზანი იყო ამ გამარჯვებით ფართოდ სარგებლობა, მთელი აფხაზეთის დაჭერა და ოდიშისათვის შემოერთება; მაგრამ ქელაიშ-აჰმედ-ბეგი რუსთ უცებ მოურიდგა და მემკვიდრე ლევანი გაანთავისუფლა...

ტყვილა ეცადა დედოფალი საქმის ბოლომდე მიყვანას; ამ ჟამად ეს რუსეთის ანგარიშში არ შედიოდა; წინააღმდეგ პეტერბურგს, სპარსეთთან გართულებულ მდგომარეობის გამო, ოსმალეთთან კეთილი განწყობილების შენახვა აინტერესებდა... ამნაირად დედოფლის იმედები ჯერჯერობით მაინც გაცრუვდენ და მან ოდიშის ჯარი იძულებით უკან გამოაყვანინა.

მაგრამ ოსმალეთის ხელიდან აფხაზეთის გამოხსნის აზრს ნინო არ სტოვებდა; და ამნაირად საქართველოს ეს უძველესი კუთხე, საიდანაც ჯერ კიდევ დიდებულ დავათ კურაპალატის დროს საქართველოს სახელმწიფოს გამაერთიანებელი ძლიერი ნაკადი წამოვიდა, დედოფალ ნინოსათვის იგივე გამხდარიყო, რაც ერეკლესთვის სამცხე-საათაბაგო იყო. მაგრამ როგორც ვსთქვით, ეხლა ერეკლეს სახელოვანი და დიდი საქართველო აღარ ლაპარაკობდა და ამიტომ დედოფალ ნინოს არგუმენტებიც სულ სხვა გვარი სახის იყო: თუ ერეკლე რუსთ სამაჰმადიანო საქართველოს დასაპყრობლად აქეზებდა და პირისპირ ეუბნებოდა, რომ ეს მიწა-წყალი ძველ საქართველოს ისტორიული აკვანი ყოფილა და ისევ საქართველოს უნდა დაუბრუნდესო, დედოფალი ნინო თვით რუსეთის იმპერიის გასაძლიერებლად და ეკონომიურ-პოლიტიკურ სარგებლო-

ბიანობისათვის ურჩევდა პეტერბურგს აფხაზეთის დაპყრობას. მაგრამ დედოფლის საბოლოო მიზანი დღეს მაინც აშკარაა ჩვენთვის. თუ რუსეთის და სამეგრელოს ჯარი აფხაზეთს ოსმალთ ჩამოაცილებდა, ეს ადმინისტრატიულად და კულტურულად ოდიშის გავლენის ქვეშ მოჰყვებოდა, როგორც ძველადაც ყოფილა; ამით სამეგრელოს ავტონომიურ სამთავროს საზღვრები საგრძნობლად გაიზრდებოდა და აფხაზეთსაც გამაჰმადიანების და ეროვნულ-კულტურულ გადაგვარების საფრთხე ასცილდებოდა.

მალე დედოფალ ნინოს შესაფერი მომენტი ხელმეორედაც დაუდგა, აფხაზეთის მმართველი (რომლის რამდენიმედ გადმობირება დედოფალმა უკვე მოახერხა) ქელიაშ-აჰმედ-ბეგი მისი შვილის, არსლან-ბეგის მიერ მოკლულ იქმნა. ეს იყო აქტიური შემოტევა ოსმალეთისა, რომელსაც აშინებდა ქალაიშ-აჰმედ-ბეგის და დედოფალ ნინოს შერიგება და – ფარული, შეთანხმებული მოქმედება რუსეთთან პროტექტორა-

ტის სახით დასაკავშირებლად.

ნინომ სწრაფად ოდიშ-ლეჩხუმის ჯარი შეჰკრიბა და ქელაიშ-აჰმედ-ბეგის უფროსი ვაჟის სეფერ-ალი-ბეგის მომხრედ გამოაცხადა თავი. აფხაზეთის სამთავროს ეს მემკვიდრე (ქრისტიანობაში გიორგი შარვაშიძე) სიძე იყო დედოფალ ნინოსი (მას ცოლად გრიგოლ დადიანის დაჲ ჰყავდა), და უკანასკნელთან ერთად აფხაზეთ-ოდიშის გაერთიანებაზე ფიქრობდა.

დედოფალმა 8 ივნისს 1808 წ. შესაფერის თხოვნით მიმართა ხელმწიფეს და ამავე დროს გუდოვიჩსაც და უმტკიცებდა ამათ აფხაზეთის იარაღით დაპყრობის აუცილებლობას. ქრისტიანულ, წმინდა მოვალეობის შესასრულებლად, ურჯულო და მამის მკვლელ ასლან- ბეგის (რომელიც ამ დროს სოსუმის ციხეში გამაგრებულიყო) დასასჯელად და თვით რუსეთის იმპერიის მომავალ სარგებლობა-გავლენისათვის დედოფალი ხელმწიფეს სწერდა: ... „და ესერა, უთვითმყრო-

ბელესო ხელმწიფეო, მარჯვე ჟამი არს მიღებად საფარველთა თქვენთა ქვეშე, ვინაიდგან არს **წევრი***) და მეზობელი ჩვენი და იყო უწინარესვე ხელთა ქვეშე სამთავროთა ჩვენთა მყოფი.

და ესე რა **მოქმედებითა ჩვენითა** მითვალულ იქმნეს მონებათა იმპერატორებისა თქვენისათა, რომელ მიემატების რუსეთისა საიმპერიოსა ჩვენთანა ავხაზეთი (სიკ) ვიდრე ჯიქეთამდე განვრცელებად, რომელიცა ემახლობელების ტავრიასა.

თუმცა ჟამმან ცვლილებისამან და მეზობლისა უთანხმოობამან **განხადა მფლობელობისაგან სამთავროისა ჩვენისა ესე ავხაზეთი,** გარნა უწინარეს იყო მკვიდრი ტახტი ნიკოპსისა, დადიანისა, ლევანისა და წინაპართა მათთა და გარდაცვალებული კაცია დადიანი, მამა ახლად გარდაცვალებულისა გრიგოლ დადიანისა ახდევინებდა ხარკსა და არს უკვე წევრი სამეგრელოისა, რომლისათვის მარჯვედ მისაღებელ არს მონარხობისა მიერ თქვენისა, რომლისათვის ვსასოებ...“ **)

ასე მოხერხებულად ასაბუთებს დედოფალი ოდიშის ისტორიულ უფლებას აფხაზეთის სამთავროზე; მაგრამ იცის რა, რუსეთს ამ საბუთით ვერ დააჯერებს ჯარების მოსაშველებლად – ვითომ იმპერიის გაფართოება-გაძლიერების გეგმას წამოაყენებს. ხოლო მთავარმმართებელ გუდოვიჩს კი უფრო სარწმუნოებრივ-ქრისტიანულ მოტივებზე მიუთითებს და დაპირებებსაც აძლევს, რომ მთელი ეს მხარე გაქრისტიანდება და რუსეთის მისიონერული ღვაწლი საქვეყნოდ აშკარა გახდებაო.

დედოფალი ამავე დროს გზა და გზა ამ მხარის ისტორიულ

დამსახურებას აღნიშნავს, საქრისტიანო კულტურის დაცვა-განმტკიცების საქმეში; ასახელებს მის ძველ ტაძრებს, მონასტ-რებს და თითქო ამ დამსახურებათათვის დიდ საქრისტიანო იმ-პერიიდან შესაფერ ყურადღებას მოითხოვს.

---

*) აფხაზეთზეა ლაპარაკი.

**) იხ. ზემო აღნიშნული მიმართვა დედოფლისა რუსეთის იმპერატორისადმი ,,Ауты“, ტ. III, გვ. 201.

... „და აწცა, ამბობს დედოფალი, „ოდეს მოხედავს თქვენ მიერთა კარისა განღებითა უთვითმყრობელესი ხელმწიფე ჩვე-ნი და მიიღებს მონად თვისთა*), მაშინ განაცხადებს სარწმუ-ნოებასა ჩვენსა არა თუ ესე მხოლოდ, არამედ ყოველი ავხა-ზეთი. ესეთ აღმითქვეს მე“, აგულიანებს დედოფალი მთავარ-მმართებელს, „ყოველთა ავხაზეთისა თავადთა და აზნაურთა და ხოლო გლეხნი მოსწრაფებით მზა არიან, ვინადგან უმე-ტესნი ქრისტიანობენ და სწამთ ჯვარი და ხატი ჩვენი; და არს დიდნი პირველად ზუფუს საპატრიარხო ეკლესია ბიჭვინ-ტისა, მეორედ კვალად სასახლისა ეკლესია, კვალადვე ზუფუს მესამე დორანდისა, რომელიცა დღესმე დაურღვევლად სდგას სამფლობელოსა ამისსა, და ჩვენსა სამფლობელო ავხაზეთისა შინა არს ეკლესია ილორისა, მოქვისა და ბედიისა და სხ.“ **).

განმარტავს რა შემდეგ დედოფალი მატერიალურ-სტრატე-გიულ სარგებლობას, რასაც აფხაზეთის შემოერთება რუსეთს შემატებს, ითხოვს ჯარებს თავის სიძის გ. შარვაშიძის დასახმა-რებლად და სოხუმის „შემოსაზღუდავად“; „ყოველი ესე წა-რდგების **შემატებად**“, ამბობს დედოფალი, **„რუსეთის მპყრო-ბელობასა** შავთა ზღვათა სანაპირონი, მახლობელად ყირიმისა და განვრცელების მადლი მისებად ხელმწიფისა ჩვენისა, რო-მელ არა მცირე არიან სიმრავლენი ავხაზთანი და ოდეს ისე ეს-რედ იქმნების მეზობელნიცა მათნი ჯიქნი და ალანნი მოსწრაფე იქმნებიან შევრდომად ხელმწიფისა ჩვენისა...“ და სხვა ***)

როგორც ვხედავთ, დედოფალს სურს ამ შემთხვევის ბო-ლომდის გამოყენება; ის არა მარტო აფხაზეთის შემოერთებაზე ფიქრობს, არამედ მეზობელ პროვინციების (ჯიქეთ-ალანეთის) სამეგრელოს გავლენის ქვეშ მოქცევასაც ლამობს.

მაგრამ დედოფალი თითქოს არც თუ იმდენად იყოს რუს-

---

*) მემკვიდრე გ. შარვაშიძეზეა ლაპარაკი.

**) იხ. წერილი დედოფლისა გუდოვიჩისადმი, 8/6 1808. „Акты“, ტ. III, № 370.

***) იგივე, გვ. 202.

თა ჯარებისგან დამოკიდებული, თითქოს მას მიზნად ჰქონ-
დეს, მთავარი ძალები თვითვე წამოაყენოს აფხაზეთის დასაჭე-
რად; და რუსთა დახმარებას მარტო იმ შემთხვევისათვის ით-
ხოვს: „უკეთუ ძნელ იქმნების ჩვენ მიერ აღებად ციხე იგი
სოხუმისა“-ო...

რათა კიდევ ერთხელ თვალსაჩინო გახადოს ისტორიული
უფლება აფხაზეთზე, დედოფალი თავის ტიტულს ძველის წე-
სითვე ხმარობს: „მთავრინა სამეგრელოისა **და სხვათა** ნინო
გიორგის ასული“... ამ „სხვათა“-ს თქმით რეზერვია მოცემული
აფხაზეთისათვის, რომელიც დედოფლის სიძის ხელში უნდა
გადასულიყო.

დედოფალმა იცოდა, რომ დიპლომატიურ წარდგენას შე-
საფერ ძალას მარტო რეალური ნაბიჯი თუ მისცემდა და
როცა ის ამ სტრიქონებს სწერდა, ოდიშის ჯარით უკვე აფხა-
ზეთის საზღვარზე იდგა *).

დედოფლის ფართო გეგმებიდან ამ ჟამად არა გამოვიდა
რა; რუსეთის მმართველობა შეეცადა გ. შარვაშიძისაგან „წე
რილობითი წინადადება“ მიეღო, რომ ის აფხაზეთზე ხელს
იღებდა და თვის სამთავროს სამუდამოდ რუსეთის იმპერიას
უერთებდა; ხოლო რაც შეეხებოდა სამხედრო დახმარებას
თურქთა ვასალობისაგან აფხაზეთის განსათავისუფლებლად,
რუსთ საამისოდ საკმაო ჯარი არ აღმოაჩნდათ, რადგან ეს ძალები
სოლომონ მეფის წინააღმდეგ ჰყავდათ დაბანდებული. ამ მხრივ
დამახასიათებელია გუდოვიჩის წერილი რიხკგოვისადმი (14/VII,
1808 წ.), საცა მას წინადადებას აძლევს: შესაფერი „თხოვნითი
პუნქტები" ჩამოართვას გ. შარვაშიძეს და რუსეთისადმი ერდ-
გულების დასამტკიცებლად უფროსი ვაჟი მოსთხოვოს მძევ-
ლად. ხოლო გ. შარვაშიძის მდგომარეობის გასაძლიერებლად,
რათა მან არსლან-ბეგი სოხუმის ციხიდან განდევნოს, **„ნებას
გაძლევთ** მისცეთ მას შესაძლო დახმარება სამეგრელოს დედო-

---

*) იხ. რიხკგოვის მოხსენება გუდოვიჩისადმი, 10/VI, 1808
„Акты“, ტ. III, № 371.

ფლის სიძის – მანუჩარ შარვაშიძის ჯარებით; და – დაარწმუ-
ნოთ დედოფალი და მანუჩარი, რომ ასეთი მათი დახმარება ხელ-
მწიფე იმპერატორს საამოდ დაურჩებოდა“-ო... *).

შემდეგ წლის მოხსენებიდან, რომელიც მთავარმართე-
ბელს პეტერბურგში გაუგზავნია, მართლაც ირკვევა, რომ რუ-
სეთის მმართველობას დედოფლის წინადადება თავისებურად
გამოუყენებია: გ. შარვაშიძისაგან „თხოვნით პუნქტების“ და
მძევლის ჩამორთმევით (აფხაზეთის რუსეთთან შეერთების მიზ-
ნით), ხოლო მათთვის დასახმარებლად არც ერთი რუსის ჯა-

რის კაცი არ მიუცია. **).

ასე უპასუხა დიდმა იმპერიამ პატარა სამეგრელოს დედოფალის პატრიოტულ ზრახვებს. ამის შემდეგ ლოიალობის პოლიტიკაში თითქოს გამოფხიზლება უნდა მომხდარიყო, მაგრამ დედოფალმა ტრადიციულ ხაზს მაინც არ გადაუხვია და რუსეთის უხეშ ღალატს – ახალის ერდგულობით უპასუხა.

ამ ჟამად საკითხი ფოთის ციხეს შეეხებოდა; ის იყო მთავარი ბაზა ოსმალეთის გავლენისა შავი ზღვის ამ ნაპირებზე (სამეგრელო-აფხაზეთი), ხოლო მეორე მხრით – კავშირი იმერეთთან; სოლომონ მეფე თავგამოდებულ ბრძოლებით ამ ძველ სამეფოს ჯერ კიდევ ამაგრებდა და რუსულ ტალღას აქეთ არ უშვებდა...

ვიდრე ფოთის ციხე თურქთა ხელში იყო, არც სამეგრელო შეიძლებოდა მოსვენებით ყოფილიყო. რუსეთმაც ამ მდგომარეობას სწორად აუღო ალღო, რაკი დარწმუნდა, რომ სოლომონ მეფესთან ბრძოლას მანამ არ შეეძლო სასურველი შედეგის მოტანა, ვიდრე იმერეთს შუქრი-ფაშასთან პირდაპირი კავშირი ჰქონდა და ახალციხის საფაშო ფოთის გარნიზონთან ასე გადამბული იყო.

---

*) იხ. წერილი გუდოვიჩისა; „აქტი“, ტ. 3; გვ. 207.

**) იქვე, მოხსენება გუდოვიჩისა გრ. სალტიკოვისადმი, № 375.

მთავარმართებლის ტორმასოვის მიერ დედოფალ ნინოს დასახმარებლად მივლინებულ რუსულ რაზმების მეთაური ღენ.-მაიორი ორბელიანი ასე ახასიათებდა ფოთის სტრატეგიულ ძალას: „ფოთის ციხე ყველაზედ მნიშვნელოვანია ჩვენთვის *), როგორც სურსათის გადმოსატვირთავად და რიონით იმერეთისაკენ უხიფათოდ მის გადასაზიდად, აგრეთვე თურქეზის ვერაგულ კავშირის ასალაგმავად იმერეთთან და სამეგრელოსთან“... **).

მართლაც, ოსმალეთის ამ საფრთხის შესახებ ერთის თვის შემდეგ დედოფლისაგან ღენ. ორბელიანს დიდათ დამაფიქრებელი ცნობები მოუვიდა. ამ ჟამად მდგომარეობას ის ართულებდა, რომ დედოფლის ცდამ სოხუმის ციხის ასაღებად უნაყოფოდ ჩაიარა... რუსეთმა, როგორც ვიცით, მას არც ერთი ჯარის კაცი არ მიახმარა, სამაგიეროდ მოწყალებით „ნება მისცა" თვით წარსდგომოდა პირისპირ არსლან-ბეგს, რომლის უკან ძლიერი პორტა იდგა... ამგვარ ავანტიურას, რომელსაც შეიძლებოდა ოსმალთა ჯარის სამეგრელოში შემოჭრა მოჰყოლოდა, დედოფალი მოერიდა და ოდიშ-ლეჩხუმის ჯარები უკან წამოიყვანა. ნინოს ასეთმა სიფრთხილემ მოწინააღმდეგე უფ-

რო გაათამამა და ეხლა არსლან-ბეგისა და ქუჩუკ-ბეგის***) შუა მჭიდრო კავშირი გაიბა; მით უმეტეს, რომ ოსმალეთის ეს ორი ვასალი, სოხუმის და ფოთის ციხე ხელთ რომ ეპყრათ, შარვაშიძეები იყვნენ და ნათესაურის ერთგულებითაც დაკავშირებულნი.

დედოფალი ორბელიანს ატყობინებდა, რომ კონსტანტინოპოლიდან საგანგებო გემი იქმნა გამოგზავნილი სოხუმს არ-

---

*) ე. ი. რუსეთისათვისო; ციციანოვის დაფნის გვირგვინი ხომ ღენ. ორბელიანსაც არ აძლევდა მოსვენებას!

**) იხ. ორბელიანის პატაკი ღენ. ტორმასოვისადმი, (30/V 1809, „Акты“, ტ. IV, № 515.

***) ფოთის ციხის სარდალი, ოსმალეთის გარნიზონის უფროსი.

სლან-ბეგის დასახმარებლად, საჩუქრებით და რუსთა საწინააღმდეგოდ დაპირება-იმედებით დატვირთულიო. ორბელიანმაც შეიტყო, რომ ფოთის ციხის უფროსი დამხმარე ჯარებს აგროვებდა ციხე რედუთზე და თვით სამეგრელოზე დასაცემად. ამავე დროს, ოსმალეთი ანაკლიის ციხის აღებით მთელ აფხაზეთზე გავლენას მოიპოვებდა, გადიბირებდა წებელთასაც და თურქ-აფხაზეთის გაერთიანებულ ძალებით სამეგრელოში შევიდოდა.

ღენ. ორბელიანი დედოფლის თხოვნის ასასრულებლად დახმარების შესახებ – იმერეთიდან ჯარების ნაწილის გადმოყვანას და სამეგრელოს გამაგრებას უცილოდ სცნობდა: „თუ ასე არ მოვიქეცით, ან თუ ქართლიდან ჯარი არ მოვიშველიეთ, სამეგრელოს და აფხაზეთის კარები ღია დარჩებიან მტერთა შემოჭრისათვის“...*). სამეგრელოს მდგომარეობას კიდევ ის ართულებს, რომ შიგ სამთავროში დედოფლის ძალაუფლების გავლენა საგრძნობლად იკლებს; მისი ორი მაზლი (მანუჩარ და ტარიელ დადიანები) ახალციხის საფაშოსთან და იმერეთის სამეფოსთან არიან აშკარა კავშირში; გრიგოლ დადიანის ამ ზვიადი ძმების ინტრიგები დედოფლის გეზს ეღობებიან და მის რუსულ-მეგრულ ორიენტაციას იმერ-თურქულ პოლიტიკას უპირდაპირებენ...

ამიტომ ცდილობს დედოფალი ამოეფაროს რუსული ჯარის ავტორიტეტს და გავლენას ამ ურჩ ფეოდალების ასალაგმავად და სამეგრელოს ცენტრალ ხელის უფლების განსამტკიცებლად. ეს იგივე პოლიტიკაა, რომელსაც ის ქართლ-კახეთის არსებობის უკანასკნელ წლებში გაეცნო, როცა მისი მამა – გიორგი მეფე – ასე მტკიცედ ატარებდა ამ ხაზს აჯანყებულ ძმათა: იულონის, ალექსანდრეს და ვახტანგის წინააღმდეგ.

დედოფალმა დიდის სიხარულით მიიღო ღ. ორბელიანი; რუ-

სის ჯარების ეს ახალი სარდალი თავის გავლენის განსამტიცებლად ნინომ მართლაც კარგად გამოიყენა. ღენ. ორბელიან-

*) „აქტი“, ტ. 4; პატაკი ორბელიანისა ტორმასოვს, № 519

მა ურჩი თავადები დაიბარა და შესაფერ პუნქტებზე, რომლითაც დედოფლის ძალა და ავტორიტეტი მთელ სამეგრელოზე უდაოდ იყო გამოცხადებული, უპირობოდ მოაწერინა ხელი.

შემდეგ დედოფლის თხოვნითვე ორბელიანმა ეს პირობები მთავარმართებელ ტორმასოვსაც დაამტკიცებინა და მთელ სამეგრელოს ხალხს ამცნო ვით სახელმძღვანელო წესები*).

მალე ორბელიანმა ფოთის ციხეს ალყა შემოარტყა; ბრძოლა, მიუხედავად დედოფლის ჯართა დახმარებისა, ხანგრძლივი და მძიმე გამოდგა. ტორმასოვი მოთმინებას კარგავდა, ღენერალ ორბელიანს საქმის გაჭიანურებას უსაყვედურებდა, მაგრამ ახალ საკმაო ჯარებს მაინც ვერ აწვდიდა. საქმე ბოლოს მაინც მამია გურიელის განდგომამ გადასწყვიტა, რომელიც სამეგრელოს ჯარს მოემხრო და შუქრი-ფაშას დაპირებულ მიშველების ნაცვლად, ზურგიდან მახვილი ჩასცა. ამრიგად ფოთი ახალციხის ჯარებისაგან მიტოვებული, ბოლოს ორბელიანს დანებდა...

ჩვენთვის საყურადღებოა ის თავდადება და სიმამაცე, რომელიც დედოფალმა მთელ ამ ოპერაციის დროს გამოიჩინა.

უნდა ვიფიქროთ, რომ დედ˜მა ნინომ ამგვარი ურყევი მოქმედებით გურიის მთავრის მამიას პოზიციის შეცვლაზე შესაფერი გავლენა იქონია; თუმცა ისტ˜სი პოტტო (ტ. 2, გვ. 31) და დუბროვინი 5, გვ. 262) გურიის მთავრის ასეთ მოქმედებას მარტო ჯუმათის მიტროპოლიტ იოსების გავლენას მიაწერენ.

მაგრამ თუ ჩვენ ამ საგანს უფრო დაკვირვებით მივუდგებით, უნდა ვიფიქროთ, რომ დედოფალი ნინო ცდას არ დაკლებდა, რათა გურიის მთავარი თავის მოკავშირედ გაეხადა. ის ყოველგვარ საშუალებას იღონებდა დაერწმუნებინა გურიელი, რომ ოსმალეთის ორიენტაცია სამთავროებს გაამაჰმადიანე-

*) იხ „პირობა“ მოწერილი დედოფლისა და სამეგრელოს წარჩინებულთა მიერ, 10/V, 1809 წ. შემდგარი 15 მუხლისაგან. („Акты“, ტ. IV, № 513).

ბდა და საქართველოს დანარჩენ ნაწილებს საბოლოოდ მოსწყვეტდა; რომ მთავრისათვის უფრო ხელსაყრელი იყო იმავ პირო-

ბებზე შესთანხმებოდა ძლიერ რუსეთს, როგორიც 1803 წ. გრ. დადიანმა ციციანოვის მეშვეობით ხელმწიფესთან დასდო; რომ ამ სახით გურია გარეშე საფრთხეს აიცდენდა – მშვიდობიან ცხოვრებას და წარმატებას მიეცემოდა და შინაურ საქმეებში თვის დამოუკიდებლობას შეინარჩუნებდა.

მამიამ მართლაც მალე დასდო ამგვარი ხელშეკრულება რუსეთთან და იმპერიის მფარველობა აღიარა. (მისმა მეუღლე სოფიომ ეს ხაზი მამიას სიკვდილის შემდეგ, როგორც ვიცით, დასტოვა და ბოლომდე რუსეთის შეურიგებელი მტერი დარჩა...)

გურიის მთავრის მოქმედებამ ფოთის აღების საკითხი გადასწყვიტა. ყველა ამის შემდეგ გურია სოლომონ მეფესთან და სამეგრელოში იმის მოკავშირე ფეოდალებთან (ტარიელ და მანუჩარ დადიანებთან) კავშირს სწყვეტს და ერთბაშად დედოფალ ნინოს მხარეზე სდგება...

ამის შემდეგ იმერეთის ყველა ბრძოლაში (1810-1811 წ.) გურიისა და სამეგრელოს რაზმებს ჩვენ ორბელიან-ტორმასოვ-სიმონოვიჩთან და რუსულ ჯართან ერთად ვხედავთ. ეხლა ესენი სოლომონ მეფეს მედგრად ერთად უტევენ და ამ სახელოვან და თავდადებულ მეფეს ორჯერ აიძულებენ იმერეთიდან გაქცევას...

მაგრამ დავუბრუნდეთ დედოფლის ამბებს. ეს ქალი ორბელიანის რაზმს არა მარტო დიპლომატიით (გურიის გადმობირებით) დახმარებია, არამედ ნინო ოდიშის ჯარით და მემკვიდრე ლევანითურთ განუწყვეტლივ ბრძოლის ხაზზე ტრიალებდა და თვით ორბელიანს ამხნევებდა... მან კარგად იცოდა, რომ ოსმალეთთან ყველა ანგარიში უკვე გათავებული იყო და რაიმე სახის შეთანხმების ხიდეებიც აფეთქებული. იცოდა, რომ იქიდან სამეგრელოში შურისძიების წყურვილით შეპყრობილი ოსმალეთის ძალა იჭრებოდა; და ამიტომ თურქთა ბუდე, ფოთი და სოხუმი უნდა დანგრეულიყო და რუსეთის მფარველობის ქვეშ სამეგრელოს შემოერთებოდა. ასეთი იყო დედო-

ფალის ანგარიშები, მაგრამ ამ ანგარიშმა ის, როგორც დავინახავთ, მწარედ მოატყუილა... ფოთიდან თურქები განდევნეს, მაგრამ რუსებმა ფოთი დედოფალს არ მისცეს, არამედ სოლომონის წინააღმდეგ ბაზად გამოიყენეს, ხოლო დედოფალს კი მისი დამსახურებისათვის, წილად „რაინდი ქალის" ატესტაცია ხვდა. ამაზე ტორმასოვი ხელმწიფეს სწერდა: განსაკუთრებულად სამართლიან პატივისცემას იმსახურებს, ღვაწლი სამეგრელოს დედოფლისა. იმიტომ რომ... მის ცდას უნდა მივაწეროთ: გადმობირება საფარ-ალი-ბეგისა (გ. შარვაშიძისა), რათა მთელი აფხაზეთის სამთავროით ის რუსეთის საუკუნო მფარველობა-ქვეშევრდომობაში შემოსულიყო; დედოფლის დამ-

სახურებაა ისიც, რომ აფხაზეთი არავითარ დახმარებას არ უწევდა ალყა შემორტყმულ ფოთის ციხეს. ამის გარდა, ფოთის ალყის დროს, დედოფალმა ორბელიანის რაზმს თვისი ჯარები შეუერთა შეფირ-ფაშის დასამარცხებლად... იგი ჩვენს რაზ-მებს რამდენიმეჯერ საკვებს და მუშა ხელს აწვდიდა უფასოდ, რამდენიც კი საჭირო ხდებოდა და ბოლოს, რათა სიმხნისა და ერთგულების მაგალითი დაენახვებინა თვისი ჯარებისა და ვაჟისათვის (მემკვიდრე ლევანისათვის), ხშირად თვის სიცო-ცხლეს დიდ ხიფათში აგდებდა და მოდიოდა ჯარში, ბრძო-ლის წინა ხაზზე და – ხშირად იმ ადგილასაც იმყოფებოდა, საცა საარტილერიო ბატარეის დადგმანი ხდებოდა *). ამისთანა სიმხნე-სიმტკიცის და ერთგულება-თავდადების მაგალითი ჯერ აქ არავის უნახავს**).

* *
*

ისტორიკოს დ. ბაქრაძეს არქეოლოგიურ მოგზაურობის დროს (გურია-აჭარაში) სოფ. ბირკნალში თომა გიორგის ძე

---

*) დედოფლის პირად სიმხნე-სიმამაცეზე და საერთოდ ოდიშის ჯარის დიდ მნიშვნელობაზე თურქთა დამარცხების საქმეში იხ. აგრეთვე მარი ბროსე II, ნაწ. II, გვ. 291.

**) იხ. ტორმასოვის მოხსენება მინისტრ რუმიანცევისადმი, 1810 წ. „Акты“, IV, № 524.

ერისთვის ოჯახში, (ეს თომა იყო დედოფალ ნინოს შვილის-შვილი), უპოვნია დედოფალ ნინოს ნაქონი ზოგიერთი ნივთი: სახვათა შორის – ვერცხლის დისკოსი, წარწერით: – „ოდი-შის დედუფალი ნინო“, ოქროთ მოჭედილი სახარება წარწე-რით: – „ესე სახარება ბატონის დედუფლის ნინოს ნამზითვი ღმერთმან სიცოცხლეში მოახმაროს ამინ და კირიელეისონ“, და სხვა; ჩვენთვის ამ ჟამად უფრო საყურადღებოა დედოფალ ნინოს დიდი სურათი, ტილოზე ფერადი საღებავებით შესრუ-ლებული; ეს სურათი, რომელიც დ. ბაქრაძეს შესანიშნავი ხე-ლოვნებით შესრულებულად მიაჩნია, გამოხატავს ფოთის ცი-ხის აღებას რუსთა მიერ; რუსულ ჯარებს აქ მხარში უდგას იმერ-მეგრული მილიცია, რომელსაც წინ მოუძღვის დედოფა-ლი ნინო. ციხე ალყა შემორტყმულია და იწვის, დედოფლის სახე გაშუქებულია აღფრთოვანებით და სავსეა ენერგიით *).

ეხლა დედოფალს თავის გეზის ბოლომდე მისაყვანად უკანასკნელი საზრუნავი დარჩენოდა. მართალია, მან შესძლო – თვისი მოკავშირე და სიძე სეფერ-ბეგი რუსეთის მიერ აფ-ხაზეთის მთავრად დაემტკიცებინა, ამით აფხაზეთ-სამეგრელო რამდენიმედ მაინც გააერთიანა, და ოსმალეთის გავლენის სა-ფრთხეც აიცდინა, მაგრამ ყველაფერი ეს მტკიცე და მყარი

ჯერ კიდევ არ იყო.

არსებითად ვერც ფოთის ციხის აღება სცვლიდა ვითარებას, რადგან მთელს აფხაზეთზე გაბატონებული პუნქტი და სტრატეგიული დასაბჯენი – სოხუმის ციხე – ისევ არსლანბეგის და ამით ოსმალეთის ხელში იყო... ბევრს იღვწოდა დედოფალი, რათა სოხუმის აღებისათვის საჭირო ჯარის გადმოსასხამად აეგულიანებინა რუსეთი, მაგრამ ეს იმპერია განაპირა ქვეყნების საკუთარის ძალებით აღება-დანარჩუნებას ნაჩვევი

---

*) იხ. დ. ბაქრაძის: «Арх. пут. по Гурии и Аджарии» გვ. 281. საინტერესოა – თუ ეს სურათი რომელსამე მუზეუმში ინახება დღეს. სხვა სურათი დედოფალ ნინოსი, არა გვგონია, სადმე მოიპოვებოდეს.

არ იყო; თავის ზნეს მან ამ შემთხვევაშიაც არ უღალატა : აქაც სხვისი ხელით მოინდომა ნარის გლეჯა და მარტო ოდიშ-ლეჩხუმის ჯარებით ცდილობდა სოხუმის დანარჩუნებასაც და ოსმალთა განდევნასაც.

როგორც აღვნიშნეთ, დედოფალი ამ ავანტიურაში არ ჩაება და პატარა ოდიში დიდ პორტასთან დაჯახებას მოარიდა.

დედოფალი ენერგიულად უტევდა რუსეთის დიპლომატიას; ამავე დროს მოსვენებას აღარ აძლევდა მთავარმართებელს და ძველებურად მოითხოვდა რუსეთის ჯარებს სოხუმის ასაღებად.

თვისი მდგომარეობის უფრო განსამტკიცებლად დედ˜მა ნინომ რუსეთის მიერ აღიარებული აფხაზეთის მთავარი საფარ-ბეგი თვისს სასახლეში მიიყვანა; აქედან დედოფალი არსად უშვებდა მთავარს, მანამ, სანამ რუსეთის ჯარი სოხუმს არ აიღებდა, მთელ აფხაზეთს თვითონვე არ გასწმენდდა და ისე არ ჩააბარებდა მის სიძეს.

კავკასიის მმართველობა ფრიად უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა დედოფალ ნინოს ასეთმა ხერხიანმა და შორსმჭვრეტმა შემოვლამ. სწორედ ამ ხანად მოუვიდა მთავარმართებელს ხელმწიფე იმპერატორისაგან „წყალობის" ღრამოტა, შესაფერისი საჩუქრებით და ინვესტიტურის ნიშნებით აფხაზეთის მთავრად დამტკიცებულ საფარ-ბეგისათვის.

დიდის აღლუმით და ზეიმით უნდა გადასცემოდა მთავარს ინვესტიტურის ეს ნიშნები; უნდა მომხდარიყო მისი სახალხოდ დაფიცება რუსეთის ერთგულებაზე და, ასე ვსთქვათ, სამთავროს „ტახტზედ ასვლა|.

ტორმასოვმა ყველაფერი ეს საფარ-ბეგს აუწყა და სთხოვა, ჩქარა წაბრძანებულიყო აფხაზეთში ამ საზეიმო აქტის ჩა-

სატარებლად და ინვესტიტურის ნიშნების მისაღებად. მაგრამ მოხდა გაუგონარი რამ – რაიც ხელმწიფე იმპერატორის ავტორიტეტს ჩრდილს აყენებდა და დიდი რუსეთის მაღალ წყალობებს „უღირსად და უდიერად| უკუაგდებდა. საფარ-

ბეგმა უარი განაცხადა პეტერბურგიდან მოსულ „ღრამოტისა| და ინვესტიტურის მიღებაზე მანამდის, ვიდრე ოსმალეთის ჯარი სოხუმთან იდგა და თვით სოხუმი კი ფრიად გამაგრებული ძველებურადვე ურყევლად ოსმალეთის ვასალს – არსლან-ბეგს ეჭირა.

მთავარი აშკარად და მხნედ უპასუხებს ტორმასოვს: ვიდრე რუსები ჯარს არ გამოუგზავნიან და აფხაზეთს არ გასწმენდენ, ფეხსაც ვერ გადადგამს და სამეგრელოდან ვერ დაიძვრება*). ტორმასოვი კარგად მიხვდა, რომ ეს დედოფალ ნინოს ენა და ხერხი იყო, სწორედ და კარგად ნაანგარიშევი „შემოვლა“; მაგრამ სხვა გზა რომ არა ჰქონდა!.. ინვესტიტურის და ხელმწიფის მანიფესტის ხანგრძლივად ტფილისში დარჩენა რუსეთს სახელს უტეხდა და მთავარმართებელსაც პეტერბურგის წინაშე დიდ ხიფათში აგდებდა. „ამრიგად“ სწერდა ბრაზით სავსე ტორმასოვი დედოფალ ნინოზე და მის სიძეზე იმერეთის მმართველს სიმონოვიჩს, „თუმცა ეს მდგომარეობა თავის მოულოდნელობით ჩემთვის სავალალოა, მაგრამ, რადგან ფაქტი უკვე მომხდარია და მთავრის მფარველობიდან ხელის აღების საშუალება ჩვენ აღარა გვაქვს, და ამ მფარველობის გასაწევად სხვა გზა არ დაგვრჩენია **თუ არ ჩვენის იარაღის ძალით** აღება სოხუმის ციხისა“... ამის გამო იძულებული ვართო და სხ.**). ბოლოს მართლაც შავი ზღვის რუსული ფლოტის დახმარებით 21 ივლისს, 1810 წელს, სოხუმის ციხე აღებულ იქმნა; თურქთა ვასალმა არსლან-ბეგმა სოხუმისა და აფხაზეთის მიდამოები დასცალა და ეხლა სამეგრელოს დედოფლის ვასალი საფარ-ბეგი დიდი ზეიმით სამთავროში შევიდა და რუსეთის ერთგულებაზე ფიცი დასდო.

ამ რიგად დედოფალმა ეს უკანასკნელი სახიფათო საქმეც გამარჯვებით დააგვირგვინა და ძველი სამეგრელოს სამთავროის საზღვრები თითქმის სულ აღადგინა. მალე დედოფა-

---

*) იხ. პოტტო: „Утвержденіе Русскаго владычества на Кавказѣ“, ტ. IV, გვ. 47-48.

**) იქვე, გვ. 48.

ლმა ოდიშის ჯარები აფხაზეთში შეიყვანა, ვითომ „მთავრის მისახმარებლად და მშვიდობიანობის განსამტკიცებლად". ცოტა ხნის შემდეგ ნინომ გამდგარ ჯიქეთის დამოუკიდებელი თე-

მებიც დაუმორჩილა და შემოუერთა თავის სიძის სამთავროს.

შემდეგში, რათა უფრო გაესვა ხაზი და აშკარად აღენიშნა სამეგრელოს სამთავროის უზენაესი უფლებები აფხაზეთის მიმართ, დედოფალი თვისის ამალით აფხაზეთს წაბრძანდა და სოხუმის ციხეს ესტუმრა. ესეც კარგად მოფიქრებული პოლიტიკური ნაბიჯი იყო და ერთგვარი ფაქტის შექმნა აფხაზეთის დასანახავად და რუსეთისათვის ძველ ამბავთა და ისტორიულ უფლებათა მოსაგონარად.

კიდევ მეტიც: დედოფალმა სამეგრელოს ღირსების და ძალის განსამტკიცებლად, უმაღლესი ტრიბუნალის როლიც მიითვისა და ახალი მთავრის, საფარ-ბეგის ამხედრებულ მოქიშპეთ თვისი ავტორიტეტის წინ ქედი მოახრევინა...

მთავრის ურჩი ნათესავები: სოსლან და ალი-ბეგები (ძმები), რომელთა გავლენა აფხაზეთში ჯერ კიდევ დიდი იყო, დედოფალმა „ბრძნულის რჩევა-დარიგებით თავის სიძეს შეურიგა, მათ მძევლებიც კი ჩამოართვა“; ამით დედოფალმა ისინი თურქთა ვასსალ არსლან-ბეგს ჩამოაშორა. ამ ზომებით დედოფალმა ახალი მთავრის ხელისუფლება მართლაც განამტიკცა.

შემდეგ დედოფალი ნინო შეეცადა თვისი გავლენა საქართველოს სხვა დაკარგულ კუთხეებზეც გადაეტანა. სოსლან-ბეგი, რომელიც მამის გარდაცვალების შემდეგ ბათუმის და იმ მხარის (აჭარის) მემკვიდრე გახდა, დედოფალმა უფრო მეტ დათმობებზე წაიყვანა; მან სოსლან-ბეგს პირობა ჩამოართვა, რომ თუ კი რუსეთი იმას ისეთსავე გარანტიებს მისცემდა, როგორიც სამეგრელოს, გურიას და აფხაზეთს მიეღოთ, ესე იგი თუ რუსეთი ბათუმის მხარეს ცალკე ავტონომიურ სამთავროდ იცნობდა, მაშინ სოსლან-ბეგიც რუსეთის მფარველობას მიიღებდა და ამით ოსმალთა (ახალციხის) გავლენისაგან სრულიად განთავისუფლდებოდა*). ამ რიგად, ეს გამაჰმადიანებული კუთხეც ეხლა უნდა საქართველოს ტერიტორიას შეერთებოდა; საამისოდ დედოფალი რუსეთის ფლოტის დახმარებას მოითხოვდა.

ამას გარდა, დედოფალი შეეცადა წებელთის თემები, რომლებიც თავად მარშანიებს ემორჩილებოდენ და აფხაზეთის სამთავროდან კარგა ხნის წინ გამდგარიყვნენ, თავის სიძისათვის დაებრუნებინა და ესენიც სამეგრელოს გავლენის სფეროში მოექცია.

ამ მიზნით აფხაზეთიდან დედოფალმა რებია-ხანუმი, რომელიც დაჲ იყო მარშანიასი და ამავე დროს საფარ-ბეგის დედის ნაცვალიც, მარშანიებს მოციქულად მიუგზავნა. მარ-

შანია და საერთოდ წებელთის თემები ეხლა უფრო ჩრდილოეთისაკენ იცქირებოდენ და დიდი ყაბარდოს მთავარ მისოსტოვებისაკენ იხრებოდენ; საჭირო იყო საქართველოს ამ შორეულ პუნქტის აფხაზეთთან და ამით სამეგრელოსთან მჭიდროდ დაკავშირება**) დედოფალს რომ ამ პოლიტიკურ-სტრატეგიულ მნიშვნელობის კუთხისათვის ყურადღება მიუქცევია, ეს სჩანს მისი წერილების დანართიდან მთავარმართებელ გუდოვიჩისადმი.

ეს დანართი დედოფალთან შეთანხმებით შედგენილი nთხოვნითი პუნქტები" იყო საფარ - ბეგისა, რომელიც 1808 წელს ნინოს დახმარებით აფხაზეთის სამთავროს მიღებას სცდილობდა.

---

*) მართალია ამ ცდიდან მაშინ არა გამოვიდა რა, და ბათუმი და აჭარა ისევ ახალციხის საფაშოსთან კავშირში დარჩა, მაგრამ ამ მხარის (ბათუმ-აჭარის) რუსთა ჯარების დახმარებით საქართველოსთან შემოერთების საკითხი პირველად მაინც დედოფალმა ნინომ წამოაყენა.

**) იხ. პატაკი სიმონოვიჩისა ტორმასოვს, 6/V 1811 წ. დედოფალ ნინოს მოქმედებაზე; აგრეთვე ტორმასოვის მოხსენება რუმიანცევს, 30-5-1811 წ., № 74. „Акты“, ტ. IV, გვ. 405 და 429).

ამ წერილში, რომლის ნამდვილ ავტორად ჩვენ დედოფალი ნინო მიგვაჩნია, თავშივე ნათქვამია: „მე მთავარი და მპყრობელი აფხაზთა უშინაგანესისა ადგილებისა და მემკვიდრე ზუფუსა და წებელთისა, სათნო ვიქმენ მე **კეთილსა განზრახვასა თქვენისა** და სხვ...*) ე. ი. დედოფლის განზრახვას დავემორჩილეთო... ეხლა საფარ-ბეგი დედოფალ ნინოს დაუძინებელმა ღვაწლმა და ცდამ რუსის ჯარის და ფლოტის დახმარებით, მართლაც აფხაზეთის მთავრად აქცია.

საჭირო იყო ძველ დაპირება-განზრახვათა სრული განაღდება და წებელთის მხარის აფხზეთისათვის დამორჩილება; ამ მხრივ დედოფლის ჩარევას შარვაშიძე-მარშანიას დავაში უნაყოფოდ არ ჩაუვლია; გარდა იმისა, სამეგრელოს ავტორიტეტი მან ამ აქტითაც საკმაოდ განამტკიცა მთელს აფხაზეთში.

* * *

ასე დაამთავრა ამ ღირსეულმა ქალმა თვისი დედოფლობის ხანა: სამეგრელოს აფხაზეთი და ფოთი კვლავ დაუკავშირა და დანარჩენ გამაჰმადიანებულ ნაწილთა შემოერთებასაც საძირკველი ჩაუყარა.

ამრიგად, მან თავის ვაჟს, მემკვიდრე ლევანს ხელახლა გაღონიერებული, გამართული და გაფართოვებული სამთავრო გადასცა... ეხლა ლევანიც სრულ-წლოვანი გახდა და, თანახმად რუსეთთან დადებულ პირობისა, ნინოს მზრუნველობის ყავლიც გათავდა, რის გამო ხელისუფლება შვილისათვის უნდა ჩაებარებინა; ნინომაც თავის მისია საქართველოში უკვე შესრულებულად სცნო და ეხლა საჭირო იყო იმ პირობის (ტრაქტატის) მტკიცედ შენახვა, რომელიც რუსეთმა 1803 წელს მის

*) იხ. „აქტები“... ტ. 3., გვ. 201.

მეუღლე გრიგოლთან დასდო *). მაგრამ არ გავდა რაღაც, რომ ტორმასოვის და სიმონოვიჩის მოქმედება ამ გზით წასულიყო.

რუსეთის მოხელენი თანდათან უფრო ერეოდენ სამთავროების შინაურ საქმეებში, მათი ჯარები „მფარველობის" როლით აღარ კმაყოფილდებოდენ და ჯერ დარიგებებს და მერმეთ „სავალდებულო რჩევებსაც“ აძლევდენ მთავრებს. ავტონომია და ხელმწიფის მიერ დადებული პირობები მალე სულ ილიუზიებად უნდა ქცეულიყვნენ, და ეს მდგომარეობა მწარე საგონებელში აგდებდა დედოფალ ნინოს. მალე ბედმა რუსეთის მხედრობას სოლომონ მეფეზე გამარჯვება არგუნა; იმერეთი რუსეთის უბრალო პროვინციად იქცა.

ეხლა რუსეთის დიპლომატიას აქედან შესაფერი დასკვნები გამოჰყავდა: თუ აქამდე ის სამეგრელოს და გურიას იმე-

*) დედ. ნინომ ხომ თავის მხრივაც ერთგვარი ჩუმი ხელშეკრულება და მეგობრობის კავშირი დასდო რუსეთის ხელმწიფესთან; მან ალექსანდრე I-ს საჩუქრად ის ძვირფასი და სასწაულთ-მომქმედი სარტყელი გაუგზავნა, რომელიც უძველესის გადმოცემით, ღვთის მშობელს ეტარებინა და რომელსაც მდიდარი ისტორია ჰქონიათ თავის დროზე იერუსალიმიდან ის ბიზანტიის იმპერატორის სასახლეში მოეტანათ, ხოლო აქედან აფხაზეთის და საქართველოს მეფეს, დიდებულ კუროპალატს უბოძეს მზითევში, მისი ბიზანტიის ხელმწიფის არგისის ასულზე დაქორწინებისას. ეს სარტყელი დასვენებული ყოფილა ბედიის მონასტერში, იქედან კი მარტვილში გადაუტანიათ. აი, ეს უძველესი – ისტორიული განძი უძღვნა ნინო დედოფალმა რუსთ ხელმწიფეს. უკანასკნელმა, იცოდა რა -–თუ რაოდენი მნიშვნელობისა იყო ოდიშისათვის ეს წმინდა სარტყელი, უკანვე გადმოგზავნა ის დედოფლის განკარგულებაში შესაფერის ღრამოტით, საცა სწერდა, რომ ეს წმინდა სარტყელი დარჩება წინდად მათ შორის გაბმულ კავშირისა; რომ **სამუდამოდ:** დედოფალი მისი ერთგული, ხოლო ხელმწიფე კი დედოფლის მფარველი ხდებოდენ... (იხ. მურავიოვი:

„Грузія и Арменія“, ნაწ. III, გვ. 280-2).

რეთის წინააღმდეგ აგულიანებდა და ამ სამთავროების იმერეთიდან დამოუკიდებლობის „ისტორიული“ თეორიაც კი შეჰქმნა (ლეჩხუმის საკითხში და სხ.); ეხლა წინააღმდეგ: – რუსეთის მთავრობა ამტკიცებდა, რომ ეს სამთავროები მუდამ სავსებით დამოკიდებული პროვინციები იყვნენ იმერეთის სამეფოისა და უკანასკნელის მოსპობით, ავტომატიურად ამ პროვინციათა თვითმართველობანიც უნდა გამქრალიყვნენ; საცა მთელი გადადის – მას მისი ნაწილებიც თან უნდა მოჰყვესო.

რუსეთმა ასეთი შეტევა ჯერ კიდევ დ˜ლ ნინოს დროს დაიწყო აფხაზეთის სამთავროზე. ტორმასოვი 15/Ш 1811 წელს აფხაზეთის ახალ მთავარს გ. შარვაშიძეს სწერდა: „ჩემამდე მოღწეულ ცნობებიდან სჩანს, რომ აფხაზეთის სამფლობელოში, რომლის მართვა თქვენ უმაღლესის ნებით დაგევალათ, აქამდე არაა შემოღებული შესაფერი წყობილება; არ არის დამყარებული წესიერება, რომელიც განამტკიცებდა მაგ მხარეში ძალა-უფლებას, **ბოძებულს ყოვლად მოწყალე ხელმწიფე იმპერატორისაგან**...“ *).

ამ მიმართვის სტილი და ტონი საკმაო ვერაგობით უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ აფხაზეთის მთავარს თვით არავითარი უფლება აღარა აქვს, და რომ ყველა ეს უფლება სუვერენულად რუსეთის ხელმწიფეს მიეკუთვნება, რომლის უბრალო მოხელეა გიორგი შარვაშიძე.

ამის შემდეგ, ჩამოსთვლის რა ტორმასოვი ზოგ უწესოება-უთადარიგობას, დასძენს, რომ: თქვენ გევალებათ სოხუმის ციხის სამხედრო მმართველის (რუს ოფიცრის) **„რჩევები მიიღოთ ყურადღებით და პატივისცემითო**... თქვენ უნდა დაეხმაროთ ყველა იმ ღონისძიებას, რაიც თქვენი სამფლობელოს დასაცავად და აფხაზ. ხალხის უზრუნველსაყოფად, რუსეთის **მოხელეს რჩევით,** საჭიროდ იქნება ცნობილიო. განსაკუთრებით გთხოვთ **არ გადაუხვიოთ იმერეთის მმართველის ღენერალ სიმონოვიჩის განკარგულებას**, რადგან მას ხელმწიფე იმპერა-

*) იხ. „Акты“, ტ. V.

ტორისგან უმაღლესად დავალებული აქვს დაცვა და განმტკიცება წეს-რიგისა აფხაზეთში“ *).

ამ გვარად, აქ საკმაო სისწრაფით და უხეშობით გატარებულია საყურადღებო ცვლილება, რომლითაც აფხაზეთის მთავარს სავსებით უმორჩილებენ იმერეთის მმართველს. უკანასკნე-

ლის რწმუნებული კი სოხუმის რუსული გარნიზონის უფროსი ხდება... სამეგრელოს სამთავროს სრულიად არავითარი ანგარიში აღარ ეძლევა და კავშირი დედოფალ ნინოსა და გ. შარვაშიძის შორის (ე. ი. სამეგრელო-აფხაზეთისა), რასაც დედოფალმა ამდენის ვაი-ვაგლახით მიაღწია, სრულიად გაუქმებულად ითვლება. ეტყობა, დედოფალს დიდი იმედი აღარა აქვს, რომ მისი ბრძოლებიდან ადგილობრივ ხელისუფლებასთან რაიმე გამოვა და კიდევ უფრო ნაკლებად იმედი აქვს თავის სიძის – სუსტის ხასიათის გიორგი შარვაშიძისა; იცის, რომ ის ვერ შესძლებს საკმაო სიმტკიცის გამოჩენას საგვარეულოს და სამთავროს უფლებათა დაცვაში. ამიტომ მას ერთად ერთ გამოსავალად მიაჩნია – პეტერბურგს მიაშუროს და იქ უმაღლეს მთავრობას წარუდგეს. ის ფიქრობს, რომ იმ აურაცხელ დამსახურებათათვის, რაც მას ამიერ-კავკასიაში რუსეთის განმტკიცებასთვის მიუძღვის და რისი ოფიციალური დოკუმენტები, მრავალ ღრამოტა-ორდენების სახით თან მიაქვს, მთავრობას ჩააგონებს, რომ ხელმწიფის მიერ ბოძებული ღრამოტა და ხელმოწერილი ტრაქტატები არ შეიძლება მისმა მოხელეებმა ასე უხეშად დაარღვიონ.

მეორეს მხრივ, რათა საფარ-ბეგი ბოლომდე დედოფლის ერდგული დარჩეს, ნინოს თან მიჰყავს იმის უფროსი ვაჟი, მემკვიდრე აფხაზეთის სამთავროისა. დედოფალს სურს თან წაიყვანოს აგრეთვე თვისი მეორე ვაჟი გიორგი და ამის მიზეზად ის მოჰყავს, რომ სწადია აფხაზეთის მომავალ მთავარს და თავის შვილსაც წესიერი და რიგიანი რუსული სწავლა-განათლება

*) იხ. აღნიშნული წერილი ტორმასოვისა მთავრისადმი, „Акты“, ტ. V, № 581.

მისცეს. დედოფლის „განმეორებით თხოვნაზე, მისი დიდი დამსახურებათა გამო“, ხელმწიფე მას ბოლოს პეტერბურგში წასვლის ნებას აძლევს, მაგრამ უკრძალავს მხლებლების და დიდი ამალის თან წაყვანას.

მთავარმართებელი ამ თანხმობას დედოფალს აცნობებს, ხოლო მის მეორე თხოვნაზე, რომელიც შეეხება იმერეთის დედოფლის მარიამის სამეგრელოში დატოვებას, დედოფალ ნინოს გარკვეულ პასუხს არ აძლევს, და ჰპირდება: ამ თხოვნას ცალკე მოვახსენებ ხელმწიფესო.

დედოფლის დასახასიათებლად უნდა აქვე ის კეთილშობილი ჟესტი მოვიხსენოთ, რომელიც მან სოლომონ მეფის საბოლოო დამარცხების შემდეგ, 1810 წ. იმერეთის სამეფო სახლისადმი გამოიჩინა. როგორც ვიცით, დამარცხებული მეფე ხანის წყლის ხეობიდან თავის მხლებლებით ახალციხეში გადავიდა, ხოლო თვისი სახლობა სამთავროს კარზე სამეგრე-

ლოსაკენ გაისტუმრა (მარიამ დედოფლის რძალი იყო ნინო დედოფალი). ტორმასოვი ბრაზით აივსო და რაკი იმერეთის მეფე ხელთ ვერ იგდო, მოინდომა, ჯავრი დედოფალ მარიამზე ამოეყარა და სამეგრელოს დედოფალს ნოტას-ნოტაზე უგზავნიდა, რათა მარიამი დაუყონებლივ რუსეთის მთავრობისთვის ჩაებარებინათ... დედოფალი ნინო, მართალია, ზრდილობიანად უპასუხებდა მთავარმართებელს და იმერეთის მმართველსაც, მაგრამ არავითარ შემთვევაში დათმობაზე არ მიდიოდა: იმერეთის დედოფალი ჩემი სტუმარია, მიცვალებულ მთავრისგრიგოლის კვიდრი დაა, და მე ჩემს თავს ნებას ვერ მივსცემ, ის სახლიდან დავითხოვო, სანამ თვითონ კი ისურვებს ჩემთან დარჩენასო.

რუსეთის მთავრობა მაინც არ ეშვებოდა „დამნაშავის" მოთხოვნას და მუქარითაც კი მიმართავდა დედოფალს; მაგრამ მისთვის სამეგრელოს სამთავრო ჯერ კიდევ საჭირო იყო, დედოფალ ნინოს კვლავ შეეძლო სამსახურიც და განდგომაც; ამ დროს რუსეთს იმერეთი ძლივს ეჭირა ხელთ და აღარ

შეეძლო სამეგრელოშიც არევ-დარევას და შფოთს გამკლავებოდა.

იმერეთის მმართველმა სიმონოვიჩმა სიფრთხილის გამო ნაცად ხერხს მიმართა და სამეგრელოს დედოფალთან ეხლა მშვიდობიანი მოლაპარაკება არჩია. მიწერ-მოწერამ ნაყოფი მაინც ვერ გამოიღო; ოდიშის მთავრინა საქმეს მეტად აჭიანურებდა და მოითხოვდა მარიამ დედოფლის საკითხი გადადებულიყო, ვიდრე დედოფალი ნინო პირადათ შეხვდებოდა და შეუთანმხდებოდა სიმონოვიჩს. ნინოს ასეთმა სიმტკიცემ ცუდ ყოფაში ჩააგდო იმერეთის მმართველი და ისიც იძულებული შეიქმნა სიტყვა და ფიცი დაედო, რომ იმერეთის ყოფილი დედოფალი არავითარ შემთხვევაში არ იქმნებოდა რუსეთში გაგზავნილი, რომ მას პატივი და დედოფლური მოპყრობა არ მოაკლდებოდა და რომ ის **სამუდამოდ** დარჩებოდა ტფილისში საცხოვრებლად.

ასეთმა კომპრომისმა, ეტყობა, გასჭრა და რაკი გადასახლების საფრთხე აცილებული შეიქმნა, მარიამმაც არჩია დაეტოვებინა სამეგრელო და მხლებლებით ტფილისს წასული ყო.

იმ ხანებშივე ასეთივე ფიცის დადებით და დაპირებებით სოლომონ მეფის დაჲ (მეორე მარიამი) ახალციხიდან ჩამოიყვანეს. ეს ქალიც თავის მეუღლესთან (სარდალ მალხაზ ანდრონიკაშვილთან) ერთად ლტოლვილ მეფეს ახალციხეში თან ხლებოდა. ამ რიგად დედოფალ ნინოს ინტერვენციამ, ღენ. სიმონოვიჩი საგრძნობ დათმობაზე წაიყვანა, მაგრამ მთავარმა-

რთებელი ტორმასოვი ამ საგანზე სხვა აზრის იყო და მან სიმონოვიჩის სიტყვას და ფიცს არავითარი ანგარიში არ გაუწია... მას პეტერბურგის გულის მოსაგებად და აჯანყებულ მეფის – სოლომონის მორალურ გასატეხად დედოფალ მარიამის სრული განგვირგვინება და უბრალო ტყვედ გამოცხადება სჭირდებოდა, და ტორმასოვმა ყოფილი დედოფალი და მალხაზ ანდრონიკაშვილის მეუღლე ეტაპით ვორონეჟისკენ გაისტუმრა.

სიმონოვიჩი ამან მოთმინებიდან გამოიყვანა; მან მთავარ-

მართებულს მისწერა, რომ იმის შემდეგ, რაც მის მიერ საჯაროდ დადებულ ფიცს (რომ მარიამი სამუდამოდ ტფილისში დარჩებოდა), ტორმასოვი ასე უდიერად მოეპყრო და იმერეთის მმართველი საქვეყნოდ მატყუარად და გაიძვერად გამოიყვანა, მას იმერეთში ყოველგვარი ავტორიტეტი დაეკარგა; „მომავალში ჩემს სიტყვა-დაპირებას არავითარი ფასი აღარ ექნება“-ო, სწერდა ის ტორმასოვს*).

ამ მაგალითმა კიდევ უფრო დაარწმუნა დედოფალი ნინო, რომ რუსეთის მოხელეებთან რაიმე საქმის მოგვარება შეუძლებელი შეიქმნა და რომ კავკასიის მმართველობა თავის საკუთარს, გუშინდელ დაპირება-ფიცს არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს, არა თუ 1803 წ. პეტერბურგის მიერ მიცემულ სიტყვას. დედოფალს ამ ხელისუფლებასთან საერთო ენის გამოძებნის ახალი ილუზიები აღარ დაბადებია... მისი რწმენა გატყდა; და თუ კიდევ შესაძლო იყო რამეს გადარჩენა, ეს უნდა პეტერბურგში მომხდარიყო მთავრობასთან და მის უახლოვეს გარემოცვასთან უშუალო ურთიერთობის გაბმით. თუ რამდენად გაუტყდა დედოფალს გული რუსეთის ხელისუფლებაზე, ეს სჩანს სიმონოვიჩის მოხსენებიდან ტორმასოვისადმი. სიმონოვიჩი მთავარმართებელს ატყობინებს, რომ ნინოს გამდგარ მაზლს – ტარიელ დადიანს – რომელიც დედოფალს მუდამ ასე გააფრთებით ებრძოდა და სამეგრელოს მტრებთან სამხედრო კავშირში იყო, ამ ტარიელს დედოფლისათვის პატიება უთხოვნია; და თუ მას ნინო შეუნდობდა, ტარიელი მზად იყო ახალციხის საფაშოდან დაბრუნებულიყო და დედოფლისა და მთავრის ერთგული დარჩენილიყო. დედოფალს, მიუხედავად იმ საშინელი ტკივილებისა, რაიც ტარიელმა მიაყენა, ამ თხოვნაზე თანხმობა განუცხადებია, მაგრამ იქვე დაურთავს, რომ „თვით რუსები მაშინვე დაიჭერენ ტარიელს და ციმბირში გაგზავნიან, თუმცა, რასაკვირველია, წინასწარ მფარველობის გაწევას აღუთქვამენ; ისე მოიქცევიან, როგორც ამგვარ შემთხვე-

---

*) იხ. სიმონოვიჩის პატაკი, 5/IV 1811; „Акты“, IV, № 501.

ვაში მეფე სოლომონს და დედოფალ მარიამს მოექცენ რუსე-ბი“-*).

ამ რიგად იმედგაცრუებული დედოფალით დარწმუნებუ-ლი, რომ მისი დამსახურებანი და ღვაწლი, რუსეთმა მარტო დიდ იმპერიის გასაძლიერებლად და სამთავროების სრულ გა-უქმებისათვის გამოიყენა, სამეგრელოს სტოვებს და რუსეთისა-კენ მიეშურება“. იქნებ იქიდან მაინც ამოუჩინოს რაიმე და-ხმარება მემკვიდრე ლევანს იმ მძიმე ბრძოლებში, რაიც მან ადგილობრივ რუს მოხელეებთან უნდა აწარმოოს**).

* *
*

რას მიაღწია დედოფალმა ნინომ თვისი პეტერბურგში მო-ღვაწეობის ხანაში და რამდენად შესძლო იქედან სამეგრელოს სამთავროს გადასარჩენად უმაღლეს სფეროებში მუშაობა, სა-ამისო მასალა, სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება; უნდა ვი-ფიქროთ კი, რომ პეტერბურგის არქივებში და კანცელარიებ-ში დედოფლის არა ერთი და ორი მოხსენება ინახება, რო-მელიც ალბად „საქმეებს“ მიაკერეს და უშედეგოთ დასტოვეს, ვიდრე კავკასიის რუსი მოხელენი სამეგრელოს სამთავროის იმპერიაზე „მიკერებას“ დაასრულებდენ.

ყოველ შემთხვევაში აშკარაა, რომ დედოფალმა ნინომ შემდეგის მოქმედებით უარყოფითი განაჩენი გამოუტანა თვი-სი მოღვაწეობის პირველ პერიოდს. მან დაინახა, რომ დიდი რუსეთი მტკიცედ და თანდათანობით ატარებდა საქართველოს ყველა კუთხეების შეერთების და პროვინციად გარდაქმნის

---

*) იქვე გვ. 379.

**) დედოფლის პეტერბურგში გამგზავრების შესახებ, მას შემდეგ რაც მემკვიდრე ლევანი სრულწლოვანი გახდა, უფრო დაწვრილებით იხ. ნიკო დადიანის „ისტორია“... გვ. 88-89 (პროფ. ექ. თაყაიშვილის „ოპისანიებში“), აგრეთვე ბუტკოვის: „Матеріалы“, ტ 2; გვ. 285-6, 500, 502, 525 და ტ, 3, გვ. 248).

პოლიტიკას. სამთავროები და მათთან დადებული ხელშეკრუ-ლებანი უკვე აღარავის აგონდებოდა და თუ ქაღალდზე კიდევ ითმენდენ : გურია - სამეგრელო - აფხაზეთ - სვანეთის არსე-ბობას, ეს იმდენად, რამდენადაც მთა ჯერ კიდევ დიდ წინა-აღმდეგობას უწევდა რუსეთს და მეორე – რამდენადაც საქართ-ველოს ძველი, ისტორიული ტერიტორია მთლად კიდევ არ იყო შემომტკიცებული და ოსმალეთის ინტრიგები დასავლეთ საქართველოში ახალ ორიენტაციის წამოყენების შესაძლებ-ლობას ქმნიდენ... ოსმალეთის ემისრები, ახალციხის საფაშო,

ალექსანდრე ბატონიშვილის დაუცხრომელი ღწვა ხან პორტის და ხან ერანის კარზე ისევ საგონებელში აგდებდა პეტერბურგს და ერმოლოვის „ურა“-ზე გადასვლის პოლიტიკას კრიტიკულად აფასებინებდა. მეორე მხრივ – ჯერ კიდევ შორს იყო იმერეთის დამორჩილებაზე და შერიგებაზე ოცნება; სიმონოვიჩი თუ ბრძოლებმა არა, დარდმა და ჟინმა მაინც გადაიყოლა და ახლა მოხუცი მმართველი იმერეთისა, ღენ. კურტანოვსკი უფრო დამჯდარად და დინჯად სწონიდა ძალთა განწყობილებას, იმერთა სულის კვეთებას და საიმედოს ვერაფერს ვერ ხედავდა... ძნელი იყო ამ შეუპოვარ და „ცბიერ“ ხალხში მარტო ხიშტებით გამაგრება, და ეს ხიშტებიც ხომ საკმარისი არ იყო? რუსის ჯარები ერმოლოვს ბლომად დაებანდებინა ჩრდილო-კავკასიაში და სწორედ ეს უკლავდა გულს კურტანოვსკის... „არც ერთი კაცი აქ ჩვენი ერთგული არ არის, ვის დავეყრდნო, რა ვქნა?“ შესჩივლებდა ის ერმოლოვს და უკვე ფართოდ წარმოებულ შეთქმულებაზე საიდუმლო მოხსენებებს უგზავნიდა.

ვერ შეარიგა იმერეთი თავის ბედს მეფის ლტოლვილებაში უდროვოდ დაკარგვამ და ყველა კუთხეებში, ყოველ წრეში რუსთა წინააღმდეგ იარაღი ილესებოდა... ასე მზადდებოდა იმერეთის დიდი ამბოხება, რომელიც 1819-20 წლებში გაღვივდა და რომლის ამბები ჩვენ სხვა ადგილასა გვაქვს მოთხრობილი.

ამ ჟამად ჩვენ დედოფალი ნინოს, ან უკეთ რომ ვსთქვათ,

ან ყოფილ დედოფლის როლი გვაინტერესებს ამ შეთქმულებაში.

ისეთ ლოიალურ პოლიტიკის მწარმოებელს და კავკასიაში რუსეთის გაძლიერებით დაინტერესებულს, როგორიც ნინო იყო, რა თქმა უნდა, შეთქმულებასთან რაიმე კავშირი არ შეეფერებოდა... მის ძველ ხაზს: რუსეთის ძლევამოსილ იარაღით და მატერიალურ შესაძლებლობათა გამოყენებით ძველი ოდიშის და საერთოდ საქართველოს ტერიტორიის აღდგენა-გაერთიანებისას, ეხლაც იგივე მიმართულება უნდა მიეცა დედოფლის მოქმედებისათვის. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ამ ხაზმა და ლოიალობამ მას მარტო მძიმე ტკივილები მიაყენა; და სამეგრელოსთვის აფხაზეთ-წებელთის დამორჩილების და ავტონომიის შენარჩუნების იდეამაც მარტო მწარე მოგონება დასტოვა.. ეხლა დედოფალი უკვე სავსებით გამორკვეული იყო, რომ პატარა და სუსტ სამეგრელოს არ შეეძლო იმ ისტორიულ კუთხეთა შემომტკიცებაზე ეფიქრა, რაიც დიდ ერეკლეს ძლიერმა ქართლ-კახეთმაც კი ვერ მოახერხა რუსეთის ვერაგულ პოლიტიკის გამო.

ვინ იცის – რამდენი სინანულის ცრემლი ღვარა დედოფალმა პეტერბურგის სასახლეების და კანცელიარების „მისაღებებში“, როცა მოიგონებდა, თუ რა დიდი შეცდომა დაუშვა იმ დევნა-განდგომით, რაც მან წამებულ სოლომონ მეფეს არგუნა წილად. რამდენჯერ იკვნეტდა გულგატეხილი დედოფალი ჩარბებს, რომ ოდიშის და ლეჩხუმის ჯარები ასე უხვად და უწყალოდ შეალია რუსთა ლაშქრობის წინსვლას და ფოთის და სოხუმის აღებით იმერეთის მეფეს საიმედო და დასაყდენი ბაზები მოუსპო.

ვისთვის, რისთვის?.. იქნებ იმ რთულ მდგომარეობაში, იმერეთს მართლაც შესძლებოდა თავის დახწევა და მას რომ გურია-სამეგრელო-აფხაზეთიც მიხმარებოდენ, რუსეთის მცირე-რიცხვოვანი ჯარი იქ ფეხს ვეღარ მოიკიდებდა...

სპარსეთი და ალექსანდრე ბატონიშვილი აკი სოლომონს უჭერდენ მხარს, ოსმალეთი და კერძოთ ახალციხის საფაშოც

მისთვის იღწვოდენ; ცოტა კიდევ და რუსეთის შუაგულში ევროპის დიქტატორი იჭრებოდა; ალექსანდრე პირველს საქართველოსათვის სადღა სცხელოდა, როცა ნაპოლეონმა მოსკოვიც ნაცარტუტად უქცია". ვინ იცის, თუ რამდენი პერსპექტივები გადაიშლებოდენ წინ და ან ამ დიდ დაჯახებიდან საქართველო როგორ გამოვიდოდა.

ეს ფიქრები და სინანული აღარ ასვენებდენ დედოფალს და ისიც გულის ფანცქალით ადევნებდა თვალ-ყურს იმ ახალ საიდუმლო სამზადისს იმერეთში რომ ამ ხანად დაიწყო.

არა! ეხლა ყველაფერი სააშკაროზე იყო გამოტანილი და რუსეთის გულის მოგება ლოიალობით აღარ შეიძლებოდა; თუ რაიმეს კიდევ ეწერა გადარჩენა, ეს მარტო იარაღითა და ძალით უნდა მომხდარიყო. რუსეთი ეხლაც ვერ გრძნობდა თავს საკმაოდ მტკიცედ და მთის უტეხი ხალხი მამაცურად ატრიალებდა თავისუფლებისათვის ძველებურ, მჭრელ ხმალს.

იმერეთის შეთქმულნი, აშკარაა, რაიმე კავშირში იქნებოდენ პეტერბურგში გახიზნულ-გადასახლებულ საქართველოს ძველ სამეფო გვართან და მათ ნათესაობასთან; ეს კავშირი უეჭველად დედოფალ ნინოსთანაც იქნებოდა გაბმული.

უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ქალი თავის შვილს, მემკვიდრე ლევანს სულ სხვაგვარ გეზის აღებას ურჩევდა. კიდეც ატყობინებდენ საგანგებო ემისრები ერმოლოვს, რომ სამეგრელოს და გურიის მთავრები კავშირში იყვნენ ახალციხის ფაშასთან და დროს უცდიდენ, როცა იმერეთში განზრახული აჯანყება იფეთქებდა...

ნინოს უცროსი ვაჟი, გიორგი, რომელიც დედოფალმა პეტერბურგში თან წაიყვანა და რომელმაც პაჟთა კორპუსის დამთავრების შემდეგ გვარდიის ოფიცრობა მიიღო, მისმა დედამ უკვე საკმაოდ მომწიფებულად სცნო, რათა მისთვის ეს დიდი საქმე გაენდო და შესაფერი ამოცანა მიეცა. გიორგი ეხლა 20 წლის იყო და მისმა დედამ ყრმის გულში სამშობლოს სიყვარულის ცეცხლი დაანთო.

255

იმერეთიდან სანუგეშო ამბები მოდიოდა; საქმე საშური იყო და დედოფალმა ერთადერთი იმედი, შვილი, გიორგი საგანგებო დავალებებით საქართველოსაკენ გაისტუმრა; გარეგნულად კი ისე იყო საქმე მოწყობილი, რომ არავის შეეძლო რაიმე ეჭვის მიტანა: – გიორგიმ პრეობრაჟენსკის პოლკიდან შვებულება აიღო და მოინდომა ეს შვებულება თავის ქვეყანაში „გაეტარებინა“ – უმთავრესად სამეგრელოში და აფხაზეთში... ორივე ამ სამთავროს გამოჩენილ პირებთან მას დედის ინსტრუქციები თან მიჰქონდა.

ამჟამად სამეგრელოში საკმაოდ გაძლიერებული იყო ანტირუსული ფრთა მამულიშვილებისა დაა ამას მეთაურობდენ: გიორგის ბიძა – მიტროპოლიტი ჭყონდიდელი, ბეჟან დადიანი და სხვანი. ამათ კარგად იცოდენ იმერეთის ქარიშხალის მოახლოების ამბები და თურქებთან საიდუმლო ქსელს აბამდენ*). საჭირო იყო ამ საქმეში მთავრის ჩათრევა და სწორედ ამის ეშინოდა იმერეთის მმართველ კურტანოვსკის. ის სამეგრელოდან ამანათების აყვანის ნებართვას ითხოვდა; მაგრამ მთავარმართებლის თანაშემწეს ველიამინოვს საქმე ამ მხრივ უკვე მოგვარებულად მიაჩნდა და კურტანოვსკის ანუგეშებდა, რომ სამეგრელოდან მძევალი დიდი ხანია რაც აყვანილი გვყავსო: დედოფალი ნინო ხომ ჩვენს ხელთ არის რუსეთში და ამიტომ მთავარიც ვეღარ გადაგვიდგებაო**).

დედოფალი კი ამ დროისათვის უკვე კავკასიაში იყო, გიოგრიევსკში; იქ, სადაც მის პაპას პირველად დაედო ეკატერინასთან 1783 წლის საბედისწერო ხელშეკრულება.

იმერეთის ამბების განვითარებამ დედოფალს მოსვენება აღარ მისცა... თუმცა დროზე გაისტუმრა გიორგი, მაგრამ მასთან და საერთოდ იმერეთის მეამბოხეებთან შორეულ პეტერბურგიდან კავშირის დაჭერა საქმეს ვერა შველოდა.

---

*) იხ. მოხსენება ველიამინოვისა ერმოლოვისადმი, 15-3 – 1820 წ. „აქტები“, 6.,1. № 883.

**) იქვე, იხ. გვ. 571-2.

საჭირო იყო ამბოხების ახლო რაიონში ყოფნა; და თუ საქართველოში დაბრუნების ნებას აღარ აძლევდენ (დედოფალი „საპატიო ტყვეობაში“ ჰყავდა რუსეთს), სადმე ახლოს ბინის დადება მაინც უნდა მოეხერხებინა.

შესაფერ თადარიგს ნინო ადრიდანვე შეუდგა. ჯერ კიდევ 1819 წ. ზაფხულზე მან ხელმწიფისაგან ნებართვა ითხოვა, რათა მისთვის „ავადმყოფობისა და დაუძლურებისა გამო“ კავკასიის სამკურნალო წყლებზე გამგზავრების ნება მიეცათ. ამ ხერხმა მართლაც გასჭრა და ხელმწიფემ შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაფერი განკარგულება მისცა; დედოფალმა საჭირო პასპორტი მიიღო, მაგრამ ჯერხანად წასვლის საქმე გადასდო. ეტყობა საგანგებო შიკრიკთა საშუალებით ცნობები თუ მოუვიდა, რომ 1819 წ. განზრახული აჯანყება დროებით გადადებულიაო...

მაგრამ მალე საქმე სხვაფრივ შებრუნდა და დედოფალს უკვე შუა-გულ ზამთარში (იანვარში, 1820 წ.) გიორგიევსკში ვხედავთ. მართლაც ძნელი იყო იმის დასაბუთება, თუ რად ისურვა მან ამ იანვარში წყლებზე წასვლა და რატომ მაინცა და მაინც გიორგიევსკში დაიდო ბინა... ნინომ ეს ნაბიჯი შესაფერისად განმარტა: თითქოს მას აქ დასვენება სურდა და შემდეგ გაზაფხულზე უნდა საექიმო წყლებს სწვეოდა... რა თქმა უნდა, ამას დედოფალს არავინ დაუჯერებდა და ისიც გამუდმებითი ზვერვის ქვეშ იმყოფებოდა; საქმეს ეხლა ის ამწვავებდა, რომ ნინოს ვაჟს – გიორგის – შვებულება უკვე გაუთავდა და ის მაინც არ ფიქრობდა პეტერბურგისაკენ დაბრუნებას.

შიშის ეჭვებმა შეიპყრო ველიამინოვი და კურტანოვსკის ავალებდა: – როგორმე გამოერკვია – ხომ არა ჰქონდა სამეგრელოსთან და მთავარ ლევანთან რაიმე კავშირი გიორგიევსკში მყოფ ნინოს. თვით ის გარემოება, რომ სოლომონ მეფის ყოფილი სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი ეხლა იმერეთში იმყოფებოდა (ამისი ქალი მართა მთავარ ლევან დადიანის მეუღლე იყო) მეტად აფიქრებდა ველიამინოვს და ამაზე

გარკვეულ ცნობებს ითხოვდა*). მალე ლევანს გადაჭრით მოსთხოვეს მისი ძმის, გიორგის, პეტერბურგში გაგზავნა. ტფილისს უკვე მოუვიდა ცნობა, რომ ნინო დედოფალის ამ რწმუნებულის ჩამოსვლის შემდეგ ანტი-რუსული ფრთა საგრძნობლად გაძლიერდა; ისიც მალე გამოირკვა, რომ გიორგი იმერეთის ამბოხების მეთაურ ივანე აბაშიძესთან იყო გადაბმული; ამავე დროს – აფხაზეთს შარვაშიძესთან, ქობულეთს – ქაიხოსროსთან, ხოლო ამ უკანასკნელის მეოხებით ოსმალეთთან იყო კავშირში. ამ 20 წლის ჭაბუკს შეთქმულნიც დიდ ანგარიშს უწ-

ევდენ და ახალციხის ფაშაც, რადგან ესენი მასში ჭკვიან და გავლენიან დედოფალ ნინოს ემისარს ხედავდენ.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ველიამინოვი გიორგის შესაპყრობად ბრძანებას იძლეოდა**). ამ ხანებში იმერეთში უკვე გაძლიერებული იყო აჯანყება და ამბოხების ცეცხლი სამეგრელოსა და გურიასაც მოსდებოდა...

ახალციხესთანაც კავშირი უფრო ინტენსიური ხდება და აჯანყებულთა ცენტრი იქ საგანგებო ემისრად ვახტანგ ბატონიშვილს გზავნის.

რაჭაში გორჩაკოვის ექსპედიცია აჯანყებულ სოფლებს ანადგურებს.

4 მარტს 1820 წ. პუზირევსკიმ, რომელმაც კურტანოვსკი შესცვალა, ვერაგულად დაიჭირა მეამბოხეთა ხელმძღვანელნი: – ბატონიშვილი დარეჯანი, ორივე მიტროპოლიტი, ს. წულუკიძე, მიქელაძე და რუსეთში გადაასახლა. როგორც ვიცით, ამას საერთო აჯანყება მოჰყვა; ივანე აბაშიძე თავის რაზმით იმერეთში შეიჭრა და ჩალაუბანში ყაზახთა ნაწილები გაანადგურა, და მალე დასავლეთი საქართველო ქართლ-კახეთს მოსჭრა, რომ რუსებს იქედან მაშველი ჯარები არ შემოსვლო-

---

*) იხ. ველიამინოვის წერილი კურტანოვსკისადმი, „აქ ტები“, ტ. 6. ნაწ. 1.

**) ველიამინოვის მოხსენება ერმოლოვისადმი, იქვე, № 883.

დათ. გურულებმა ჭალადიდი დაიჭირეს და რუსეთის რაზმებს რიონის შესართავამდე დაახევინეს. სამეგრელოში ნინოს ვაჟმა, გიორგი დადიანმა რედუთ-კალეს გზა დაიკავა და იაქური რაზმი სამეგრელოს მოსწყვიტა; უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილ რუსის ჯარებს არავითარი საშუალება აღარა ჰქონდათ აფხაზეთიდან დაძრულ ნაწილებს და ტრანსპორტს შეერთებოდენ; გიორგი ამ ჯარებს ყველგან მოხერხებულად ესხმოდა თავს და მდიდარი ნადავლიც აჯანყებულებს რჩებოდათ...

რუსეთის მხედრობა მართლაც უმწეო ყოფაში ჩავარდა და ეხლა ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რა პოზიციას დაიჭერდა სამეგრელოს მთავარი ლევანი. უკანასკნელი პირველ ხანებში მართლაც რყევას განიცდიდა, მაგრამ ბოლოს მაინც სიფხიზლემ გასჭრა; და ის სამთავროსთვის უდიდეს რისხვის ასაცდენად მმართველს-გორჩაკოვს ამოუდგა გვერდით და თავის საკუთარ ძმას მედგრად შეუტია.

ამ დროს ლევანის გვერდით რომ მისი ღირსეული დედა მდგარიყო, იქნებ მთელი ოდიშის ჯარები გიორგის მიმხრობო-

დენ და ლევანსაც გაბედული ნაბიჯი გადაედგა, რაზედაც იგი იდუმალ ოცნებობდა.

სწორედ ამიტომაც იღწვოდა ეხლა გიორგიევსკში მომწყვდეული დედოფალი და ათასნაირად ცდილობდა დასავლეთ საქართველოს აჯანყება ჩრდილო კავკასიის დაუცხრომელ ღელვასთან დაეკავშირებინა; ის ყოველ ხერხს ხმარობდა, რათა მზვერავთაგან თავი დაეხწია და გიორგიევსკიდან გაპარულიყო... მაგრამ დედოფალს ამჟამად საგანგებო ბოქაული მიუყენეს და ყოველ მის ნაბიჯს კვალდაკვალ სდევდენ.

მიუხედავად ამ ზომათა, ეტყობა, რომ ის მაინც ახერხებდა ზოგიერთ „საეჭვო“ პირებთან კავშირის გაბმას. ამ მხრივ საინტერესოა ბატონ სტალის მოხსენება ერმოლოვისადმი ქ. გიორგიევსკიდან: – ის მთავარმართებელს ატყობინებს, რომ მან დედოფლისადმი საგანგებოდ მიყენებულ მოქაულ ქანანოვისაგან შეიტყო, რომ დედოფალ ნინოს მუდამ თან ახლავს „ტიტულიარი სოვეტნიცა“ დზიუბენკო, რომელიც რუსულის გარ-

და ქართულად, სომხურად და თათრულად ლაპარაკობსო; რომ დედოფალს ის არასოდეს არ შორდება და რომ ამ ქალის საშუალებით კავშირიც გაიბა „აზიელებთან“-ო; დედოფალი ამ „აზიელებს“ (ალბად მთიელებია ნაგულისხმევი) თვითონ იღებს, ელაპარაკა და მათთან კავშირს საიდუმლოდ ეხლაც ინახავსო. ნინოს მხლებელმა, ასათიანის ქალმა გასცა დედოფალი, თითქოს მას გიორგიევსკიდან გაპარვა სდომოდეს და ამ მიზნით ის მთიელებს უთანხმდებოდეს, და ბოქაული მთავრობისაგან ნებართვას ითხოვს, რათა დედოფალს მისი მესაიდუმლე დზიუბენკოს ქალი დაუყონებლივ ჩამოაშორონ და „ლინიიდან“ შორს გაისტუმრონ*).

რასაკვირველია, ამ პირობებში დედოფალი გიორგიევსკიდან თავის დაღწევას ვერ ახერხებდა და თავის შვილ ლევანთან მოლაპარაკება მისთვის ძველებურად ოცნებად რჩებოდა. ვერც თვით ლევანისათვის შეიქმნა შესაძლებელი, რომ დედისათვის თვისი ეჭვები და ძმასთან უთანხმოების მიზეზები დაწვრილებით გაეზიარებინა; მთავარს, როგორცა სჩანს, მეტად საჭიროდ მიაჩნდა დედისათვის ნამდვილი ვითარების და ძალთა განწყობილების შეტყობინება; უნდოდა მისთვის გაეცნო, თუ რატომ გახდა იძულებული ყოველგვარი კავშირი შეეწყვიტა ახალციხის ფაშასთან, ქაიხოსრო გურიელთან, ივანე აბაშიძესთან და საერთოდ შეთქმულთა დანარჩენ მეთაურებთან.

ლევანმა რუსეთისაგან ნებართვა ითხოვა: გიორგიევსკში დედასთან მოსალაპარაკებლად თავისი რწმუნებული გაეგზავნა. მაგრამ აქედან მას უარი მოუვიდა**).

საიდუმლო ზვერვა-გამოძიებათა სერიამ მთავრობა დაარწმუნა, რომ გიორგი დადიანი დედის დავალებით იყო საგანგებოდ წარმოგზავნილი; რომ დედოფალი ეხლა დაწყებულ

*) იხ. სტალის მოხსენება 30-3 – 1820 წ., „აქტები“, 6, 1, № 884.

**) იხ. „აქტები“, 6. 1. პასუხი ერმოლოვისა მთავარ ლევანისადმი, 12-4 – 1820 წ.

აჯანყების უფრო განვითარებას ელოდებოდა, რომ მთასთან და ოსმალეთთან კავშირების გაბმით მოტყუილებულ საქართველოს ბედი ხელახლა შეებრუნებინა. რუსეთის მთავრობამ ფრთხილსა და გამოცდილ დედოფალს რაიმე ხელმოსაკიდებელი, პირდაპირი საბუთი მაინც ვერ დაუჭირა; იმ დიდის სახელის და დამსახურებათა გამო, რაიც ამ ქალს რუსეთის წინაშე მიუძღოდა, მთავრობას ასე ერთბაშად ძალა ვერ ეხმარა. აქ განსაკუთრებითი სიფრთხილე იყო საჭირო, რადგან ამ ქალს დიდი და მაღალი წრის ნაცნობობა ჰქონდა პეტერბურგში და არც არავის მისცემდა ნებას, ასე ადვილად შეელახათ მისი ზვიადობა და ღირსება; და ეხლაც, როცა დედოფლისათვის გაუგონარი შევიწროება მიაყენეს მას გეორგიევსკში, ის ამაყად და მედიდურად შეხვდა ამ ნაბიჯებს და შესჩივლა მთავრობასა და კერძოდ ერმოლოვს: – მე აქ წამოსვლის ნებართვა პირადათ ხელმწიფისაგან მივიღე, მკურნალობისათვის შესაფერი დრო ეხლა დგება, წყლებზე წასვლა მსურს და სწორედ ეხლა იწყებენ აქ ჩემს დაუმსახურებელ შევიწროებასო. „მაიორმა გლუხოვმა მოიწადინა აქ ჩემი შეჭირვება, მოვიდა ჩემთან და არ ვიცი, რა საბუთით, განმიცხადა: 1) რომ მე არსად არ დავიძრე მისდა დაუკითხავად და სადაც კი უნდა მოვისურვო წასვლა, წინდაწინ მას უნდა განვუცხადო, რათა მუდამ განამზადოს ჩემთვის გასაცილებლად საკმაო ცხენოსანი მხლებლები, 2) რომ მე ჩემთან არავინ არ მივიღო, 3) რომ თანხები, რომელიც მე პენსიის სახით მეძლევა, მომავალში ჩემთან საგანგებოდ მოყენებულ ბოქაულს გადაეცემა და 4) რომ მე ჩემი ხარჯები და ამალის რიცხვი უნდა შევამცირო. ამავე დროს ჩემზე ზვერვა გააორკეცეს და ჩემი ბინის ირგვლივ დარაჯები გააძლიერეს...

„ასეთ ყოფაში ჩავარდნილს, ვხედავ, წყლები მე ვეღარას მარგებენ და ამიტომ გიორგიევსკის კომენდანტს განვუცხადე, რომ მსურს ეხლავ უკან – პეტერბურგს – დავბრუნდე-თქო, რაზედაც პასუხად მივიღე, რომ საამისოდ განსაკუთრებული ნებართაა საჭიროო“ *).

*) იქვე, იხ. № 889

ამით დედოფალს სურს განსაკუთრებით აღნიშნოს, რომ

ის ხელმწიფისაგან მრავალჯერ გამორჩეულ-დასაჩუქრებული აურაცხელ დამსახურებათა გამო, სამეგრელოს მთავრის დედა და დედოფალი ასე უდანაშაულოდ, უდიერად პატიმრადაა გამოცხადებული.

მთავარმართებელმა კი შეურაცხყოფილ დედოფლის ამგვარი ჟესტი თავისებურად გამოიყენა და, რაკი ნინომ წასვლა ისურვა, სასწრაფოდ გამოუწერა პასპორტი და გამყოლი რაზმიც მიუჩინა; ეხლა კი დედოფალმა უკან დახევა არჩია, დროს მოგებას შეეცადა და განაცხადა, რომ მას სურს ისარგებლოს ცოტა ხნით მაინც ამ შემთხვევით და ეხლავ საექიმოდ წავიდეს.

„ამაზე მოვახსენე“, ამბობს ერმოლოვი, „რომ პეტერბურგისაკენ გასამგზავრებლად უკვე ყველაფერი მზად არის და რომ აწი ამისი შეცვლა აღარ შეიძლება“-თქო. *) „განსაკუთრებით“, სწერს მეორე ადგილას ერმოლოვი მინისტრ კოჩუბეის, „მე ნინოს უმცროსი ვაჟის, გიორგის, საქციელმა აღმაშფოთაო; ეს ყმაწვილი სიყრმიდან სახელმწიფო ხარჯზე პაჟთა კორპუსში იზრდებოდა, გვარდიის ოფიცერიც გახდა და ბოლოს დაივიწყა რა ყველა ეს უმაღლესი წყალობანი; და შვებულებაში, ვითომ და დასასვენებლად ჩამოსული, რუსეთს გადუდგა, შეადგინა თვისი რაზმი, თავს დაესხა ჩვენს კომანდას და თვით მთავრის ლევანის მოკვლაც კი განიზრახაო. „სრულიად საეჭვოდ არ მიმაჩნია“, განაგრძობს ის, „რომ ეს „შვებულება“ გიორგისა სამეგრელოში და ამის შემდეგ მისი დედის ვითომდა საექიმოდ წყლებზე კავკასიის ხაზზე ჩამოსვლა, საგანგებოდ იყო მოწყობილი, რათა მათ სამეგრელოში

*) იქვე, № 828.

აჯანყება შეემზადებინათ“-ო.*) ამის გამო ერმოლოვი დედოფლის კავკასიის ხაზიდან გამგზავრებას აჩქარებს; „მაგრამ“, სწერს ის მინისტრს, „ყველა იმის შემდეგ, რაც ამ ქალმა ჩაიდინა, შეუძლებლად მიმაჩნია, რომ მას პეტერბურგში, ხელმწიფის მახლობლად ცხოვრების ნება მიეცეს“-ო; „ამიტომ გთხოვთ“, განაგრძობს ის, „აღეკვეთოს მას ცხოვრების უფლება, როგორც პეტერბურგში, ისე მოსკოვში და მოთავსებულ იქმნას სადმე სხვა ქალაქში, რათა ნაკლები საშუალება ექმნეს ქართველთა და სომეხთა დახმარებით (რომლებიც მოსკოვში და პეტერბურგში ბლომად ცხოვრობენ) თვისი მავნე კავშირებით სარგებლობა განაგრძოსო“. **).

უმაღლესმა მთავრობამ ეს მოსაზრება, რა თქმა უნდა, „საბუთიანად“ ჩასთვალა და დედოფალს თავის ძველს ბინაზე დაბრუნების და ცხოვრების საშუალება წაართვა. საგანგებო ბრძანებით ის ქ. რიაზანში იქმნა მივლინებული.

სრულს მარტოობაში და დიდს შევიწროებაში ჩავარდა აქ დედოფალი, მაგრამ ყველაზე უფრო გულს ის უთანაღრებდა, რომ მისმა უფროსმა ძემ, მთავარმა ლევანმა, საქართველოსათვის ამ საბედისწერო ცდის ჟამს, გიორგის მხარი არ დაუჭირა; წინააღმდეგ, მან ერთხელ კიდევ გამოიყვანა ოდიშის და ლეჩხუმის ჯარები აჯანყებულ იმერეთის წინააღმდეგ და როგორც ამას წინად მისი დედა სჩადიოდა, რუსეთის იმპერიას ახალი გამარჯვება არგუნა. ხოლო საყვარელი პირმშო, გიორგი კი, დედოფალმა თვისი ძველად ჩადენილ შეცდომების და მრუდე ხაზის გასასწორებლად სამეგრელოსაკენ რომ გაისტუმრა, ძმისაგან შევიწროებული და დამარცხებული, ეხლა აფხაზეთშიაც ვეღარ ახერხებდა თავის შეფარებას. მალე ის იძულებული გახდა იმერეთის ამბოხების დანარჩენ მეთაურებთან ერთად ოსმალეთისათვის მიეშურებინა; მა-

*) იხ. ერმოლოვის აღნიშნული მოხსენება 18 – V – 1820 წ. № 890. („აქტი“, ტ. VI., 1).

**) იქვე.

გრამ ბოლოს, დარწმუნდა რა, რომ ყველა იმედი უკვე დამსხვრეული შეიქმნა, გადასწყვიტა „ცოდვების მონანიება“ და უკან დაბრუნება, რათა ხელმწიფისაგან შეწყალება გამოეთხოვა. ბევრს ეცადნენ მისი მოკეთენი და საერთოდ წარჩინებულნი სამეგრელოისა, მაგრამ პატიება მაინც ვერ მოუპოვეს გიორგის. ის ავადმყოფი ტფილისში ჩაიყვანეს და შემდეგ შორეულს ციმბირში, ერთ ერთ კორპუსში ჯარისკაცად მიავლინეს*).

ასე დაჰკარგა დედოფალმა სამშობლოს განთავისუფლების ნახვის იმედი, დაჰკარგა თვისი ნათესავთა და ახლობელთა წრე პეტერბურგში და ბოლოს მისი საყვარელი შვილი გიორგიც ვერაგულად გულიდან მოჰგლიჯეს. რამდენიმე ხნის შემდეგ შესაფერისი შუამდგომლობანი, როგორც იყო, შეწყნარებულ იქმნენ და დატანჯულ, მოხუც დედოფალს რიაზანიდან პეტერბურგში გადასახლების ნება დართეს; მაგრამ ჩვენ არ ვიცით, თუ როდის ისარგებლა ყოფილმა დედოფალმა ამ ნაგვიანები წყალობით.

ამის შემდეგ დედოფალს ჩვენ ვორონეჟში ვხვდებით...

*) ე. აიხვალდი თავის ცნობილ „მოგზაურობა“-ში, სხვათა შორის, გვამცნობს, რომ მთავარმა ლევანმა თვითონვე გადასცა პეტერბურგს თვისი ურჩი ძმა გიორგი, რომელიც შემდეგში სასჯელის სახით ქ. ომსკში გარნიზონში იქმნა გადაყვანილიო (იხ. "Reise auf dem Kaspischen Meere und in dem Kaukasus“, გვ. 258).

საქმის დაკვირვება გვარწმუნებს, რომ „გადაცემა ურჩი გიორგისა“ ლევანის მხრივ ერთგვარი რაინდული ჟესტის გა-

მოჩენა იყო რუსეთისადმი ერთგულების დასამტკიცებლად; მაგრამ ამავე დროს, ეს იყო შუამდგომლობის გაწევა „შეცდომაში შეყვანილ დამარცხებულ ძმისათვის... რომ მთავარი საქმეში არ ჩარეულიყო, გიორგის ბევრად უფრო სასტიკი სასჯელი მოელოდა, ვიდრე ქ. ომსკის გარნიზონში გადაყვანა და სამხედრო სამსახურში დაქვეითება. აკადემიკოსის

საერთოდ, დედოფლის შემდეგი ვინაობა საიდუმლოებით არის მოცული; მხოლოდ ერთ მცირე ცნობას ნინოს გარდაცვალების შესახებ (მაისი – 1847 წ.) გვაწვდის აკად. მ. ბროსსე. (იხილე მ. ბროსსე, ტომი პირველი, გვ; 648);

* *
*

1832 წლის შეთქმულების მასალებიდან, რომელიც პროფ. პოლიევკტოვმა პეტერბურგიდან ჩამოიტანა და 1935 დოც. გოზალაშვილმა გამოსცა, ვტყობილობთ, რომ ნინო შეთქმულების წლებში ვორონეჟის მონასტერში უნდა ყოფილიყო. ბრალდებული ფილადელფოს კიკნაძე, რომელიც შეთქმულთა მეთაური და სულიერი მამა იყო, აჩვენებს, რომ მას მართლაც ჰქონდა დედოფალ ნინოსთან მიწერ-მოწერა (ფილადელფოსს დედოფლის წერილები დაუპირეს); მაგრამ ამ მიწერ - მოწერის მიზანი თითქო ის ყოფილიყოს, რომ ფილადელფოსს აზრადა ჰქონია მონასტერში მოწყობა და ნინოსაც შესაფერ დახმარებას სთხოვდა. ფილადელფოსს ამ გზით თითქო რუსული ენის შესწავლაც სდომებოდეს*) მასალების მეორე ადგილიდან ვტყობილობთ, რომ დედოფალ ნინოს ვორონეჟის მონასტერში თან ხლებია მისი ერთგული მოძღვარი როსტომ იოსელიანი**). ჩვენთვის საყურადღებო ისაა, რომ

მარი ბროსეს ცნობით, გიორგი აჯანყების დამარცხების შემდეგ ოსმალეთში არ გადასულა. ის შეეცადა ფოთის ციხეში (რომელიც ხელ-ახლა თურქთა ხელში იყო) შეხიზნულიყო, მაგრამ აქაც მას ბედმა უმუხთლა; ოსმალეთი მაშინ რუსეთთან დაზავებული იყო და აჯანყების მეთაურს თავის შეფარებაზე უარი უთხრა; ყოველ მხრივ გზებ მოჭრილი გიორგი მტერს დანებდა. ყველა მისი მხლებელნი, – რაზმის წევრნი – რუსეთმა სიკვდილით დასაჯა, ხოლო გიორგი კი ციმბირში გადაასახლა (იხ. ბროსსე, ტ. 2., გვ: 316):

*) იხ. „1832 წ. შეთქმულება“, გვ. 264; ამ საგანზე ჩვენ სხვა ადგილასაც გვქონდა ლაპარაკი, სადაც ქალების როლზე ვსწერდით 1832 წლის შეთქმულებაში.

**) იქვე, იხ. გვ. 315.

დედოფალს 1832 წლის შეთქმულებასთან რაღაც კავშირი

ჰქონია და უკვე მოხუცს და მონასტერში თავშეფარებულს, მაინც არ ასვენებდა ის ფიქრი, რომ მის ძველ „ნაცად" გზას გასწორება და „შემობრუნება“ სჭიროდა; ეს კი მარტო ქართული ძალების დარაზმვით და მის დიდ რუსეთთან დაპირისპირებით შეიძლებოდა; მაგრამ დამარცხდა ეს ახალი შეთქმულებაც.

საქართველოში ჩრდილოეთით უფრო მწვავედ დაჰბერა სუსხმა და იმედის ზარები აღარსად სცემდენ... ეხლა ლოდინი უფრო ხანგრძლივი და მტკივნეული უნდა ყოფილიყო... და ვორონეჟის მონასტრის ცივ კედლებს ალბად ხშირად ეჩურჩულებოდა დიდი ერეკლეს შვილისშვილი: „პაპას გზა ჩემი გზა არ უნდა ყოფილიყო, მე სუსტი ვიყავ – შემინდე ჩემო ლამაზო და ტკბილო ოდიშო, მკვდარი მაინც მიმიღე და შემირიგეო“...).

---

*) სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება იმის ცნობა, თუ რამდენი ხანი დაჰყო დედოფალმა ვორონეჟში (მარი ბროსსეს ცნობით, დედოფალი გიორგიევსქიდან პირველად რიაზანში გადაუსახლებიათ, იხი „ Hist d.1∂4 Georgie. LL, 2., ნაწ. 2; გვ. 3I6., რის შემდეგ ალბად ვორონეჟში გადაიყვანეს) და როდის.დართეს მას ნება პეტერბურგში გადასულიყო.

ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ დედოფალი, უკვე ღრმა მოხუცებული - 75 წლისა —- მიიცვალა პეტერბურგში და დაასაფლავეს ნევის საკრებულოში. ბროსსეს ცნობით 30 (ან 31) მაისს I847 წ.

მემკვიდრენი დედოფალს დაშთენიან: 1) ქეთევან, რომელიც გაჰყოლია ჯერ მანუჩარ და შემდეგ როსტომ შერვაშიძეს; 2) ლევან – მთავარი; 3) მარიამ, მეუღლე დავით გურიელისა (დიმ. ბაქრაძის აზრით კი, რაიც უფრო სწორი უნდა იყოს, მარიამ მდივან-ბეგ გიორგი ერისთვის მეუღლე ყოფილა; 4) ელენე; 5) ეკატერინე მეუღლე პოლკ. ორბელიანისა და 6) გიორგი – გმირი 1820 წ. აჯანყებისა (იხ. მარი ბროსსე: „ Hist. d. la Georgia“; ტ. 2., გვ. 637).

ნარკვევი მეექვსე

ბატონიშვილი დარეჯან

იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონ მეორის ბრძოლებმა დიდი რუსეთის „დიპლომატიის" წინააღმდეგ სრული 10 წელი გასტანა... უნდა ითქვას, რომ ამ ბრძოლიდან სოლომონ მეფე გამარჯვებული გამოვიდა და რუსეთის იმპერიის საგარეო მინისტრმა იმერეთის ელჩის ლეონიძის ურყევ და ნათელ

საბუთების წინააღმდეგ ვეღარა გააწყო... ნოტათა გაცვლა-გამოცვლის „აქტები“ სამუდამოდ დაიხურა და საქმე ეხლა სამხედრო მინისტრს გადაეცა დასაბოლოებლად; უფრო გარკვევით რომ ვსთქვათ, კავკასიის მთავარ-მართველს ციციანოვს იმერეთზე სამხედრო შეტევა ებრძანა. ეს ამბავი მგლისა და კრავის არაკს უფრო წააგავდა, იმ განსხვავებით, რომ სოლომონ მეფემ არც ისე იაფად დაუჯინა ტორმასოვს იმერეთის სამეფოს „ინკორპორაცია“ და დიდ იმპერიას ყველაფრით დაუმტკიცა, რომ ის „კრავი“ არ იყო.

თუ 1810 წლამდე ბრძოლებს ეპიზოდური და პარტიზანული ხასიათი ჰქონდა, ამ წლის გაზაფხულიდან ყველაფერი საამკაროზე იყო გამოსული და დიდი რუსეთის ჯარი გაწრთვნილის არტილერიით პატარა იმერეთის მხედრობას უტევდა. ამ მძიმე დროსაც, როგორც წინად, მეფეს და მის ერთგულ მამაკაცთ გვერდით ქალები უდგნენ; ესენი იყვნენ: – დედოფალი მარიამი, სოლომონის და – მეორე მარიამი, რომელიც სარდალ მალხაზ ანდრონიკაშვილს ჰყავდა ცოლად, დარეჯან ბატონიშვილი – ასული სახელოვან მეფის სოლომონ პირველისა, ეკატერინე წერეთლისა, – მეუღლე სარდალ ქაიხოსრო წერეთლისა, დავით მიქელაძის ოჯახობა (ესეც სოლომონ მეფის და იყო) და სხვა ღირსეული მანდილოსნები იმერეთის მოწინავე წრიდან.

ამ ქალებს გაცხარებული და ხშირად უიმედო ბრძოლების დროსაც არ მიუტოვებიათ სამეფო სახლის ერთგულება და მოციქულობით, რჩევით, გამხნევება-ნუგეშით იმერეთის თავდაცვის საქმისათვის დიდი სამსახური გაუწევიათ.

ბატონიშვილ დარეჯანის ოჯახი ყველაზე ზვიადი და წარჩინებული იყო და, რა თქმა უნდა, რუსეთის იმპერიის საწინააღმდეგო ბრძოლებში პირველობას არავის დაუთმობდა. ამ ქალმა მართლაც ღირსეულად და ამაყად მიიტანა სამშობლოს სამსხვერპლოზე მთელი თავისი ოჯახი... და განა სხვაფრივ კი შეშვენოდა. დარეჯან ბატონიშვილს, რომელიც დიდი და შესანიშნავი მეფის სოლომონ I-ს ასული იყო?... – ნამდვილი მემკვიდრე, რომელსაც იმერეთის ბაგრატიონთა გაწყვეტილი ჯაჭვი უნდა გაეგრძელებინა. იყო დრო, როცა ეს ქალი ფიქრობდა (და მაშინ ალბად სხვებსაც ენათესავებოდა ეს ფიქრები), რომ თუ მის სახელოვან მამას „სხვა ძე არ ესვა“ და „მარტოდენ მარტო ასული“ ჰყავდა, ესეც არ უნდა ჩაეთვალათ დიდ ჭირად, რადგან იმერთა ბაგრატიონების კარზედ კარგად იცოდენ, რომ ,,ლეკვი ლომისა სწორი“ იყო...

უნდა ვიფიქროთ, რომ იმ უცნაურ ამბებს, რომელსაც ამ ქალის ქმარი, ზვიადი თავადი ქაიხოსრო აბაშიძე სჩადიოდა, საფუძვლად დარეჯანის ეს „მემკვიდრეობა“ ედო სოლომონ

პირველის გვირგვინისა...

ამით აიხსნება, რომ ქაიხოსრო თავის თავს იმერეთის ტახ-ტის პრეტენდენტთა რიცხვს უმატებს და ხან სოლომონ მეორის და ხან დავით გიორგის ძის წინააღმდეგ იბრძვის.

ამ დროს ის იმერეთის საზღვრებს სტოვებს, ოსმალეთის კარზედ დიდ ინტრიგებს აწყობს და მომხრეებსაც ჰპოულობს. ოსმალეთის ანგარიშში ხომ ძველებურად შედის: – ხან ერთ პრეტენდენტს წაეხმაროს, ხან მეორეს, და იმერეთი კიდევ უფ-რო დაქსაქსოს და დააუძლუროს. პორტაც იმერეთის მეფედ ქაიხოსროს აცხადებს, ჯარს, იარაღს და სურსათს აძლევს და

იმერეთისაკენ ისტუმრებს (1784)*). ამ ახალი პრეტენდენტის ჩარევამ საქმე კიდევ უფრო გაართულა და იმერეთის მდგომა-რეობა მთლად გაამწვავა. ჯერხანად დავით არჩილის ძეს ეხ-მარებოდა და მეორე დავითს ებრძოდა; მაგრამ მალე ეს ბრძო-ლ უკვე გამარჯვებულ სოლომონ მეორის წინააღმდეგ მიმარ-თა და თვითონ მოინდომა ტახტზე ასულიყო**).

მაგრამ განვლო წლებმა, რუსეთმა მოხერხებით ქართლ-კახეთი მთლად დაინარჩუნა და ჯერი ეხლა იმერეთზე მიდგა... სოლომონ მეორის წაქცევა ეხლა უკვე იმერეთის სრულ და-ცემას ნიშნავდა და სამეფო ტახტის დამხობას ყველა მისი პრე-ტენდენტებით; და მთელი იმერეთი დასდგა სამშობლოსა და საყვარელ მეფის დროშის ქვეშ... ქაიხოსრომაც ძველი ზრახ-ვა სამუდამოდ უკუაგდო და გმირულად და თავგანწირვით შე-ება უსწორო მტერს და სახელოვანადაც შესწირა თავი მეფეს და იმერეთის დამოუკიდებლობას. როგორც აღვნიშნეთ, ამ ბრძოლებში ის გვერდით უდგა და მხარს უმშვენებდა თვის ღირსეულ მეუღლეს დარეჯან ბატონიშვილს.

როგორც ვიცით, 9 მაისს 1810 წ. ტორმასოვის მიერ მო-ტყუებით დაპატიმრებული სოლომონ მეორე მისმა ერთგუ-ლებმა ტფილისიდან გააპარეს და მალე მეფე დიდის დიდებით ახალციხეში შევიდა... ეხლა აქედან უნდა მოსულიყო იმერე-თის განთავისუფლება და სოლომონ მეფეს ერთხელ კიდევ უნდა დაენახვებინა ტორმასოვ-სიმონოვიჩისათვის, თუ რა ფა-სი ჰქონდა ზურაბ წერეთლის განდგომას და იმერეთის ხალხის რუსეთის ერთგულებაზე დაფიცებას.

ახალციხიდან მეფემ ხალხს მოწოდებით მიმართა; იმედის სიომ კვლავ დაჰბერა და იმერეთი დიდმა მზადებამ და ღელ-ვამ მოიცვა. ამ საქმეს სათავეში დარეჯან ბატონიშვილის ოჯა-

---

*) იხ. ბუტკოვი, 3. გვ. 182; აგრეთვე პროფ. ცაგარელის შესავალი, გვ. 13.

**) იხ. ბუტკოვი, 2. გვ 284; აგრეთვე პრ. ცაგარელი შენიშვნა 1.

ხი ჩაუდგა*) და მალე შეთქმულთა სამხედრო შტაბის ერთ-ერთი განყოფილება მაღლა – საქარაში (ლეჟავასეულში) დამ-კვიდრდა, სადაც მას დარეჯანის მეუღლე ქაიხოსრო აბაშიძე მეთაურობდა**). ქაიხოსროს ამოცანას შეადგენდა: – ქართ-ლიდან გადმოყვანილი რუსთა ნაწილები უკვე სავსებით მო-ჭრილს, ქუთაისში მდგომ სიმონოვიჩის ნაწილებს არ შეერთე-ბოდა. მაგრამ მრავალ ცხარე ბრძოლათა შემდეგ რუსთა არ-ტილერიამ მიზანს მაინც მიაღწია და სოლომონ მეფეც ხიფათ-ში ჩააგდო. თვით ქაიხოსრო კი ერთ ასეთ ბრძოლაში, ცხრა - წყაროს ეკლესიის ხელახლა აღებისათვის, რასაც დიდი სტრა-ტეგიული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, გმირულად დაიღუპა (25 ივლისს 1810 წ.). დარეჯანმა ეხლა ბრძოლის მთელი სიმ-ძიმე შვილებზე გადაიტანა და ეს 60 წლის მოხუცი ერთი წუ-თითაც არ შედრკა, როცა მას რუსეთის მხედრობამ საყვარელი ქმრის კუბო წინ დაუსვენა. ეხლა მამისა და მისი რაზმის საქ-მეს დარეჯანის უფროსი ვაჟი – ხახული – აგრძელებს და მრავალრიცხოვან მტერთ არა ერთხელ ამარცხებს. განსაკუთ-რებით აჯანყებულთათვის გამამხნევებელი იყო ხახულის მიერ მაიორ კალატოზოვის მოკვლა და მისი რაზმის გაჟლეტა.

მაგრამ სიმონოვიჩი, რომელმაც იცის, რომ მეფის მარჯ-ვენა ხელი სწორედ ხახული აბაშიძეა, ზემო საქარას მთელის ძალებით უტევს და ხანგრძლივ ბრძოლათა შემდეგ 26 აგვის-ტოს 1810 წ. ხახულიც გულგანგმირული ეცემა ბრძოლის ვე-ლზედ.

სწორედ ერთი თვე გასულიყო მისი მამის სიკვდილის შე-

---

*) „სცნეს რა იმერთა მეფისა აღსვლაი ახალციხეს, შეიქმ-ნა მათ შორის აღრეულობაი და ადგილ-ადგილ ამბოხი, უმე-ტეს ზემო მხარესა, რომლისა ამბოხის თავი იქმნა ქაქუჩელა აბაშიძე. მაშინ ღიანარალმან სიმონოვიჩმან წარგზავნა მაიო-რი კალატოზიშვილი 200 სალდათით და ზარბაზნებითა. მო-ვიდა იგი საქარას. წარმოიშვა ბრძოლაი, იძლივნენ რუსნი“... (იხ. დავით ბატონიშვილის „მასალები“, გვ. 20).

**) იხ „ჩუდინოვი“.

მდეგ და დარეჯანს ეხლა უფროსი ვაჟიც გულიდან მოჰგლი-ჯეს... მაგრამ ბრძოლა ჯერ ისევ გრძელდებოდა. ეხლა გლო-ვის დრო არ იყო და დარეჯანმა, ვით ქართველმა დედამ, პი-რველ რიგში შემდეგი ვაჟი – სვიმონი – წამოსწია...

ამ უსწორო ბრძოლამ სვიმონიც ჩქარა შეიწირა და დარეჯანს

ეხლა უკანასკნელი შვილი ივანე-ღა დარჩენოდა, რომელიც იმ ხანად სასწაულმა დაიფარა, და მოხუცმა დედამ იგი იმერეთს მომავალი ბრძოლებისათვის შეუნახა; მართლაც ამ საყეირელმა ძემ 10 წლის შემდეგ უკვე 70 წლის მოხუც დედას წმიდა ანდერძი სასახელოდ შეუსრულა*).

საოცარი იყო დარეჯანი: ის ხუცდებოდა, თმები უვერცხლდებოდა, ნაოჭები უღრმავდებოდა, მაგრამ დამპყრობელთა მიმართ ზიზღი და შურისძიების წადილი მასში უფრო ყმაწვილდებოდა და იზრდებოდა. ამიტომ იყო, რომ ტორმასოვი თავიდანვე აფრთხილებდა ღენ. ორბელიანს**) დარეჯანის ოჯახის შესახებ და სწერდა: „ისენი არიან მეთაურნი, უნდა როგორმე დაიჭიროთ და გაჟლიტოთო“.

აბაშიძის ოჯახის თავდადებული ბრძოლა ერთი ეპიზოდი იყო იმ გმირული შებმისა, რომელსაც სისხლისგან დაცლილი იმერეთი სამეფოის ტახტის გადასარჩენად აწარმოებდა. ბრძოლის ბედი გადაწყვეტილი უნდა ყოფილიყო მას შემდეგ, რაც რუსეთმა სამეგრელოს მთავარი ლევან იმ დაპირებით გადაიბირა, რომელიც ჯერ კიდევ ციციანოვმა მის მამას, გრიგოლ დადიანს მისცა. შემდეგში ამგვარივე დაპირება (სამთავროის მმართველობის სამუდამოდ უზრუნველყოფის შესახებ) გურიის მთავარ მამიასაც ასევე გულუბრყვილოდ მიეღო. და ეხ-

*) სარ. კაკაბაძის ცნობით, დარეჯანს 1810 წლის ბრძოლებში სამი ვაჟი დაღუპვია: როსტომ, გიორგი და სვიმონ. (268). ჩვენ ამის დადასტურებას ვერ შევხვდით. „აქტებ“-ში დასახელებული არიან: – ხახული, სვიმონ და ივანე.

**) იხ. ტორმასოვის ინსტრუქცია ღენერ. ორბელიანისადმი, 3 – 8 –1810 წ.; „აქტები“, 4, 380.

ლა ეს გურულ-მეგრული მილიცია, სიმონოვიჩის რაზმთან უკვე შეერთებული, სოლომონს და მის ჯარს სასტიკად უტევდა; მოკავშირე არსაიდანა სჩანდა და მეფე და მისი ერთგულნი ახალციხიდან შეპირებულ თურქულ-ლეკურ რაზმებს ამაოდ უცდიდენ; მალე ეს იმედიც გაჰქრა და უკანასკნელი თავგანწირული ბრძოლის შემდეგ მეფემ ხანისწყლის ხეობა დასტოვა და საყვარელ იმერეთს დიდის ვაებით გამოეთხოვა...

ტორმასოვი ეხლა „საბოლოო გამარჯვებით“ სტკბებოდა და ეს სიამე სრული არ იქნებოდა, რომ მას იმერეთის სამეფოს მოსპობასთან ერთად, მისი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ოჯახთა „ლიკვიდაცია" არ მოეხდინა.

დარეჯანის ოჯახის დარღვევა უკვე მომხდარი ფაქტი იყო და ამაზე ის სამი საფლავი მეტყველებდა, რუსის ჯარს სამი თვის მანძილზე რომ გაეთხარა.

დაშთენილი იყო ერთად-ერთი ვაჟი, ივანე, რომლის შესახებ მთავარმართებლის დასამშვიდებლად რუს მოხელეთა მიერ „შეკრებილი ცნობები ადასტურებდა“, რომ დარეჯანის შვილს იმერეთში არავითარი გავლენა არა აქვსო*). სამაგიეროდ დარეჯანის შესახებ არც ერთ მმართველ წრეში ორი აზრი არ არსებობდა და მიუხედავად მისი მოხუცებულობისა, მაინც გარდაწყვეტილი იყო ბატონიშვილის რუსეთში გადასახლება.

დაპატიმრებული დარეჯანი უკვე ნოემბერში იგზავნება ტფილისს მთავარმართებელ ტორმასოვის განკარგულებაში. უკანასკნელს უკვე ადრევე მიუღია შესაფერი ზომები და უმაღლესი ნებართვაც გამოუთხოვია: –-დედოფალ მარიამთან და სოლომონ მეფის დასთან (მარიამ ანდრონიკაშვილთან) ერთად ბატონიშვილ დარეჯანის რუსეთს გადასახლებისათვის. სიმონოვიჩიც თავის მხრივ დარეჯანისადმი შესაფერ „მზრუნველობას" იჩენს და მხლებლებს ინსტრუქციას აძლევს: – ზედ-

*) იხ. სიმონოვიჩის პასუხი ტორმასოვის შეკითხვაზე, („აქტები“, ტ. 4. № 446).

მეტი და განსაკუთრებული ყურადღებისა და მუდმივი ზვერვის ქვეშ ჰყავდეთ ბატონიშვილი დარეჯანი, „რადგან მისი მონაწილეობა აჯანყებაში უდავო და თვალსაჩინოა“-ო *). 16 ნოემბერს დარეჯანი ტფილისს ჩაუყვანიათ და ბექთაბეგის სახლში მოუთავსებიათ.

საქართველოს თავადაზნაურობა და საერთოდ მოწინავე საზოგადოება, ამ ამბით მეტად შეწუხებული, ფეხზე დადგა და დიდი სოლომონის ქალის გადარჩენა მოინდომა იმ საბუთით, რომ ის 60 წლის მოხუცი და ამ ორიოდე თვის მანძილზე ქმრისა და ორი ვაჟის დამკარგველი იყო; მაგრამ ტორმასოვი, ეტყობა, ამ გარემოებას დიდათ არ დაუფიქრებია და ის 22 დეკემბერს 1810 წ. ღენ. დელპაცოს მოზდოკში სწერს: – „ამ ხუთ დღეში უმაღლესის განკარგულებით ვგზავნი დედოფალ მარიამს, მარიამ ანდრონიკაშვილისას და ბატონიშვილს დარეჯანს ვორონეჟში დასასადგურებლად და მიიღეთ ყველა საჭირო ზომები“-ო**) ესე იგი ამ დროში სამხედრო გზაზე მოგზაურობის უსაშინელეს პირობების მიუხედავად, ტორმასოვი მაინც აპირებდა სწორედ დეკემბრის დამლევს მოხუცი ბატონიშვილი გაემგზავრებინა; ოღონდ რაღაც შემთხვევამ მაინც ჩაშალა ეს ვერაგული გეგმა და დარეჯანს გადასახლება ამ ხანად აცდინა. უნდა ვიფიქროთ, რუსეთზე მინდობილ ელიზბარ ერისთავს, რომელსაც დარეჯანის დაჲ ჰყავდა, ცდა არ დაუკლია, ისედაც უწყალოდ დასჯილ ბატონიშვილს გადასახლება არ რგებოდა წილად. ალბად ელიზბარ ერისთავი თვითონვე დაუდგა თავდებად თავის ცოლის დას სიმონოვიჩის წინაშე და

შესაფერი დახმარებაც სთხოვა.

დანარჩენი ამბები ტორმასოვ-სიმონოვიჩის მიწერ-მოწერიდან ირკვევა.

7 იანვრის წერილიდან (რომელიც ტორმასოვს სიმონოვიჩისათვის მიუწერია) სჩანს, რომ დედოფალი და მალხაზ ანდრო-

*) იქვე, № 448.
**) იქვე, № 451.

ნიკაშვილის მეუღლე ვორონეჟს უკვე გაუგზავნიათ, „ხოლო დარეჯანი მოხუცებულობის გამო დავტოვე ჯერ ტფილისშიო; იგი დაჟინებით მთხოვს: დავაბრუნო უკან იმერეთს, თვის მამულში, ან და იმერეთის საზღვრებთან, მის ნათესავ აბაშიძეებთან (სოფ. ბეკანაში) მივცე ცხოვრების ნება“-ო. ტორმასოვს ერთხელ უარი უთქვამს ზურაბ წერეთლისთვის, მაგრამ თუ სიმონოვიჩი ფიქრობს, „რომ ზურაბ წერეთელი მართლა შეასრულებდა თავდებობის პირობებს, მაშინ ნებას დავრთავდი“-ო... ამ წინადადებაზე სიმონოვიჩი უარყოფით პასუხს აძლევს ტორმასოვს და ურჩევს –დარეჯანს მხოლოდ სოფ. მეჯვრის ხევში – თავის დასთან (ე. ი. ელიზბარ ერისთავის ოჯახში) დარჩენის ნება მისცეს. რამოდენიმე ხნის შემდეგ (24 – 3 – 1811) განმეორებითი და დაჟინებითი თხოვნის საპასუხოდ მთავარმართებელი სახლთუხუცესს ზურაბ წერეთელს მიუგებს, რომ იგი დარეჯანს იმერეთში დაბრუნების ნებას ვერც მისი თავდებობით მისცემს. თვით ზურაბ წერეთელს ტორმასოვი ურჩევს: – „ამ ხანად იმერეთის დეპუტაცია რომ პეტერბურგს მიდის, იმან ხელმწიფეს საამისო პეტიცია მიართვას და თუ ყველა წარჩინებულნი თავდებობას აიღებენ და პირობას დასდებენ, რომ ეს ქალი მომავალში არასდროს არ ჩაიდენს რაიმეს მთავრობის საწინააღმდეგოდ და არც რაიმე საამისო კავშირს დაიჭერს ვისმესთან, მაშინ მე ამ თხოვნას წარვაგზავნი ხელმწიფესთან შესაფერი დასკვნით“-ო**).

ამ ახალი ვითარების გამო ტორმასოვი პეტერბურგს სწერდა, რომ ეხლა მან გადაიფიქრა და ამჯობინა ბატონიშვილი დარეჯანი ჯერჯერობით ტფილისში დაეტოვებინა: – „თუმცა ის იღებდა მონაწილეობას აჯანყებაში, მაგრამ რადგან მოხუცია (60 წლისა) და მეტად სუსტი ჯანისა, ვერც შესძლებს ამ დროს თოვლიან მთებში ცხენით ასეთი მოგზაურობა გადაიტანოს, და იქნება ამან კიდეც იმსხვერპლოს, ამიტომ მე ყოველ-

*) იხ. მიწერ-მოწერა ტორმასოვ-სიმონოვიჩისა, იანვარი 1811 წლის. „აქტები“, 4, № 456,7.
**) იხ. „აქტები“, 4, № 479.

გვარ უკმაყოფილო ხმათა ასაცდენად, რაიც ამ **თავქარიან** ხალხისაგან წარმოსდგება, გადავსწყვიტე: დავსტოვო ტფილისში და ვიქონიო ზედამხედველობა, რომ მან ვერ შესძლოს რაიმე საწინააღმდეგო ჩაიდინოს და ვინმესთან კავშირი დაიკავოს. მე მას ხარჯად თვეში 50 მანეთს ვაძლევ, და მიუხედავად დაჟინებულ მოთხოვნისა, არაფერს მივუმატებ. ხოლო თუ ცოტა კი რამე საეჭვო შევამჩნიე, მაშინვე შეუბრალებლად გადავასახლებ რუსეთში, რის ნებართვასაც ეხლავე ვითხოვ"-ო*).

ამ ნებართვას მას პეტერბურგიდან ალბად ფიცხლავ მოაწოდებდენ, მაგრამ იმერეთში ისეთი ამბები დატრიალდა, რომ ეხლა არც ბატონიშვილ დარეჯანის და არც სხვათა იქ ყოფნა რუსეთისათვის საშიში აღარ უნდა ყოფილიყო.

აჯანყებისა და წინააღმდეგობის უნარი დიდის ხნით ჩაჰკლა იმ ფაქტორებმა, რომლებიც რუსეთის „მოკავშირენი“ შეიქმნენ და რომელთაც სოლომონ მეფეს ასე უნაყოფოდ დაუმარხეს იმედი... 1811 წლიდან იმერეთში სიმშილი და შავი ჭირი მძვინვარებს და მალე ის, სანახევროდ გაუკაცრიელებული, წინააღმდეგობის ყოველგვარ უნარს ჰკარგავს... ალბად ამითაც უნდა აიხსნას ის „ლმობიერება“, რომელიც ტორმასოვმა დარეჯანის მიმართ გამოიჩინა და მას ჯერჯერობით ათასგვარ პირობით სიძესთან დარჩენის ნება დართო. ამნაირად, იძულებით შესწყდა იმერეთის ბრძოლათა სერია, მაგრამ ეს იყო უნებლიე შეჩერება, სტიქიურმა უბედურებამ რომ გამოიწვია.

განვლო წლებმა და ეხლა უფრო მეტის სიმძაფრით იფეთქა ახალმა აჯანყებამ და ამ ახალ აზვირთების სათავეში ჩვენ იმავე ბატონიშვილ დარეჯანს ვხედავთ – ეხლა უკვე 70 წლის მოხუცს, მაგრამ იმავე უტეხის და ძლიერის ნებით შეპყრობილს; ეხლა ის თავის უკანასკნელ შვილს, ივანეს, ბაგრატიონთა სახელოვან დროშას ხელში აძლევს და ბრძოლის გზას ულოცავს.

---

*) იხ. „აქტები“, ტ. 4, № 454; მოხსენება ტორმასოვისა მინისტრ რუმიანცევისადმი, 29 – 12 – 1810 წ.

ასე დადგა 1819 წელი და იმერეთის „საეკლესიო" აჯანყებამ ბატონიშვილი დარეჯანი ხელახლა შეთქმულთა პირველ რიგებში დააყენა; და ამ ამბებმა რუსთ მხედრობას და მის ახალ მმართველს ღენ. ერმოლოვს ძველი აქტებიდან ამ მოხუცი, უცნაური ქალის „დოსიე“ მოაძებნინა; აქ ხომ კიდევ მოიპოვებოდა „უმაღლესი ნებართვა“ დარეჯანის რუსეთში გადასასახლებლად! ეს ნებართვა ეხლა ერთბაშად საჭირო გამხდარიყო, ხოლო ვინც კიდევ მისამატებელი იყო, ამათ შესახებ ახა-

ლი შუამდგომლობის აღძვრა შეიძლებოდა; და ერმოლოვმაც სამღვდელოებიდან დაიწყო, რადგან მას რუსეთის ბატონობის შეურიგებელ მტრად სწორედ ის მიაჩნდა. მან ქუთათელი მიტროპოლიტის „თავი“ ითხოვა და პეტერბურგმა ამ თხოვნის გარეშე დარჩენილი გენათელი მიტროპოლიტიც მოუმატა“.

სხვა ადგილას ჩვენ უკვე შევჩერდით 1819-1820 წლის ამბოხებაზე (იხილეთ „რაჭა და წულუკიძის ოჯახი“) და აქ ამას მარტო იმდენად შევეხებით, რამდენადაც ეს ამბავი უშუალოდაა ბატონიშვილ დარეჯანის პიროვნებასთან დაკავშირებული. ამ მხრივ ჩვენს ყურადღებას ყველაზე უწინ ის ფაქტი იპყრობს, რომ ამ ახალი შეთქმულების მეთაური, დარეჯანის ვაჟი, ივანე აბაშიძეა, რომელიც დედასთან მჭიდრო კავშირშია და მის რჩევა-დარიგებას და ხანდახან განკარგულებასაც სახელმძღვანელოდ იხდის.

* *
*

ივანე აბაშიძის ემისრები დაუღალავად დაჰქრიან ხან დაღესტანში, ხან ახალციხეში თურქებთან და ხან კიდევ დარალეგიოზში ალექსანდრე ბატონიშვილთან, რათა მან იმერეთიდან რუსების გასადევნად აბას-მირზას ჯარი და იარაღი გამოსთხოვოს*).

ჯერ ხანად მაინც ყველაზე მეტი იმედი ახალციხის საფა-

---

*) იხ. ერმოლოვის მოხსენება მინისტრ გალიცინისადმი, 18 სექტემბერი, 1819 წ; 7 „აქტები“, 4; № 778.

შოზე იყო დამყარებული; მაგრამ ფაშამ დახმარების მიცემის წინ ივანე აბაშიძისაგან შესაფერი გარანტიები მოითხოვა. ალბად მას კიდევ გული საგულეში არა ჰქონდა და აშინებდა ალექსანდრე ბატონიშვილის გავლენით იმერეთს სხვა ორიენტაცია არ აეღო. იმერეთის საქმეებში სპარსეთის ჩარევის შიშმა, ან იმ მოსაზრებამ, რომ შეიძლებოდა შეთქმულნი რუსებს კვლავ შერიგებოდენ, ახალციხის ფაშას დახმარების წინ სათანადო ამანათის მიღებაზე აფიქრებინა და მან 70 წლის მოხუცი დარეჯანი საწინდრად გამოითხოვა.

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ მოხუც, პატრიოტ ქალს ამაში არავითარი უცნაურობა არ დაუნახავს და ალბად შესაფერის სამზადისსაც შეუდგა: რათა ივანეს პატარა ვაჟითურთ ახალციხეში გაპარულიყო. ეს მზადება რუსის მოხელეთ კარგად სცოდნიათ (მათ ფაშის წერილი ადრევე ჩავარდნიათ ხელში) და მყისვე სათანადო ზომებიც მიუღიათ; მთავარმართებლის მო-

ადგილე ველიამინოვი იმერეთის გამგეს ღენ. კურტანოვსკის (22 იანვარს 1820 წელს) ავალებს: ვინმე საიმედო პირისათვის მიენდო: დარეჯან ბატონიშვილისა და ივანე აბაშიძის ოჯახისათვის განუწყვეტელი და სასტიკი თვალყური ედევნებინა, და თუ ისინი მართლაც ახალციხისაკენ გაპარვას შეეცდებოდენ, უნდა ყოველი ღონე ეხმარათ, გზაში შეეპყრათ, ხოლო თუ ეს არ მოხერხდებოდა, ამოეწყვიტათ სადაც კი მიუსწრებდენ*).

ალბად ამ გარემოებამ შეუშალა ხელი ბატონიშვილ დარეჯანს იმერეთიდან დროზე გაპარულიყო...

მაგრამ ერმოლოვმა ეს ზომებიც საკმარისად ვერ მიიჩნია; იმ მარცხს, რომელიც რუსეთს 1819 წელს იმერეთში მოუვიდა, ღენ. კურტანოვსკის (იმერეთის მმართველის) „ლიბერალიზმს" აწერდა იგი. მას ვერ წარმოედგინა – რომ კურტანოვსკი აჯანყებულებმა საეკლესიო აღწერათა დაუყონებლივ შეჩერებაზე, ფეოფილაქტეს გაძევებაზე, და, რაც მთავარი იყო, უკვე აღწერილ საეკლესიო ქონებათა სიების ჩამორთმე-

*) იხ. „აქტები“, ტ. 4, ნაწ., 1. გვ. 571-2.

ვაზე – მართლაც დაიყოლიეს*). ერმოლოვს კურტანოვსკის ასეთი „დათმობითი“ პოლიტიკა ვერ აკმაყოფილებდა და ველიამინოვს ებრძანა მოხუცი ღენერალისათვის ნელ-ნელა „წყალი შეეყენებინა“. მის ადგილას კი ახალგაზრდა და მამაცი პოლკოვ. პუზირევსკი უნდა დაენიშნა, რომელიც შეთქმულთ აღმოაჩენდა, სამაგალითოდ დასჯიდა და იმერეთსაც საბოლოოდ „ჭკუას ასწავლიდა“.

როგორც ვსთქვით, კურტანოვსკის გაფრთხილებანი და პანიკის-მაგვარი მოხსენებანი ვერ აკმაყოფილებდენ ბრაზით სავსე და მუდამ მტკიცე ზომების მომხრე ერმოლოვს. არსებითად კი ეს „დათმობანი“ კურტანოვსკის „ლიბერალობით“ არ ყოფილა გამოწვეული, არამედ იმით, რომ რუსეთს მაშინ იმერეთში და საერთოდ საქართველოში სასტიკი ეკზეკუციებისათვის საკმაო ჯარები არა ჰყავდა. რუსეთის წინააღმდეგ მთელი იმერეთი, როგორც ერთი კაცი, იდგა და კურტანოვსკის, რა თქმა უნდა, თავდაცვის იმედი დიდათ არა ჰქონდა.

ერთ მოხსენებაში, რომელიც ამ ვითარებას კარგად არკვევს, კურტანოვსკი ველიამინოვს სწერს, რომ 1 – 7 – 1819 წ. მან ეკზარხოსი ფეოფილაქტე 300 ჯარისკაცით, ოფიცრებით და არტილერიით სურამამდე მიაცილა; აქ კურტანოვსკიმ ფეოფილაქტე ხერსონის პოლკის როტას ჩააბარა ტფილისამდე-მისაყვანად.

კურტანოვსკის სჯეროდა ფეოფილაქტეს გაძევების შემ-

დეგ აჯანყებულთა დაშოშმინება-დაშლისა, მაგრამ ესენი
არც ეხლა ფიქრობდენ დაწყნარებას და მეთაურნი მარტო
გლეხებს (რაზმელებს) ითხოვენ და აგზავნიან თავთავიანთ სა-
ხლში; ხოლო თვითონ კი სოფლიდან სოფლად გადადიან და
ხალხს აფიცებენ, რათა პირველ ნიშანზე ყველა ფეხზე დადგეს,
რუსებს შეესიოს და სიცოცხლე არ გაზოგოსო. აქვე იგი მთა-

*) ერთი ასეთი სია მეამბოხეთა მიერ ჩამორთმეული ამ ჟამად არქივში უპოვნიათ და გამოქვეყნებულია „საისტორიო მოამბე“-ში; სია მიბარებული ჰქონია მიქელაძეს; (იხ. ს. კაკაბაძის გამოცემული „საისტორიო მოამბე“, 2.).

ვარმართებელის თანაშემწეს აცნობებს, რომ სამთავროთა
იმედი არ უნდა ვიქონიოთ: არც გურია, არც სამეგრელო და
არც აფხაზეთი არ არიან საიმედონი, თუმცა კი პირმოთნეობე-
ნო. – „ქართლშიაც კი გაგზავნეს მათი ემისრები“-ო, – გა-
ნაგძობს კურტანოვსკი: – „შეთქმულებს დიდი ყრილობა მო-
უწყვიათ საიდუმლოდ, სადაც დაუდგენიათ იმერეთის მეფის
არჩევაო; ასახელებენ ზურაბ წერეთელს და ზოგნიც ივანე აბა-
შიძესო; ამათ ორივეს აქამდე რუსთა უერთგულესად მოჰქონ-
დათ თავი, ეხლა კი პირველნი არიან აჯანყებულთა შორისო.
ზურაბ წერეთელთან ერთად მისი შვილიც, პოლკოვნიკი გრი-
გოლი და ყოფილი სარდალი სეხნია წულუკიძეც შეთქმულე-
ბაში ურევიან"-ო. კურტანოვსკის ყველაზე უფრო გულს ის
უკლავს, რომ ქუთათელი და გენათელი მიტროპოლიტებიც
იღებენ მონაწილეობას ამ „ავაზაკურ საქმეში“ და ლოცვა-
კურთხევას არ აკლებენ აჯანყებულთა რაზმებს და ხალხს იმე-
რეთის განსათავისუფლებლად მოუწოდებენო. მიტროპოლი-
ლიტებთან, რა თქმა უნდა, მთელი იმერეთის სამღვდელოება
არის და ესენი ან თვითონ არიან შეიარაღებულნი, ან რაზმე-
ლების იარაღებს აკურთხებენ ხოლმეო. აქ კურტანოვსკი, უკვე
დასახელებულთა გარდა, შეთქმულების დანარჩენ მეთაურთაც
ჩამოსთვლის (აბაშიძეები, გუნცაძეები, ჩხეიძეები, კიკნაძე-
მაჭავარიან-ქოჩიაშვილები და სხვ.) და ბოლოს დაასკვნის:
– „ყველა ჩვენს წინააღმდეგაა და ჩვენს მხარეზე კი არც ერთი
თვალსაჩინო ვინმე არა სჩანს. აჯანყებულთა გეგმაა – ჯერ
ემზადონ, დრო მოიგონ და მერმე, დანიშნულ დროსა და სა-
ათს, ყველა ჩვენს პოსტებს დაესხენ და ხელთ იგდონ“-ო. ბო-
ლოს იმერეთის მმართველი ევედრება ტფილისის მხედრობას:
„დიდ საფრთხეში ვარ, აჯანყებულთა წინააღმდეგ მცირედი
ჯარი მყავს და მომაშველეთ რაზმები და თუ „ლინიაზე“-ც
საკმაო ჯარები არ დაგვირჩეს, საჭიროა რაზმები ეხლავე იქმ-
ნას გადმოყვანილი ყირიმიდან გემების საშუალებით“-ო*)

*) „აქტები“, 4. ნაწ. 1. იხ. ზემოდ-აღნიშნული წერილი კურტანოვსკისა.

ასეთ დაჭიმულ" მდგომარეობაში გაატარა იმერეთმა 1819 წელი.

იმერეთი მართლაც დიდ მზადებაში იყო და გურია-სამეგრელოს სამთავროებშიც მრავალგვარი ქსელი გაიბა. ამ საქმეში ეხლა დიდ ენერგიას იჩენდა ზურაბ წერეთელი, რომელსაც დიდი იმპერიის მიერ იმერეთის მოტყუილება საეჭვოდ აღარ მიაჩნდა; პოლკოვნიკობა და ორიოდე ბრჭყვიალა ორდენი ეხლა მან უკვე ვერ იცნო იმის საკმაო კომპენსაციად, რაც ამ ქედფიცხელმა ფეოდალმა და წარჩინებულმა სახლთ-უხუცესმა დაჰკარგა... მას ის გარემოება აძლევდა დიდ ძალას, რომ ერთგვარად დანათესავებული იყო სამეგრელოს და გურიის მთავრებთან და ასეთივე კავშირი ჰქონდა გაბმული გიორგი წულუკიძის ოჯახსა და მამია გურიელის შუა დედოფალ სოფიოს საშუალებით.

შეთქმულთა ცენტრი იარაღს იძენდა და არიგებდა, აჯანყებაში მონაწილენი აღრიცხვაზე აჰყავდა, მათ მწვრთნელთა და მეთაურთ ნიშნავდა და კადრები სხვა და სხვა ადგილას ჩასაფრებული ჰყავდა. რაზმთა ერთი შეიარაღებული ნაწილი ხომ სრულიად ლეგალური მდგომარეობით სარგებლობდა და შეთქმულთა ცენტრის ამა თუ იმ წევრის, ცნობილი ფეოდალის სასახლის ან ციხის მცველად ითვლებოდა... ასეთი რაზმები ჰყოლიათ მაგალითად: გიორგი წულუკიძეს რაჭაში, სეხნია წულუკიძეს საწულუკიძეოში, დავით მიქელაძეს კულაშში, თვით მიტროპოლიტ ქუთათელს და სხვ. (იხ. პუზირევსკის მოხსენება ველიამინოვისადმი 16 – 2 –20 წ. № 2675-78).

როგორც აღვნიშნეთ, ერმოლოვმა ამ სახიფათო მდგომარეობას ალღო აუღო, მაგრამ „ჭირის მოვლის“ ნაცვლად მან ის უფრო გაართულა და თვისი ცნობილი „სალდათურის დარტყმით“ მდგომარეობა ერთი ათად გაამწვავა და მალე მთელი იმერეთი ფეხზე დააყენა. მისი აზრით, ქარიშხალის თავიდან ასაცდენად საჭირო იყო შეთქმულთა იმ ხელმძღვანელების დაპატიმრება და სწრაფად გადასახლება, რომელთა შესახებ მთავრობას ცნობები მოეპოვებოდა.

როგორც ვიცით, მან ეს საქმე სამღვდელოებიდან დაიწყო

და როცა ქუთათელის „გამოთხოვაზე" პეტერბურგმა გენათელიც დაუმატა, ერმოლოვმა ხელმწიფის ასეთი „გულუხვობი“-დან შესაფერი დასკვნები გამოიტანა: ეხლა მან მიტროპოლიტებს წარჩინებულ და ღირსეულ პირთა დიდი სია მიუმატა, ხოლო ამ სიის პირველ ადგილზე ბატონიშვილი დარეჯანი მოათავსა... ალბად მას საბუთი ჰქონდა – ეს ქალი ახალ აზვირთების სულიერ ხელმძღვანელად მიეჩნია.

მთავარმართებლის სურვილის თანახმად, მისი მოადგილე ველიამინოვი მოხუც ღენერალ კურტანოვსკის უკვე გვერდს უხვევს და შესაფერის ინსტრუქციით პირდაპირ პუზირევსკის მიმართავს; ის მას მძიმე და სახიფათო ამოცანას აძლევს წარჩინებულ იმერელთა მოულოდნელად დაპატიმრებისა და რუსეთში გაგზავნის შესახებ და თან ჰპირდება, რომ „კურტანოვსკი მალე იქნება გადაყენებული და თქვენ, რომელსაც ერმოლოვმა ასეთი ნდობა გამოგიცხადათ, იმერეთის მმართველად დაინიშნებით"-ო. აქვე დასაპატიმრებელ პირთა სიაა დართული; ესენი არიან: – 1) ბატონიშვილი დარეჯან, 2) მიტროპოლიტი ქუთათელი, 3) მიტროპოლიტი გენათელი, 4) არქიმანდრიტი გრიგოლი, 5) წერეთელი ბეჟან (ქუთათელი მიტროპოლიტის ძმისწული), 6) მღვ. გუნცაძე, 7) აბაშიძე ივანე, 8) აბაშიძე ნიკოლოზ-პინეზი, 9) წულუკიძე სეხნია, 10) მიქელაძე დავით (მდივან-ბეგი), 11) ჩხეიძე გრიგოლი. ამ სიაში 4) და 5) მიმატებულნი არიან რუსის ექზარხის ფეოფილაქტეს წინადადებით, რომელიც 1819 წლის ამბებისათვის იმერეთის სამღვდელოებაზე შურს იძიებდა.

ერმოლოვმა წინდაწინ იცოდა ფეოფილაქტეს პასუხი, მაგრამ მაინც შეეკითხა, როგორც სრულიად საქართველოს სამწყსოს წინამძღოლს: – ხომ არ იქნება იგი ქუთათელ და გენათელ მიტროპოლიტთა დაპატიმრების წინააღმდეგი; ამ შეკითხვაზე რუსმა ბერმა ფეოფილაქტემ მთავარმართებელს უპასუხა, რომ იმას მეტად მიზანშეწონილად მიაჩნია ორივე მიტროპოლიტის დაპატიმრება-გადასახლება; ამასთანავე იგი ერმოლოვს სთხოვს, რომ ამათთან ერთად გადაასახლოს არქიმანდრიტი გრიგოლი და ბეჟან წერეთელი, რომლებიც შარშან

ზაფხულში, იმერეთის აღრევის დროს, ხალხს რუსთა წინააღმდეგ აქეზებდენ და საეკლესიო აღწერას ეწინააღმდეგებოდენო *).

ამავე ინსტრუქციაში (პუზირევსკისადმი) ვკითხულობთ, რომ მას ევალება ყველა აღნიშნული პირები ერთ დღეს და რამდენადაც კი შესაძლებელია ერთს, დანიშნულს საათს, დაპატიმროს; თუ საჭირო იქნება, თან უნდა არტილერიაც გამოაყოლოს დაპატიმრებულთო (თავდასხმის ასაცდენად).

როგორცა სჩანს, მიტროპოლიტები და ბატონიშვილი დარეჯანი ტფილისზე არ უნდა გამოეტარებინათ, არამედ პირდაპირ რუსეთს გაეგზავნათ; ველიამინოვი პუზირევსკის სწერდა: – „დარეჯანისათვის და მიტროპოლიტებისათვის ეკიპაჟი დაგჭირდებათ მოზდოკამდე“-ო; ერმოლოვს კი გადაწყვეტილი ჰქონდა: მიტროპოლიტები გორიდან პირდაპირ რუსეთზე გაეგზავნა, რათა ტფილისზე არ ჩამოეტარებინათ**).

დასასრულ ველიამინოვი ზოგიერთ შესაპყრობ პირთა შესახებ პუზირევსკის სწერს: – „ამბობენ, მიტროპოლიტ ქუთათელის და ივანე აბაშიძის შეპყრობა ძნელიაო... იცოდეთ – ეგენი არ გაგექცენ და თუ ცოცხლები ვერ იგდოთ ხელთ, **დახოცეთ**, მაგრამ მიტროპოლიტის ცხედარი მანდ არ დასტოვოთ, რათა ამან იმერეთში არეულობა არ გამოიწვიოს; ისინი საქართველოს გარეშე უნდა დავმარხოთ“-ო***).

ერმოლოვს განსაკუთრებით ბაგრატიონთა დიდი პოპულიარობა აშინებდა, კერძოდ კი დარეჯან ბატონიშვილისა. იგი კარგად იცნობდა იმერეთის ბრძოლათა ცალკე ეპიზოდებს და იმერთა ერთგულებას ბაგრატიონებისადმი. საბუთი რომელიც

---

*) იხ. წერილი ფეოფილაქტე რუსანოვისა ველიამინოვისადმი; 9 – 2 – 1820 წ. „ აქტები“ 6 – 1 – № 729.

**) იქვე იხ. ერმოლოვის ინსტრუქცია ველიამინოვისადმი, 15 – 2 – 1820 წ.

***) იხ. ველიამინოვის ინსტრუქცია პუზირევსკისადმი, 12 – 2 წ. 1820 წ.

ტორმასოვს ჯერ კიდევ 1810 წელს პეტერბურგს გაეგზავნა, ეხლაც ცოცხლად მეტყველებდა ერმოლოვისათვის და იგი მზად იყო: სიტყვა-სიტყვით გაემეორებინა მაშინდელი დასკვნა, რომ არ შეიძლება ბაგრატიონთა გვარის არც ერთი პირის იმერეთში დატოვება, რადგან **ქარაფშუტა** („თავქარიანი“) იმერლები სამეფო გვარს ბრმად ელტვიან და **უნდა სამუდამოდ გავუქარწყლოთ მათ იმედი,** რომ რომელიმე ბაგრატიონი როდისმე კვლავ იმერეთის ტახტზე ავაო*). ეს შეთქმულება ბაგრატიონთა დროშის სახელისა და ტახტის ამაღლებისათვის ხდებოდა და „ბრმა და ქარაფშუტა“ იმერლები ღირსეული და სანატრელი „სოლომონ 1-ის ბრძენის“ ასულის უხეშად შეურაცხყოფას ასე უბრალოდ არ მოითმენდენ... მაგრამ არა მარტო დარეჯან ბატონიშვილს არ დასთმობდენ იმერლები, არამედ საქართველოს სამღვდელოების დანარჩენ წევრთაც, ჯერ კიდევ მეფის დროს დამსახურებულნი და მრავალ ბრძოლებში გამობრძმედილნი რომ იყვნენ.

ამიტომ რუსეთის მმართველობა თადარიგს დროზე შეუდგა და შესაფერი განკარგულებით გადაჯგუფება მოახდინა; იმერეთისაკენ ქართლ-კახეთიდან საკმაო ჯარები დასძრეს (სისოევი თავისი „ოტრიადი“-თ სურამიდან იმერეთს გადმოვიდა), ქუთაისის ბატარეები საომარ წეს-რიგზე დააყენეს და ქალაქის ირგვლივ ტყეებიც გასჩეხეს, რათა მოწინააღმდეგეთ იქ ბაზა არ გაეჩინათ და შიგ არ შეხიზნულიყვენ. ქალაქის გარნიზონი დღე-დაღამ იარაღით იდგა**).

ახალგაზრდა პუზირევსკი საქმეს მართლაც ერთგულად ეკი-

დება და სცდილობს თვის მბრძანებელს ყველაფერში გადააჭარ-
ბოს. აშკარაა, მისთვის აღთქმული თანამდებობა იმერეთის მმარ-
თველისა მას მოსვენებას არ აძლევს და კარიერის განსამტკიცე-
ბლად იგი ყოველგვარ ზომიერებას სცილდება.

შევჩერდეთ პუზირევსკის ერთ სასახელო დოკუმენტზე, რო-

---

*) იხ. მოხსენება ტორმასოვისა მინისტრ რუმიანცევისად-
მი; 29 – 12– 1810 წ. № 791.

**) იხ. პოტტო, ტ. 3. გვ. 506-7.

მელიც „სტილით“ და გამბედაობით გაუსწრებს მთავარმართე-
ბელ ერმოლოვის ცნობილ „პროკლამაციებსა“ და „ინსტრუქცი-
ებსაც' კი... პუზირევსკი 16 – 2 – 1820 წლის თარიღით ვე-
ლიამინოვს სწერს, რომ მან ამოცანის შესასრულებლად ყოველი
ზომა მიიღო და მზადაა „დაკვეთილი“ დაპატიმრებანი მოახდი-
ნოს. აქვე იგი გეგმას იძლევა თითოული ცალკე ამოცანის გან-
სახორციელებლად. იმპერიალისტური რუსეთის მოხელეების ვე-
რაგულ და მზაკვრულ გეგმათა დასახასიათებლად ჩვენ ამ გეგმას
მკითხველს ვრცლად გავაცნობთ...

„ბატონიშვილი დარეჯანი ცხოვრობს ქუთაისში და რაკი ის
ქუთაისის გარნიზონის ალყაშია მომწყვდეული, მას უკანასკნე-
ლად შევიპყრობ და ეს მაიორ ანდრეევსკის აქვს მინდობილი. მი-
ტროპოლიტი გენათელი ამჟამად გელათის მონასტერში იმყო-
ფება; მის შესაპყრობად საგანგებო რაზმი (ჩვეულებრივ დარაჯ-
თა გარდა) საჭირო არაა“; ყოველშემთხვევისათვის პუზირევსკი
ამ დარაჯთ რამდენიმე უნტეროფიცერს მიუმატებს; გენათელის
დაპატიმრებაც მაიორ ანდრეევსკის აქვს მინდობილი; უკანასკ-
ნელი გენათელთან ხშირად დადის ხოლმე სადარბაზოდ და ამის
გამო მიტროპოლიტს არავითარი იჭვი არ შეუვა და არ გააო-
ცებს ანდრეევსკის დანიშნულ დროზე მისვლა. უფრო რთულია
ქუთათელ მიტროპოლიტის დაპატიმრება და ეს საქმე პუზირე-
ვსკის მაიორ ოსტროუხოვისათვის დაუვალებია და ცდილობს
თვითონაც იქ იყოს, რომ პირადათ ამ მძიმე საქმეს უხელმძღვა-
ნელოს; „ქუთათელი ამ ჟამად 8 ვერსის მოშორებით სდგას ქუ-
თაისიდან, სოფ. მაღლაკში“, სწერს პუზირევსკი, „ტრიალს მინ-
დორზე, რომლის ახლოს მცირე ტყეა; მაგრამ სადაც არ უნდა
იმყოფებოდეს იგი, მისი დაპატიმრება ოსტროუხოვს მივანდე. ეს
მაიორი უკვე გუშინ იყო მაღლაკში და **ეწვია** პირადათ **სტუმრად**
მიტროპოლიტს და ებაასა მას იმ სათიბების შესახებ (ჯარის ნა-
წილისათვის), რომელიც ჩემის დავალებით ოსტროუხოვს მიტ-
როპოლიტის კაცებისაგან აქვს აღებული... დაპატიმრებისას ოს-
ტროუხოვს თან ეახლება 100 იეგერი და 15 ყაზახი. დარეჯანის
ვაჟი ივანე აბაშიძე ცხოვრობს სოფ. შრომაში (შორაპნის მაზ-
რაში); მისი შეპყრობა მივანდე მაიორ კაშჩენკოს, რომელიც ივ.

აბაშიძის **პირადი ნაცნობია**“. აქაც იმავე სიფრთხილეს და ვერაგობას იჩენს პუზირევსკი და რაკი ვაჟკაცური მიხტომის იმედი არა აქვს, მოტყუება-მოხერხებით და ნაცნობ მაიორის მიგზავნით, ჩუმად ალყის შემორტყმა მოუსურვებია. კაშჩენკო რაზმით ვითომდა ტფილისში უნდა გაემგზავროს, მაგრამ „გზის გაფუჭებისა და თავის ტკივილის გამო, იგი ღამით შორაპანში გაჩერდება, და იქაური პირობების კარგად შესწავლის შემდეგ ყვირილის პოსტზე მდგომ ჯარს შეიერთებს და ისევ გასწევსო. პოლკოვნიკ წულუკიძეს, რომელიც ხონიდან 4 ვერსის მანძილზე ცხოვრობს, სოფ. საწულუკიძეოში, ტრიალ ადგილას, რასაც ირგვლივ ბაღები არტყია (იგი მთის ახლოსაა); მაიორი მიხინი შეიპყრობს. ვინაიდან სეხნია წულუკიძეს მუდამ შეიარაღებული მცველები ახვევია, ამიტომ მიხინს თან 100 იეგერს და 10 ყაზახს გავაყოლებ, ხოლო თუ მიხინმა საჭიროდ დაინახა, ამ რაზმს კიდევ გავაძლიერებ. მიხინი საწულუკიძეოში მისვლისას მინდვრების დათვალიერებას დაიწყებს, რაიც ჩვენს მიერ ყოველ გაზაფხულზე ხდება. მდივან-ბეგი დავით მიქელაძე, რომელიც თავის სოფელ კულაშში ცხოვრობს, შეპყრობილ იქმნება თავის სასახლეში, კაპიტან ვოინოვის მიერ, რომელიც აგრეთვე პირადი ნაცნობია დ. მიქელაძისა. ამ მიზნით, თვალის ასახვევად **ვოინოვი გუშინ სტუმრად ეახლა მიქელაძესა და სადილადაც იქ დარჩა**. მიქელაძის პირადი რაზმი საკმაო ძლიერია, ამიტომ ვოინოვს უნდა 150 იეგერი და 10 ყაზახი გავაყოლო“-ო. შემდეგ პოლკ. პუზირევსკი დანარჩენ შეთქმულთა დაპატიმრებისათვის ვადას ითხოვს, რადგან მათი ბინა ჯერ კიდევ მიკვლეული არა აქვს. ჯარისკაცთ „უკანასკნელ წუთამდე არ ეცოდინებათ, თუ რა მიზნით მიჰყავთ ისინი“; დაპატიმრების მოხდენას ის ფიქრობს ერთ და იმავ დღეს, საღამოით (როგორც ეს ველიამინოვმა ურჩია) და არა კვირა ანუ პარასკევ დღეს, რადგან ამ დღეებში ხალხი შეყრილია მოედანზე (სასეირნოდ, ან სავაჭროდ) და პატიმართა დაცვა-დახსნას მოინდომებსო. დაპატიმრებულთ პუზირევსკი ღამითვე დაუყონებლივ ყვირილის პოსტზე გაგზავნას უპირებს და იქედან ქართლისაკენ ქვეითი ჯარის, ცხენოსანი ყაზახებისა და ორი ზარბაზნის თანხლებით. „თუ გზაზე იმერთ თავდასხმა მოახდინეს და საქმე გაჭირდა, ტყეებში უნდა დავხოცო და მდი-

ნარეში გადავყარო“ დაპატიმრებულნიო. პუზირევსკი ამ მოხსენებას თვისი „ისტორიული" დასკვნით ასრულებს, რომელმაც ველიამინოვიც კი შეაშინა უცნაური „მამაცობით“: – „რათა ტყვეები“, სწერს იგი, „გზაში წყნარად იყვნენ და გაქცევის აზრი არ მოუვიდეთ, აგრეთვე, რათა ურთიერთი ვერ იცნონ და ვერც ადგილობრივმა ხალხმა იცნოს, თუ ვინ არიან ისინი, გადაწყვეტილი მაქვს: ჩამოვაცვა ტილოს ტომრები, რომლებიც პირთან (ე. ი. სასუნთქებელ ადგილას) გაჭრილი იქნება, ხოლო კისერთან და წელთან თოკი ექნებათ ამ ტომრებზე შემოკრუ-

ლი“-ო *).

მაგრამ ველიამინოვი ამ ბარბაროსულ აზრებს არ შეუშინებია, ხოლო აფიქრებდა ის აღშფოთება, რომელიც ხალხში მყის თავს იჩენდა, თუ კი შეიტყობდენ, რომ რუსებს მათი საყვარელი ბატონიშვილი დარეჯან, 70 წლის მოხუცი მანდილოსანი და აგრეთვე იმერეთის ეკლესიის უმაღლესი მწყემსნი ტომარ-ჩამოცმულნი ტყვედ მიჰყავთო... ამას რომ იმერეთი რუსის მმართველობას არ აპატიებდა, ეს ველიამინოვისათვისაც კი ცხადი უნდა ყოფილიყო.

ბოლოს იგი „თამამ და რაინდ“ პუზირევსკის რჩევას აძლევდა: – თუ პატიმრები დახოცოთ, მდინარეში არ ჩაჰყაროთ, რადგან გვამებს წყალი სადმე ამოაცურებს, ადგილობრივი ხალხი მიცვალებულთ იცნობს და ამას, ვინ იცის, რა არ მოჰყვება თავქარიან იმერელთა მხრივო. ამიტომ იგი პუზირევსკის ურჩევს: – გვამები მოზდოკამდე მიიტანონ და იქ ჩაფლანო**).

პუზირევსკიმ თვისი ვერაგული გეგმა მართლაც „კარგად" შეასრულა; კურტანოვსკის ადგილიც მიიღო და ერმოლოვისა და პეტერბურგის წრფელი მადლობაც დაიმსახურა. მზაკვრული გეგმა – იმერეთის მოტყუებით და ხერხით „შეურაცხყოფა-გალახვისა“ – სავსებით იქმნა განხორციელებული.

დაპატიმრების დღეთ 4 მარტი (1820 წ.) დანიშნეს, როცა სა-

---

*) იხ. პუზირევსკის მოხსენება ველიამინოვისადმი, 16 – 2 – 1820 წ. „აქტები“, ტ. 6, გვ. 578.

***) იხ. პოტტო, ტ. 3. გვ. 509-13.

განგებოდ მოწვეულ წარჩინებულებს ვითომ ღენ. კურტანოვსკი უნდა გაეცილებინათ... ცოტა რამ მაინც ვერ იქმნა გათვალისწინებული და საქმე არც მთლად უმტკივნეულოდ ჩატარდა. მართალია, პუზირევსკის მიერ დანიშნულნი ყველგან მოტყუებითა და „სტუმრის“ და „მოკეთის“ ნიღაბით უნდა შესულიყვენ, მაგრამ ასე გულუბრყვილო არც იმერლები აღმოჩნდენ.

სამწუხაროდ, არა გვაქვს დაწვრილებითი ცნობები, მაგრამ ზოგი წინააღმდეგობა მაინც ყოფილა: – სეხნია წულუკიძეს მაიორ მიხინისათვის ტყვია დაუხლია; მდივან-ბეგ მიქელაძეს თვისი მამა-პაპური ხანჯალი მძლავრად დაუტრიალებია; მიტროპოლიტ გენათელს დიდი წინააღმდეგობა გაუწევია; ივანე აბაშიძე ბოლოს მაინც გაქცევიათ; ბეჟან წერეთელი, რომლისათვისაც ალყა შემოურტყავთ, ფანჯრიდან ციცაბო კლდეზე გადამხტარა და სიბნელეში მიმალულა; მოხუც ბატონიშვილ დარეჯანს ხომ ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო, ხოლო მის პროტესტებს ეს ხალხი აშკარაა, არავითარ ყურად-

ღებას არ მიაქცევდა. რაკი მისი შვილი ივანე გაექცათ, ეხლა ჯავრი იმის 10 წლის ვაჟზე იყარეს და ბებიასთან ერთად დაატყვევეს შუაღამისას, შემუშავებული გეგმის მიხედვით, პატიმრებს დიდძალი ახლად მოყვანილი ჯარები შემოარტყეს და 30-შინვე მოზდოკისაკენ უქნეს პირი. მიტროპოლიტ დოსითეოს ქუთათელს, რომელიც ვაჟკაცობითაც განთქმული იყო, ეტყობა, მართლაც დიდი წინააღმდეგობა გაუწევია, რის გამო ის ხიშტებით დაუჩხვლეტიათ და სისხლისაგან დაწრეტილი, ძალად დაუკრავთ ცხენზე*). მიტროპოლიტმა ეს საშინელი ტანჯვა ვეღარ აიტანა და გზაში, სურამ-გორ შუა, სული დალია; მკვდარი, თანახმად ველიამინოვის და ფეოფილაქტეს ინსტრუქციათა, გაუცხადებლივ ცოცხლებთან ერთად ცხენით ატარეს და ანანურში დაფლეს, ისე რომ არავის გაეგო კი... გენათელი მიტროპოლიტი ნოვგოროდში მიიყვანეს და იქედან სვირის (ოლონეცის ღუბერნიაში) მონასტერში გაგზავნეს. ამ წამების შემდეგ ის მა-

*) იხ. დუბენსკის წერილი, რომელიც სხვა ადგილას გვქონდა მოტანილი: – „რაჭა და წულუკიძის ოჯახი“.

ლე დასნეულდა და გარდახვეწილობაში დალია მწარე დღენი, – მიიცვალა 1822 წელს. ბატონიშვილი დარეჯან და მისი შვილისშვილი ვორონეჟში იქმნენ გადასახლებულნი და იქედან პენზაში გადაგზავნილნი, ხოლო სეხნია წულუკიძე და დავით მიქელაძე სიმბირსკში გადაასახლეს. (იხ. „საისტორიო მოამბე“, წიგნი პირველი, გვ. 2271).

ამნაირად „მამაცმა“ პუზირევსკიმ ბევრში გაუმართლა პეტერბურგს იმედები, ხოლო ათი დღის შემდეგ კიდევ ახალ დაპირებებსაც იძლეოდა; სთხოვდა ველიამინოვს, არ შეწუხებულიყო იმის გამო, რომ ვაჟი დარეჯან ბატონიშვილისა, მისი მარჯვენა ხელი და შეთქმულების მეთაური, ივანე აბაშიძე მას გაექცა; მაგრამ ეხლა უკვე მიაკვლია, თუ სად იმყოფებიან ამ ჟამად ივანე აბაშიძე და მისი მოკავშირენი: – ნიკოლოზ აბაშიძე პინეზი, ჩხეიძე და მღვდელი გუნცაძე, რომ ის ამ „ავაზაკთა ბუდეს“, ქაიხოსრო გურიელის სასახლეს (შემოქმედში) მიაშურეს და აშკარაა, აწი ისინი პუზირევსკის ხელიდან ვეღარსად წაუვიდოდენ... მაგრამ მარტო ამათ კი არ უპირებს დასჯას უკვე გათამამებული პოლკოვნიკი, არამედ ყველას, ვინაც კი მათთან ფარულ თუ აშკარა კავშირში არიან.

„არა მგონია, რომ აწი რაიმე არეულობა მოხდეს“, სწერს პუზირევსკი ველიამინოვს, „ყოველგვარი შეკრებულებანი უკვე აღვკრძალე სიტყვიერის ბრძანებით, ხოლო ვინც გაბედავს და ამას გადაუხვევს, მას სიკვდილით კი არ დავსჯი, არამედ ბალღივით გავროზგავ, რაზეც არ მინდა წინასწარ თქვენგან ნება ვითხოვო, მაგრამ იმედი კი მაქვს, რომ ასეთი სასჯელის შემოღებისათვის თქვენ მე პასუხს არ მომთხოვთ. იმედია ამ როზგე-

ბის შემდეგ, რომლებიც შეარცხვენენ (გაათახსირებენ) დამნა-
შავეთ, იმერლებში შიში დაისადგურებს. ეს მისცემს ამ მხარეს
მშვიდობიანობას, რის მოცემა ხმლით შეუძლებელია; და აგრე-
თვე დაამკვიდრებს იმ მორჩილებას, რომელიც აუცილებელია,
რომ აქ ყველაფერი ისე მოგვარდეს, როგორც ეს მთავრობას
სურს“-ო*). მაგრამ „მამაცი“ პუზირევსკი მაინც ვერ ბედავს

*) იხ. აღნიშნული წერილი პუზირევსკისა 15 – 3 – 1820
წ. „აქტები“, 6,1. გვ. 585.

გურიაში შეჭრას, გაქცეულთა დაპატიმრებას და ქაიხოსრო გუ-
რიელის „სამაგალითო დასჯას“; ის წინასწარ დამატებით ჯარებს
მოითხოვს და ძველებური გაიძვერული გეგმით აპირებს ფონს
გავიდეს.

პუზირევსკი ნებას გამოითხოვს რომ გურიის ავტონომიურ
სამთავროში ჯარებით შევიდეს; ხოლო ისეთი მალული სახით,
თითქოს აქ დამსჯელ ექსპედიციას და ამგვარ რამეს არავითარი
ადგილი არ უნდა ჰქონოდა... ვითომ მას ეს ჯარები თვით გუ-
რიის მთავრის მისახმარებლად და „გზების შესაკეთებლად“ შე-
ჰყავდეს. და როგორც კი ამ წესით საკმაო ძალებს მოაგროვებს,
მოულოდნელად სამხედრო მოქმედებას დაიწყებს და შემოქმე-
დში „ყაჩაღთა ბრბოს" (ივანე აბაშიძის და გურიელის მეთა-
ურობით) „გაანადგურებს“ *).

იმ დროს ივ. აბაშიძე მართლაც სცდილობდა სამხედრო ცე-
ნტრის ინსტრუქციები ერთი კუთხიდან მეორეში გადაეცა და
მოძრაობა ერთის მთლიანის გეგმით წაეყვანა**).

ატაცებული პუზირევსკი იმდენად გააბრუა ივანე აბაშიძის
შეპყრობისა და ქაიხოსრო გურიელის „შაიკის“ დასჯის ჟინმა,
რომ თავხედურად შეიჭრა გურიაში და შემოქმედში გურიე-
ლის სასახლეს მიადგა; და როცა ამ „მამაცმა“ გურიელის კაცს
რუსულად შეჰყვირა: – „სად არის მამაძაღლი ქაიხოსრო“-ო?,
პასუხად მის სხეულში ქართულმა ხმალმა სწრაფად და ცივად
გაისრიალა; შუაზე გაჩეხილ პუზირევსკის უსიტყვოდ აღმოხდა
სული და აჯანყებულთა „გაროზგვის“ ჟინი შემოქმედის სასა-
ხლესთან მისულმა საფლავში თან ჩაიტანა...

აქ ორნაირი ვერსიაა: – ერთნი ფიქრობენ, რომ პუზირევ-
სკი თვითონ ქაიხოსრომ გაჩეხა, – ხოლო მეორენი კი მკვლე-

*) იხ. პუზირევსკის წერილი ველიამინოვისადმი, 1 – 4 –
1820 წ. იქვე.

**) ივ. აბაშიძე ყველგან დაძრწის: ამას წინად იყო რაჭა-
ში, მეორე დღეს ოდიშში, ეხლა კი გურიაშია ქაიხოსროსთანო...
სწერდა პუზირევსკი ველიამინოვს 15 – 3 – 1820 წ. „აქტე-
ბი“, 6, ნომ. 806.

ლობას ქაიხოსროს ძიძიშვილს, ბოლქვაძეს მიაწერენ; მაგრამ საქმეს ეს არა სცვლის...

ჩვენთვის საყურადღებოა, რომ აჯანყებამ სწორედ ამ მკვლელობის შემდეგ მიიღო ძლიერი ხასიათი; მალე საერთო სურათი ასეთი არა სანუგეშო გახდა რუსეთისათვის: – ზგორელსკის „ოტრიადი“ გურიაში დამარცხდა და იარაღიც აჯანყებულთ ჩაუვარდა ხელში; ჩოხატაურის ნაწილები თითქმის სულ გაიჟლიტენ; ივ. აბაშიძის რაზმი ეხლა იმერეთს შეიჭრა, რუსების პოსტი ჭალაბურთან დაამარცხა და ქართლთან კავშირი მოსჭრა, რომ იქედან რუსთ ახალი მაშველი ჯარები არ შემოსვლოდათ; გურულებმა ჭალადიდი აიღეს და იეგერის როტას რიონის ნავთსადგურისაკენ დაახევინეს; სამეგრელოში გიორგი დადიანის რაზმმა დაიჭირა რედუთ-კალეს გზა და იქედან ვერც კაცი გამოდიოდა, ვერც ტრანსპორტი...*)

აჯანყების ჩასაქრობად საგანგებოდ დანიშნული ველიამინოვი შიშმა აიტანა და ერმოლოვს სწერდა: – საქმე იმდენად არის გაფუჭებული, რომ აწი ფრიად ძნელია მისი გამოსწორებაო.

აქ ჩვენ აღარ მოვყვებით ამ ამბებს და არც იმერეთის ამბოხების დამარცხების მიზეზებზე შევჩერდებით. გაკვრით ამის შესახებ უკვე გვქონდა ლაპარაკი, როდესაც შეთქმულთა ცენტრის გაცემას შევეხეთ**).

მძიმე ყოფაში ჩავარდნილი რუსის ჯარი კრიტიკულ მომენტს სამეგრელოს მთავარმა ლევან დადიანმა დაიხსნა და მალე მან გურიის მილიციის ერთი ნაწილიც თვისკენ გადაიბირა. უნდა ვიფიქროთ, რომ აქაც შუა-კაცებმა (რუსეთის აგენტებმა) დიდი როლი ითამაშეს და სამეგრელოს მთავარისა და მისი ძმის გიორგის შორის უთანხმოება გააღრმავეს. სხვანაირად არ შეიძლება აიხსნას ფრონტის ისეთი ცვლა, რომელიც ორივე მთავარმა დაგვანახა..

---

*) იხ. მ. ბროსსე: „Hist. d. la Georgie.“ ტ. მეორე, ნაწილი 1 გვერდი 315.

**) იხ. აქვე „რაჭა და გ. წულუკიძის ოჯახი“.

იმერეთის აჯანყების ცენტრალ ორგანოს და განსაკუთრებით დარეჯან ბატონიშვილის ოჯახს თავიდანვე გურია-სამეგრელოს სამთავროების დიდი იმედები უნდა ჰქონოდა. ამ ხანად რუსეთის მთავრობამ ხომ ყოველგვარი შევიწროება მიაყენა ამ ავტონომიურ ერთეულებსაც, და „ღალატისა და გან-

დგომის“ მომიზეზებით ნელ-ნელ შეჰყავდა იქ ჯარები, ვითომც ზოგ ურჩ წარჩინებულთა დასათრგუნველად; ამათ ვითომ „ურჩობისათვის“ სჯიდენ და მამულ-სარჩო-საბადებელს კი რუსეთის ხაზინის საკუთრებად აცხადებდენ.

თეოფილაქტეს უხეში შეჭრა დასავლეთ საქართველოს ეკ-ლესიის უფლებაში და ქონებათა აღწერა იმერეთის შემდეგ მალე გურიაში და სამეგრელოშიაც დაიწყო; „დიპლომატიურ“ გართულებათა და გურია-სამეგრელოის მთავრების ახსნა-მოთხოვნების მიუხედავად, (რომ ამით დიდი იმპერია მათთან დადებულ ტრაქტატებს არღვევდა) რუსეთს გურია-სამეგრე-ლოს ეკლესია-მონასტრების აღწერა არ შეუჩერებია. საქმე მარტო მაშინ შეტრიალდა, როცა იმერეთმა ხელი მიჰყო ია-რაღს და თეოფილაქტე და მისი დამქაშები ძალად გამოდენა.

ამ ხანებში ავტონომიური სამთავროები ნათლად ხედავდენ, რომ მათი დღეები დათვლილი იყო და მარტო ბრძოლით თუ შეიძლებოდა არსებულის გადარჩენა.

დარეჯან ბატონიშვილი და მისი შვილი ერთის მხრივ, ხო-ლო მეორეს მხრივ გიორგი წულუკიძე და მისი მეუღლე ცდი-ლობდენ ნათესავნი შეთქმულებში ჩაერიათ და ლევან და-დიანის და მამია გურიელის კარზე შიკრიკები იგზავებოდენ...

ჩვენ ვიცით, რომ ამ ცდას უშედეგოდ არ ჩაუვლია და ეს მთავრებიც დიდი შეთქმულების მონაწილენი გახდენ. მაგრამ მათ საბედისწეროდ მიაჩნდათ რაიმე ნაბიჯის გადადგმა, ვიდრე ძლიერი მოკავშირე არ გაუჩნდებოდათ, და ამიტომ ყველაზე უწინ ოსმალეთზე და ალექსანდრე ბატონიშვილზე იფიქრეს*).

---

*) გორის მმართველი მაიორი ტიტოვი 17 – 11 – 1819 წელს ველიამინოვს ატყობინებდა, რომ მისმა კონფიდენტებმა

მაგრამ ოსმალეთმა საჭირო დახმარება ამ ხანად მეამბოხე-ებს ვეღარ გაუწია; სანუგეშო ამბავი არც ალექსანდრე ბატო-ნიშვილისაგან იყო; ბევრ რყევათა შემდეგ ლევან დადიანმა გეზი შესცვალა და ეხლა შეეცადა ზედმეტი ლოიალობის გა-მოჩენით და ურჩი ძმის ალაგმვით შელახული ნდობა კვლავ აღედგინა...

რაც ამას მოჰყვა იმერეთისათვის და გურია-სამეგრე-ლოსათვის უკვე ნაცნობი იყო; რუსეთს აქ ახალი არა უთქვამს რა და იმპერატორმა ეხლაც ისეთივე „რაინდობა“ გამოიჩინა თავისუფლებისათვის მებრძოლ პატარა ხალხისადმი, როგო-რიც მან წინა აჯანყებათა ჩაქრობის დროს აჩვენა საქართვე-ლოს; ყველგან: ეკზეკუციები, სიკვდილით დასჯა, ქონების ჩამორთმევა, მამულების სახაზინოდ გამოცხადება და შორეულ

მას აწყურიდან ცნობები მიაწოდეს, რომ ოქტომბერში ახალ-ციხის ფაშას მისვლია 6 ფირმანი სულთანისათვის და კიდევ ამ-დენი ალექსანდრე ბატონიშვილისათვის; ამ ფირმანებში შეთ-ქმულები მათ აჯანყებისათვის მზადებას აცნობებენ და დახმა-რებას სთხოვენ რუსთა გასადევნად. ეს ფირმანები ყოფილან იმერეთის წარჩინებულთაგან და აგრეთვე გურია-სამეგრელოს მთავართაგან ხელმოწერილი. ამ უკანასკნელმა გარემოებამ კავკასიის მმართველობა დიდ საგონებელში ჩააგდო და ისიც ყოველნაირად შეეცადა ამ ცნობების შემოწმებას: სტამბოლში რუსეთის ელჩის საშუალებით და ახალციხეში საგანგებოდ გა-გზავნილ ემისართა დახმარებით. კურტანოვსკი 17 – 11 – 1820 წ. ველიამინოვს ატყობინებდა, რომ მისი ემისრები ახალ-ციხიდან დაბრუნდენ და შეამოწმეს რა ყოველის მხრივ ცნო-ბები ლევან დადიანის და მამია გურიელის შესახებ, დარწმუნ-დენ, რომ მათ მართლაც მიუმართავთ სულთანისათვის და აგ-რეთვე ალექსანდრე ბატონიშვილისათვის; მათ ოსმალეთის მფარველობა და იარაღ-სურსათი უთხოვნიათ, ხოლო თუ აჯა-ნყება დამარცხდებოდა, ისინი თავშესაფარს და მამულს ით-ხოვდენ ოსმალეთის ტერიტორიაზე დასამკვიდრებლად. (იხ. „აქტები“, 6, 1. გვ. 568. № 803).

294

ქვეყნებში გადასახლება. აქ ლმობიერება არავისადმი არ გა-მოუჩენიათ და, როგორც ვნახეთ, ღრმა მოხუცი დარეჯანიც სასწრაფოდ პენზისაკენ გაისტუმრეს, მას შემდეგ, რაც მას ყველაფერი ჩამოართვეს, სასახლე დაუბეჭდეს და ყველა მისი მამულები ხაზინას მიაკუთვნეს*)...

ერმოლოვმა გადასახლებულ დარეჯანს ისეთი მცირე ულ-უფა დაუნიშნა, რომ პენზის ღუბერნატორი იძულებული გა-ხდა თხოვნით მიემართა მთავარმართებელისათვის, რათა ცო-ტათი მაინც გაეძლიერებინათ გადასახლებულის ულუფა, რომ ბატონიშვილისათვის, მისი შვილიშვილისათვის და მხლებელ-თათვის შესაფერი ბინა მიეჩინათ**).

ამ წინადადებაზე ერმოლოვი ღუბერნატორ კოჩუბეის ცი-ნიზმით სავსე პასუხს აძლევს; იგი სწერს, რომ ულუფის და-წესებაში დარეჯანისა და მისი შვილიშვილისათვის მან თავის დროზე დიდი სიუხვეც კი გამოიჩინა და რაკი მათთვის ბინაც კი მიუციათ, ფულის მიმატება ზედმეტად მიმაჩნიაო. ამ ქალს ეხლა წყნარად და ჩუმად ყოფნა შეეფერება, რადგან თვისი არა მშვენიერი (?) ხასიათი წინადაც გამოიჩინა, ხოლო ეხლა კი დანაშაული ჩაიდინა, მიიღო რა მონაწილეობა იმერთ აჯა-ნყებაში; მისმა შვილმა იმერეთის და გურიის აჯანყება მოაწ-ყო, თურქებიც მოიწვია და ეხლა მეზობელ თათრულ ადგი-ლებში დაეხეტება და მათგან ჯარებსა და დახმარებას ელოდე-ბაო; ვაჟი ამ მოღალატისა ეხლა დარეჯან ბატონ˜ლთანაა და მე უსამართლოდ მიმაჩნია, რომ ისიც სხვა მოღალატის შვი-ლებთან ერთად სამხედრო საობლო განყოფილებაში არ იმყო-

ფებაო; თუ კი რაიმეს რჩევა შემიძლია, ესაა: დარეჯანი მონასტერში მოათავსეთ, ხოლო ივანეს ვაჟი კი სამხედრო ობოლთა განყოფილებაში; ვწუხვარ, რომ მათზე ხაზინის ფული იხარჯებაო***).

---

*) იხ. პუზირევსკის მოხსენება 8 – 3 – 1820 წ. „აქტები“, 6, № 803.

**) იხ. 3. პოტტო; ტ. 3. გვ. 519-13.

***) იხ. „აქტები“, ტ. 6. № 836.

ყველაფრიდან სჩანს, რომ კავკასიის მთავარმართებელს არავითარი ლმობიერება არ გამოუჩენია ამ ღრმა მოხუცისადმი; მასში იგი, მართლაც საბუთიანად, იმერეთის ბაგრატიონთა ყველაზე უფრო ღირსეულს წარმომადგენელს ხედავდა, რომელსაც, როგორც ძველი დიდების ცოცხალ დანაშთს, თან დაჰქონდა მოგონება გარდასულ უძველეს სახელმწიფოისა... ამიტომ ერმოლოვმა არც ერთი უბრალო ხასიათის შემსუბუქება არ არგუნა დარეჯან ბატონიშვილის მძიმე ხვედრს, მისი ექსორიაში ყოფნის დროს...

პენზის ღუბერნატორმაც ამაში ალბად რუსეთის მიერ აღებული პოლიტიკური გეზი დაინახა და შუამდგომლობებსაც თავი მიანება; მით უმეტეს, რომ ერმოლოვის მკაცრ დახასიათებიდან ირკვეოდა, რომ ეს მოხუცი ბატონიშვილი დღესაც საშიში უნდა ყოფილიყო კავკასიის მშვიდობისათვის, ვიდრე საქართველოს ემიგრაცია ახალციხისა და ოსმალეთის კარზე იღწოდა და ალექსანდრე ბატონიშვილიც სპარსეთს არ ასვენებდა. ყველაზე უფრო სახიფათო კი ის იყო, რომ დარეჯანის მესაიდუმლე და მარჯვენა ხელი ივანე აბაშიძე ენერგიულად ეწეოდა ერთხელ დაწყებულ საქმეს; ის რუსთა წინააღმდეგ ახალციხის ფაშის ხელახლა აგულიანებას ცდილობდა და ამავე დროს გურიასთან კავშირს უფრო მჭიდროდ აბამდა.

მაგრამ პეტერბურგში და მოსკოვში ძალად გადახიზნულ ბატონიშვილებს ამ ხანად უკვე მაგარი ძაფები ჰქონდათ რუსეთის ბიუროკრატიასთან გაბმული, და ისინი, რა თქმა უნდა, ცდას აღარ დააკლებდენ, რომ დიდი სოლომონ მეფის ასული, მათი უხუცესი და საყვარელი დარეჯანი პენზიდან თავისთან გადმოეყვანათ. ალბად, ბოლოს ამ ცდებმა გასჭრა და ოდნავ მაინც მოალბო ხელმწიფის გული. ყოველ შემთხუევაში, დარეჯან ბატონიშვილს ხუთი წლის შემდეგ ჩვენ მოსკოვში ვხვდებით, ხოლო შვილისშვილი კი მოხუც ბატონიშვილს გულიდან მოჰგლიჯეს და ერმოლოვის რჩევით „სამხედრო-საობლო განყოფილებაში მისცეს, სადაც კავკასიელ „მოღალატეთა“ შვილთ ათავსებდენ დასასჯელად და გასარუსებლად...

სწორედ ამ დროს მოხუც ბატონიშვილს ბედმა კიდევ ერთი და ყველაზე უმწარესი საშინელება დამართა: – მისი ერთადერთი იმედი, საყვარელი ვაჟი ივანე, რომელმაც ასე გაითქვა სახელი და იმერეთს სახელმწიფოს აღდგენის იმედი ხელახლა გაუცხოველა, ეს ერმოლოვისა და რუსეთის შეურიგებელი მტერი, ახალციხეში ვერაგულად მოუკლეს.

ჩვენ არ ვიცით, თუ რა პირობებში მოხდა ეს მკვლელობა, მაგრამ აშკარაა, – რუსეთის ხელი და ოქროც ერთგვარ როლს ითამაშებდა ამ მუხანათობის აღსრულებაში.

ამრიგად, მოხუცმა დარეჯანმა თვისი უკანასკნელი ვაჟიც სამშობლოს სამსხვერპლოზე მიიტანა და ეხლა იგი სიკვდილის აჩრდილის მეტს ვერას ხედავდა... გრძნობდა, რომ აწი თვითონ ვეღარას მოესწრებოდა და ამიტომ თვისი ძვლებისა და მწარე ფიქრების საყვარელ იმერეთისათვის მიბარება ისურვა.

ეხლა მართლაც არ ჰქონდა რუსეთის მთავრობას საბუთი რამე ეჭვისა და შიშისათვის; ამ მძიმე დარდებითა და გლოვა-გამოტირებათა წყებით დამშრალ-დაუძლურებულ მოხუც ქალს მართლაც სამშობლოში სიკვდილის სურვილი თუ ექნებოდა, თორემ რაიმე მოქმედებისათვის მას ხომ ძალა აღარ მოეპოებოდა...

დარეჯანმა ეს თვისი უკანასკნელი სურვილი პეტერბურგს გადასცა და ითხოვა იმერეთში დაბრუნების ნება დაერთოთ და ის მამულები მაინც დაებრუნებიათ, რომელიც მას მამამ, სოლომონ მეფემ, მზითევში გაატანა. სამაგიეროდ იგი აბაშიძეთა ყველა მამულზე სამუდამოდ ხელს იღებდა; მოხუც ბატონიშვილს სწადდა, რომ მისი ნამზითვი მამულები მის შვილისშვილებს მაინც გადასცემოდა. ამას ჰქონდა პოლიტიკური აზრიც: ამით მას შთამომავლობისათვის ბაგრატიონთა ნაშთის უშუალოდ გადაცემა სწადდა...

ერმოლოვმა, რომელსაც ორივე ეს თხოვნა გადაეგზავნა, შეიწყნარა მხოლოდ პირველი.

„დარწმუნებული ვარ“, სწერდა ის პეტერბურგს, „რომ ივ.

აბაშიძის მოკვლისა და მომხდარ აჯანყების მეთაურთა გაფანტვის შემდეგ, და საერთოდ იმერეთში ჩამოვარდნილ მშვიდობიანობის გამო, დარეჯანის აქ ყოფნა სახიფათო აღარ იქნება. საჭიროა მხოლოდ მუდამ სასტიკ თვალყურის ქვეშ ვიყოლიოთ ეს მოხუცი"-ო... მაგრამ ბატონიშვილის მეორე თხოვნის დაკმაყოფილება (ჩამორთმეულ მამულთა ერთი ნაწილის უკან დაბრუნების შესახებ) ყოვლად შეუძლებლად მოიჩინა*).

პეტერბურგი კი უფრო სხვაგვარად უყურებდა ამ კითხვას და მას ერმოლოვის დასკვნაც სახიფათოდ მოეჩვენა; ამ მოხუცი ქალის ყოფნა საქართველოში, სადაც მიწა აჯანყებათა ცეცხლიდან ჯერ კიდევ არ დამცხრალიყო, როცა მთა ქაზი-მულას მეთაურობით რუსთა წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლებს აწარმოებდა და სპარსეთთანაც ფრიად გართულებული მდგომარეობა იყო, რუსეთმა საშიშრად მიიჩნია. ამის გამო 26 – 10 – 1826 წ. ერმოლოვს ატყობინებენ, რომ მინისტრთა კომიტეტმა, საქართველოს დღევანდელი ვითარების გამო, შესაფერად არა სცნო, ბატონიშვილ დარეჯანის იმერეთს დაბრუნება, სადაც მას ყველა იცნობს და საცა იგი 1820 წლის აჯანყებაში მონაწილეობდა; მისი შვილი კი ბოროტი მოღალატე იყო, რომელმაც გურია-იმერეთი აამხედრაო; ამიტომ 21 სექტ. 1826 წელს სხდომამ დაადგინა: – ბატონიშვილი დარეჯანი დატოვებულ იქმნეს ისევ მოსკოვში საცხოვრებლადო**). მამულის დაბრუნების შესახებ ლაპარაკიც ხომ არ შეიძლებოდა და ამ მხრივ პეტერბურგი ერმოლოვის აზრს სავსებით იზიარებდა...

* *

აღარ ეღირსა მოხუც ბატონიშვილს კვლავ ეხილა თვისი მშვენიერი იმერეთი; და ივანეზე და ქუთაისზე დარდმა მალე ჩააქრო მისი ყოფა.

---

*) იხ. ერმოლოვის წერილი საგარეო სამინისტროსადმი, 17 – 7 – 1827 წ. „აქტები“, 6, № 871.

**) საგარეო სამინისტროს პასუხი ერმოლოვისადმი: იქვე, № 873.

1827 წელს 24 იანვარს ამ მრავალ დიდებათა და დამცირე ბათა მნახველმა ქალმა ცრემლებით დამწვარი თვალები სამუდამოდ დახურა...

ბ. ესაძეს თავის წიგნში: - „ლეტოპის გრუზიი“ მოხსენებული აქვს, რომ ბატონიშვილი დარეჯანი დასაფლავებულია მოსკოვთან, პოკროვსკის მონასტერშიო*). სხვა რაიმე ცნობა, სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება**).

„აქტებ“-ის დაკვირვებითი შესწავლა ოდნავ მაინც ჰფენს ნათელს ამ განაწამები ადამიანის სიცოცხლის უკანასკნელ თვეებს...

ბატონიშვილის იმერეთში დაბრუნებაზე სამინისტროს უარის შემდეგ, მან ყველა იმედი დაწრიტა და იგი მარტო შვილის-შვილებზე და მის გარემოცვაზე-ღა ფიქრობდა... დარეჯან ბატონიშვილის ანდერძში, რომელიც კეთილშობილებითა

და ღირსეულის ზვიადობით არის დაწერილი, არავითარი სინანული და დამცირება არაა; არც იმისი წადილი, რომ მიცვალებულს მაინც აღირსონ საყვარელი სამშობლო, რომ საკუთარმა მიწამ ჩაიკრას გულში მისი ცხედარი იქ, საცა მისი სახელოვანი წინაპარნი განისვენებენ, ან სადაც მისი განაწამები ქმარშვილთა საფლავნი იმყოფებიან...

არა, ის უკვე საკუთარ თავზე აღარა ზრუნავს და შეიძლება დიდი მეფის მემკვიდრეს თავისი სახელოვანი დინასტიის დამცირებადაც მიაჩნდა ხელმეორედ რუსეთის მინისტრისაგან საამისო ნებართვა ეთხოვა...

სამაგიეროდ მას სტანჯავს ფიქრი იმაზე, რომ მისი შვილისშვილები სამშობლოს ვეღარ მიაშურებენ, თუ მათ იქ წართმეულ მამულთა ერთი ნაწილი მაინც არ დაუბრუნეს. აი, ამას ითხოვდა მისი ანდერძი... ამასთან სიცოცხლის აღსრულებისას

---

*) იხ. დასახელებული წიგნი ბ. ესაძისა, გვ. 362.

**) ბ. ექვთიმე თაყაიშვილს თავის „აღწერებ“-ში მოკლედ ნათქვამი აქვს, რომ დარეჯანი 1827 წელს მიიცვალაო. (იხ. „სბორნიკ...“ 39, გვ. 131).

იმისი დარდი ჰქონდა, რომ მასთან ერთად წამოსულნი, მისი ერთგული და მოყვარული მსახურნი, ეხლა უსახსროდ რჩებოდენ; და აი, ამათ შესახებ მიმართავს დარეჯანი რუსეთის ხელმწიფეს თვისი უკანასკნელი თხოვნით, რომელიც ბატონიშვილის ანდერძად უნდა ჩაითვალოს.

22 თებერვალს 1827 წ. შინაგან საქმეთა სამინისტრო ერმოლოვს სწერდა, რომ მთავარმა შტაბმა მინისტრს აცნობა ხელმწიფის ბრძანება ბატონიშვილ დარეჯანის მოსკოვში დასაფლავების შესახებ და თან მიცვალებულის ანდერძიც გადაუგზავნა.

ბატონიშვილის ეს ანდერძი არსებითად სხვებს შეეხება: დაშთენილთათვის კეთილშობილი ზრუნვა და ღწვაა.

რუსეთის მთავრობამ უკვე ყველაფერი წაართვა დარეჯანს. და კარგა ხანია ხაზინას გადასცა... ამიტომ დარეჯანი ანდერძით, უმდაბლესი თხოვნით, ფიქრობს, ხელმწიფის გულში ქრისტიანული და კაცთმოყვარული გრძნობები გააღვიძოს და სთხოვს არა თავისათვის, არამედ „უდანაშაულო ყრმათათვის“: დაუბრუნოს მათ მამულის ერთი ნაწილი; ამასთან ერთად იგი ითხოვდა: პენსია მიეცათ მისი მხლებლებისა და ერთგული თანამოზიარეთათვის, რომლებიც საქართველოდან საყვარელ ბატონიშვილს წაჰყოლოდენ და იქ კი ყველაფერზე ხელი აეღოთ; ესენი იყვნენ: – მარიამ გველესიანის ასული და პეტრე მშვენიერაძე. რაკი დარეჯანს ერთგულ მოახლეთა დასა-

კმაყოფილებლად ყოველგვარი საშუალება წაართვეს, ამიტომ უბრალო რიგიანობა მოითხოვდა, რომ ბატონიშვილის დიდძალი ქონებიდან ამ მხლებლებისათვის მცირედი რამ მაინც მიეცათ*).

ხელმწიფემ ეს ანდერძი შინაგან საქმეთა მინისტრს გადაუგზავნა, ხოლო აქედან კი ეს „თხოვნები“ დასკვნისათვის ისევ ერმოლოვს მიუვიდა და უკანასკნელმაც ტრადიციულ „კეთილ-

*) იხ. დასახელებული წერილი ერმოლოვისადმი; „აქტები“, 6, l. № 876.

შობილებას“ არ უღალატა და მიცვალებულის თხოვნის მთავარ მუხლს, რომელსაც დარეჯანი **პოლიტიკურ მნიშვნელობას აწერდა**, უარი უთხრა: – იძულებული ვარ განმეორებით მოგახსენოთ, სწერდა ერმოლოვი პეტერბურგს პასუხად, რომ ხაზინაზე გადაცემულ მამულთა ნაწილის დაბრუნება დარეჯანის მემკვიდრეებისათვის ყოვლად დაუშვებელიაო; და ამის შემდეგ ერმოლოვი ცინიზმით სავსე სტრიქონებში აღნიშნავს რუსეთისა და მის მოხელეთა ვითომ და დიდ კეთილშობილებას მოხუც მიცვალებულის უკანასკნელი თხოვნისადმი და სწერს: – ამასთან ერთად ვფიქრობ, სამართლიანია ბატონიშვილი დარეჯანის თხოვნა – ანდერძის მეორე ნაწილი და საჭიროა მისი დაკმაყოფილებაო; და ითხოვს, მიეცეს პენსიად გველესიანის ასულს 50 მანეთი და მშვენიერიძეს – 25 მან. თვიურად*).

ასე შეაფასა რუსეთის მთავრობამ ვალი დიდებული მეფის, სოლომონის ღირსეულ ასულისადმი, რომელსაც ტახტიც წაართვა, სამშობლოც დაუკარგა, სახლ-კარიც დაუბეჭდა, უამრავი მამულებიც ჩამოართვა და ქმარი და ყველა შვილები ტყვიებით დაუცხრილა...

ხოლო მას კი სამშობლო მიწაში დაფლის საშუალებაც კი არ მისცა; ყველა ამის სანაცვლოდ „დარბაისელმა“ პეტერბურგმა ბატონიშვილის „უკანასკნელი სურვილის თანახმად“ უბოძა გველესიანს და მშვენიერაძეს ორივეს ერთად სამოცდათხუთმეტი მანეთი...

ასე იაფად დაინარჩუნა რუსეთის იმპერიამ სამოცდათხუთმეტი წლის ღირსეული ქალი და იგი პოკროვსკის მონასტერში დაასამარა.

* *
*

ბატონიშვილ დარეჯანს დარჩა ხუთი შვილისშვილი: – მისი ქალიშვილისაგან ანა ერისთავისაგან მცირეწლოვანი ვაჟი,

*) იხ. ერმოლოვის პასუხი მინისტრისადმი, 22 – 3 – 1827 წ. იქვე, № 877.

ხოლო მიცვალებულ მამებისაგან: ქალები: – ატატა (მეუღლე ნაკაშიძისა) და ეკა, ვაჟები: – სვიმონ და გიორგი. ყველა ესენი, უკანასკნელის გარდა, იმერეთში იმყოფებოდენ, გიორგი კი (ივანეს ვაჟი) პეტერბურგის სამხედრო საობლო განყოფილებაში იზრდებოდა („აქტები") 6. 1.).

აღსანიშნავია, რომ ჩვენი სასიქადულო მგოსანის, აკაკის დედა, ეკატერინე, აქ მოხსენებულ აჯანყების გმირის, ივანე აბაშიძის ასული იყო.

მგოსანის მოგონებაში საინტერესო სტრიქონებს ვკითხულობთ მისი ღირსეული დედის შესახებ, ასეთი წარუშლელი კვალი რომ დააშთინა პოეტს და სამშობლოსათვის თავდადების ცეცხლი დაუნთო; ივანე აბაშიძის ასულს, დარეჯან ბატონიშვილის შვილისშვილს განა შეეძლო თვისი პირმშოსათვის სხვაგვარი აღზრდა მიეცა?

ამჟამად ჩვენთვის აკაკის ცნობებიდან ის ადგილებია საყურადღებო, სადაც იგი დარეჯან ბატონიშვილის განსაკუთრებულ აღზრდა-მზრუნველობაზე ლაპარაკობს, რაიც მან მგოსნის დედისადმი გამოიჩინა და რასაც მრავალ წელთა შემდეგაც ასეთი ღრმა კვალი დაუტოვებია.

„აჯანყებულები რომ დაიმორჩილეს და დაამშვიდეს“, – სწერს მგოსანი, – „ივანე აბაშიძის ოჯახი აიკლეს და იმის ცოლ-შვილიც სხვებთან ერთად ტყვედ წაიყვანეს. გურიის უკანასკნელი მთავარი, მამია გურიელი ღვიძლი ძმა იყო ივ. აბაშიძის ცოლისა.

მამია გამოესარჩლა დასა და დისწულებს, იშუამდგომლა მთავრობასთან და ტყვეები, გარდა დარეჯან ბატონიშვილისა, და ერთი უფროსი ვაჟისა*) უკანვე დააბრუნეს გზიდან. მაშინ დედა ჩემი იყო 12 წლისა და ყველაფერი გულის ფიცარზე დაებეჭდა. ივ. აბაშიძის სახლობა დაბრუნდა, მაგრამ ყმა და მა-

*) ივანე აბაშიძის ვაჟზე, გიორგიზე უნდა იყოს ლაპარაკი, დარეჯანთან ერთად რომ გადაასახლეს.

მული ჩამორთმეული დაუხვდა, ოჯახი აკლებული და განადგურებული. საზრდო რომ აღარა ჰქონდათ და პატრონიც აღარავინ ჰყავდათ, გურიის მთავარმა გადაიყვანა და ცდილობდა, რომ მათი მწუხარება მომავლის იმედებით როგორმე გაექარ-

წყლებინა. ყველაზე უფრო დასევდიანდა თურმე დედა ჩემი: ამას თურმე დარეჯან ბატონიშვილი აგონდებოდა, რომელიც შვილისავით ზრდიდა და ანებივრებდა როგორც შესანიშნავ ბავშს*).

ჩვენი პოეტის ეს ცნობა მცირე შუქს მაინც ჰფენს ივანე აბაშიძის ოჯახის ბედს 1820 წლის ამბების შემდეგ.

დარეჯან ბატონიშვილის დაპატიმრების ჟამს, მასთან, როგორც ვიცით, მარტო ერთი შვილი იმყოფებოდა, ივანესი, რომელიც ერმოლოვმა თან გადაასახლებინა რუსეთში. მაგრამ თურმე რუსეთის მოხელეებს ივანე აბაშიძის არც დანარჩენი ოჯახის წევრები დაუნდვიათ; თურმე ისინიც გადასახლებული ყოფილან და მხოლოდ მამია გურიელის ენერგიულ ჩარევას დაუბრუნებია გზიდან ეს ტყვეები და მასთან წაუყვანია ბინად გურიაში; ან სად უნდა შეეფარებინათ მათ თავი იმის შემდეგ, რაც მათი კერა რუსებს ერთბაშად გაენადგურებინათ... ამიტომ ითხოვდა სიკვდილის წინ დარეჯან ბატონიშვილი, რომ მისი პირადი მამულებიდან უმწეოდ დაშთენილ შვილის-შვილებს მცირე ნაწილი მაინც გადასცემოდა.

---

*) იხ. „ჩემი თავგადასავალი“ აკაკისა, ტ. 1. გვ. 17.

ზანდუკი

საკუთარ სახელთა საძიებელი.

ა

(ციფრებით აღნიშნულია გვერდები)

აბას-მირზა ხანი, მემკვიდრე სპარსეთის შახისა 34, 70, 114, 119, 120, 122, 123 - 125, 129, 133, 134 - 143, 145, 146, 156, 159, 160, 181, 203, 278.
აბაშიძე გიორგი, შვ.-შვილი დარეჯან ბატონიშვილისა: 273.
აბაშიძე დავით: 175.
აბაშიძე დიმიტრი: 125 - 129, 131 - 135, 175, 181.
აბაშიძე ივანე, ძე დარეჯან ბატონიშვილისა: 131, 140, 171, 194, 203, 215, 217, 218, 258, 260, 273, 274, 277 - 279, 283, 284, 286, 287, 289, 291, 292,297, 298, 302, 303.
აბაშიძე ლევან: 126, 127, 129, 130 - 136, 175, 181.
აბაშიძე ნიკოლოზ - პინეზი: 217, 283, 290.
აბაშიძე სვიმონ, ძე დარეჯან ბატონიშვილისა: 273.

აბაშიძე ქაიხოსრო (ქაქუჩელა), მეუღლე დარეჯან ბატონიშვი-
ლისა: 12, 131, 140, 171, 194, 270, 270-272.
აბაშიძე ხახული, ძე დარეჯან ბატონიშვილისა: 194, 272,
273.
აგრისი, იმპერატორი ბიზანტიისა: 246.
ავალიშვილი გიორგი, საქართველოს რწმუნებული რუსეთის
კარზე: 18, 19.
ავალიშვილი ზურაბ, პროფესორი, მკვლევარი: 172, 226.
აიხვალდი, მოგზაური, მწერალი: 264.
ალექსანდრე ბატონიშვილი, ძე ერეკლე მეფისა: 12, 17, 21,

25, 26, 33, 34, 40, 41, 46, 48, 59, 62, 65, 67-
70, 73, 74, 79, 80, 88, 89, 101, 102, 111-134, 136
- 141, 143-149, 152-163, 180, 181, 185, 189,
203, 215, 236, 253, 254, 278, 293, 294, 296.
ალექსანდრე პირველი, იმპერატორი რუსეთისა: 21, 23 - 25,
27, 29, 30, 40, 112, 182, 246, 255.
ალექსიძე სოლომონ, დეკანოზი: 47.
ალი და სოსლან ბეგი (ძმები): 243.
ალი, ფაშა ახალციხისა: 198, 203.
ამირეჯიბი ზაალ: 179.
ამირეჯიბი მიხეილ: 203.
ამირეჯიბი შალვა, მწერალი: 105.
ამილახვარი გიორგი: 179 - 183.
ამილახვარი ოთარი, სიმამრი ბატონიშვილ თეიმურაზისა: 102.
ანასტასია ბატონიშვილი, ასული ერეკლე მეფისა 24.
ანდრეევსკი, მაიორი (პუზირევსკის რწმუნებული): 286.
ანდრონიკაშვილი ია: 108.
ანდრონიკაშვილი მალხაზ, სარდალი: 126, 173, 281, 186,
250, 269, 275.
ანდრონიკაშვილისა მარიამ, მეუღლე მალხაზისა, და სოლო-
მონ მეფისა: 171, 250, 269, 274, 275.
ანტონ კათალიკოსი: 35.
არაზოვი, მმართველ გორჩაკოვის თარჯიმანი: 214.
ასათიანის ასული, მხლებელი დედოფალ ნინოსი: 260.
ასათიანი ლევან, მწერალი: 48, 49.
ასლან ბეგი (ვაჟი ქელაიშ ახმედ ბეგისა): 233, 235, 236,
240, 242, 243.
აფხაზი ალექსანდრე (1832 წლის შეთქმულების წევრი): 108.
აფხაზი ივანე ნიკოლოზის ძე, ღენერალ მაიორი: 74.

ბ

ბაბა ხანი, ფეჰტ ალი შაჰი: 23, 25 - 27, 119, 120, 142.
ბაგრატ ბატონიშვილი, ძე მეფე გიორგისა 28, 32, 103,
ბაგრატიონი დიმიტრი გიორგის ძე, პოეტი - ემიგრანტი: 38.

ბადრიაშვილი: 22.
ბარათაშვილი ნიკოლოზ, მგოსანი: 53, 95, 96, 100, 103.
ბარათაშვილისა ეფემია (დედა ნიკოლოზ ბარათაშვილისა: 99, 100, 105.
ბაქრაძე დიმიტრი, ისტორიკოსი: 239, 240, 266.
ბერჟე, თავჯდომარე კავკასიის არქეოგრ. კომისიისა: 50.
ბებუთაშვილი ვასილ: 74.
ბებუთაშვილი იოსებ, მიშკაბაში: 31, 40, 41.
ბებუთოვი, ღენერალი: 149 - 152, 156, 157.
ბოდბელი მიტროპოლიტი: 74.
ბოლქვაძე, ძიძის შვილი ქაიხოსრო გურიელისა: 13, 292.
ბოროზდინი (ავტ. მოგონებათა სამეგრელო – სვანეთზე): 105.
ბროსსე მარი, აკადემიკოსი: 215, 224, 265, 266, 292.
ბუტკოვი, ისტორიკოსი: 224, 239, 252, 271.

გ

გელოვანი ბერი, ლეჩხუმის მოურავი: 229.
გენათელი მიტროპოლიტი ექვთიმე: 281, 283, 289.
გველესიანის ასული მარიამ, მხლებელი დარეჯან ბატონიშვილისა: 300, 301.
გიორგი მეცამეტე, მეფე ქართლ-კახეთისა: 12, 18 - 22, 28, 55, 83, 88, 103, 116, 166, 171, 221, 223, 226, 227, 236.
გიორგი, შვილის შვილი დარეჯან ბატონიშვილისა: 302.
გალიცინი, მინისტრი: 278.
გლუხოვი, მაიორი: 261.
გოზალაშვილი, დოცენტი 265.
გორგაძე სერგო, მკვლევარი: 39.
გორჩაკოვი, ღენერალი მმართველი იმერეთისა: 13, 195 - 202, 204-206, 209, 211- 217, 258, 259.
გრიგოლ არქიმანდრიტი: 283.
გრიგოლ ბატონიშვილი, იოანეს ძე: 116.
გრიშაშვილი იოსებ – მგოსანი: 222, 223.
გუდოვიჩი, მთავარმართებელი: 228, 230 - 234, 244.
გუნცაძე, მღვდელი: 283, 290.

გურამიშვილი დავით, მგოსანი: 38.
გურამიშვილი მამუკა, პოეტი: 38.
გურიელი დავით: 266.
გურიელი მამია, მთავარი: 171, 188, 237, 238, 282, 293, 294, 302, 303.
გურიელი ქაიხოსრო, ბიძა მთავარისა: 13, 147, 189, 194, 197, 204, 216, 258, 260, 290, 291.
გურიელისა მარიამ, ასული დედოფალ ნინოსი: 266;

დ

დადიანი ბეჟან: 256.
დადიანი გიორგი, ძმა მთავარ ლევანისა: 55, 194, 196, 228, 248, 255 - 260, 262 - 266, 292.
დადიანი გრიგოლ კაციას ძე, ი:171, 221, „5, 226, 228, 231, 236, 238, 246, 249, 273.
დადიანი დავით ლევანის ძე, მთავარი: 171.
დადიანის ასული ეკატერინე, დაჲ მთავარ ლევანისა: 228.
დადიანი გრიგოლ კაციას ძე, მთავარლ: 171, 221, 225, 226.
დადიანის ასული ელენე, დაჲ მთავარ ლევანისა: 228.
დადიანი ლევან გრიგოლის ძე, მთავარი: 196, 228, 229, 236, 238, 245, 252, 257 -259, 262 - 264, 273,8 292, 294.
დადიანი მანუჩარ, ძმა გრიგოლ დადიანისა: 226, 231, 232.
დადიანის ასული მარიამ, დაჲ მთავარ ლევანისა: 228.
149, 152, 155- 158, 161, 163 - 166.
დადიანის ასული ქეთევან, დაჲ მთავარ ლევანისა: 228.
დადიანი ნიკო, ისტორიკოსი: 223, 224, 252.
დადიანი ტარიელ, ძმა გრიგოლ დადიანისა: 226, 229, 236, 238, 251.
დავით არჩილის ძე (მეფე სოლომონ მეორე): 271.
დავით ბატონიშვილი, ბაგრატის ძე: 197.
დავით ბატონიშვილი, ძე გიორგი მეფისა: 19 - 22, 28, 32, 111, 169, 221, 224, 272.
დავით გიორგის ძე - მეფე იმერეთისა: 270, 271.
დავით მეფე, კურატპალატი: 229, 246.

დავით რექტორი, ალექსიძე: 47.
დარეჯან ბატონიშვილი, აბაშიძის მეუღლე, ასული სოლომონ პირველისა: 12, 171, 258, 269-270, 283-286, 288 - 290, 293, 295, 300 - 303.
დარეჯან დედოფალი ქართლ-კახეთის მეუღლე მეფე ერეკლესი, ასული დადიანისა: 11, 19 - 25, 28, 32, 35, 40, 41, 55, 77, 78.
დელპაცცო, ღენერალი: 114, 275.
დზიუბენკოსი („ტიტულიარნი სოვეტნ.") მხლებელი დედოფალ ნინოსი: 259, 260.
დიმიტრი ბატონიშვილი, იულონის ძე: 58 - 62, 67, 79, 83. 85, 89, 93, 94.
დოდაშვილი სოლომონ (1832 წლის შეთქმულების წევრი): 60, 62, 66, 73, 86, 87, 91, 92, 103.
დუბენცკი, ადიუტანტი ღენერალ გორჩაკოვისა: 192, 193, 195, 199 - 202, 204 - 214, 289.
დუბროვინი, ისტორიკოსი 22, 193, 237.

ე

ეკა აბაშიძის ასული, შვილის შვილი დარეჯან ბატონიშვი-
ლისა: 302.
ეკატერინე, ასული დედოფალ ნინოსი: 266.
ეკატერინე დადიანისა, ასული ალექსანდრე ჭავჭავაძისა, დე-
დოფალი სამეგრელოსი: 104, 106, 169, 171.
ეკატერინე წერეთელისა, შვილის შვილი დარეჯან ბატონიშვი-
ლისა, დედა მგოსან აკაკისა: 302.
ეკატერინე მეორე, იმპერ. რუსეთისა: 18, 24, 256.
ელენე, ასული დედოფალ ნინოსი: 266.
ელენე, ამილახვარის ასული, მეუღლე თეიმურაზ ბატონიშვი-
ლისა: 101, 102.
ელენე ბატონიშვილი, ერეკლე მეფის ასული, მეუღლე ქიზი-
ყის მოურავის ზაქარია ანდრონიკაშვილისა 24.
ერეკლე მეორე: 11, 17-21, 24, 27-29, 31, 35, 36,
38, 39, 44, 46 - 48, 58, 66, 76 - 79, 81 – 83, 85,

86, 88, 89, 104, 111, 116-118, 120, 142-144,146,
147, 151, 157, 164, 166, 169, 170, 172, 221, 223,
226, 227, 229, 254, 266.
ერეკლე, ძე ბატონიშვილ ალექსანდრესი: 12, 141, 145, 147,
149, 152, 155-158, 161, 163-166.
ერეკლე, ძე მეფე გიორგი მეთორმეტესი: 103.
ერისთავი გიორგი დავითის ძე, ღენ.-ლეიტ.: 70, 71, 74.
ერისათვი გიორგი, მდივანბეგი გურიელისა: 266.
ერისთავი გიორგი რევაზის ძე: 90, 91, 93, 98.
ერისთავი გიორგი ესეს ძე, ღენერალი (თავრიზის გმირი): 144
- 146.
ერისთავი დავით: 175.
ერისთავი დიმიტრი შანშეს ძე (1832 წლის შეთქმულების წე-
ვრი): 60, 61, 80, 85, 92 - 95.
ერისთავი ელიზბარ, შანშეს ძე (1832 წ. შეთქმულთა მეთაუ-
რი): 60, 61, 63, 64, 67, 68, 70, 71, 80, 85, 86, 92
- 95, 102.
ერისთავი ელიზბარ, სიძე ბატონიშვილ დარეჯანისა: 179,
275, 276.
ერისთავი თომა გიორგის ძე, შვილის შვილი დედოფალ ნი-
ნოსი: 239, 240.
ერისთავი - შარვაშიძე ნ.: 223.
ერისთავისა ანნა, შვილისშვილი ბატონიშვილ დარეჯანისა: 33.
ერისთავისა მარიამ, ივ. ქობულაშვილის ასული, დედა მგოსან
გიორგი ერისთავისა: 98.
ერმოლოვი, ღენერალი, მთავარმართებელი: 113 - 115,
122, 130 - 136, 138 - 140, 142, 143, 170, 193, 196
- 200, 203, 214, 253, 256, 258 - 263, 278, 280,
283 - 286, 295,297, 298, 300, 301, 303.
ესაძე ბორის, მწერალთ 299.

ვ

ვახტანგ, ბატონიშვილი იმერეთისა (დავითის ძე): 40, 147, 189, 195, 198, I203, 215, 217, 258.

ვახტანგ ბატონიშვილი, ძე ერეკლე მეფისა: 17, 19, 24, 32, 180, 236.
ვახტანგ მეექვსე, მეფე: 118.
ველიამინოვი, ღენერალი, თანაშემწე მთავარმართებლისა: 115, 130, 134, 139, 190, 193, 196, 198, 203, 216, 256 - 258, 279, 280, 282, 284, 287 - 291.
ვოლკონსკი, მინისტრი: 197, 198.
ვოლჟინსკი, რუსეთის „ოტრიადის“ ხელმძღვანელი: 136, 148.
ვორონცოვი მიხეილ, მთავარმართებელი: 107, 163, 164.
ვლასოვი, ყაზახთა ოფიცერი: 196.

ზ

ზავილეისკი, ვიცეღუბერნატორი ტფილისისა: 68, 72, 75.

თ

თამარ მეფე: 9.
თალიაშვილი, სემინარიელი (1832 წ. შეთქმულების წევრი) : 88, 89.
თამარ ბატონიშვილი, ასული ერეკლე მეფისა, მეუღლე დავით ორბელიანისა: 24.
თამარ ბატონიშვილი, ასული იულონისა: 9, 12, 56, 58, 64, 66, 76, 79, 80,83, 85, 87,148.
თამარ დედოფალი, მეუღლე თეიმურაზ მეორესი: 118.
თამარ, დავით ჭავჭავაძის ასული, მეუღლე ერეკლე ბატონიშვილისა: 165.
თარხნიშვილი ესტატე: 203.
თაყაიშვილი ექვთიმე, პროფესორი არქეოლოგი: 26, 31, 34, 38, 40, 46, 47 119 224, 252, 299.
თეიმურაზ ბატონიშვილი, გიორგის ძე: 17, 25, 26, 33, 61, 101, 103, 116, 154, 215.
თეიმურაზ პირველი, მეფე: 45, 118.
თეკლა ბატონიშვილი, ასული მეფე ერეკლესი: 11, 17, 24, 27, 35 - 39, 41, 47 - 49, 68, 76 - 83, 85, 88, 98.
თეოფილაკტე რუსანოვი, ეგზარხოსი: 185, 279, 290, 283,

284, 289, 293.
თუმანიშვილი ბირთველი 86.
თუმანიშვილი მიხეილ: 96.

თუმანოვი, თარჯიმანი ღენ. გორჩაკოვთან: 206, 207, 210, 211.

ი

იბრაჰიმი, ეგვიპტეს ფაშის შვილობილი: 69, 73.
ილია ბატონიშვილი, გიორგის ძე: 103.
იოანე ბატონიშვილი, გიორგის ძე: 28.
იოსები, ჯუმათის მიტროპოლიტი: 237.
იოსელიანი, დედოფალ ნინოს კარის მოძღვარი: 265.
იულონ ბატონიშვილი, ძე ერეკლე მეფისა: 9. 12. 17, 20, 23, 32, 35, 58. 59, 66. 76, 103, 111, 169, 180, 236.

კ

კაკაბაძე სარგის, ისტორიკოსი: 20, 35, 36, 45, 47, 226, 273, 280.
კალატოზოვი, მაიორი (რუსთა საექსპედიციო რაზმის უფროსი): 272.
კაშჩენკო, მაიორი, რწმუნებული პუზირევსკისა: 286.
კახაბერი, მწერალი: 67, 155.
კეკელიძე კორნელი, პროფესორი, მკვლევარი: 24, 38, 103.
კიკნაძე ფილადელფოსი, ბერი (1832 წ. შეთქმულთა მეთაური): 56, 67, 88, 255.
კნორრინგი, პირველი მთავარმართებელი საქართველოსი: 18, 19, 21, 23, 43, 55, 169.
კოვალენსკი, მინისტრი, რუსეთის ელჩი საქართველოს კარზე: 18, 21.
კოტეტიშვილი ვახტანგ, მწერალი: 78.
კოჩუბეი, მინისტრი: 27, 146, 262.
კოჩუბეი, გუბერნატორი ქალაქ პენზისა: 295.
კურაკინი, რუსეთის მოხელე: 23.
კარტანოვსკი, ღენერალი, მმართველი იმერეთისა: 190, 192, 253, 256 - 258, 279, 280, 281, 283, 294.

ლ

ლაზარევი, ღენერალი: 32, 40, 55, 103.
ლაჟინსკი: 203.
ლევან ბატონიშვ., ძე ერეკლე მეფისა: 17, 26, 40, 59, 116.
ლევან ბატონიშვილი, იულონის ძე: 17, 26, 40, 59, 116.
ლეონიძე სოლომონ, კანცლერი: 21, 111, 112, 126, 175, 131, 186, 269.
ლეონიძისა სოფიო, მეუღლე კანცლერის: 103.
ლეჟავა ლომკაცი, მეამბოხეთა რაზმების მეთაური: 191, 194, 195, 200 - 205, 207, 208, 210, 212, 217.
ლეტელიე, საფრანგეთის საკონსულოს მდივანი ტფილისში

(1832 წლის შეთქმულების წევრი) : 102.
ლინასევიჩი, ღენერალი: 176.
ლორთქიფანიძე ბერი: 175.
ლუარსაბ ბატონიშვილი, იულონის ძე: 58 - 60.
ლიუდოვიკე ფილიპე ორლეანელი: 65.

მ

მადათოვი, ღენერალი: 137.
მამაცაშვილი კონსტანტინე (1832 წ. შეთქმულ. წევრი): 100.
მამედ მირზა, ფაჰტ ალი შაჰის მემკვიდრე აბას მირზას შემ-
დეგ: 160, 161.
მართა, ასული ზურაბ წერეთელისა (მეუღლე მთავარ ლევანი-
სა): 251.
მარიამ ბატონიშვილი, ასული მეფე ერეკლესი, მეუღლე ქალა-
ქის მოურავის დავით ციციშვილისა: 11, 17, 24, 27. 31
38, 39, 41, 43-47, 49, 118, 143, 144.
მარიამ, დედოფალი ქართლ-კახეთისა, ასული ციციშვილისა:
32, 40, 103, 129.
მარიამ, დედოფალი იმერეთისა, ასული კაცია დადიანისა: 171,
183, 221, 249 - 252, 269, 274.
მარიამ მელიქ სააქის ასული, მეუღლე ალექსანდრე ბატონი-

შვილისა: 12, 139, 145 - 147, 149 - 153, 155 - 159,
161, 162, 166.
მარშანია, თავადი წებელთისა: 244.
მაჰმედ ალი, ფაშა ეგვიპტესი: 69, 148.
მელიქ აღა მალი, სიმამრი ბატონიშ. დავით გიორგის ძისა: 22.
მელიქ სააქი, აღამალი, სიმამრი ალექსანდრე ბატონიშვილისა:
139, 141, 147, 150.
მელნიკოვი ანდრია, ტფილისის პოლიცმეისტერი: 92, 93, 95.
მელნიკოვისა მელანია, ასული შამშე ერისთავისა, და ელიზ-
ბარ და დიმიტრი ერისთავთა: 92 - 94.
მერკვილაძე ს. გამომცემელი: 189.
მესხი მართა (1832 წ. შეთქმულების წევრი): 75, 89, 97.
მეუნარგია იონა, მწერალი: 84, 95, 100, 108.
მირიან გიორგის ძე, ბატონიშვილი: 28, 38.
მისოსტოვი, ყაბარდოს მთავარი: 118, 238.
მიქელაძე დავით, მდივან ბეგი (სიძე მეფე სოლომონ მეორესი):
258, 269, 280, 282, 283, 287, 289, 290.
მიხინი, მაიორი, პუზირევსკის რწმუნებული: 287, 289.
მიხეილ გიორგის ძე, ბატონიშვილი: 87.
მოგილევსკი, ტორმასოვის საგანგებო რწმუნებული იმერეთში:
13, 173, 174, 183.
მურავიოვი, აკადემიკოსი, მოგზაური: 246.
მუხრან-ბატონი ივანე: 25.
მუხრან-ბატონი კონსტანტინე: 25, 26.

მშვენიერიძე პეტრე, მოახლე ბატონიშვილ დარეჯანისა: 300, 301.

ნ

ნაკაშიძისა ატატო (შვილის შვილი დარეჯან ბატონიშვილისა): 302.
ნაპოლეონი: 41, 255.
ნესსელროდე, მინისტრი: 114, 135, 136, 149.
ნიკოლა, პატრი, კათოლიკე მისიონერი: 126, 175, 228.
ნიკოლოზ პირველი, იმპერატორ რუსეთისა: 83, 86, 95.
ნინო, ალექსანდრე ბატონიშვილის დანიშნული: 46, 119.
ნინო, დედოფალი სამეგრელოსი, ასული მეფე გიორგი მეთორმეტისა: 12, 55, 88, 171, 221 - 225, 227 - 230, 232, 233, 236 - 266.
ნიჟარაძე როსტომ: 127, 175.

ო

ორბელიანი ალექსანდრე (პუპნია) ვახტანგის ძე, მწერალი, ძე თეკლა ბატონიშვილისა: 11, 35, 36, 56, 57, 60, 62 - 64, 68, 70, 72, 73, 75, 77 - 81, 85, 89, 90, 98, 102.
ორბელიანი გრიგოლ, მგოსანი, (1832 წ. შეთქმულების წევრი), ღენერალი: 66, 94, 96, 97, 99, 104 - 108.
ორბელიანი დავით – სარდალი: 20, 24.
ორბელიანი დიმიტრი ზაქარიას ძე, ღენერალი, რუსულ ჯარების ექსპედიციათა ხელმძღვანელი იმერეთში: 128, 180, 181, 235 7, 9, 273.
ორბელიანი დიმიტრი, ძე ბატონიშვილ თეკლასი: 35, 75, 96.
ორბელიანი ვახტანგ, მეუღლე ბატონიშვილ თეკლასი: 35.
ორბელიანი ვახტანგ, მგოსანი, ძე ბატონიშვილ თეკლასი: 11, 35, 39, 48, 60, 64, 68, 70-72, 75, 76, 78, 80,90, 91, 97, 98.
ორბელიანი ზაქარია: 94.
ორბელიანი თამაზ: 25.
ორბელიანი ლუარსაბ, დავითის ძე, ღენერალი, 1832 შეთქმ. წევრი, ცოლისძმა ალექსანდრე ჭავჭავაძისა: 63, 79, 80, 87, 93, 95.
ორბელიანისა ეკატერინე (კატინა), მეუღლე ალექს. ორბელიანისა, ასული დავ. ბარათაშვილისა: 57, 81, 89, 90, 91.
ორბელიანისა მანანა: 9, 93 - 98, 105.
ორბელიანისა მარიამ, ვახტანგის ასული: 11.
ორბელიანისა ხორეშან, დედა მგოსან გრიგოლ ორბელიანისა, შვილი ერეკლეს ასულის ელენესი: 99.
ორჯონიკიძეები, ძმები: 127.
ოსტროუხოვი, მაიორი: 286.

ოქროპირ ბატონიშვილი, გიორგის ძე: 59, 60, 71, 79, 84,
86 - 89, 103.
პავლე პირველი, იმპერატორი რუსეთისა: 18, 20, 21, 29.
პასკევიჩი, ღენერალი, მთავარმართებელი: 82, 142, 144,
14s, 146, 149.
პაულიჩი მარკიზი, მთავარმართებელის მოადგილე: 32.
პოლიევკტოვი, პროფესორი, მკვლევარი: 265.
პოტტო, ღენერალი, ისტორიკოსი: 22, 120, 143, 144, 145,
146, 176, 178, 182, 191, 193, 197, 198, 214, 215, 237,
242, 288, 295.
პრიბილევსკი, მაიორი: 177, 180, 182, 183.
პუზირევსკი, პოლკოვნიკი, დამსჯელი ექსპედიციის უფროსი:
13, 192 I95, 258, 280, 282-291, 295.

რ

რაზმაძე სოლომონ (1832 წ. შეთქმულების წევრი): 56, 61,
66, 101, 102.
რიფსიმე ბატონიშვილი, გიორგი მეფის ასული, მეუღლე დიმ.
ჩოლოყაშვილისა: 83, 84, 87, 102.
როზენი ბარონი,მთავარმართებელი: 76, 79, 90, 101, 128,
129, 148, 149-159, 161, 166, 170.
როტიერი, მოგზაური – მწერალი: 40.
რტიშჩევი, მთავარმართებელი: 43, 82, 113, 117, 122.
რუმიანცევი, მინისტრი: 239, 244, 277, 285.
რუსუდან დედოფალ მეუღლე ვახტანგ მეექვსესი: 118.

ს

სააკაძე დავით, მგოსანი: 38.
საიათნოვა, მგოსანი: 106.
სავარსამიძე, ღენერალი: 74, 139.
სალომე ბატონიშვილი, ფარნაოზის ასული: 85-87, 94, 102.
სალომე, მეუღლე ბატონიშვილ იულონისა, ამილახვარის ასუ-
ლთ 46, 58.

სალტიკოვი, ღენერალი: 234
სვიმონ, შვილის შვილი ბატონიშვილ დარეჯანისა: 302.
სიმონიჩი, გრაფი, რუსეთის ელჩი სპარსეთის კარზე: 61, 100
- 102, 152 - 156, 158.
სიმონიჩისა, რუს. ელჩის მეუღლე, ამილახვარის ასული: 100,
154.
სიმონიჩი, ღენერალი, იმერეთის მმართველი: 13, 126 - 129,
173, 174, 179, 183, 190, 194, 238, 241, 242, 244, 246,
247, 250, 251, 253, 271, 272, 274 -276.
სისოევი, საექსპ. რაზმის უფროსი: 285.
სოკოლოვი, პეტერბურგის ემისარი საქართველოში: 23. 24.

სოლომონ მეფე, მეფე იმერეთისა: 12, 131, 171, 270, 285.
სოლომონ მეორე, მეფე იმერეთისა: 12, 13, 112, 125 - 127, 129, 130, 134, 169, 170, 173, 174, 176, 181, 183, 186, 189, 194, 197, 215, 221, 223,224, 228,233, 234, 238 - 239, 246, 249, 250, 252, 254, 257, 269 - 272, 274, 277.
სოფიო გურიელისა, წულუკიძის ასული, უკანასკნელი დედოფალი გურიისა: 55, 147. 171, 189, 218, 234.
სტალი, ღენერალი, რუს. მხედრობის უფროსი: 131 - 133. 259, 260.
სტალინსკი: 32.
სუმბათი: 127.

ტ

ტარასოვი, საგამომძიებლო კომისიის თავჯდომარე, ციციანოვის რწმუნებული: 27.
ტარიელ ბატონიშვილი იმერეთისა: 215, 217.
ტიტოვი, მაიორი: 293.
ტიხოცკი, მაიორი: 128.
ტორმასოვი, ღენერალი, მთავარმართებელი: 126 - 128, 170, 173, 174, 175, 178, 179, 183, 184, 235, 237, 238, 239, 241 242, 244, 246, 248--251, 269, 271,273-277, 285.

ფ

ფავლენიშვილი რევაზ, ელჩი გიორგი მეფისა: 18.
ფალავანდიშვილი იასე (1832 წ. შეთქმულების წევრი): 68, 72, 74, 95.
ფალავანდიშვილი, ღუბერნატორი: 74.
ფარნაოზ ბატონიშვილი, ძე ერეკლესი: 17, 25, 26, 28, 32, 38, 58, 85, 89, 99, 103, 111, 169, 180.
ფირცხალავა სამსონ, მწერალი: 95, 100.
ფრაიგანგი, მოგზაური – მწერალი: 35, 36.
ფრონელი ალექსანდრე (ყიფშიძე), მწერალი: 32, 116, 117.

ქ

ქაზი (ყაზი მულა), მიურიდების მეთაური, აჯანყებულ მთის ხელმძღვანელი: 69, 70, 73, 148, 149, 154, 296.
ქანანოვი, ბოქაული, დედოფალ ნინოსთან მცველად მიყენებული: 259.
ქეთევან ბატონიშვილი, ერეკლეს ასული, მეუღლე მუხრან ბატონისა: 11, 24 - 29, 32 - 38, 41, 49, 88, 89.
ქეთევან ბატონიშვილი, კონსტანტინე მუხრან-ბატონის ასული, რძალი ერეკლე მეფისა: 32.

ქელაიშ აჰმედ ბეგი (შარვაშიძე), აფხაზეთის მთავარი: 223 - 225; 228, 229, 230.
ქობულაშვილისა ბარბარე: 45, 47.
ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი: 193, 278, 281-284, 276, 289.
ქუჩუკ ბეგი – შარვაშიძე (ფოთის ციხის უფროსი): 235.

ყ

ყიფიანისა ბარბარე, ფურცელაძის ასული, დედა დიმიტრი ყიფიანისა: 100.
ყიფიანი დიმიტრი, საზოგადო მოღვაწე, მწერალი: 96, 100, 102, 130.

შ

შარვაშიძე (ქუჩუკ ბეგი) ფოთის ციხის სარდალი: 230.
შარვაშიძე გიორგი (სეფარ ალი გეგი), უფროსი ვაჟი ქალ,ბიშ აჰმედ ბეგისა, სიძე დედოფალ ნინოსი, მთავარი აფხაზეთისა: 225-228., 233 235, 236, 237-239» 241, 242, 252.
შარვაშიძე მანუჩარ: 234. 266.
შარვაშიძისა ქეთევან (ასული ნინო დედოფლისა): 266.
შარვაშიძე როსტომი: 266
შერიფ ფაშა: 126, 175, 181, 239.
შუქრი, ფაშა ახალციხისა: 234, 237.

ჩ

ჩერნიშევი, მინისტრი: 59.
ჩიქოვანი გიორგი, სახლთუხუცესი სამეგრელოს კარზე: 229.
ჩოლოყაშვილი დიმიტრი, მეუღლე ბატონიშვილ რიფსიმე გიორგის ასულისა: გვ. 84.
ჩოლოყაშვილი ზაქარია დიმიტრის ძე, კაპიტანი (ვაჟი ბატონიშვილ რიფსიმესი): 84, 87.
ჩუდინოვი, მწერალი: 128, 129, 182, 183. 194. 197, 272.
ჩხეიძე გრიგოლ: 283, 290.

ც

ცაგარელი ალექსანდრე პროფესორი, მკვლევარი 271.
ციციშვილი დავით, ქალაქის მოურავი: 11.
ციციშვილი ესტატე, შვილი ერეკლეს ასულის მარიამისა: 45.
ციციშვილი (ციციანოვი) პავლე დიმიტრ.- ძე, ღენერ. მთავარმართებულო 17, 21 23-27, 29-34. 40-44, 55, 53, 59, 77, 82, 85, 88, 101. 103, 111. 112, 116. 117, 141. 142, 146, 169, 170, 224, 225, 2351 238, 269, 2773.

ძ

ძეზია ხანუმ მარშანიასი (ასული წეზელთის თავადისა): 244.

წ

წერეთელი აკაკი მგოსანი: 107, 302. 303.
წერეთელი ბეჟან, ძმისწული ქუთათელ მიტროპოლიტისა: 283, 289.
წერეთელი გრიგოლ ზურაბის ძე (პოლკოვნიკი): 179, 281.
წერეთელი დავით ზურაბის ძე, მიტროპოლიტი: 179.
წერეთელი ზურაბ, სახლთუხუცესი: 13, 58. 179, 257, 271. 276, 281, 282.
წერეთელი ნესტორ: 13.
წერეთელი პაპუნა 176. 178.
წერეთელი სვიმონ ზურაბის ძე: 175.
წერეთელი ქაიხოსრო, სარდალი: 171, 175 - 183, 269.
წერეთლისა ეკატერინე, სარდალ ქაიხოსროს მეუღლე, ასული აბაშიძისა: 12, 171, 173, 176 - 184, 269.
წულუკიძე გიორგი პაატას ძე, შეთქმულ მხედართა მეთაური (პოლკოვნიკი): 171. 188, 189, 199 - 202 204 - 206, 212, 214, 215 282, 292, 293.
წულუკიძე დავით: 214.
წულუკიძე ლევან: 199, 214.
წულუკიძე მერაბ: 214.
წულუკიძე სიკო (ძმა გიორგი წულუკიძისა): 206.
წულუკიძე სეხნია, სარდალი: 127, 258, 281 - 283, 287, 289, 290.
წულუკიძე სვიმონ, ვაჟი გიორგი წულუკიძისა: 199, 205, 206, 209 - 211, 217, 218.
წულუკიძისა ნ. (მეუღლე გიორგი წულუკიძისა): 199, 204, 205, 207, 208. 211, 212.

ჭ

ჭავჭავაძე ალექსანდრე, გარსევანის ძე, მგოსანი (1832 წლის შეთქმულების წევრი) 60, 62, 68, 72. 74, 80, 84, 95. 97, 99, 105, 145, 165. 171.
ჭავჭავაძე გარსევან, ელჩი ერეკლე და გიორგი მეფისა რუსეთის კარზე: 18, 19, 21, 98, 99.

ჭავჭავაძე დავით: 165.
ჭავჭავაძე ილია, მგოსანი: 76. 78. 107.
ჭავჭავაძის ასული ნინო, მეუღლე გრიბოედოვისა: 96, 105.

ჭავჭავაძისა მარიამ, გარსევანის მეუღლე, ასული ანდრონიკა-
შვილისა: 55, 98.
ჭავჭავაძისა სალომე, მეუღლე მგოსანი ალექსანდრესი, ასული
დავით ორბელიანისა: 105.
ჭილაშვილი გიორგი (1832 წლის შეთქმულების წევრი): 74.
ჭყონდიდელი ბესარიონ, მიტროპოლიტი, ბიძა მთავარ ლევან
დადიანისა: 229, 256.
ჭყონია ალექსანდრე, მკვლევარი: 13.
ჭიჭინაძე ზაქარია, მწერალი: 165, 166.

ხ

ხახანაშვილი ალექსანდრე, პროფესორი, მკვლევარი: 39 47,
98, 176, 182, 189, 197.
ხელაშვილი იონა, მოძღვარი, მწერალი: 103.
ხუსეინ ყული ხანი (ღენერალ ციციანოვის მკვლელი): 32.

ჯ

ჯავახიშვილი ივანე, პროფესორი, ისტორიკოსი: 190.
ჯავახიშვილი გიორგი, პროფესორი: 100.
ჯორჯაძე არჩილ, მწერალი, პოლიტიკური მოღვაწე: 100.

შინაარსი

ავტორისაგან 7
წინასიტყვაობა 9
მეფე ერეკლეს ქალები 17
ქართველი ქალი და 1832 წლის შეთქმულება 53
ალექსანდრე ბატონიშვილი და მისი ოჯახის ბედი 111
იმერეთის ქალები 169
ეკატერინე წერეთლისა 173
რაჭა და წულუკიძის ოჯახი 185
სამეგრელოს დედოფალი ნინო 221
ბატონიშვილი დარეჯან 269
ზანდუკი 305